

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის  
დანაშაულისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ცენტრი

ხატია შეყილაძე

**არასრულწლოვნის საუკეთესო  
ინტერესების პრიორიტეტულობა  
არასრულწლოვანთა  
მართლმსაჯულების პროცესში**

სულხან-საბა ორბელიანის  
უნივერსიტეტის გამომცემლობა

UDC(შპკ)342.726-053.2  
შ-569

ხატია შეყილაძე

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის

დანაშაულისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ცენტრი

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2021

**Khatia Shekiladze**

**Priority of the Best Interests of the Child in Juvenile Justice**

**Center for Crime and Criminal Justice of**

**Sulkhan-Saba Orbeliani University**

**Sulkhan-Saba Orbeliani University Press, 2021**

© ხატია შეყილაძე, 2021

© სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, 2021

ISBN 978-9941-8-3851-4

## წინათქმა

წინამდებარე მონოგრაფია ეფუძნება დისერტაციას: „კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების (სისხლის სამართლის საქმის წარმოების) პროცესში“. დისერტაციის დაცვა გაიმართა 2020 წლის 7 ივლისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. შედეგად, სადისერტაციო ნაშრომმა დაიმსახურა უმაღლესი შეფასება (**Summa Cum Laude**).

ნაშრომის მიზანია არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის სრულყოფილად გაანალიზება, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მისი მნიშვნელობის წარმოჩენა, აღნიშნულ პრინციპთან კანონმდებლობისა და საერთაშორისო თუ შიდასახელმწიფოებრივი პრაქტიკის შესაბამისობის შემოწმება, არსებული პრობლემების წარმოჩენა და მათი ეფექტიანად გადაჭრის მიზნით, შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება. ეს ყოველივე, თავის მხრივ, ემსახურება პრინციპის პრაქტიკაში სწორი ინტერპრეტაციის, გამოყენებისა და შესაბამისად, გადანყვეტილების მიღების პროცესში ცდომილებათა დაშვების პრევენციის მიზანს. ამ მიზნის მისაღწევად, ნაშრომში განხილული საკითხები გაანალიზებულია ბავშვის უფლებათა კონვენციისა და სხვა საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტების დებულებათა, აგრეთვე უცხო ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით.

პუბლიკაციაში წარმოდგენილია დასკვნები და რეკომენდაციები, როგორც კანონმდებლობის, ისე სასამართლო პრაქტიკის შემდგომი სრულყოფის მიზნით.

მსურს ხაზგასმით აღვნიშნო სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელის, პროფესორის მორის შალიკაშვილის განსაკუთრებული წვლილი ნაშრომზე მუშაობის პროცესში. აღსანიშნავია, ასევე, რეცენზენტებისა და კომისიის წევრების ყურადსაღები მოსაზრე-

ბები თუ რეკომენდაციები, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს თემის სრულყოფის თვალსაზრისით.

ხატია შეყილაძე  
სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესორი

თბილისი, 2021 წლის ოქტომბერი

## შემოკლებანი

**ბავშვის უფლებათა კომიტეტი/კომიტეტი** - გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კომიტეტი

**გაერო** - გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

**ევროკონვენცია** - ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია

**ევროსასამართლო** - ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლო

**მუდმივმოქმედი კომისიები** - საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივი მუდმივმოქმედი კომისია, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველი მუდმივმოქმედი კომისია

**პრობაციის ეროვნული სააგენტო** - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო

**სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭო/ადგილობრივი საბჭო** - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუნყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭო

**აშშ** - ამერიკის შეერთებული შტატები

**აბზ.** - აბზაცი

**ამკ** - არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი

**ა.შ.** - ასე შემდეგ

**გამომც.** - გამომცემლობა

**და სხვ.** - და სხვა

**ე.წ.** - ეგრეთ წოდებული

**იხ.** - იხილეთ

**მაგ.** - მაგალითად

**მუხ.** - მუხლი

**რედ.** - რედაქტორი

**სსკ** - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი

**სსსკ** - საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

**Art.** – Article

**Arts.** - Articles

**CRC** – Convention on the Rights of the Child

**Ed.** – Editor

**Eds.** - Editors

**EU** – European Union

**No.** – Number

**Nos.** – Numbers

**Para.** – Paragraph

**Paras.** - Paragraphs

**Rec.** – Recommendation

**UN** – United Nations

**UNHCR** - United Nations High Commissioner for Refugees

**V.** – Versus

**Vol.** – Volume

ნაშრომში ქვეყნები მოხსენიებულია შემოკლებული სახელწოდებებით. კერძოდ, გაერთიანებული სამეფო – დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს ნაცვლად; გერმანია – გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაცვლად; ლუქსემბურგი – ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგოს ნაცვლად; ავს-

ტრია, ესტონეთი, ირლანდია, იტალია, ლატვია, ლიეტუვა, პოლონეთი, საფრანგეთი, სლოვენია, ფინეთი, ჩეხეთი, ხორვატია – შესაბამისად, ავსტრიის, ესტონეთის, ირლანდიის, იტალიის, ლატვიის, ლიეტუვას, პოლონეთის, საფრანგეთის, სლოვენიის, ფინეთის, ჩეხეთისა და ხორვატიის რესპუბლიკების ნაცვლად; შვედეთი, ნორვეგია, ნიდერლანდები, ესპანეთი, დანია, ბელგია – შესაბამისად, შვედეთის, ნორვეგიის, ნიდერლანდების, ესპანეთის, დანიისა და ბელგიის სამეფოების ნაცვლად.

## შინაარსი

შესავალი.....	1
<b>თავი I. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის განვითარების ისტორია.....</b>	<b>9</b>
1. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის წარმოშობა.....	9
2. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის განვითარება საერთაშორისო ასპარეზზე.....	17
2.1. საერთაშორისო აქტები .....	17
2.2. რეგიონული აქტები.....	25
3. მართლმსაჯულების ფილოსოფიურ მოდელთა გავლენა საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის განვითარებაზე .....	28
3.1. კეთილდღეობის მოდელი .....	29
3.2 მართლმსაჯულების მოდელი .....	32
4. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულად გათვალისწინების საკითხი სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობაში .....	37
4.1. კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნები .....	37
4.2. ანგლოამერიკული სამართლის ქვეყნები .....	48
4.3. არსებული პრაქტიკის შეჯამება.....	61
<b>თავი II. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის ანალიზი.....</b>	<b>65</b>
1. საუკეთესო ინტერესის ცნება.....	66
1.1. საუკეთესო ინტერესისა და კეთილდღეობის ცნებების ურთიერთგამიჯვნა .....	66
1.2. საუკეთესო ინტერესის ცნების განუსაზღვრელობა .....	69
1.3. საუკეთესო ინტერესის ტესტის კრიტიკა.....	75
2. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის როლი .....	79
2.1. საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა,	

როგორც ცალკეულ ნორმათა განმარტებისათვის სახელმძღვანელო პრინციპი .....	79
2.2. საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის მედიატორული ფუნქცია.....	84
2.3. საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა, როგორც კანონმდებლობისა და პრაქტიკის შეფასების სახელმძღვანელო პრინციპი .....	86
3. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის სამმაგი ბუნება .....	93
3.1. საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა, როგორც არასრულწლოვნის უფლება.....	93
3.2. საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა, როგორც ფუნდამენტური ინტერპრეტირებადი პრინციპი ...	94
3.3. საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა, როგორც პროცედურული წესი.....	96
4. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებისათვის პრიორიტეტის მინიჭების თეორიული საფუძვლები.....	98
5. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის მიმართება და კავშირი სხვა პრინციპებთან .....	106
6. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის გამოყენება .....	115
6.1. პრინციპის მოქმედების არეალი .....	115
6.2. პრინციპის ადრესატთა წრე.....	117
6.3. პრინციპის განმახორციელებელი სუბიექტები.....	124
6.3.1. სასამართლოები და ადმინისტრაციული ორგანოები	124
6.3.2. სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო და კერძო დაწესებულებები.....	126
6.3.3. საკანონმდებლო ორგანო.....	130
7. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების უპირატესად გათვალისწინების სტანდარტის მნიშვნელობა..	132
7.1. საუკეთესო ინტერესების უპირატესად გათვალისწინების სტანდარტის სამგვარი გაგება.....	132
7.2. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების	

ადგილი ინტერესთა კონფლიქტის დროს.....	136
<b>თავი III. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების</b>	
<b>მიმართება მართლმსაჯულების სხვა ინტერესებთან .....</b>	<b>143</b>
1. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ინტერესები .....	144
2. საზოგადოებრივი უსაფრთხოება და სამართლიანობა, როგორც მართლმსაჯულების განუყოფელი ინტერესები .....	147
2.1. საზოგადოებრივი უსაფრთხოება .....	147
2.2. სამართლიანობა.....	151
3. ინტერესთა ბალანსის ანალიზი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მარეგულირებელი კანონმდებლობის მიხედვით .....	157
4. ინტერესთა ბალანსის პრაქტიკული ანალიზი.....	169
5. საზოგადოებრივი აზრის გავლენა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის რეალიზებაზე .....	172
5.1, საზოგადოებრივი აზრის მნიშვნელობა.....	172
5.2. საზოგადოების დამოკიდებულება კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნებისადმი.....	174
5.3. საზოგადოების ცნობიერების დონე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისადმი .....	177
5.4. საზოგადოებრივი აზრის ფორმირება .....	178
5.4.1. მედიის გავლენა .....	178
5.4.2. გახმაურებული საქმეების გავლენა.....	181
5.5. საზოგადოებრივი აზრის მხედველობაში .....	183
მიღების მიზანშეწონილობა .....	183
<b>თავი IV. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების შეფასება და</b>	
<b>განსაზღვრა.....</b>	<b>185</b>
1. საუკეთესო ინტერესების შეფასება .....	186
1.1. საუკეთესო ინტერესების შეფასებისას მხედველობაში მისაღები ელემენტები .....	186
1.1.1. ბავშვის უფლებათა კომიტეტის მიხედვით .....	186
1.1.1.1. არასრულწლოვნის მოსაზრებები .....	188
1.1.1.2. არასრულწლოვნის ინდივიდუალობა/იდენტობა .....	189

1.1.1.3. ოჯახური გარემოსა და ურთიერთობების შენარჩუნება .....	190
1.1.1.4. არასრულწლოვანზე ზრუნვა, დაცვა და უსაფრთხოება .....	193
1.1.1.5. დაუცველობა (მონყვლადი ჯგუფისადმი კუთვნილება).....	195
1.1.1.6. ჯანმრთელობის დაცვის უფლება.....	195
1.1.1.7. განათლების უფლება .....	197
1.1.2. საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით.....	198
1.1.2.1. განვითარება .....	198
1.1.2.2. რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია .....	199
1.1.2.3. სხვა ინტერესები.....	200
1.2. ინდივიდუალური მახასიათებლების მნიშვნელობა საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და განსაზღვრის პროცესში .....	201
1.2.1. ინდივიდუალური მახასიათებლების შეფასება .....	202
1.2.2. ინდივიდუალური შეფასების ანგარიში .....	206
1.2.2.1. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადება .....	206
1.2.2.2. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის შედეგები .....	213
1.2.2.2.1. რისკფაქტორების, საჭიროებებისა და დამცავი ფაქტორების განსაზღვრა .....	213
1.2.2.2.2. რისკის დონის განსაზღვრა.....	218
1.2.2.2.3. რეკომენდირებული ღონისძიებების განსაზღვრა.....	220
1.3. რელევანტურ ელემენტთა განსაზღვრა და მათთვის სათანადო ღირებულების მინიჭება .....	222
1.4. საუკეთესო ინტერესების შეფასებისას ელემენტთა დაბალანსება .....	223
2. საუკეთესო ინტერესის განსაზღვრა და გადანყვეტილების მიღება .....	224
3. საუკეთესო ინტერესები, როგორც განუსაზღვრელი,	

მაგრამ არა დისკრეციული ცნება.....	230
4. საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და განსაზღვრის პროცედურის დაცვის ვალდებულება.....	233
5. საუკეთესო ინტერესების ტესტის გათვალისწინება სასამართლო პრაქტიკაში .....	235
<b>თავი V. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვის საპროცესო გარანტიები.....</b>	<b>247</b>
1. მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობასთან დაკავშირებული საპროცესო გარანტიები .....	248
1.1 არასრულწლოვნის უფლება, იყოს მოსმენილი (ქმედითი მონაწილეობა) .....	248
1.1.1. კავშირი საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპთან .....	254
1.1.2. მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობა, როგორც არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი .....	257
1.1.2.1. არასრულწლოვნის პერსონალური განვითარების უზრუნველყოფა.....	257
1.1.2.2. უკეთესი გადაწყვეტილებისა და შედეგების მიღების უზრუნველყოფა .....	258
1.1.2.3. არასრულწლოვნის დაცულობის უზრუნველყოფა .....	259
1.1.2.4. არასრულწლოვნის პასუხისმგებლობის ამაღლება .....	260
1.1.3. არასრულწლოვნის შეხედულებებისათვის სათანადო მნიშვნელობის მინიჭების საკითხი საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და განსაზღვრის პროცესში...	261
1.1.4. გადაწყვეტილების მიღებისა თუ გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენის უფლება? .....	263
1.1.5. მართლმსაჯულების პროცესის წარმართვის ვალდებულება არასრულწლოვნის გაგებისა და აღქმის უნარების შესაბამისად .....	265
1.2. წარმომადგენლობა .....	270
1.2.1. კანონიერ და საპროცესო წარმომადგენელთა როლი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების	

შეფასებისა და განსაზღვრის პროცესში.....	271
1.2.2. ადვოკატი, როგორც არასრულწლოვნის	
საუკეთესო ინტერესების დაცვის გარანტი .....	276
2. სხვა საპროცესო გარანტიები .....	280
2.1. მართლმსაჯულების პროცესის გაჭიანურების	
დაუშვებლობა .....	280
2.2. მართლმსაჯულების პროცესის	
მწარმოებელი პირების სპეციალიზაცია .....	285
2.3. ფაქტების დადგენა .....	291
2.4. გადანყვეტილების დასაბუთებულობა .....	292
2.5. გადანყვეტილების გასაჩივრების მექანიზმის არსებობა...	295
2.6. ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის	
შეფასება .....	297
<b>დასკვნა .....</b>	<b>301</b>
<b>ბიბლიოგრაფია.....</b>	<b>316</b>



## შესავალი

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი, როგორც ბავშვის უფლებებზე და კეთილდღეობაზე ორიენტირებული მართლმსაჯულების განხორციელების ძირითადი გარანტი, საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის უმთავრეს და ყველაზე ღირებულ მონაპოვარს წარმოადგენს. აღნიშნული პრინციპი ფართოდ აღიარებულია საერთაშორისო დონეზე და მისი განმტკიცების ყველაზე მყარ გარანტიას გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლი წარმოადგენს. სწორედ საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა განასხვავებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებას სისხლის სამართლის ტრადიციული მართლმსაჯულებისაგან, რომელიც სისხლის სამართლის მკაცრი პოლიტიკის განხორციელებით უზრუნველყოფს სახელმწიფოში მართლწესრიგის დაცვას.

კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების მიმართ განსაკუთრებული მიდგომა საქართველოს სისხლისსამართლებრივი სისტემისათვის სიახლეს არ წარმოადგენს. 2015 წლის 12 ივნისამდე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მარეგულირებელ ნორმებს ითვალისწინებდა საქართველოს სისხლის სამართლის მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობა. კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის მეხუთე კარი ეძღვნებოდა არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, ხოლო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ოცდამეცხე თავი არეგულირებდა სისხლის სამართლის პროცესის თავისებურებას არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულის საქმეზე. ამასთან, არასრულწლოვანთათვის ცალკეული გარანტიები სხვადასხვა ნორმებით იყო განმტკიცებული, თუმცა, შედარებით ლიბერალური მიდგომების არსებობის მიუხედავად, კანონმდებლობა აშკარად განიცდიდა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის ნაკლებობას. კერძოდ, მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვანთა მონაწილეობის მარეგულირებელი ნორმები შეუსაბამო იყო არასრულწლოვნის განსაკუთრებულ ფიზიკურ და ფსიქიკურ მიდგომარეობასთან და საჭიროებებთან, არ არსებობდა არასრულ-

ნლოვნის საუკეთესო ინტერესების დასაცავად საკმარისი საკანონმდებლო გარანტიები, რაც არაეფექტიანსა და შედეგზე არაორიენტირებულს ხდიდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემას. ამასთან, არსებული საკანონმდებლო რეგულაციები ვერ პასუხობდა სახელმწიფოს მიერ ბავშვის უფლებათა კონვენციის რატიფიცირებით ნაკისრ ვალდებულებებს.

2015 წლის 12 ივნისს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მარეგულირებელი სპეციალური ნორმატიული აქტი საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“, რომელმაც ერთ საკანონმდებლო სივრცეში მოაქცია მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვნის მონაწილეობასთან დაკავშირებული ყველა სამართლებრივი რეგულაცია. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი წინგადადგმული ნაბიჯია სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის თვალსაზრისით და შეესაბამება საერთაშორისო დონეზე, მათ შორის, ბავშვის უფლებათა კონვენციით აღიარებულ სტანდარტებს. კოდექსის ქვაკუთხედსა და ფუნდამენტურ პრინციპს სწორედ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა წარმოადგენს, რომელიც, ამავდროულად, არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის განხორციელების ძირითადი ორიენტირია. აღნიშნული პრინციპი ყოვლისმომცველი ხასიათისაა და გამოიყენება არასრულწლოვნებთან მიმართებით ნებისმიერი ინტერვენციის განხორციელებისას.<sup>1</sup> მისი მოქმედება ვრცელდება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მთლიან პროცესზე და პროცესის მონაწილე და მწარმოებელი თითოეული პირისათვის აწესებს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების უპირველეს ყოვლისა გათვალისწინების ვალდებულებას. გარდა ამისა, საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა, როგორც კონვენციური პრინციპი, სცილდება უშუალოდ მართლმსაჯულების განხორციელების

---

<sup>1</sup> Zermatten J., The Best Interests of the Child Principle: Literal Analysis and Function, "International Journal of Children's Rights", Vol. 18, Issue 4, 2010, 493.

პროცესს და სახელმწიფოსათვის ადგენს მართლმსაჯულების მარეგულირებელი კანონმდებლობის არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებთან შესაბამისობაში მოყვანის ვალდებულებას, რადგან, უპირველეს ყოვლისა, სწორედ კანონმდებლობა უნდა უზრუნველყოფდეს არასრულწლოვნის უფლებათა დასაცავად მყარი სამართლებრივი გარანტიების შექმნას, წინააღმდეგ შემთხვევაში, პროცესის მწარმოებელ პირებს შეეზღუდებათ მოქმედების ფარგლები და საუკეთესო ინტერესების პრაქტიკული რეალიზება ილუზორული იქნება. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ფართო აღიარება ნათლად წარმოაჩენს მის, როგორც სახელმძღვანელო პრინციპის უდიდეს პრაქტიკულ მნიშვნელობას მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში. რაც უფრო დიდია პრინციპის როლი, მით უფრო მნიშვნელოვანია მისი სიღრმისეული შესწავლა და ანალიზი, რათა თავიდან იქნეს აცილებული არასწორი ინტერპრეტირებისა და, შესაბამისად, ცდომილებათა დაშვების საფრთხე, განსაკუთრებით, საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემისათვის პრინციპის ნოვატორული ხასიათის გათვალისწინებით.

საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი თანაბრად ვრცელდება მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილ ყველა არასრულწლოვანზე, მათი საპროცესო სტატუსის მიუხედავად. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მთავარი მონაწილე კანონთან კონფლიქტში მყოფი პირია, წინამდებარე მონოგრაფიის ფარგლებში, პრინციპის კვლევა სწორედ აღნიშნული სტატუსის მქონე არასრულწლოვნებთან მიმართებით განხორციელდება. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მისაღები გადაწყვეტილებების თუ განსახორციელებელი ქმედებების გათვალისწინებით, სწორედ კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის მიმართ იძენს საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი განსაკუთრებულ პრაქტიკულ დანიშნულებას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ნაშრომის მიზნებისთვის, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესი არ მოიცავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოებას,

არამედ შემოიფარგლება მხოლოდ სისხლის სამართლის საქმის წარმოებით. თუმცა, მონოგრაფიაში განვითარებული მსჯელობების დიდი ნაწილი შეიძლება გავრცელდეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოებაზეც.

როგორც უკვე აღინიშნა, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი ნოვაციას წარმოადგენს ქართულ კანონმდებლობაში და სულ რაღაც 5-წლიან არსებობის ისტორიას ითვლის. აღნიშნულის გათვალისწინებით, ქართული სამეცნიერო ლიტერატურა პრინციპის სიღრმისეული კვლევის ნაკლებობას განიცდის. უნდა აღინიშნოს, რომ უცხოურ ლიტერატურაშიც კი ძალზე მცირეა საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის მეცნიერული ანალიზი უშუალოდ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კონტექსტში. უცხოური სამეცნიერო ლიტერატურა მეტწილად ორიენტირებულია პრინციპის საოჯახო სამართლებრივ ჭრილში განხილვაზე. ამ გარემოებათა გათვალისწინებით, მეტი სიმწვავეით წარმოჩინდება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის კვლევის აუცილებლობა. შეიძლება ითქვას, რომ ქართულ რეალობაში მონოგრაფია კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის სიღრმისეული შესწავლისა და ანალიზის ერთ-ერთი პირველი ცდაა. შესაბამისად, ნაშრომში განხილული საკითხები სიახლეს წარმოადგენს ქართულ სამეცნიერო სივრცეში და ემსახურება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში არსებული ლიტერატურის ნაწილობრივ შევსებას, აღნიშნულ სფეროში გარკვეული წვლილის შეტანას.

ნაშრომის მიზანია არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის სრულყოფილად გაანალიზება, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მისი მნიშვნელობის წარმოჩენა, აღნიშნულ პრინციპთან კანონმდებლობისა და საერთაშორისო თუ შიდასახელმწიფოებრივი პრაქტიკის შესაბამისობის შემოწმება, არსებული პრობლემების წარმოჩენა და მათი ეფექტიანად გადაჭრის მიზნით, შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება. ეს ყოველივე, თავის მხრივ, ემსახურება

პრინციპის პრაქტიკაში სწორი ინტერპრეტაციის, გამოყენებისა და შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ცდომილებათა დაშვების პრევენციის მიზანს. ამ მიზნის მისაღწევად, ნაშრომში განხილული საკითხები გაანალიზებულია ბავშვის უფლებათა კონვენციისა და სხვა საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტების დებულებათა, აგრეთვე უცხო ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით.

ნაშრომში ასახული საკითხების კვლევისას გამოყენებული იქნება შედარებითსამართლებრივი, ისტორიული, სისტემური და ფორმალურ-ლოგიკური მეთოდები, რაც უზუნველყოფს საკვლევი საკითხების ყოველმხრივ, სიღრმისეულ შესწავლასა და ნაშრომის ზემოთდასახელებული მიზნების მიღწევას.

მონოგრაფიის ძირითადი ნაწილის სტრუქტურა შედგება შესავლის, მიღებული შედეგებისა და მათი განსჯისა და დასკვნისაგან. თავის მხრივ, შედეგების განსჯის სტრუქტურა მოიცავს ხუთ თავსა და ოთხმოცდათვრამეტ ქვეთავს.

ნაშრომის პირველ თავში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი განხილულია ისტორიულ ქრილში. კერძოდ, გაანალიზებულია პრინციპის წარმოშობა და განვითარება როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. შესწავლილია საუკეთესო ინტერესების ტესტის მართლმსაჯულებისა და კეთილდღეობის ფილოსოფიურ მოდელებთან კავშირი. გარდა ამისა, მიმოხილულია საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის ასახვა სხვადასხვა ქვეყნების არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მარეგულირებელ კანონმდებლობაში. ეს ყოველივე ემსახურება პრინციპის შესახებ სრულყოფილი წარმოდგენის შექმნას, აგრეთვე მის მნიშვნელობასა და აქტუალობასთან დაკავშირებით სათანადო დასკვნების გაკეთებას.

ნაშრომის მეორე თავი ეთმობა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის ზოგად ანალიზს. აღნიშნული თავის ფარგლებში მიმოხილულია პრინციპის დანიშნულება, მისი ფუნქციები, პრინციპის სამგვარი გაგება უფლების, პრინციპისა და პროცედურული წესის სახით. გაანალიზებულია საუკეთესო ინტერესებისათვის უპირატესობის მინიჭების თეორიუ-

ლი საფუძვლები, კერძოდ, ყველა ის გარემოება, რაც განაპირობებს და ამართლებს საუკეთესო ინტერესებისათვის უპირატესი ძალის მინიჭებას. ასევე წარმოჩენილია პრინციპის ძირითადი მახასიათებლები, მისი მიმართება და კავშირი სხვა პრინციპებთან, მათ შორის, შეჯიბრებითობის პრინციპთან. ამავე თავის ფარგლებში გაანალიზებულია პრინციპის მოქმედების არეალი, ადრესატთა წრე და განმხორციელებელი სუბიექტები. ყურადღება ეთმობა საუკეთესო ინტერესის ცნებას, მასთან დაკავშირებულ კრიტიკას და მის გამიჯვნას კეთილდღეობის ცნებისაგან. ასევე განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია საუკეთესო ინტერესებისათვის უპირატესობის მინიჭების ფარგლებსა და ინტერესთა კონფლიქტზე, რომელიც ნაშრომის ერთ-ერთ საკვანძო და შეიძლება ითქვას, ყველაზე პრობლემურ საკითხს წარმოადგენს. კერძოდ, გაანალიზებულია რა ადგილი უჭირავს საუკეთესო ინტერესებს მართლმსაჯულების სხვა ინტერესთა შორის და რას ნიშნავს უპირატესობის მინიჭების სტანდარტი, მოითხოვს თუ არა იგი საუკეთესო ინტერესებისათვის აბსოლუტური, შეუზღუდავი უპირატესობის მინიჭებას. ეს საკითხი მით უფრო აქტუალურია, რაც უფრო მძიმეა ჩადენილი დანაშაული და რაც უფრო დიდი და რეალურია კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნისაგან მომდინარე საფრთხეები.

ნაშრომის მესამე თავი შეეხება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების მართლმსაჯულების სხვა ინტერესებთან, განსაკუთრებით, სამართლიანობასა და საზოგადოებრივ უსაფრთხოებასთან მიმართების საკითხს. შესაბამისად, განხილულია ამ ინტერესთა შორის კონფლიქტისა და მათი დაბალანსების საკითხი როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. ამავე თავში ასახულია მსჯელობა საზოგადოებრივი აზრის გავლენის შესახებ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის რეალიზებაზე.

ნაშრომის მეოთხე თავი ეთმობა საუკეთესო ინტერესების შეფასებასა და განსაზღვრას, რაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და პრობლემური საკითხია საუკეთესო ინტერესების ცნების განუსაზღვრელობის პირობებში. კერძოდ, ბავშვის უფლებათა კონვენ-

ცია არ გვთავაზობს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის დეფინიციას და არც მისი განსაზღვრის კონკრეტულ კრიტერიუმებზე მიუთითებს. რაც შეეხება საქართველოს კანონმდებლობას, მართალია, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილი გვთავაზობს საუკეთესო ინტერესების ცნების ზოგად, საორიენტაციო განმარტებას, თუმცა კვლავ პრობლემურ საკითხად რჩება კონკრეტულ ინდივიდუალურ შემთხვევებში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის განსაზღვრა. აღნიშნულის გათვალისწინებით, ნაშრომის მეოთხე თავში განხილულია საუკეთესო ინტერესების შეფასებისას მხედველობაში მისაღები ყველა ელემენტი როგორც ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარის, ისე საქართველოს კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საუკეთესო ინტერესების შესაფებისა და განსაზღვრის პროცედურასა და ეტაპებს, რომლის დამაგვირგვინებელ სტადიად გადაწყვეტილების მიღება გვევლინება. შესაბამისად, შემოთავაზებულია საუკეთესო ინტერესების განსაზღვრად და გადანყვეტილების მისაღებად შესაბამისი პროცედურული რეკომენდაციები. გარდა ამისა, მიმოხილულია საერთო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და განსაზღვრის ქრილში.

მონოგრაფიის მეხუთე თავში ყურადღება გამახვილებულია საუკეთესო ინტერესების დაცვის საპროცესო გარანტიებზე, რასაც განაპირობებს საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის საპროცესო ნორმად გაგება, რაც, თავის მხრივ, საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და განსაზღვრის, ასევე მათი უპირატესად გათვალისწინების უზრუნველსაყოფად, მოითხოვს არასრულწლოვნისადმი კეთილგანწყობილი პროცედურული გარანტიებით გაჯერებული ფორმალური პროცესის არსებობას.<sup>2</sup> შესაბამისად, მეხუთე თავში სიღრმისეულად გაანალიზებულია ისეთი

---

<sup>2</sup> General Comment No. 14 “On the Right of the Child to Have his or her Best Interests Taken as a Primary Consideration (Art. 3, para.1)”, UN Committee on the Rights of the Child, Sixty-second Session (14 January - 1 February 2013), CRC/C/GC/14, 29 May, 2013, Paras. 85, 87.

საპროცესო გარანტიები, როგორცაა არასრულწლოვნის პროცესში მონაწილეობის უფლება, წარმომადგენლობა, პროცესის გაჭიანურების დაუშვებლობა, პროცესის მწარმოებელი პირების სპეციალიზაცია, ფაქტების დადგენა, გადანყვეტილების დასაბუთებულობა, გადანყვეტილების გასაჩივრებისა და ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასების მექანიზმები.

დასკვნაში შეჯამებულია წინამდებარე ნაშრომში განხორციელებული კვლევა და ასახულია კვლევის ფარგლებში მიღებული შედეგები – დასკვნები და რეკომენდაციები ყველა აქტუალურ საკითხთან დაკავშირებით.

**თავი I. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების  
პრიორიტეტულობის პრინციპის განვითარების ისტორია**  
**1. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების  
პრიორიტეტულობის პრინციპის წარმოშობა**

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა შედარებით ახალი პრინციპია. მისი გამოყენება დასავლეთის ქვეყნებში ძირითადად 1800-იანი წლებიდან დაიწყო ბავშვის მეურვეობის საკითხების გადასაწყვეტად. კერძოდ, ბავშვის კეთილდღეობა ან საუკეთესო ინტერესები წარმოადგენდა ძირითად დასაყრდენს გადაწყვეტილების მიღების პროცესში.<sup>3</sup> შესაბამისად, პრინციპი კარგად დამკვიდრებულია მსოფლიოს მასშტაბით არაერთი ქვეყნის საოჯახო სამართლებრივ კანონმდებლობაში.<sup>4</sup> უნდა აღინიშნოს, რომ „საუკეთესო ინტერესები“ არ გახლავთ ისტორიულად დამკვიდრებული ტერმინი და სამართლებრივ სისტემაში სიახლეს წარმოადგენს. მის წინამორბედად არასრულწლოვნის „კეთილდღეობა“ შეიძლება მივიჩნიოთ, რაც შემდგომ „საუკეთესო ინტერესად“ გარდაიქმნა.<sup>5</sup> მაშასადამე, საუკეთესო ინტერესები წარმო-

---

<sup>3</sup> Howe R.B., Covell K., *Education in the Best Interests of the Child: A Children's Rights Perspective on Closing the Achievement Gap*, University of Toronto Press, Toronto, Buffalo, London, 2013, 16; Detrick Sh., *A Commentary on the United Nations Convention on the Rights of the Child*, Martinus Nijhoff Publishers, The Hague, Boston, London, 1999, 86; Conward C., *The Juvenile Justice System: Not Necessarily in the Best Interests of Children*, "New England Law Review", Vol. 33, Issue 1, 1998, 43.

<sup>4</sup> Kilkelly U., *The Best Interests of the Child: A Gateway to Children's Rights?* in: *Implementing Article 3 of the United Nations Convention on the Rights of the Child: Best Interests, Welfare and Well-being*, Elaine E. Sutherland, Lesley-Anne Barnes Macfarlane (Eds.), Cambridge University Press, 2016, 51.

<sup>5</sup> Zermatten J., *The Best Interests of the Child: Literal Analysis, Function and Implementation*, Working Report, Institut international des droits de l'enfant, 2010, III.

ადგენს თანამედროვე სამართლებრივ ცნებას<sup>6</sup> და გააჩნია საკვანძო როლი ბავშვის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით.<sup>7</sup>

აღსანიშნავია, რომ ისტორიულად, დასავლეთის ქვეყნებისათვის სრულიად უცხო იყო არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი. საზოგადოება და კანონმდებლობა არ აღიარებდა ბავშვებს, როგორც დამოუკიდებელ ადამიანებს მშობლებისაგან დამოუკიდებელი უფლებებითა და ინტერესებით.<sup>8</sup> ზოგადად, არც ოჯახში და არც საზოგადოებაში არ არსებობდა ბავშვის უფლებების ცნება, მისი განვითარებისა და დაცვის ხელშეწყობა, არამედ ბავშვი განიხილებოდა, როგორც მშობლის საკუთრებაში არსებული ქონება, მასზე შეუზღუდავი უფლებამოსილებით.<sup>9</sup> ბავშვის უფლებათა დასაცავად არ არსებობდა არანაირი სამართლებრივი გარანტიები, მათ შორის, არც მშობელთა ვალდებულება, ეზრუნათ თავიანთ შვილებზე.<sup>10</sup> უძველეს რომაულ სამართალში დამკვიდრებული იყო ე.წ. „მამის ძალაუფლების“ (*“Patria Potestas”*) პრინციპი, რომლის მიხედვითაც მამას გააჩნდა აბსოლუტური ძალაუფლება საკუთარ შვილზე.<sup>11</sup> შუა საუკუნეებისა და ადრეულ თანამედროვე ევროპაში გარკვეულწილად გაუმჯობესდა ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა. კერძოდ, საკანონმდებლო დონეზე გაიწერა მშობელთა ვალდებულება, დაეცვათ

---

<sup>6</sup> Zermatten J., The Best Interests of the Child Principle: Literal Analysis and Function, “International Journal of Children’s Rights”, Vol. 18, Issue 4, 2010, 483.

<sup>7</sup> Degol A., Dinku Sh., Notes on the Principle “Best Interest of the Child”: Meaning, History and its Place Under Ethiopian Law, “Mizan Law Review”, Vol. 5, No. 2, 2011, 319.

<sup>8</sup> Howe R.B., Covell K., Education in the Best Interests of the Child: A Children’s Rights Perspective on Closing the Achievement Gap, University of Toronto Press, Toronto, Buffalo, London, 2013, 16-17.

<sup>9</sup> Van Deusen Ch. R., The Best Interests of the Child and the Law, “Pepperdine Law Review”, Vol. 18, Issue 2, 1991, 418.

<sup>10</sup> Alston P., Gilmour-Walsh B., The Best Interests of The Child-Towards a Synthesis of Children’s Rights and Cultural Values, UNICEF, Innocenti Studies, 1996, 3.

<sup>11</sup> Riggsby A. M., Roman Law and the Legal World of the Romans, Cambridge University Press, 2010, 181.

თავიანთი შვილები და უზრუნველყოთ ცხოვრებისათვის აუცილებელი სათანადო პირობებით. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვებისადმი მოპყრობა შედარებით გაუმჯობესდა, ისინი კვლავ თავიანთი მშობლების კერძო საკუთრებად მოიაზრებოდნენ. აღიარებული იყო, რომ გარდა უკიდურესი საგამონაკლისო შემთხვევებისა, საზოგადოებას და სახელმწიფოს ეკრძალებოდა ბავშვებისა და მშობლების ურთიერთობაში და ოჯახის პირად საქმეებში ჩარევა.<sup>12</sup> არსებული ვითარების გათვალისწინებით, არც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება წარმოადგენდა გამონაკლისს და სისხლისსამართლებრივი ღონისძიებები ბარბაროსული მიდგომით გამოირჩეოდა ფიზიკურ სასჯელთა გამოყენების თვალსაზრისით.<sup>13</sup> დანაშაულის ჩამდენ არასრულწლოვანთა და სრულწლოვანთა მიმართ მოპყრობა არაფრით განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან.<sup>14</sup>

მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში საფუძველი ჩაეყარა ბავშვის, როგორც საკუთრების ობიექტად აღქმის მნიშვნელოვან ცვლილებას. ახალი მიდგომის თანახმად, ბავშვები განიხილებოდნენ, როგორც ადამიანთა დაუცველი, მონყვლადი ჯგუფი, რომლებიც განსაკუთრებულ ზრუნვასა და დაცვას საჭიროებდნენ სახელმწიფოს მიერ.<sup>15</sup> ამასთან, არასრულწლოვნების მიმართ ფიზიკურ სასჯელთა გამოყენება აღქმულ იქნა როგორც მორალურად გაუმართლებელ და არაეფექტიან ღონისძიებად. უფრო მეტი მოლოდინი გაჩნდა ფსიქოლოგიური და საგანმანა-

---

<sup>12</sup> Howe R.B., Covell K., *Education in the Best Interests of the Child: A Children's Rights Perspective on Closing the Achievement Gap*, University of Toronto Press, Toronto, Buffalo, London, 2013, 17.

<sup>13</sup> Junger-tas J., *Trends in International Juvenile Justice: What Conclusions Can Be Drawn?* in: *International Handbook of Juvenile Justice*, Josine Junger-tas, Scott H. Decker (Eds.), Springer, Utrecht, Arizona, 2006, 506.

<sup>14</sup> Arthur R., *Protecting the Best Interests of the Child: A Comparative Analysis of the Youth Justice Systems in Ireland, England and Scotland*, "International Journal of Children's Rights", No.18, Issue 2, 2010, 218

<sup>15</sup> Howe R.B., Covell K., *Education in the Best Interests of the Child: A Children's Rights Perspective on Closing the Achievement Gap*, University of Toronto Press, Toronto, Buffalo, London, 2013,17.

თლებლო ინტერვენციული ღონისძიებების გამოყენების მიმართ.<sup>16</sup> ამგვარმა მიდგომამ დასავლეთის ქვეყნებში მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ბავშვთა უფლებების დასაცავად არაერთი მოძრაობის შექმნასა და განვითარებას. რეფორმატორთა ძირითადი მიზანი იყო ბავშვთა ინტერესებზე და საჭიროებებზე ორიენტირებული კანონებისა და პოლიტიკის შემუშავება, რაც წარმატებით დასრულდა. მათი ძალისხმევის შედეგად, დასავლეთის სახელმწიფოებმა შეიმუშავეს ბავშვთა შრომის მარეგულირებელი კანონმდებლობა, მიიღეს საკანონმდებლო რეგულაციები ბავშვთა დასაცავად ოჯახში ძალადობისაგან, შემუშავდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ახალი სისტემა. აღნიშნული ცვლილებების ნაწილს წარმოადგენდა სამართლებრივი დოქტრინის ე.წ. „პატერნალისტური სახელმწიფოს“ (“*Parens Patriae*”)<sup>17</sup> გაფართოება, რომელიც თავდაპირველად ინგლისის სასამართლოებმა განავითარეს იმ ზრდასრულ პირთა დასაცავად, რომლებსაც დამოუკიდებლად საკუთარი თავის დაცვა არ შეეძლოთ, თუმცა შემდგომ არასრულწლოვნებზეც გავრცელდა. აღნიშნული დოქტრინის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ მშობლებს კვლავ გააჩნდათ თავიანთ შვილებზე ზრუნვის უპირველესი პასუხისმგებლობა, სასამართლოსა და სახელმწიფოს დაეკისრათ მშობლის ფუნქციის შესრულება მაშინ, როდესაც არსებობდა მშობელთა უფლებების შეზღუდვის გზით, ბავშვის ინტერესების დაცვის აუცილებლობა.<sup>18</sup> ბავშვების მიმართ სარეაბილიტაციო და საგანმანათლებლო ღონისძიებების გამოყენების მიზანშეწონილობასთან ერთად, მომზადდა საფუძველი სპეციალური კანონმდებლობის შესაქმნელად, როგორც იმ ბავშვები-

---

<sup>16</sup> Junger-tas J., Trends in International Juvenile Justice: What Conclusions Can Be Drawn? In: International Handbook of Juvenile Justice, Josine Junger-tas, Scott H. Decker (Eds.), Springer, Utrecht, Arizona, 2006, 506.

<sup>17</sup> სახელმწიფო, როგორც მამა, რომელიც მონოდეტულია იზრუნოს საზოგადოების დაუცველ წევრებზე.

<sup>18</sup> Howe R.B., Covell K., Education in the Best Interests of the Child: A Children's Rights Perspective on Closing the Achievement Gap, University of Toronto Press, Toronto, Buffalo, London, 2013, 17-18; Cole G.F., Smith Ch.E., The American System of Criminal Justice, 11<sup>th</sup> Edition, Carolyn Henderson Meier (Ed.), Thomson Wadsworth, Wadsworth, 2007, 547.

სათვის, რომლებიც მზრუნველობას საჭიროებდნენ, ისე კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნებისათვის.<sup>19</sup>

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი სწორედ **“Parens Patriae”** დოქტრინის საფუძველზე ჩამოყალიბდა და როგორც აღინიშნა, თავდაპირველად მხოლოდ ბავშვის მეურვეობის საკითხების გადასაწყვეტად გამოიყენებოდა. კერძოდ, მისი წარმოშობა დაკავშირებულია დაკოტას შტატთან (აშშ), სადაც 1877 წელს სასამართლომ გამოიყენა პრინციპი, როგორც გადამწყვეტი ფაქტორი მეურვეობის საქმის განხილვისას და განმარტა, რომ დაუშვებელია ბავშვის ავტომატურად ერთ-ერთი მშობლისათვის მიკუთვნება ბავშვის კეთილდღეობისა და საუკეთესო ინტერესების გათვალისწინების გარეშე. სწორედ ეს გახლდათ პრეცედენტული გადაწყვეტილება და დაკოტას შტატიდან პრინციპი თანდათანობით გავრცელდა როგორც ამერიკის ტერიტორიაზე, ისე დასავლეთის ქვეყნებში.<sup>20</sup> მე-19 საუკუნის ბოლო პერიოდიდან არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად მოქმედებისა და მისი კეთილდღეობის უპირატესად გათვალისწინების პრინციპმა საფუძველი დაუდო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განვითარებას მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.<sup>21</sup> ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქალაქ ჩიკაგოში, 1899 წლის 2 ივლისს მიღებული კანონის შესაბამისად, დაარსდა ილინოისის შტატის არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველი პირველი სასამართლო,<sup>22</sup> რომელიც მონო-

---

<sup>19</sup> Junger-tas J., Trends in International Juvenile Justice: What Conclusions Can Be Drawn? In: International Handbook of Juvenile Justice, Josine Junger-tas, Scott H. Decker (Eds.), Springer, Utrecht, Arizona, 2006, 507.

<sup>20</sup> Howe R.B., Covell K., Education in the Best Interests of the Child: A Children’s Rights Perspective on Closing the Achievement Gap, University of Toronto Press, Toronto, Buffalo, London, 2013, 18.

<sup>21</sup> Arthur R., Protecting the Best Interests of the Child: A Comparative Analysis of the Youth Justice Systems in Ireland, England and Scotland, “International Journal of Children’s Rights”, No.18, Issue 2, 2010, 218.

<sup>22</sup> ბოხაშვილი ი., ბენიძე მ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხები, „სამართლის ჟურნალი“, №2, 2009, 35; Heinrich B., Kherkheulidze

დებული იყო კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების დასაცავად, მხარდასაჭერად და მზრუნველობისათვის, რათა უზრუნველყო არასრულწლოვანთა მორალური, ემოციური, მენტალური და ფიზიკური კეთილდღეობა. კანონმდებლობით განისაზღვრა არასრულწლოვანთა საქმეების სპეციალიზებული მოსამართლის მიერ სრულწლოვანთა საქმეებისაგან განცალკევებით განხილვის ვალდებულება.<sup>23</sup> სწორედ აღნიშნული გახლდათ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განცალკევებული სისტემის ჩამოყალიბების საფუძველი,<sup>24</sup> რაც სწორედ პატერნალისტურ სამართლებრივ დოქტრინას დაეფუძნა.<sup>25</sup> ამის შემდეგ, 1908 წელს არასრულწლოვანთა სასამართლო ინგლისსა და უელსშიც დაარსდა.<sup>26</sup> გარდა ამისა, კანადის 1908 წლის „არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა შესახებ“ აქტით განისაზღვრა, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს უნდა მოჰყრობოდნენ არა როგორც კრიმინალს, არამედ როგორც გზასაცდენილ ბავშვს, რომელიც დახმარებასა და თანადგომას საჭიროებდა.<sup>27</sup> მსგავსი მიდგომები განვითარდა სკანდინავიურ ქვეყნებშიც. კერძოდ, სისხლის სამართლის

---

I., *Perfection of the Trends in Juvenile Justice Systems: On the Basis of Comparison of German, Georgian and the U.S. Juvenile Law*, "Zeitschrift für Internationale Strafrechtsdogmatik", Berlin, Tbilisi, 2014, 610.

<sup>23</sup> Kratcoski P. C., *Juvenile Justice Administration*, CRC Press, Taylor and Francis Group, Boca Raton, London, New-York, 2012, 11.

<sup>24</sup> იქვე; Steiner B., Hemmens C., *Issues Associated with Juvenile Waiver*, in: *Handbook of Juvenile Justice: Theory and Practice*, Barbara Sims, Pamela Preston (Eds.), CRC Press, Boca Raton, London, New-York, 2006, 313.

<sup>25</sup> Jensen E. L., *An Historical Overview of the American Juvenile Justice System*, in: *Juvenile Law Violators, Human Rights and the Development of New Juvenile Justice Systems*, Eric L. Jensen, Jorgen Jepsen (Eds.), Hart Publishing, Oxford, Portland, 2006, 85.

<sup>26</sup> Morgan R., Newburn T., *Youth Crime and Justice: Rediscovering Devolution, Discretion and Diversion*, in: *The Oxford Handbook of Criminology*, 5<sup>th</sup> Edition, Mike Maguire, Rod Morgan, Robert Reiner (Eds.), Oxford University Press, 2012, 505; Terrill R. J., *World Criminal Justice Systems: A Survey*, 7<sup>th</sup> Edition, Ellen S. Boyne (Ed.), Matthew Bender and Company, 2009, 105.

<sup>27</sup> Arthur R., *Protecting the Best Interests of the Child: A Comparative Analysis of the Youth Justice Systems in Ireland, England and Scotland*, "International Journal of Children's Rights", No.18, Issue 2, 2010, 219.

სასამართლოს იურისდიქციის ფარგლებიდან გავიდა არასრულწლოვანთა საქმეები და შეიქმნა მუნიციპალური კეთილდღეობის საბჭოები, ნაცვლად არასრულწლოვანთა სასამართლოებისა.<sup>28</sup> ამრიგად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა ფართოდ გავრცელდა დასავლურ ქვეყნებში, როგორც ცალკე არსებული არასრულწლოვანთა სასამართლოს, ისე სპეციალიზებული მოსამართლეებისა თუ არასრულწლოვანთა კეთილდღეობის საბჭოების სახით.<sup>29</sup> თავდაპირველი სასამართლოები სწორედ კეთილდღეობაზე იყო ორიენტირებული და მიზნად ისახავდა არასრულწლოვანთა დახმარებას და არა დასჯას.<sup>30</sup> სამართალწარმოებას ძირითადად ახასიათებდა რეაბილიტაციასა და ინდივიდუალიზებულ მართლმსაჯულებაზე დაფუძნებული არაფორმალური და მზრუნველობითი გარემო. სწორედ პატერნალიზმმა დაასრულა დანაშაულზე რეაგირების ტრადიციული დამსჯელობითი ფორმა<sup>31</sup> და დაამკვიდრა არასრულწლოვანი დამნაშავის დაუცველ, ჯერ კიდევ განვითარების პროცესში მყოფ ინდივიდად აღქმა. შესაბამისად, სასამართლოს უპირველეს ყოვლისა, ბავშვის კეთილდღეობა უნდა გაეთვალისწინებინა.<sup>32</sup> შედეგად, მოსამართლეს მიენიჭა ფართო დისკრეტია, რათა ემოქმედა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად. ძირითადი აქცენტი გადატანილ იქნა არასრულწლოვანზე და არა ჩადენილ დანაშაულზე. ამასთან,

---

<sup>28</sup> Jensen E.L., Jepsen J., *Juvenile Law Violators, Human Rights and the Development of New Juvenile Justice Systems*, Eric L. Jensen, Jorgen Jepsen (Eds.), Hart Publishing, Oxford, Portland, 2006, 2.

<sup>29</sup> Junger-tas J., *Trends in International Juvenile Justice: What Conclusions Can Be Drawn?* In: *International Handbook of Juvenile Justice*, Josine Junger-tas, Scott H. Decker (Eds.), Springer, Utrecht, Arizona, 2006, 507.

<sup>30</sup> Jensen L. E., Jepsen J., *Juvenile Law Violators, Human Rights and the Development of New Juvenile Justice Systems*, Eric L. Jensen, Jorgen Jepsen (Eds.), Hart Publishing, Oxford, Portland, 2006, 2.

<sup>31</sup> Myers D. L., *Excusing Violent Youths from Juvenile Court, The Effectiveness of Legislative Waiver*, Marilyn McShane, Frank P. Williams III (Eds.), LFB Scholarly Publishing LLC, New York, 2001, 13.

<sup>32</sup> Pickford J., *The Development of Youth Justice Philosophies, Laws and Policies*, in: *Youth Justice and Social Work*, Jonathan Parker, Greta Bradley (Eds.), Learning Matters Ltd, Glasgow, 2006, 35.

მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა სამართალწარმოების ფორმალური პროცედურების შესამცირებლად. დამკვიდრდა საქმის დახურულ ფორმატში განხილვის პრაქტიკა და პროცესის კონფიდენციალურობა არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცვის უზრუნველსაყოფად. გამომდინარე იქედან, რომ ძირითადი ყურადღება რეაბილიტაციასა და მზრუნველობას დაეთმო, აღარ არსებობდა არასრულწლოვანთათვის იმ პროცედურულ უფლებათა შენარჩუნების საჭიროება, რომლებითაც სრულწლოვნები სარგებლობდნენ.<sup>33</sup> საუკეთესო ინტერესების ცნება წარმოადგენს სწორედ იმ პერიოდის პროდუქტს, როდესაც ბავშვები ჯერ კიდევ არ განიხილებოდნენ, როგორც უფლებებით აღჭურვილი აქტიური სუბიექტები. ცხადია, იგი შეიქმნა, რათა გადაწყვეტილების მიმღები პირისათვის დაედგინა მხედველობაში მისაღები სტანდარტი, ბავშვის უფლებების არარსებობის პირობებში.<sup>34</sup>

ამრიგად, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის გამოყენება ისტორიულად საოჯახო სამართალს უკავშირდება, თუმცა შემდგომ ფართოდ გავრცელდა სამართლის სხვა დარგებშიც. როგორც უკვე აღინიშნა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებას მე-19 საუკუნის ბოლო პერიოდსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ჩაეყარა საფუძველი და ამ სფეროში, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის მოქმედება სწორედ აღნიშნული პერიოდიდან იღებს სათავეს. აღსანიშნავია, რომ საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპმა ეროვნული სამართლიდან საერთაშორისო სამართალშიც გადაინაცვლა და მნიშვნელოვანი ასახვა ჰპოვა არაერთ საერთაშორისო აქტში.<sup>35</sup>

---

<sup>33</sup> Junger-tas J., Trends in International Juvenile Justice: What Conclusions Can Be Drawn? In: International Handbook of Juvenile Justice, Josine Junger-tas, Scott H. Decker (Eds.), Springer, Utrecht, Arizona, 2006, 507-508.

<sup>34</sup> Cantwell N., Are "Best Interests" A Pillar or a Problem for Implementing the Human Rights of Children?, in: The United Nations Convention on the Rights of the Child: Taking Stock After 25 Years and Looking Ahead, Ton Liefwaard, Julia Sloth-Nielsen (Eds.), Brill Nijhoff, Leiden, Boston, 2017, 65.

<sup>35</sup> შეილაძე ხ., არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის არსი, „სამართლის ჟურნალი“, №2, 2016, 269.

## 2. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის განვითარება საერთაშორისო ასპარეზზე

მე-20 საუკუნის დასაწყისში საფუძველი ჩაეყარა ბავშვის უფლებათა საერთაშორისო სამართლის განვითარებას, რაც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ჩამოყალიბების პარალელურად მიმდინარეობდა.<sup>36</sup> საერთაშორისო სამართალში საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის წარმოშობა არაერთი ქვეყნის კანონმდებლობაში მის აქტიურ როლს უკავშირდება.<sup>37</sup> არასრულწლოვნების მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულების საკითხს არეგულირებს არაერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო თუ რეგიონული სამართლებრივი აქტი, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ განამტკიცებენ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობას და უზრუნველყოფენ ბავშვის უფლებათა დასაცავად მყარი გარანტიების შექმნას.

### 2.1. საერთაშორისო აქტები

საერთაშორისო სამართალში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის არსებობის ისტორია ჯერ კიდევ ბავშვის უფლებათა კონვენციის მიღებამდე იწყება, რადგან პრინციპს მანამდე არსებული არაერთი საერთაშორისო

---

<sup>36</sup> Van Bueren G., *The International Law on the Rights of the Child*, Martinus Nijhoff Publishers, The Hague, Boston, London, 1998, 1; Rap-Leurs S. E., *The Participation of Juvenile Defendants in the Youth Court: A Comparative Study of Juvenile Justice Procedures in Europe*, Utrecht University, 2013, 38.

<sup>37</sup> Alston P., Gilmour-Walsh B., *The Best Interests of The Child-Towards a Synthesis of Children's Rights and Cultural Values*, UNICEF, Innocenti Studies, 1996, 3.

აქტი ითვალისწინებდა.<sup>38</sup> არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპისა და ზოგადად ბავშვის უფლებების აღიარების თვალსაზრისით, უპირველეს წყაროდ ერთა ლიგის მიერ მიღებული ბავშვის უფლებების შესახებ ფენევის 1924 წლის დეკლარაცია განიხილება.<sup>39</sup> დეკლარაცია პრეამბულისა და ხუთი მუხლისაგან შედგება და მისი მთავარი ღირებულება არის ის, რომ იგი წარმოადგენს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის პირველ დოკუმენტს და საერთაშორისო დონეზე ამკვიდრებს ბავშვის უფლებათა ცნებას, მიუხედავად იმისა, რომ სამართლებრივად მხოლოდ, სავალდებულო აქტს არ წარმოადგენდა.<sup>40</sup> დეკლარაცია ეფუძნება პრეამბულაში ასახულ პრინციპს, რომლის თანახმად, „კაცობრიობა ვალდებულია მისცეს არასრულწლოვნებს მხოლოდ საუკეთესო, რისი გაცემაც მას შეუძლია“. აღნიშნული ფრაზა ხაზს უსვამს ვალდებულებებს ბავშვების წინაშე და ანიჭებს მათ კაცობრიობისაგან საუკეთესო ღირებულებების მიღების უფლებას, რაც გულისხმობს ბავშვის ინტერესებისათვის უპირატესობის მინიჭების აუცილებლობას მათთან დაკავშირებულ ყველა საკითხში.<sup>41</sup> 1924 წლის შემდეგ, 1989 წლის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კონვენციის მიღებამდე, არაერთმა საერთაშორისო აქტმა აღიარა არასრულწლოვნის საუკეთესო

---

<sup>38</sup> Otieno O. N., *Best Interests Principle Guidelines in the Trial Process: An Analysis of the Criminal Justice System in Kenya*, Submitted in Partial Fulfillment of the Requirements of the Master of Laws Degree of the University of Nairobi, 2015, 21.

<sup>39</sup> Degol A., Dinku Sh., *Notes on the Principle "Best Interest of the Child": Meaning, History and its Place Under Ethiopian Law*, "Mizan Law Review", Vol. 5, No. 2, 2011, 322; შეყილაძე ხ., არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის არსი, „სამართლის ჟურნალი“, №2, 2016, 270.

<sup>40</sup> Rap-Leurs S. E., *The Participation of Juvenile Defendants in the Youth Court: A Comparative Study of Juvenile Justice Procedures in Europe*, Utrecht University, 2013, 38.

<sup>41</sup> Degol A., Dinku Sh., *Notes on the Principle "Best Interest of the Child": Meaning, History and its Place Under Ethiopian Law*, "Mizan Law Review", Vol. 5, No. 2, 2011, 322-323.

სო ინტერესების პრიორიტეტულად განხილვის აუცილებლობა ბავშვის კეთილდღეობაზე ყურადღების გამახვილების მეშვეობით.

1948 წელს მიღებულ იქნა ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია, რომელიც საერთაშორისო დონეზე ადამიანის უფლებათა პირველ კოდიფიკაციად მიიჩნევა. სწორედ ამ პერიოდში, სახელმწიფოთა მიერ ფართოდ იქნა აღიარებული ბავშვის უფლებების შესახებ ცალკე დეკლარაციის შექმნის აუცილებლობა.<sup>42</sup> ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის მე-2 მუხლი ადგენს, რომ დეკლარაციით გარანტირებული უფლებები თანაბრად ვრცელდება ყველა ადამიანზე ყოველგვარი განსხვავებულობის მიუხედავად. ვინაიდან აღნიშნული მუხლი ყურადღებას არ ამახვილებს ასაკზე, 25-ე მუხლში გარკვევით ჩაინერა, რომ მშობლები და შვილები ექვემდებარებიან განსაკუთრებულ ზრუნვასა და მხარდაჭერას. მართალია, დეკლარაცია პირდაპირ არ მიუთითებს ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობაზე, თუმცა ბავშვის უფლებათა დაცვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს.

განსხვავებით იმ საერთაშორისო აქტებისაგან, რომლებმაც მხოლოდ ზედაპირულად გაითვალისწინეს არასრულწლოვნის ინტერესები, პირველი საერთაშორისო დოკუმენტი, რომელმაც ერთ-ერთ ძირითად პრინციპად პირდაპირ განსაზღვრა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა, გახლავთ გაეროს 1959 წლის დეკლარაცია ბავშვის უფლებების შესახებ.<sup>43</sup> დეკლარაცია ხაზგასმით აღიარებს ბავშვების განსაკუთრებულ საჭიროებებს და, ამავდროულად, ზრდასრულთა მსგავსად, ანიჭებს მათ ყველა უფლებასა და თავისუფლებას.<sup>44</sup> დეკლარაციის მე-2 მუხლის თანახმად, „ყოველი ბავშვი უზრუნველყოფილი უნდა იყოს

---

<sup>42</sup> Rap-Leurs S. E., *The Participation of Juvenile Defendants in the Youth Court: A Comparative Study of Juvenile Justice Procedures in Europe*, Utrecht University, 2013, 39.

<sup>43</sup> შეიქმნა ხ., არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის არსი, „სამართლის ჟურნალი“, №2, 2016, 270.

<sup>44</sup> Rap-Leurs S. E., *The Participation of Juvenile Defendants in the Youth Court: A Comparative Study of Juvenile Justice Procedures in Europe*, Utrecht University, 2013, 40.

განსაკუთრებული დაცვით და კანონით თუ სხვა საშუალებების მეშვეობით, მიეცეს ფიზიკური, გონებრივი, მორალური, სულიერი და სოციალური განვითარების შესაძლებლობა ჯანსაღი და ნორმალური გზით თავისუფალ და ღირსების შესაბამის პირობებში. აღნიშნული მიზნით კანონთა მიღების პროცესში, მხოლოდ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები უნდა იქნეს გათვალისწინებული“. მიუხედავად ამისა, პრინციპი საკმაოდ შეზღუდულად მოქმედებს. კერძოდ, საუკეთესო ინტერესები არის გადამწყვეტი ფაქტორი მხოლოდ კანონთა მიღების პროცესში და დეკლარაციის მე-7 მუხლის თანახმად, მისი, როგორც სახელმძღვანელო პრინციპად გამოყენების ვალდებულება მხოლოდ მშობლებსა და ბავშვის აღზრდა-განათლებაზე პასუხისმგებელ პირებს ეკისრებათ.<sup>45</sup> შესაბამისად, დეკლარაცია საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპს არ ავრცელებს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესზე.

გაეროს 1959 წლის დეკლარაციის შემდეგ, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების განმტკიცების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ 1966 წლის საერთაშორისო პაქტი, რომელიც, მართალია, არ ითვალისწინებს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობას, თუმცა, განსაზღვრავს რა არასრულწლოვანთათვის სპეციალურ დებულებებს, ყურადღებას ამახვილებს ბავშვების მიმართ განსაკუთრებული მოპყრობის აუცილებლობაზე, მათ შორის, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში.<sup>46</sup> აღსანიშნავია, რომ სწორედ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი გახლდათ პირველი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელმაც გაითვალისწინა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული საკითხები. ამასთან, იგი წარმოადგენს

---

<sup>45</sup> Cantwell, N., *The Concept of the Best Interests of the Child: What Does it Add to Children's Human Rights?*, in: *The Best Interests of the Child – A Dialogue Between Theory and Practice*, Milka Sormunen (Ed.), Council of Europe, 2016, 19.

<sup>46</sup> იხ., „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტი, მუხ. 10 (2, 3), 14 (1, 4).

პირველ სამართლებრივად მბოჭავ საერთაშორისო დოკუმენტს, რომელმაც განსაზღვრა არასრულწლოვნის უფლება, იყოს დაცული, მისი სტატუსის გათვალისწინებით, სახელმწიფოს, საზოგადოებისა და ოჯახის მიერ.<sup>47</sup> ასევე აღსანიშნავია 1966 წლის საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ, რომელიც, მართალია, არ ითვალისწინებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან დაკავშირებულ დებულებებს, თუმცა ყურადღებას ამახვილებს ბავშვების მიმართ დაცვისა და დახმარების განსაკუთრებული ღონისძიებების განხორციელების აუცილებლობაზე, აგრეთვე ბავშვის ჯანსაღი განვითარების უზრუნველყოფაზე.<sup>48</sup>

საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის გაძლიერება განაპირობა ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაეროს გენერალური ასამბლეის 1979 წლის კონვენციის მიღებამ. კონვენციის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს ბავშვის ინტერესებს, როგორც ყველა შემთხვევაში, უმთავრეს გასათვალისწინებელ ფაქტორს, თუმცა აღნიშნული დებულების გამოყენების სფერო შემოიფარგლება მხოლოდ კონვენციით მოწესრიგებული საკითხებით.

საერთაშორისო ასპარეზზე საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყობდა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ, 1985 წელს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების გაეროს მინიმალური სტანდარტული წესებისა („პეკინის წესები“) და 1990 წელს არასრულწლოვანთა სამართალდარღვევების პრევენციის გაეროს სახელმძღვანელო პრინციპების („რიადის წესები“) მიღებამ. „პეკინის წესებში“ ხაზგასმით აღინიშნა, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა ორიენტირებული უნდა იყოს

---

<sup>47</sup> Rap-Leurs S. E., *The Participation of Juvenile Defendants in the Youth Court: A Comparative Study of Juvenile Justice Procedures in Europe*, Utrecht University, 2013, 40.

<sup>48</sup> იხ., „ეკონომიკური, კულტურული და სოციალური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტი, მუხ. 10 (3), 12 (2, a).

კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის კეთილდღეობაზე და მოუწოდებს სახელმწიფოებს ადეკვატური ყურადღება მიაქციონ ყველა რესურსის სრულ მობილიზებას არასრულწლოვანთა კეთილდღეობის ხელშეწყობის მიზნით.<sup>49</sup> თავის მხრივ, „რიადის წესები“ განმარტავს, რომ არასრულწლოვანთა ინსტიტუციონალიზაცია გამოყენებულ უნდა იქნეს, როგორც უკიდურესი საშუალება, რაც შეიძლება მცირე დროით და მხოლოდ ბავშვის საუკეთესო ინტერესები უნდა იქნეს გათვალისწინებული.<sup>50</sup> მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დოკუმენტები არ ატარებენ სახელმწიფოთათვის შესასრულებლად სავალდებულო ხასიათს, განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპისა და ბავშვთა კეთილდღეობაზე ორიენტირებული მართლმსაჯულების განვითარების თვალსაზრისით.

ზემოაღნიშნულ აქტებთან ერთად, აღსანიშნავია ასევე გაეროს 1986 წლის დეკლარაცია ბავშვთა დაცვისა და უზრუნველყოფის სოციალური და სამართლებრივი პრინციპების შესახებ, რომლის მე-5 მუხლი ითვალისწინებს საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპს, თუმცა მხოლოდ ბავშვის მშობლებისაგან განცალკევების კონტექსტში.<sup>51</sup>

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის განმტკიცების მყარ სამართლებრივ გარანტიას წარმოადგენს გაეროს 1989 წლის კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ, რომელსაც საქართველო 1994 წელს შეუერთდა.<sup>52</sup> აღსა-

---

<sup>49</sup> United Nations Standard Minimum Rules for the Administration of Juvenile Justice (“The Beijing Rules”), Adopted by General Assembly Resolution 40/33 of 29 November 1985, Rules 1.3; 5.1; 17.1 (d).

<sup>50</sup> United Nations Guidelines for the Prevention of Juvenile Delinquency (“Riyadh Guidelines”), Adopted and Proclaimed by General Assembly Resolution 45/112 of 14 December 1990, Rule 46.

<sup>51</sup> Declaration on Social and Legal Principles Relating to the Protection and Welfare of Children, with Special Reference to Foster Placement and Adoption Nationally and Internationally, United Nations, General Assembly, A/RES/41/85, 95<sup>th</sup> Plenary Meeting, 3 December, 1986, Art. 5.

<sup>52</sup> შეილაძე ხ., არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის არსი, „სამართლის ჟურნალი“, №2, 2016, 271.

ნიშნავია, რომ 1989 წლამდე, საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობას, როგორც ცალკე მდგომ ყოვლისმომცველ პრინციპს არ ითვალისწინებდა სამართლებრივად მბოჭავი არც ერთი საერთაშორისო ინსტრუმენტი.<sup>53</sup> თავდაპირველ ეტაპზე, სახელმწიფოები ეწინააღმდეგებოდნენ კონვენციის მიღებას, თუმცა შემდგომ ბევრი მომხრე აღმოჩნდა. გაიზარდა ცნობიერება იმის შესახებ, რომ ბავშვები უფლებებით აღჭურვილი აქტიური სუბიექტები უნდა ყოფილიყვნენ და არა მხოლოდ დაცვისა და მზრუნველობის ობიექტები. ამასთან, დროთა განმავლობაში უფრო მეტად გამოიკვეთა ბავშვებისათვის ზრდასრულებისგან განსხვავებული უფლებების მინიჭების აუცილებლობა, რაც ბავშვთა საჭიროებებზე საპასუხოდ, ცალკე საერთაშორისო დოკუმენტის შექმნის აუცილებლობას იწვევდა. მართალია, ზოგადად, ადამიანის უფლებათა მარეგულირებელი საერთაშორისო აქტები ბავშვებსაც მიემართებოდა, მაგრამ არსებული რეგულაციები მხედველობაში არ ღებულობდა არასრულწლოვანთა სპეციფიკასა და ბავშვობის ცნებას. მეორე მიზეზი, რამაც კონვენციის მიღება გამოიწვია, გახლდათ ისეთი საერთაშორისო ინსტრუმენტის არსებობის აუცილებლობა, რაც ერთიან სივრცეში მოაქცევდა უკვე არსებულ საერთაშორისო სტანდარტებს. მას შემდეგ, რაც გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ ერთხმად იქნა მიღებული, ბავშვის უფლებათა კონვენცია ერთი წლის შემდეგ შევიდა ძალაში. კონვენცია მოიცავს განურჩევლად ყველა ბავშვს, მათ შორის, არასრულწლოვნებს სისხლის-სამართლებრივ სისტემაში.<sup>54</sup> მხოლოდ ორმა სახელმწიფომ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და სომალმა განაცხადეს უარი კონ-

---

<sup>53</sup> Kilkelly U., *The Best Interests of the Child: A Gateway to Children's Rights?* In: *Implementing Article 3 of the United Nations Convention on the Rights of the Child: Best Interests, Welfare and Well-being*, Elaine E. Sutherland, Lesley-Anne Barnes Macfarlane (Eds.), Cambridge University Press, 2016, 53.

<sup>54</sup> Rap-Leurs S. E., *The Participation of Juvenile Defendants in the Youth Court: A Comparative Study of Juvenile Justice Procedures in Europe*, Utrecht University, 2013, 42.

ვენციის რატიფიცირებაზე,<sup>55</sup> თუმცა 2015 წელს სომალმაც მოახდინა რატიფიცირება და დღეისათვის, აშშ არის ერთადერთი გაეროს წევრი ქვეყანა, რომელსაც მიუხედავად იმისა, რომ აქტიურად იყო ჩართული კონვენციის შემუშავების პროცესში და 1995 წელს ხელიც მოაწერა, ჯერ კიდევ არ უღიარებია მისი სავალდებულო ძალა.<sup>56</sup>

ბავშვის უფლებათა კონვენციამ განავითარა მიდგომა, რომლის მიხედვითაც ბავშვები განიხილებიან, როგორც უფლებებით აღჭურვილი აქტიური სუბიექტები და არა მხოლოდ დაცვისა და მზრუნველობის ობიექტები, რითაც წერტილი დაესვა წმინდა პატერნალისტურ მიდგომას, თუმცა, ამავდროულად, მხედველობაში იქნა მიღებული არასრულწლოვანთა სპეციფიკური საჭიროებები და უფლებების მინიჭების პარალელურად, უზრუნველყოფილ იქნა მათი სათანადო დაცვა და მოპყრობა.<sup>57</sup>

ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლი ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპად სწორედ საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობას ითვალისწინებს, რომლის მიხედვით: „ბავშვების მიმართ ყველა მოქმედებაში, იმის მიუხედავად მიმართავენ მას სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას“. ამრიგად, კონვენცია ითვალისწინებს ყველა ქმედებას, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ გავლენას ახდენს არასრულწლოვანზე.<sup>58</sup> არა-

---

<sup>55</sup> Jensen L. E., Jepsen J., *Juvenile Law Violators, Human Rights and the Development of New Juvenile Justice Systems*, Eric L. Jensen, Jorgen Jepsen (Eds.), Hart Publishing, Oxford, Portland, 2006, 4.

<sup>56</sup> Taylor M., USA, in: *International Handbook of Juvenile Justice*, 2<sup>nd</sup> Edition, Scott H. Decker, Nerea Marteache (Eds.), Springer, Switzerland, 2017, 138.

<sup>57</sup> Rap-Leurs S. E., *The Participation of Juvenile Defendants in the Youth Court: A Comparative Study of Juvenile Justice Procedures in Europe*, Utrecht University, 2013, 48.

<sup>58</sup> Alston P., Gilmour-Walsh B., *The Best Interests of The Child-Towards a Synthesis of Children's Rights and Cultural Values*, UNICEF, Innocenti Studies, 1996, 3.

სრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების ცნება, გარდა მე-3 მუხლისა, ასევე გვხვდება კონვენციის მე-9, მე-18, მე-20, 21-ე, 37-ე და მე-40 მუხლებში.

ბავშვის უფლებათა კონვენციაში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა ყოველმომცველი პრინციპია, რომელიც თანაბრად ვრცელდება კონვენციის თითოეულ მუხლზე, მათ შორის, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მარეგულირებელ 37-ე და მე-40 მუხლებზე, ასევე 32-ე მუხლზე, რომელიც სასჯელის შესაბამისი სახის განსაზღვრისას, სახელმწიფოებს აკისრებს ბავშვის ჯანმრთელობის, განათლების, ეკონომიკური ექსპლუატაციის, ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, მორალური და სოციალური განვითარების ფაქტორთა გათვალისწინების ვალდებულებას.

## 2.2. რეგიონული აქტები

ბავშვის უფლებების სფეროში არსებულმა საერთაშორისო სამართლებრივმა აქტებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის რეგიონულ დონეზე განმტკიცების თვალსაზრისით.<sup>59</sup>

აღსანიშნავია 1950 წლის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ არ ითვალისწინებს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპს, ამ კონვენციის საფუძველზე შექმნილ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის ტესტის განმტკიცების თვალსაზრისით. ევროკონვენციით ბავშვის უფლებების პირდაპირ გაუთვალისწინებლობა არ ამცირებს მის რელევანტურობასა და გამოყენებადობას

---

<sup>59</sup> შეყილაძე ხ., არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის არსი, „სამართლის ჟურნალი“, №2, 2016, 271.

არასრულწლოვანთა უფლებების დასაცავად.<sup>60</sup> შესაბამისად, სასამართლოს არაერთ შემთხვევაში მოუწია ბავშვის უფლებებზე და საუკეთესო ინტერესის ცნებაზე მსჯელობა სხვადასხვა კონტექსტში, მათ შორის, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან მიმართებით.<sup>61</sup> აღსანიშნავია, რომ ევროსასამართლო, განსაკუთრებით საოჯახო სამართლებრივი დავების ქრილში, ეროვნული სასამართლოებისაგან მოითხოვს არასრულწლოვნის უფლებებისა და ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინებას. ამასთან, ყურადღებას ამახვილებს სამართლიანი ბალანსის შექმნის აუცილებლობაზე და განმარტავს, რომ ხელისუფლებამ მაქსიმალური ძალისხმევა უნდა მიმართოს ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესებისა და უფლებების მხედველობაში მისაღებად. ამავდროულად, მიუთითებს, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესები უნდა წარმოადგენდეს უმთავრეს განხილვის საგანს და მისი ბუნებიდან, სერიოზულობიდან გამომდინარე, შეიძლება აჭარბებდეს სხვათა ინტერესებს.<sup>62</sup> რაც შეეხება უშუალოდ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებას, სასამართლოს მიერ ფართოდ აღიარებულია ამ სფეროში ბავშვის უფლებათა კონვენციით დადგენილი სტანდარტები და გადაწყვეტილებები სრულ შესაბამისობაშია კონვენციით გათვალისწინებულ დებულებებთან თუ პრინციპებთან.<sup>63</sup> ევროსასამართლო ხაზგასმით მიაჩნის ბავშვების მიმართ ყველა გადაწყვეტილების მიღებისას არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერე-

---

<sup>60</sup> Kilkelly U., *The Best of Both Worlds for Children's Rights? Interpreting the European Convention on Human Rights in the Light of the UN Convention on the Rights of the Child*, "Human Rights Quarterly", Vol. 23, No. 2, 2001, 311.

<sup>61</sup> Grgic A., *Jurisprudence of the European Court of Human Rights on the Best Interests of the Child in Family Affairs*, in: *The Best Interests of the Child – A Dialogue Between Theory and Practice*, Milka Sormunen (Ed.), Council of Europe, 2016, 105.

<sup>62</sup> *Case of Plaza v. Poland*, Application No. 18830/07, Strasbourg, 25 January, 2011, Para. 71; *Case of Manic v. Lithuania*, Application No. 46600/11, Strasbourg, 13 January, 2015, Para. 102; *Case of Bronda v. Italy*, Application No. 22430/93, Strasbourg, 9 June 1998, Para. 62.

<sup>63</sup> Kilkelly U., *The Best of Both Worlds for Children's Rights? Interpreting the European Convention on Human Rights in the Light of the UN Convention on the Rights of the Child*, "Human Rights Quarterly", Vol. 23, No. 2, 2001, 324.

სებისათვის უპირველესი მნიშვნელობის მინიჭების იდეის მხარდაჭერის შესახებ ფართო კონსენსუსის არსებობაზე, მათ შორის, საერთაშორისო სამართალში.<sup>64</sup>

რეგიონულ დონეზე არსებული სამართლებრივი აქტებიდან არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპს მყარი საფუძველი ჩაუყარა ბავშვის უფლებებისა და კეთილდღეობის შესახებ აფრიკულმა ქარტიამ, რომელიც მიღებულ იქნა 1990 წელს და რომლის მე-4 მუხლი პირდაპირ ითვალისწინებს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპს: „ნებისმიერი კერძო პირისა თუ ხელისუფლების მიერ ბავშვების მიმართ განხორციელებულ ყველა მოქმედებაში, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები წარმოადგენს უმთავრეს გასათვალისწინებელ გარემოებას.“ პრინციპი თანაბრად ვრცელდება ქარტიით გათვალისწინებულ თითოეულ მუხლზე და მისი ყოვლისმომცველი ბუნებიდან გამომდინარე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროშიც გამოიყენება.<sup>65</sup> აღსანიშნავია, რომ ბავშვის უფლებათა კონვენციისაგან განსხვავებით, აფრიკული ქარტია არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვის ვალდებულებას პირთა შეუზღუდავ წრეს აკისრებს და ამასთან, აწესებს საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულად გათვალისწინების განსხვავებულ, უფრო მაღალ სტანდარტს, რაზეც შემდეგ თავში იქნება ყურადღება გამახვილებული. სწორედ ქარტიის გავლენით, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორი-

---

<sup>64</sup> Case of Neulinger and Shuruk v. Switzerland, Application No. 41615/07, Grand Chamber, Strasbourg, 6 July, 2010, Para. 135; Case of Jeunesse v. the Netherlands, Grand Chamber, Application No. 12738/10, Strasbourg, 3 October, 2014, Para. 118; Case of Popov v. France, Applications Nos. 39472/07 and 39474/07, Strasbourg, 19 January, 2012, Para. 109; Case of X. v. Latvia, Application No. 27853/09, Strasbourg, 26 November, 2013, Para. 96; Case of Rahimi v. Greece, Application No. 8687/08, Strasbourg, 5 April, 2011, Para. 108.

<sup>65</sup> General Comment on Article 30 of the African Charter on the Rights and Welfare of the Child, The African Committee of Experts on the Rights and Welfare of the Child, Adopted by the Committee at its Twenty-second Ordinary Session, 04-08 November, 2013, Para. 22.

ტეტულობის პრინციპი ასახულია სამხრეთ აფრიკის კონსტიტუციაში.<sup>66</sup>

ზემოაღნიშნული მსჯელობის ანალიზის შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპმა განვითარების საკმაოდ ხანგრძლივი გზა განვლო საერთაშორისო ასპარეზზე და არაერთმა რეგიონულმა თუ საერთაშორისო აქტმა აღიარა მისი მნიშვნელობა. მართალია, ყველა ზემოაღნიშნული აქტი ერთნაირი სტანდარტით არ ასახავს ბავშვის საუკეთესო ინტერესების გამოვლინებას, თუმცა თითოეულმა მათგანმა თავისი წვლილი შეიტანა პრინციპის ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე ფართოდ აღიარებისა და განმტკიცების თვალსაზრისით.

### **3. მართლმსაჯულების ფილოსოფიურ მოდელთა გავლენა საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის განვითარებაზე**

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონიეს მართლმსაჯულების ფილოსოფიურმა მოდელებმა, რომელთაგან ყველაზე გავრცელებული და ისტორიულად დომინანტური „კეთილდღეობის“ და „მართლმსაჯულების“ მოდელია.<sup>67</sup> შესაბამისად, დღეისათვის დამკვიდრებული ყველა სხვა მოდელი სწორედ ამ ორი ძირითადი მიდგომის საფუძველზე განვითარდა.<sup>68</sup>

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის განვითარების სრულყოფილი ანალიზის მიზნით,

---

<sup>66</sup> Dausab Y., *The Best Interests of the Child*, in: *Children's Rights in Namibia*, Oliver C. Ruppel (Ed.), Macmillan Education Namibia, 2009, 152; *The Constitution of the Republic of South Africa*, 8 May, 1996, Art. 28(2).

<sup>67</sup> Odhiambo O. G., *The Domestication of International Law Standards on the Rights of the Child with Specific Reference to Juvenile Justice in the African Context*, A Thesis Submitted in Fulfillment of the Requirements for the Degree of Law in the Faculty of Law of the University of Western Cape, South Africa, 18 October, 2005, 16.

<sup>68</sup> Hazel N., *Cross-National Comparison of Youth Justice*, Report for the Youth Justice Board of England and Wales, 2008, 23.

მნიშვნელოვანია ზემოაღნიშნულ მოდელებზე ყურადღების გამახვილება.

### 3.1. კეთილდღეობის მოდელი

მე-19 საუკუნის ბოლო პერიოდიდან 1960-იან წლებამდე დასავლეთ სამყაროში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მხოლოდ ერთი მიმართულება არსებობდა კეთილდღეობის მოდელის სახით.<sup>69</sup> კეთილდღეობის მოდელის წარმოშობა სწორედ 1899 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში პირველი არასრულწლოვანთა სასამართლოს დაარსებას უკავშირდება.<sup>70</sup> შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული მოდელი მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში განხორციელებული რეფორმების შედეგად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ცალკე სისტემის ჩამოყალიბებასთან ერთად წარმოიშვა, რომლის განუყოფელი ნაწილი საუკეთესო ინტერესებზე და ბავშვის კეთილდღეობაზე მორგებული მართლმსაჯულებაა. ამრიგად, სწორედ კეთილდღეობის სისტემასთან არის დაკავშირებული საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის წარმოშობა.<sup>71</sup>

კეთილდღეობის მოდელი სახელმწიფოს აკისრებს პასუხისმგებლობას, იზრუნოს ბავშვის კეთილდღეობაზე, რომელიც ე.წ. „პა-

---

<sup>69</sup> Pratt J., *Welfare and Justice: Incompatible Philosophies*, in: *Juvenile Justice: Debating the Issues*, Fay Gale, Ngaire Naffine & Joy Wundersitz (Eds.), Allen & Unwin, Sydney, 1993, 40; Cole G.F., Smith Ch.E., *The American System of Criminal Justice*, 11<sup>th</sup> Edition, Carolyn Henderson Meier (Ed.), Thomson Wadsworth, Wadsworth, 2007, 546.

<sup>70</sup> Winterdyk J. A., *Juvenile Justice in the International Arena*, in: *Juvenile Justice: International Perspectives, Models and Trends*, John A. Winterdyk (Ed.), CRC Press, Boca Raton, London, New York, 2015, 7.

<sup>71</sup> Zermatten J., *Best Interests of the Child*, in: *Child-Friendly Justice: A Quarter of a Century of the UN Convention on the Rights of the Child*, Said Mahmoudi, Pernila Leviner, Anna Kaldal, Katrin Lainpelto (Eds.), Brill Nijhoff, Leiden, Boston, 2015, 31.

ტერნალისტური სახელმწიფოს“ იდეიდან გამომდინარეობს<sup>72</sup> და მოითხოვს, რომ არასრულწლოვანი არ იქნეს დასჯილი, არამედ უზრუნველყოფილ იქნეს მისი რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია. მის ფუნდამენტურ მიდგომას წარმოადგენს სახელმწიფოს მხრიდან ე.წ. „დაცვითი ფუნქციის“ განხორციელება. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ არასრულწლოვანმა ჩაიდინა კანონსა-წინააღმდეგო ქმედება, იგი განხილულ უნდა იქნეს, როგორც გარემოს მსხვერპლი და ხელი შეეწყოს მის კანონმორჩილ ადამიანად ჩამოყალიბებას.<sup>73</sup> აღსანიშნავია, რომ კეთილდღეობის მოდელს სამეცნიერო ლიტერატურაში ე.წ. „სამედიცინო“ მოდელადაც კი მოიხსენიებენ.<sup>74</sup> განსხვავებით დასჯაზე ორიენტირებული მართლმსაჯულებისა, რომელიც ძირითად ყურადღებას მიაქცევს წარსულში ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებას, კეთილდღეობის ფილოსოფიური მოდელი მთლიანად მომავალზეა ორიენტირებული და ცდილობს, მარეაბილიტირებელი ღონისძიებების გამოყენებით, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნები კანონმორჩილ მოქალაქეებად გარდაქმნას.<sup>75</sup> შესაბამისად, აღნიშნული მოდელი ორიენტირებულია არასრულწლოვნის საჭიროებებზე და მას დანაშაულის გამომწვევ მიზეზად განიხილავს. მიისწრაფვის რეაბილიტაციისკენ და არა დასჯისაკენ.<sup>76</sup>

---

<sup>72</sup> Scott E., *The Legal Construction of Childhood*, in: *A Century of Juvenile Justice*, Margaret Rosenheim, Franklin Zimring, David S. Tanenhaus, Bernardine Dohrn (Eds.), University of Chicago Press, Chicago, London, 2002, 116.

<sup>73</sup> Emelonye U., *Proportionality and Best Interests: Calibrating the Twin Pillars of Child Justice in Nigeria*, Doctoral Thesis, University of Helsinki, Helsinki, 2014, 69.

<sup>74</sup> Kratcoski P. C., *Juvenile Justice Administration*, CRC Press, Taylor and Francis Group, Boca Raton, London, New-York, 2012, 16.

<sup>75</sup> Emelonye U., *Proportionality and Best Interests: Calibrating the Twin Pillars of Child Justice in Nigeria*, Doctoral Thesis, University of Helsinki, Helsinki, 2014, 69.

<sup>76</sup> Archard D., *Children's Rights and Juvenile Justice*, in: *Youth Justice and Child Protection*, Malcolm Hill, Andrew Lockyer, Fred Stone (Eds.), Jessica Kingsley Publishers, London, Philadelphia, 2007, 257-258; Souhami A., *Transforming Youth Justice: Occupational Identity and Cultural Change*, Willan Pub-

კეთილდღეობის მოდელს ახასიათებს შემდეგი პროცესუალური მიდგომები:

ადაპტირებული პროცედურები - ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, განსხვავებული მიდგომების გამოყენება, ნაცვლად ყველა პირის მიმართ მყარი პროცედურული გარანტიების გამოყენებისა.

ზოგადი მიდგომა – კანონის მოთხოვნათა ზედმინვენით შესრულების აუცილებლობის არარსებობა. პროცესში ადვოკატთა ნაცვლად სოციალური მუშაკების, მასწავლებლებისა და სხვა პირთა მონაწილეობა არასრულწლოვნის პრობლემატური ქცევის გადაჭრის შესაძლო გზების ძიების მიზნით.

ინკვიზიციურობა – შეჯიბრებითი პროცესის ნაკლებობა და, შესაბამისად, სასამართლოში ფაქტების დადგენისა და მხარეთა დაპირისპირებისათვის მინიმალურ ყურადღების დათმობა.

არაფორმალიზმი – საქმის განხილვა არაფორმალურ გარემოში. პროცესის მონაწილეთა, მათ შორის, არასრულწლოვნისა და მისი მშობლების აქტიური ჩართულობით ჩადენილი დანაშაულის შესახებ დისკუსიის გამართვა, შესაბამისი გამოსავლის ძიების მიზნით.

პიროვნებაზე მორგებული სასჯელი – ორიენტირება არასრულწლოვნის საჭიროებებზე და არა ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეზე.

ახსნა-განმარტება/მიზეზობრიობა – არასრულწლოვნის მიმართ სათანადო ღონისძიების გამოყენების მიზნით, დანაშაულის ჩადენის მიზეზების კვლევა. ბრალეულობის საჭირო დონის მისაღწევად არასრულწლოვნის ქმედუნარიანობის გათვალისწინება.

პიროვნებაზე ორიენტირება – ამოსავალი წერტილი დანაშაულის ჩამდენი პირია და არა თავად დანაშაულებრივი ქმედება.<sup>77</sup>

ამრიგად, კეთილდღეობის მოდელი ძირითადად საჭიროებებზე ორიენტირებულ მიდგომას ეფუძნება და განიცდის სამართლიანი

---

lishing, London, New-york, 2007, 14; Stachon V., The Principles of Punishment Applied to Children within the Juvenile Justice System, "University College London Jurisprudence Review", Vol. 13, 2007, 53.

<sup>77</sup> Pickford J., The Development of Youth Justice Philosophies, Laws and Policies, in: Youth Justice and Social Work, Jonathan Parker, Greta Bradley (Eds.), Learning Matters Ltd, Glasgow, 2006, 27-28.

პროცესის ელემენტების ნაკლებობას.<sup>78</sup> ამასთან, არასრულწლოვანს არ განიხილავს უფლებებით აღჭურვილ პროცესის აქტიურ მონაწილედ.

### 3.2 მართლმსაჯულების მოდელი

გასული საუკუნის 70-იანი წლებისათვის არასრულწლოვანთა დანაშაულებრიობის მკვეთრი ზრდა შეიმჩნეოდა, რამაც საზოგადოებაში დაუცველობის გრძნობა გააჩინა. შესაბამისად, უმრავლეს დასავლურ ქვეყნებში დაიწყო კეთილდღეობის მოდელის არაეფექტიანობის წარმოჩენა.<sup>79</sup> საზოგადოებამ მოითხოვა არასრულწლოვნებს აეღოთ სრული პასუხისმგებლობა თავიანთი ქმედებებისათვის, რამაც გამოიწვია არაერთი ქვეყნის კანონმდებლობის გამკაცრება.<sup>80</sup> კერძოდ, ამერიკის შეერთებულ შტატებში მნიშვნელოვნად შეიცვალა პოლიტიკური კლიმატი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართ და მომწიფდა საზოგადოებრივი აზრი სარეაბილიტაციო პროგრამების არაეფექტიანობისა და პოლიტიკოსთა მხრიდან დანაშაულზე არასაკმარისი რეაგირების შესახებ.<sup>81</sup> ანალოგიურად განვითარდა მოვლენები ინგლისსა და უელსშიც. ძირითადი მოთხოვნა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სამართლიანი პროცესის ელემენტებისა და პროპორციულობის პრინციპის დამკვიდრება იყო, ხოლო ინტერვენციული ღონისძიებები ჩადენილ დანაშაულზე ორიენტირებული უნდა ყოფილი-

---

<sup>78</sup> Hess K. M., *Juvenile Justice*, 5<sup>th</sup> Edition, Carolyn Henderson Meier (Ed.), Wadsworth Cengage Learning, Wadsworth, 2009, 24.

<sup>79</sup> Pratt J., *Welfare and Justice: Incompatible Philosophies*, in: *Juvenile Justice: Debating the Issues*, Fay Gale, Ngaire Naffine & Joy Wundersitz (Eds.), Allen & Unwin, Sydney, 1993, 42.

<sup>80</sup> Yeckel J.F., *Violent Juvenile Offenders: Rethinking Federal Intervention in Juvenile Justice*, "Urban Law Annual, *Journal of Urban and Contemporary Law*", Vol. 51, Issue 1, 1997, 331.

<sup>81</sup> Kratcoski P. C., *Juvenile Justice Administration*, CRC Press, Taylor and Francis Group, Boca Raton, London, New-York, 2012, 17.

ყო.<sup>82</sup> კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნები განიხილებოდნენ არა როგორც პრობლემის მქონე სუბიექტებად, არამედ როგორც თავად პრობლემად.<sup>83</sup> ამ ყოველივეს შედეგად, კეთილდღეობის მოდელი ჩაანაცვლა მართლმსაჯულების მოდელმა. ეს უკანასკნელი პირველად ამერიკის შეერთებულ შტატებში დამკვიდრდა, როდესაც ამერიკის უზენაესმა სასამართლომ არასრულწლოვნებს მიანიჭა პროცესუალური უფლებები, რამაც გამოიწვია ე.წ. „დაცვითი სისტემის“ დაშლა, რა დროსაც არასრულწლოვანი გარემოს მსხვერპლად მიიჩნეოდა. ვინაიდან უფლებებით აღჭურვა გულისხმობს უფრო მეტ პასუხისმგებლობასა და ვალდებულებას, მართლმსაჯულებამ კვლავ აღიარა არასრულწლოვნები თავიანთი ქმედებებისათვის პასუხისმგებელ პირებად.<sup>84</sup>

მართლმსაჯულების მოდელი ორიენტირებულია არა არასრულწლოვნის საჭიროებებზე და პიროვნებაზე, არამედ ჩადენილ ქმედებაზე, რომელიც სათანადო სასჯელს იმსახურებს,<sup>85</sup> თუმცა, ამავდროულად, ახასიათებს სამართლიანი პროცესის ელემენტები.<sup>86</sup> ამასთან, აღნიშნული მოდელი არ გამოირიცხავს, კეთილდღეობის მოდელის მსგავსად, მარეაბილიტირებელი პროგრამების გამოყენებას, მაგრამ აღნიშნული არ წარმოადგენს არასრულწლოვნი-

---

<sup>82</sup> Souhami A., *Transforming Youth Justice: Occupational Identity and Cultural Change*, Willan Publishing, London, New-york, 2007, 14.

<sup>83</sup> Hess K. M., *Juvenile Justice*, 5<sup>th</sup> Edition, Carolyn Henderson Meier (Ed.), Wadsworth Cengage Learning, Wadsworth, 2009, 304.

<sup>84</sup> Junger-tas J., *Trends in International Juvenile Justice: What Conclusions Can Be Drawn?* In: *International Handbook of Juvenile Justice*, Josine Junger-tas, Scott H. Decker (Eds.), Springer, Utrecht, Arizona, 2006, 509.

<sup>85</sup> Archard D., *Children's Rights and Juvenile Justice*, in: *Youth Justice and Child Protection*, Malcolm Hill, Andrew Lockyer, Fred Stone (Eds.), Jessica Kingsley Publishers, London, Philadelphia, 2007, 257-258; Souhami A., *Transforming Youth Justice: Occupational Identity and Cultural Change*, Willan Publishing, London, New-york, 2007, 14; Stachon V., *The Principles of Punishment Applied to Children within the Juvenile Justice System*, "University College London Jurisprudence Review", Vol. 13, 2007, 53.

<sup>86</sup> Bishop D. M., Decker S.H., *Punishment and Control: Juvenile Justice Reform in the USA*, in: *International Handbook of Juvenile Justice*, Josine Junger-Tas and Scott. H. Decker (Eds.), Springer, Utrecht, Arizona, 2006, 11.

სათვის გარანტირებულ უფლებას.<sup>87</sup> განსხვავებით კეთილდღეობის მოდელისაგან, რომელიც დანაშაულის ჩამდენ არასრულწლოვანს გარემო პირობების მსხვერპლად მიიჩნევს, მართლმსაჯულების მოდელი დანაშაულებრივ ქმედებას განიხილავს, როგორც პირის თავისუფალი ნების გამოვლინებას, სოციალური თუ პირადი პრობლემების მხედველობაში მიღების გარეშე.<sup>88</sup>

მართლმსაჯულების მოდელისათვის დამახასიათებელია შემდეგი პროცესუალური მიდგომები:

სამართლიანი პროცესი – ყველა პირის მიმართ თანაბარი, ერთგვაროვანი მოპყრობის უზრუნველსაყოფად მყარი პროცედურული გარანტიების არსებობა.

კანონიერება – ფორმალური მართლმსაჯულება, კანონის მოთხოვნათა ზედმიწევნით შესრულება, რა დროსაც სამართლებრივი პროცედურები და სასამართლოში წარმომადგენლობა მხოლოდ იურისტების მიერ ხორციელდება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სასამართლოს წინაშე წარმდგარი თითოეული პირის მიმართ თანაბნობის მოპყრობა.

შეჯიბრებითობა – მხარეთა დაპირისპირების პირობებში სიმართლის დადგენა.

ფორმალიზმი – საქმის განხილვისას მკაცრი პროცედურული წესების დაცვა, მათ შორის, შესაბამისი ჩაცმულობის, მანტიის გამოყენება, სამართლებრივ ენაზე მეტყველება, რაც თითქოს წარმოაჩენს განსახილველი საქმის სერიოზულობას.

სასჯელის პროპორციულობა – სამართლიანი და თანმიმდევრული მიდგომის უზრუნველსაყოფად, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის პროპორციული სასჯელის დანიშვნა.

პასუხისმგებლობა/ზრალი – მართლმსაჯულების მოდელისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწე-

---

<sup>87</sup> Kratcoski P. C., *Juvenile Justice Administration*, CRC Press, Taylor and Francis Group, Boca Raton, London, New-York, 2012, 17.

<sup>88</sup> Wiese K.K., *Juvenile Justice: A Comparison Between the Laws of New Zealand and Germany*, A Thesis Submitted in Fulfilment of the Requirements for the Degree of Masters of Laws, The University of Canterbury, 2007, 39.

ული პირი აკმაყოფილებს ბრალეულობის ხარისხს და განიხილება ქმედებაზე პასუხისმგებელ სუბიექტად, რომელიც ჩადენილი დანაშაულის შედეგების პირისპირ უნდა აღმოჩნდეს.

ქმედებაზე ორიენტირება – ძირითადი ყურადღების გამახვილება ჩადენილ დანაშაულზე და არა დანაშაულის ჩამდენ პიროვნებაზე.<sup>89</sup>

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მოდელების გაანალიზების შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის დასაყრდენი სწორედ კეთილდღეობის ფილოსოფიური მოდელია. როგორც უკვე აღინიშნა, კეთილდღეობის მოდელს საფუძვლად უდევს „პატერნალისტური სახელმწიფოს“ იდეა, რომელიც, თავის მხრივ, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების მაქსიმალურ დაცვაზეა ორიენტირებული.<sup>90</sup> შესაბამისად, საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა თავისი არსით პატერნალისტური პრინციპია.<sup>91</sup> რაც შეეხება მართლმსაჯულების მოდელს, რომელიც კეთილდღეობის მოდელისაგან განსხვავებით, არასრულწლოვანს უფლებებით აღჭურვილ აქტიურ სუბიექტად განიხილავს, შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს აღნიშნულ მოდელთან საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის თავსებადობა. კერძოდ, რამდენად შესაძლებელია, დავიცვათ ბავშვის ინტერესები თუ კეთილდღეობა და იმავდროულად განვიხილოთ, როგორც უფლებებით აღჭურვილ აქტიურ მონაწილედ, მივანიჭოთ სამართლიანი პროცესის გარანტიები?<sup>92</sup> მიგვაჩნია, რომ ეს ორი მიდგომა ერთმანეთს არ გამოირიცხავს და შესაძლებელია, არასრულწლოვნისათვის უფლებების მინიჭების პარალელურად, სახელმწიფოს მიერ მასზე მზრუნვე-

---

<sup>89</sup> Pickford J., *The Development of Youth Justice Philosophies, Laws and Policies*, in: *Youth Justice and Social Work*, Jonathan Parker, Greta Bradley (Eds.), Learning Matters Ltd, Glasgow, 2006, 27-28.

<sup>90</sup> Hess K. M., *Juvenile Justice*, 5<sup>th</sup> Edition, Carolyn Henderson Meier (Ed.), Wadsworth Cengage Learning, Wadsworth, 2009, 304.

<sup>91</sup> Archard D., *Children's Rights and Juvenile Justice*, in: *Youth Justice and Child Protection*, Malcolm Hill, Andrew Lockyer, Fred Stone (Eds.), Jessica Kingsley Publishers, London, Philadelphia, 2007, 255.

<sup>92</sup> იქვე, 258.

ლობის განხორციელება, რასაც ბავშვის უფლებათა კონვენციის მიდგომაც ადასტურებს, მით უფრო, რომ თანამედროვე გაგებით, თავად საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობაც კი ბავშვის უფლებად განიხილება და კეთილდღეობის ისტორიული ცნებისაგან განსხვავებით, ორიენტირებულია ბავშვის უფლებებზე, რაზეც შემდგომ გამახვილდება ყურადღება. თუმცა, ამ შემთხვევაში, ვერ ვისაუბრებთ წმინდა მართლმსაჯულების ან წმინდა კეთილდღეობის მოდელზე. აღნიშნულს მივყავართ ე.წ. „შერეული სისტემისაკენ“, სადაც ერთდროულად მოქმედებს კეთილდღეობისა და მართლმსაჯულების ელემენტები.<sup>93</sup>

საერთაშორისო ინსტრუმენტები ასახავენ რა როგორც მართლმსაჯულების, ისე კეთილდღეობის მოდელთა მიდგომებს, წარმოადგენენ საუკეთესო ინტერესებისა და სამართლიანი პროცესის გარანტიების ნაზავს.<sup>94</sup> ანალოგიურად, საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, ერთი მხრივ, ითვალისწინებს არასრულწლოვანთათვის მყარ პროცედურულ გარანტიებს, განიხილავს მას უფლებებით აღჭურვილ პროცესის აქტიურ მონაწილედ, მეორე მხრივ, ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულად გათვალისწინების ვალდებულების დაწესებით გარკვეულწილად შემოაქვს კეთილდღეობის მოდელის ელემენტებიც. აღნიშნული მიდგომა ნათლად წარმოაჩენს ე.წ. „შერეული სისტემის“ არსებობას.

---

<sup>93</sup> Muncie J., Goldson B., *States of Transition: Convergence and Diversity in International Youth Justice*, in: *Comparative Youth Justice: Critical Issues*, John Muncie, Barry Goldson (Eds.), SAGE Publications, London, Thousand Oaks, New Delhi, 2006, 214; Manco E., *The United Nation Convention on the Rights of the Child: Are Children “In Conflict with Law” Really Protected? A Case Study of Republic of Albania's Juvenile Justice System*, PhD Thesis, University of Sheffield, 2013, 37.

<sup>94</sup> Cipriani D., *Children's Rights and the Minimum Age of Criminal Responsibility: A Global Perspective*, David Nelken (Ed.), Ashgate Publishing Company, 2009, 24.

**4. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების  
პრიორიტეტულად გათვალისწინების საკითხი  
სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობაში  
4.1. კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნები**

გერმანიაში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება წარმოადგენს კომპრომისულ სისტემას კეთილდღეობასა და მართლმსაჯულებაზე ორიენტირებულ მიდგომებს შორის,<sup>95</sup> ვინაიდან წმინდა კეთილდღეობაზე ორიენტირებული მოდელი არ შეესაბამებოდა გერმანულ მენტალიტეტს.<sup>96</sup> სისხლისსამართლებრივი სისტემა მხედველობაში ღებულობს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს კანონთან კონფლიქტში მყოფი პირებისათვის ფართო უფლებების მინიჭების მეშვეობით.<sup>97</sup> თუმცა, აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვანთა სასამართლოების შესახებ აქტი<sup>98</sup> არ ითვალისწინებს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპს. მართალია, გერმანიაში ბავშვის უფლებათა კონვენციის რატიფიცირება მოახდინა 1992 წელს და მას შემდეგ კონვენციის სავალდებულო ძალის მქონე ფედერალური აქტია, თუმცა მას კონსტიტუციაზე დაბალი იერარქიული რანგი აქვს მინიჭებული.<sup>99</sup>

---

<sup>95</sup> Hatt A.C., Melo E., Ngugi L., Suvilaakso T., Totland Th., Van Der Huls I. B., Vega R., Zug K., Protecting the Rights of Children in Conflict with the Law, Research on Alternatives to the Deprivation of Liberty in Eight Countries, University of Fribourg, Geneva, 2008, 49; Heinrich B., Kherkheulidze I., Perfection of the Trends in Juvenile Justice Systems: On the Basis of Comparison of German, Georgian and the U.S. Juvenile Law, "Zeitschrift für Internationale Strafrechtsdogmatik", Berlin, Tbilisi, 2014, 614.

<sup>96</sup> Dünkel F., Juvenile Justice in Germany: Between Welfare and Justice, in: International Handbook of Juvenile Justice, Josine Junger-Tas and Scott. H. Decker (Eds.), Springer, Utrecht, Arizona, 2006, 226.

<sup>97</sup> Study on Children's Involvement in Judicial Proceedings: Contextual Overview for the Criminal Justice Phase – Germany, European Commission, June, 2013, 2.

<sup>98</sup> Juvenile Courts Act, Germany, 1974.

<sup>99</sup> Dünkel F., Heinz W., Germany, International Handbook of Juvenile Justice, 2<sup>nd</sup> Edition, in: International Handbook of Juvenile Justice, 2<sup>nd</sup> Edition, Scott H. Decker, Nerea Marteache (Eds.), Springer, Switzerland, 2017, 306.

2008 წელს განხორციელებული ცვლილების შედეგად, გერმანიის არასრულწლოვანთა სასამართლოების შესახებ აქტი უპირველეს მიზნად არასრულწლოვანთა მიერ შემდგომი დანაშაულის ჩადენის პრევენციას ასახელებს. ამ მიზნის მისაღწევად კი ინტერვენციული ღონისძიებები ორიენტირებული უნდა იყოს საგანმანათლებლო მიზნებზე.<sup>100</sup> ამასთან, როგორც განმარტებით ბარათში აღინიშნა, მხედველობაში არ მიიღებოდა ზოგადი პრევენცია და საზოგადოების უსაფრთხოების დაცვა.<sup>101</sup> მართალია, არასრულწლოვნის სასჯელის მიზნები კანონში პირდაპირ არ არის განსაზღვრული, მაგრამ ნორმათა ანალიზიდან გამომდინარე, მასში მოიაზრება ახალი დანაშაულის თავიდან აცილება, რესოციალიზაცია და სამართლიანობის აღდგენა.<sup>102</sup> არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიზნები კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის რეაბილიტაცია და განათლების მიღების უზრუნველყოფაა. ძირითადი აქცენტი გადატანილია არა დანაშაულის სიმძიმეზე, არამედ დამნაშავეზე და მის საჭიროებებზე.<sup>103</sup> მიუხედავად ამისა, გერმანიის კანონმდებლობა ყურადღების მიღმა არ ტოვებს საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესს. კერძოდ, 2008 წელს არასრულწლოვანთა სასამართლოების შესახებ აქტს დაემატა ე.წ. შემდგომი პრევენციული პატიმრობა, რაც გულისხმობს მძიმე ძალადობრივი დანაშაულის ჩამდენ პირთა განუსაზღვრელი ვადით პატიმრობაში დატოვებას, განსაზღვრული საპატიმრო სასჯელის მოხდის შემდეგ, თუ არსებობს მძიმე ძალადობრივი დანაშაულის ჩადენის მაღალი ალბათობა. აღნიშნული რეგულირება კანონგარეშედ გამო-

---

<sup>100</sup> Dunkel F., *Youth Justice in Germany*, Oxford University Press, 2015, 4; *Juvenile Courts Act, Germany, 1974, Section 2 (1)*.

<sup>101</sup> Dunkel F., *Youth Justice in Germany*, Oxford University Press, 2015, 4.

<sup>102</sup> მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ., სანქციები არასრულწლოვანთა სისხლის სამართალში გერმანიის კანონმდებლობის მიხედვით, წიგნში: არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების პრობლემები, მ. ლეკვეიშვილის და მ. შალიკაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2011, 246.

<sup>103</sup> Albrecht H.J., *Youth Justice in Germany, "Crime and Justice"*, Vol. 31, 2004, 453.

აცხადა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ<sup>104</sup> და შემდგომ გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ. შედეგად, კანონმდებლობამ მოდიფიცირება განიცადა, თუმცა საზოგადოებისათვის სერიოზული საფრთხის შემცველი არასრულწლოვანთათვის კვლავ გათვალისწინებულია პრევენციული პატიმრობის გამოყენების შესაძლებლობა, მაგრამ მკაცრად განსაზღვრული პირობების დაცვით.<sup>105</sup>

ბავშვის უფლებათა კომიტეტი გერმანიასთან მიმართებით განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი სრულად არ არის ასახული ფედერალურ კანონმდებლობაში და საუკეთესო ინტერესებისათვის პრიორიტეტის მინიჭება არ არის ინტეგრირებული საკანონმდებლო, აღმსარულებელი და სასამართლო ხელისუფლების ყველა სფეროში.<sup>106</sup>

ევროპის მასშტაბით კეთილდღეობაზე ორიენტირებული მართლმსაჯულებით გამორჩეული იყო ბელგიის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა.<sup>107</sup> საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპს განამტკიცებს ბელგიის კონსტიტუცია, თუმცა არსებობს დათქმა, რომ ბავშვის უფლებების განხორციელებას უზრუნველყოფს კანონი.<sup>108</sup> ამრიგად, კონსტიტუციით გარანტირებულ ბავშვის უფლებებთან დაკავშირებულ დებულებებს არ გააჩნია პირდაპირი გამოყენების ძალა, რაც არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობასთან მიმარ-

---

<sup>104</sup> Case of M. v. Germany, Application no. 19359/04, Strasbourg, 17 December, 2009.

<sup>105</sup> Dunkel F., *Youth Justice in Germany*, Oxford University Press, 2015, 5; *Juvenile Courts Act, Germany, 1974, Section 106*.

<sup>106</sup> Concluding Observations on the Combined Third and Fourth Periodic Reports of Germany, Committee on the Rights of the Child, CRC/C/DEU/CO/3-4, 2014, Para. 26.

<sup>107</sup> Dumortier E., Christiaens J., Nuytiens A., Belgium, in: *International Handbook of Juvenile Justice, 2<sup>nd</sup> Edition*, Scott H. Decker, Nerea Marteache (Eds.), Springer, Switzerland, 2017, 239.

<sup>108</sup> Constitution of Belgium, 1831, Art. 22 bis; Study on Children's Involvement in Judicial Proceedings, Contextual Overview for the Criminal Justice Phase – Belgium, European Commission, June 2013, 4.

თებით დაადასტურა ბელგიის უზენაესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ.<sup>109</sup> ბელგიაში მოქმედებს არასრულწლოვანთა შესახებ აქტი, რომელიც, მართალია, ემყარება კეთილდღეობის მოდელის ძირითად პრინციპებს, თუმცა არ ითვალისწინებს საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობას და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების უპირველეს პრინციპად ასახელებს დანაშაულის პრევენციას, როგორც უმნიშვნელოვანეს გარემოებას საზოგადოების უსაფრთხოების გრძლევადიან პერსპექტივაში დასაცავად. ამასთან, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება მიზნად ისახავს განათლების, სოციალური ინტეგრაციისა და საზოგადოების უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფას.<sup>110</sup> რაც შეეხება ბავშვის უფლებათა კონვენციას, მართალია, იგი ბელგიის კანონმდებლობის ნაწილია, მაგრამ სასამართლოში მისი დებულებების პირდაპირი მოქმედების ძალა, დამოკიდებულია მოსამართლის გადანყევტილებაზე.<sup>111</sup> არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში არც თუ ისე ხშირად იყენებენ კონვენციას და კვლავ სადავო საკითხად რჩება 16-დან 18 წლამდე პირების სრულწლოვანთა სასამართლოში გასამართლების შესაძლებლობა.<sup>112</sup> სწორედ ამიტომ მოუწოდებს ბავშვის უფლებათა კომიტეტი აღნიშნული პრაქტიკის აღმოფხვრისაკენ.<sup>113</sup> თუმცა, გადაცემის მექანიზმის არსებობა წარმოადგენს პრინციპულ და პოლიტიურ საკითხს. როგორც ჩანს, ბავ-

---

<sup>109</sup> Vandenhoe W., Belgium, The Convention on the Rights of the Child in Belgian Case Law, in: Litigating the Rights of the Child: The UN Convention on the Rights of the Child in Domestic and International Jurisprudence, Ton Liefwaard, Jaap E. Doek (Ed.), Springer, New-York, London, 2015, 107-108.

<sup>110</sup> Youth Protection Act, Belgium, 1965, (Act on the Protection of Young People, the Care of Minors Who Have Committed an Offense and the Reparation of the Damage Caused Thereby), Preliminary Title (1,3),

<sup>111</sup> Vandenhoe W., Belgium, The Convention on the Rights of the Child in Belgian Case Law, in: Litigating the Rights of the Child: The UN Convention on the Rights of the Child in Domestic and International Jurisprudence, Ton Liefwaard, Jaap E. Doek (Ed.), Springer, New-York, London, 2015, 106.

<sup>112</sup> იქვე, 117.

<sup>113</sup> Consideration of Reports Submitted by States Parties Under Article 44 of the Convention, Concluding Observations: Belgium, Committee on the Rights of the Child, CRC/C/BEL/CO/3-4, 18 June, 2010, Paras. 34, 82(a).

შვის უფლებები უპირისპირდება არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი მძიმე დანაშაულებისადმი მკაცრი მიდგომის საჭიროებას.<sup>114</sup>

ბელგიის მსგავსად, ნიდერლანდებში ბავშვის უფლებათა კონვენციას რატიფიცირების შემდეგ დაუყოვნებლივ მიენიჭა შიდასახელმწიფოებრივი ეფექტი და კანონმდებლობა, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება შეიბოჭა მისი დებულებებით,<sup>115</sup> თუმცა, შეზღუდული მონისტური სისტემის მოქმედებიდან გამომდინარე, სასამართლოში პირდაპირი მოქმედების ძალა გააჩნია კონვენციის მხოლოდ სამართლებრივად მბოჭავ დებულებებს,<sup>116</sup> რის შესახებაც გადანყვეტილებას სასამართლო ღებულობს.<sup>117</sup> აღსანიშნავია, რომ კონვენციის მე-3 მუხლი მიიჩნევა პირდაპირი გამოყენების ძალის მქონე დებულებად და ფართოდ გამოიყენება სასამართლოების წინაშე.<sup>118</sup> თუმცა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში კონვენციის გავლენა შედარებით მცირეა.<sup>119</sup> აღსანიშნავია ისიც, რომ ჰოლანდიის სისხლის სამართლისა და სისხლის

---

<sup>114</sup> Dumortier E., Christiaens J., Nuytiens A., Belgium, in: *International Handbook of Juvenile Justice*, 2<sup>nd</sup> Edition, Scott H. Decker, Nerea Marteache (Eds.), Springer, Switzerland, 2017, 258.

<sup>115</sup> Limbeek M., Bruning M., The Netherlands: Two Decades of the CRC in Dutch Case Law, in: *Litigating the Rights of the Child: The UN Convention on the Rights of the Child in Domestic and International Jurisprudence*, Ton Liefwaard, Jaap E. Doek (Ed.), Springer, New-York, London, 2015, 89-90.

<sup>116</sup> Constitution of the Kingdom of Netherlands, 1815, Art. 93; Study on Children's Involvement in Judicial Proceedings: Contextual Overview for the Criminal Justice Phase – Netherlands, European Commission, June 2013, 4.

<sup>117</sup> Limbeek M., Bruning M., The Netherlands: Two Decades of the CRC in Dutch Case Law, in: *Litigating the Rights of the Child: The UN Convention on the Rights of the Child in Domestic and International Jurisprudence*, Ton Liefwaard, Jaap E. Doek (Ed.), Springer, New-York, London, 2015, 91.

<sup>118</sup> Study on Children's Involvement in Judicial Proceedings: Contextual Overview for the Criminal Justice Phase – Netherlands, European Commission, June 2013, 4.

<sup>119</sup> Limbeek M., Bruning M., The Netherlands: Two Decades of the CRC in Dutch Case Law, in: *Litigating the Rights of the Child: The UN Convention on the Rights of the Child in Domestic and International Jurisprudence*, Ton Liefwaard, Jaap E. Doek (Ed.), Springer, New-York, London, 2015, 100.

სამართლის საპროცესო კოდექსები<sup>120</sup> არ ითვალისწინებს საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპს, თუმცა მოიცავს დებულებებს, რომლებიც უზრუნველყოფს 12-დან 18 წლამდე პირებისათვის სპეციალურ გარანტიებს.<sup>121</sup> არსებული მიდგომა ეფუძნება იმ მსჯელობას, რომ არასრულწლოვანი არის თავისუფალი ნებით მოქმედი პირი და სრულად პასუხისმგებელი საკუთარ ქმედებებზე. შედეგად, ცენტრალური ფიგურა გახდა მსხვერპლი რესტიტუციისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით და მკვეთრად შემცირდა განსხვავება სრულწლოვანთა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებას შორის.<sup>122</sup> მართალია, ჰოლანდიამ მიიღო ახალგაზრდების სისხლის სამართლის კანონი, მაგრამ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა ჩადენის შემთხვევაში, გათვალისწინებულია 16 და 17 წლის არასრულწლოვნების ზრდასრულთა სასამართლოში გასამართლების შესაძლებლობა და სასჯელის ზრდასრულთა პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდა. შედეგად, ბავშვის უფლებათა კომიტეტი სახელმწიფოს მოუწოდებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის კონვენციასთან და სხვა რელევანტურ სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაში მოყვანისკენ და იძლევა არაერთ რეკომენდაციას არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად.<sup>123</sup>

არასრულწლოვნის კანონიერი ინტერესების პრიორიტეტულობას, მათ შორის, სისხლის სამართალწარმოებაში, ითვალისწინებს

---

<sup>120</sup> Criminal Code of the Kingdom of Netherlands, 1881; Criminal Procedure Code of the Kingdom of Netherlands.

<sup>121</sup> Study on Children's Involvement in Judicial Proceedings, Contextual Overview for the Criminal Justice Phase – Netherlands, European Commission, June 2013, 4; Criminal Procedure Code of the Kingdom of Netherlands, Section 22 (2), 496a (3, c).

<sup>122</sup> Junger-tas J., Youth Justice in Netherlands, "Crime and Justice", Vol. 31, 2004, 331.

<sup>123</sup> Concluding Observations on the fourth Periodic Report of the Netherlands, Committee on the Rights of the Child, CRC/C/NDL/CO/4, 8 June, 2015, Paras. 58-62.

ლიეტუვას კანონმდებლობა.<sup>124</sup> მიუხედავად ამისა, ბავშვის უფლებათა კომიტეტი აღნიშნავს, რომ პრინციპი არ არის სრულად ინკორპორირებული ეროვნულ კანონმდებლობაში, რადგან „ლეგიტიმური ინტერესები“ არ წარმოადგენს „საუკეთესო ინტერესების“ ეკვივალენტურ ცნებას.<sup>125</sup> ანალოგიური მიდგომა გვხვდება ლატვიის კანონმდებლობაშიც, რომელიც ბავშვის უფლებებისა და ინტერესების უზრუნველყოფას ანიჭებს პრიორიტეტს.<sup>126</sup> საუკეთესო ინტერესების უპირატესობა ფართოდ აღიარებულია როგორც წინასწარი გამოძიების, ისე სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზე.<sup>127</sup> საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი მოქმედებს ხორვატიაშიც, მიუხედავად იმისა, რომ იგი ქვეყნის შიდა კანონმდებლობაში<sup>128</sup> არ არის ასახული, თუმცა ბავშვის უფლებათა კონვენცია, მსგავსად შიდასახელმწიფოებრივი კანონებისა, გამოყენებადია ეროვნული სასამართლოების წინაშე.<sup>129</sup> ესტონეთში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა განმტკიცებულია, როგორც კანონმდებლობით, ისე ბავშვის უფლებათა კონვენციის პირდაპირი გამოყენების ძალის მეშვეობით და ხელისუფლების ქმედებებს ხნორედ არასრულ-

---

<sup>124</sup> Law on Fundamentals of Protection of the Rights of the Child, Republic of Lithuania, 14 March, 1996, No. I-1234, Art. 4 (1); Study on Children’s Involvement in Judicial Proceedings, Contextual Overview for the Criminal Justice Phase – Lithuania, European Commission, June 2013, 2, 6.

<sup>125</sup> Concluding Observations on the Combined Third and Fourth Periodic Reports of Lithuania, Adopted by the Committee at its Sixty-Fourth Session (16 September–4 October 2013), Committee on the Rights of the Child, CRC/C/LTU/CO/3-4, 30 October, 2013, Para. 18.

<sup>126</sup> Protection of the Rights of the Child Law, Latvia, Art. 6(1-2).

<sup>127</sup> Study on Children’s Involvement in Judicial Proceedings, Contextual Overview for the Criminal Justice Phase – Latvia, European Commission, June 2013, 2-3.

<sup>128</sup> Juvenile Courts Act, Croatia, Official Gazette no. 111/1997; Criminal Code of the Republic of Croatia, 21 October, 2011, Criminal Procedure Code of the Republic of Croatia, 3 July, 2009.

<sup>129</sup> Study on Children’s Involvement in Judicial Proceedings, Contextual Overview for the Criminal Justice Phase – Croatia, European Commission, June 2013, 6.

ნლოვნის საუკეთესო ინტერესები განსაზღვრავენ.<sup>130</sup> არასრულწლოვანთა სასჯელის მიზნად კი რესოციალიზაციის ხელშეწყობა და ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილება განიხილება.<sup>131</sup> არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობას, როგორც ძირითად სახელმძღვანელო პრინციპს, რომელსაც უნდა ეფუძნებოდეს სამართლებრივი ინტერვენცია,<sup>132</sup> იცნობს ესპანეთის კანონმდებლობაც.<sup>133</sup> კერძოდ, არასრულწლოვანთა სამართლებრივი დაცვის შესახებ ორგანული კანონის თანახმად, სასამართლოებსა და საკანონმდებლო ორგანოებს ეკისრებათ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებისათვის პრიორიტეტის მინიჭების ვალდებულება ყველა სხვა ლეგიტიმურ ინტერესთან მიმართებით.<sup>134</sup> არასრულწლოვანთა სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ ორგანული კანონი, მართალია, არ იცნობს მსგავს დებულებას, თუმცა მიუთითებს, რომ არასრულწლოვნებს აქვთ უფლება ისარგებლონ კონსტიტუციით, არასრულწლოვანთა სამართლებრივი დაცვის შესახებ აქტითა და ბავშვის უფლებათა კონვენციით გარანტირებული უფლებებით.<sup>135</sup> აღსანიშნავია, რომ, ამავდროულად, მხედველობაში მიიღება არასრულწლოვნის ასაკი, დანაშაულის ხასიათი, სიმძიმე, რეციდივი, როგორც გადანყვეტილებაზე გავლენის მქონე კრიტერიუმები, რომლებიც აისახება

---

<sup>130</sup> Study on Children's Involvement in Judicial Proceedings, Contextual Overview for the Criminal Justice Phase – Estonia, European Commission, June 2013, 2, 4; Child Protection Act, Estonia, 19.11.2014, in force from 01.01.2016, Arts. 2, 5.

<sup>131</sup> Juvenile Sanctions Act, Estonia, 1998, Art. 7(1).

<sup>132</sup> De La Cuesta J. J., The New Spanish Penal System on Delinquency, in: Juvenile Law Violators, Human Rights and the Development of New Juvenile Justice Systems, Eric L. Jensen, Jorgen Jepsen (Eds.), Hart Publishing, Oxford, Portland, 2006, 101.

<sup>133</sup> Study on Children's Involvement in Judicial Proceedings, Contextual Overview for the Criminal Justice Phase – Spain, European Commission, June 2013, 2.

<sup>134</sup> Organic Law 1/1996, of January 15, on the Legal Protection of the Minor, Partial Modification of the Civil Code and the Law of Civil Prosecution, Spain, Art. 2 (1).

<sup>135</sup> Organic Law 5/2000, of January 12, Regulating the Criminal Responsibility of Minors, Spain, Art. 1 (2).

სასჯელის ზომაზე.<sup>136</sup> არასრულწლოვან ბრალდებულთა მიმართ გამოსაყენებელი სანქციები მოიცავს როგორც საგანმანათლებლო, ისე დამსჯელობითი ღონისძიებების ერთობლიობას.<sup>137</sup> არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი გვხვდება ასევე ლუქსემბურგის კანონმდებლობაში.<sup>138</sup> მართალია, ავსტრიის არასრულწლოვანთა სასამართლოების შესახებ აქტი<sup>139</sup> პირდაპირ არ განსაზღვრავს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპს და ძირითად აქცენტს არასრულწლოვნის რესოციალიზაციაზე და კერძო პრევენციაზე აკეთებს,<sup>140</sup> თუმცა ბავშვთა უფლებების შესახებ ავსტრიის ფედერალური კონსტიტუციური აქტი განამტკიცებს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების/კეთილდღეობის უპირველეს ყოვლისა გათვალისწინების პრინციპს კერძო თუ საჯარო დაწესებულებების მიერ ბავშვების მიმართ განხორციელებულ ყველა მოქმედებაში.<sup>141</sup> მიუხედავად ამისა, ბავშვის უფლებათა კომიტეტი ყველა ამ ქვეყანასთან მიმართებით ყურადღებას ამახვილებს პრინციპის პრაქტიკაში არასათანადოდ გამოყენებაზე და რეკომენდაციას უწევს

---

<sup>136</sup> Fernandez-Molina E., Beneitez M. J. B., Bartolome-Gutierrez R., Spain, in: *International Handbook of Juvenile Justice*, 2<sup>nd</sup> Edition, Scott H. Decker, Nerea Marteache (Eds.), Springer, Switzerland, 2017, 433.

<sup>137</sup> Study on Children's Involvement in Judicial Proceedings, Contextual Overview for the Criminal Justice Phase – Spain, European Commission, June 2013, 16.

<sup>138</sup> Law of 16 December 2008 on the Support of Youth and Families, Luxembourg, Article 2; Study on Children's Involvement in Judicial Proceedings, Contextual Overview for the Criminal Justice Phase – Luxembourg, European Commission, June 2013, 2, 6; Law of 10 August 1992 on Youth Protection, Luxembourg, Article 37.

<sup>139</sup> Federal Act of 20 October 1988 on the Administration of Justice for Juvenile and Young Adult Offenses (Juvenile Court Act 1988 - JGG), Austria.

<sup>140</sup> Bruckmuller K., Austria, in: *International Handbook of Juvenile Justice*, 2<sup>nd</sup> Edition, Scott H. Decker, Nerea Marteache (Eds.), Springer, Switzerland, 2017, 220.

<sup>141</sup> Federal Constitutional Act on the Rights of Children, Federal Law Gazette I No. 4/2011, Austria, Art.1.

სახელნიფოებს, უზრუნველყონ ყველა პასუხისმგებელი პირი სა-  
თანადო ტრენინგებითა და მითითებებით.<sup>142</sup>

სკანდინავიური სისტემა ამკვიდრებს არასრულწლოვანთა  
მართლმსაჯულების სკანდინავიურ მოდელს, თუმცა, ამავდრო-  
ულად, ქვეყნების მიხედვით მნიშვნელოვანი სხვაობაა სხვადასხვა  
ასპექტებში.<sup>143</sup> შეიძლება ითქვას, რომ სკანდინავიური არასრულ-  
წლოვანთა ამართლმსაჯულება ნაწილობრივ დაფუძნებულია  
სრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივ სისტემაზე, ხოლო  
ნაწილობრივ – არასრულწლოვნის კეთილდღეობაზე. არ არსებობს  
არასრულწლოვანთათვის განცალკევებული სისხლისსამართლებ-  
რივი სისტემა და არასრულწლოვანთა სასამართლო, არამედ 15  
წლიდან ყველა არასრულწლოვანს (დანიაში 14 წლიდან) ასა-  
მართლებენ იმავე სისხლის სამართლის კოდექსით, რომლითაც  
სრულწლოვან ბრალდებულებს.<sup>144</sup> რაც შეეხება საუკეთესო ინტე-

---

<sup>142</sup> Concluding Observations on the Third to Fifth Periodic Reports of Latvia, Committee on the Rights of the Child, CRC/C/LVA/CO/3-5, 14 March 2016, Paras. 28-29; Concluding Observations on the Combined Third and Fourth Periodic Reports of Croatia, Committee on the Rights of the Child, CRC/C/HRV/CO/3-4, 13 October, 2014, Paras. 22-23; Concluding Observations on the Combined Second to Fourth Periodic Reports of Estonia, Committee on the Rights of the Child, CRC/C/EST/CO/2-4, 8 March, 2017, Paras. 20-21; Concluding Observations on the Combined Fifth and Sixth Periodic Reports of Spain, Committee on the Rights of the Child, CRC/C/ESP/CO/5-6, 5 March, 2018, Para. 16 (b, c); Concluding Observations on the Combined Third and Fourth Periodic Reports of Luxembourg, Adopted by the Committee at its Sixty-fourth Session (16 September–4 October 2013), Committee on the Rights of the Child, CRC/C/LUX/CO/3-4, 29 October, 2013, Para. 24; Concluding Observations on the Combined Third and Fourth Periodic Report of Austria, Adopted by the Committee at its Sixty-first Session (17 September – 5 October 2012), Committee on the Rights of the Child, CRC/C/AUT/CO/3-4, 3 December, 2012, Paras. 26-27.

<sup>143</sup> Lappi-Seppala T., Nordic Youth Justice, “Crime and Justice”, Vol. 40, No.1, 2011, 199.

<sup>144</sup> იქვე, 200; Study on Children’s Involvement in Judicial Proceedings, Contextual Overview for the Criminal Justice Phase – Sweden, European Commission, June 2013, 4; Terrill R. J., World Criminal Justice Systems: A Survey, 7<sup>th</sup> Edition, Ellen S. Boyne (Ed.), Matthew Bender and Company, 2009, 294;

რესების პრიორიტეტულობას, შვედეთში, ფინეთსა და დანიაში კანონმდებლობა პირდაპირ არ ითვალისწინებს აღნიშნულ პრინციპს, თუმცა არასრულწლოვნებისადმი ზოგადი მიდგომა ასახავს ბავშვის უფლებათა კონვენციით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, მათ შორის, საუკეთესო ინტერესების დაცულობისა და გათვალისწინების თვალსაზრისით.<sup>145</sup> რაც შეეხება ნორვეგიას, კონფლიქტის არსებობისას, ბავშვის უფლებათა კონვენციას ენიჭება უპირატესობა ეროვნულ კანონმდებლობასთან მიმართებით.<sup>146</sup> ამასთან, ნორვეგიის კონსტიტუციის თანახმად, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები წარმოადგენს ფუნდამენტური მნიშვნელობის გარემოებას ყველა იმ მოქმედების განხორციელებისას და გადანყვეტილების მიღებისას, რომლებიც შეეხება არასრულწლოვანს.<sup>147</sup> ბავშვის უფლებათა კომიტეტი ყურადღებას ამახვილებს საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის კანონმდებლობაში არაადეკვატური ასახვის შესახებ და მოუწოდებს სახელმწიფოებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის კონვენციასთან სრულ შესაბამისობაში მოყვანისაკენ.<sup>148</sup>

---

Dunkel F., *Juvenile Justice Systems in Europe – Reform Developments Between Justice, Welfare and “New Punitiveness”*, “Kriminologijos Studijos”, Vol. 1, 2014, 53- 54; Storgaard A., Denmark, in: *International Handbook of Juvenile Justice*, 2<sup>nd</sup> Edition, Scott H. Decker, Nerea Marteache (Eds.), Springer, Switzerland, 2017, 270; Hatt A.C., Melo E., Ngugi L., Suvilaakso T., Totland Th., Van Der Huls I. B., Vega R., Zug K., *Protecting the Rights of Children in Conflict with the Law, Research on Alternatives to the Deprivation of Liberty in Eight Countries*, University of Fribourg, Geneva, 2008, 64.

<sup>145</sup> Study on Children’s Involvement in Judicial Proceedings, Contextual Overview for the Criminal Justice Phase – Sweden, European Commission, June 2013, 6; Study on Children’s Involvement in Judicial Proceedings, Contextual Overview for the Criminal Justice Phase – Finland, European Commission, June 2013, 5; Study on Children’s Involvement in Judicial Proceedings, Contextual Overview for the Criminal Justice Phase –Denmark, European Commission, June 2013, 4.

<sup>146</sup> Act to Strengthen the Position of Human Rights in Norwegian law (Human Rights Act), 1999, Sections 2(4), 3.

<sup>147</sup> The Constitution of the Kingdom of Norway, 14 May, 1814, Art. 104.

<sup>148</sup> Concluding Observations on the Fifth Periodic Report of Sweden, Committee on the Rights of the Child, CRC/C/SWE/CO/5, 6 March, 2015, Paras. 17-

## 4.2. ანგლოამერიკული სამართლის ქვეყნები

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში ინგლისის, უელსისა და ჩრდილოეთ ირლანდიის მიდგომა თითქმის იდენტურია.<sup>149</sup> მე-20 საუკუნის დასაწყისში, ინგლისში საყოველთაოდ აღიარებულ იქნა არასრულწლოვნის კეთილდღეობისა და მისი ინტერესების განსაკუთრებული მნიშვნელობა, რასაც შედეგად მოჰყვა, 1933 წელს, ბავშვებისა და ახალგაზრდების აქტის მიღება, რომელიც სასამართლოს ავალდებულებს გადანყვევტილების მიღებისას, მათ შორის, არასრულწლოვანი ბრალდებულის კეთილდღეობის გათვალისწინებას.<sup>150</sup> კეთილდღეობის პრინციპი კიდევ უფრო განამტკიცა 1969 წლის აქტმა<sup>151</sup>, რომელმაც ყოველგვარი ზღვარი წაშალა კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებსა და იმ ბავშვებს შორის, რომლებიც დაცვასა და მზრუნველობას საჭიროებდნენ<sup>152</sup> და ფუნდამენტურად გაემიჯნა დანაშაულზე კლასიკურ რეაგირებას, რაც სამართლიან მიზლვას გულისხმობდა.<sup>153</sup>

---

18, 58; Consideration of Reports Submitted by States Parties Under Article 44 of the Convention Concluding Observations: Finland, Committee on the Rights of the Child, CRC/C/FIN/CO/4, 3 August, 2011, Para. 27; Concluding Observations on the Fifth Periodic Report of Denmark, Committee on the Rights of the Child, CRC/C/DNK/CO/5, 26 October, 2017, Para. 44; Concluding Observations on the Combined Fifth and Sixth Periodic Reports of Norway, Committee on the Rights of the Child, CRC/C/NOR/CO/5-6, 4 July, 2018, Para. 35.

<sup>149</sup> Study on Children's Involvement in Judicial Proceedings, Contextual Overview for the Criminal Justice Phase – England, Wales and Northern Ireland, European Commission, September 2013, 7.

<sup>150</sup> Children and Young Persons Act, 1933, Section 44.

<sup>151</sup> Children and Young Persons Act, 1969.

<sup>152</sup> Arthur R., Protecting the Best Interests of the Child: A Comparative Analysis of the Youth Justice Systems in Ireland, England and Scotland, "International Journal of Children's Rights", No.18, Issue 2, 2010, 219.

<sup>153</sup> Morgan R., Newburn T., Youth Crime and Justice: Rediscovering Devolution, Discretion and Diversion, in: The Oxford Handbook of Criminology, 5<sup>th</sup> Edition, Mike Maguire, Rod Morgan, Robert Reiner (Eds.), Oxford University Press, 2012, 506.

თუმცა, 1980-იანი წლებიდან ინგლისსა და უელსში აღორძინება დაიწყო ტრადიციულმა სისხლის სამართლის ღირებულებებმა, რომელიც დანაშაულის კონტროლზე იყო ორიენტირებული.<sup>154</sup> ბავშვების შესახებ 1989 წლის აქტმა გააუქმა 1969 წლის აქტით გათვალისწინებული არასრულწლოვანთა სასამართლოს უფლებამოსილება არასრულწლოვნის ადგილობრივი ხელისუფლების მზრუნველობის ქვეშ გადაცემის შესახებ და აღნიშნული მხოლოდ საოჯახო სამართალწარმოების ფარგლებში იქნა დატოვებული.<sup>155</sup> მართალია, 1989 წლის აქტი ითვალისწინებს არასრულწლოვნის კეთილდღეობის უპირატესად გათვალისწინების ვალდებულებას, თუმცა ეს ვალდებულება არ მოქმედებს კანონთან კონფლიქტში მყოფ პირებთან მიმართებით და აღნიშნული აქტით გათვალისწინებული კეთილდღეობის ტესტს ძალიან ვიწრო გამოყენება გააჩნია ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლთან შედარებით.<sup>156</sup> 1991 წელს გაერთიანებულმა სამეფომ, მართალია, მოახდინა ბავშვის უფლებათა კონვენციის რატიფიცირება, თუმცა, არსებული სამართლებრივი სისტემის მიხედვით, რატიფიცირება კონვენციას ავტომატურად არ ანიჭებს ეროვნულ დონეზე სამართლებრივად მბოჭავ ძალას, არამედ საჭიროა სათანადო კანონმდებლობის მიღება, რისი მცდელობაც ინგლისის მთავრობას არ ჰქონია.<sup>157</sup> გაერთიანებული სამეფოს პარლამენტის მიერ მიღებულ კანონმდებლობაში, კონვენციის მხედველობაში მიღების თვალსაზრისით,

---

<sup>154</sup> Gelsthorpe L., Kemp, V., *Comparative Juvenile Justice: England and Wales*, in: *Juvenile Justice Systems: International Perspectives*, 2<sup>nd</sup> Edition, John A. Winterdyk (Ed.), Canadian Scholars' Press, Toronto, 2002, 136.

<sup>155</sup> Children Act, 1989, Section 90.

<sup>156</sup> იქვე, Section 1; Williams J., England and Wales, in: *Litigating the Rights of the Child: The UN Convention on the Rights of the Child in Domestic and International Jurisprudence*, Ton Liefwaard, Jaap E. Doek (Ed.), Springer, New-York, London, 2015, 59.

<sup>157</sup> Williams J., England and Wales, in: *Litigating the Rights of the Child: The UN Convention on the Rights of the Child in Domestic and International Jurisprudence*, Ton Liefwaard, Jaap E. Doek (Ed.), Springer, New-York, London, 2015, 54; Bateman T., England and Wales, in: *International Handbook of Juvenile Justice*, 2<sup>nd</sup> Edition, Scott H. Decker, Nerea Marteache (Eds.), Springer, Switzerland, 2017, 292.

ერთადერთი მითითება გვხვდება ბავშვების შესახებ 2004 წლის აქტში, რომელიც ინგლისის ბავშვთა კომისარს ავალდებულებს თავისი ფუნქციის შესრულების მიზნით ბავშვის უფლებების და ინტერესების განსასაზღვრად კონვენციის გათვალისწინებას.<sup>158</sup> განსხვავებით ინგლისისგან, უელსის ეროვნულმა ასამბლემ 2011 წელს ერთხმად მიიღო ბავშვებისა და ახალგაზრდების უფლებების შესახებ სამართლებრივი რეგულირება, რომელიც მინისტრებს მათი ფუნქციების შესრულებისას უწესებს კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების მხედველობაში მიღების ვალდებულებას,<sup>159</sup> თუმცა აღსანიშნავია, რომ არსრულწლოვანთა მართლმსაჯულება, განსხვავებით სხვა სფეროებისაგან, არ წარმოადგენს უელსის მთავრობისათვის დელეგირებულ სფეროს. შესაბამისად, ამ სფეროში შეზღუდულია ზემოაღნიშნული აქტით დაწესებული ვალდებულებები.<sup>160</sup>

1998 წელს მიღებულ იქნა დანაშაულისა და საზოგადოებრივი წესრიგის შესახებ აქტი, რომელიც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში უპირველეს მიზნად დანაშაულის პრევენციას აღიარებს და ამ მიზნის მხედველობაში მიღების ვალდებულებას მართლმსაჯულების პროცესში ჩართულ თითოეულ პირსა თუ ორგანოს აკისრებს.<sup>161</sup> შესაბამისად, არასრულწლოვნის კეთილდღეობა მეორეხარისხოვან გარემოებად განიხილება. აქვე აღსანიშნავია, სისხლის სამართლისა და იმიგრაციის შესახებ 2008 წლის აქტი, რომელიც სასამართლოს ავალდებულებს, არასრულწლოვნისათვის სასჯელის დანიშვნისას გაითვალისწინოს 1989 წლის აქტით განმტკიცებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების

---

<sup>158</sup> Children Act, 2004, Section 2A (1); Williams J., England and Wales, in: *Litigating the Rights of the Child: The UN Convention on the Rights of the Child in Domestic and International Jurisprudence*, Ton Liefwaard, Jaap E. Doek (Ed.), Springer, New-York, London, 2015, 54.

<sup>159</sup> Rights of Children and Young Persons (Wales) Measure 2011, Section 1.

<sup>160</sup> Bateman T., England and Wales, in: *International Handbook of Juvenile Justice*, 2<sup>nd</sup> Edition, Scott H. Decker, Nerea Marteache (Eds.), Springer, Switzerland, 2017, 291.

<sup>161</sup> Bottoms A., Dignan J., *Youth Justice in Great Britain*, "Crime and Justice", Vol. 31, 2004, 41; Crime and Disorder Act, 1998, Section 37.

ისეთი უმთავრესი მიზნები, როგორცაა დანაშაულის პრევენცია და არასრულწლოვნის კეთილდღეობა, აგრეთვე სასჯელის მიზნები, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს დამნაშავის დასჯას, დამნაშავეთა რეაბილიტაციას, საზოგადოების დაცვას, დაზარალებულისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას.<sup>162</sup> ცხადია, რომ კანონმდებლობა არასრულწლოვნის კეთილდღეობას არც თანაბარ სტატუსს და არც დამძლევ ეფექტს ანიჭებს დანაშაულის პრევენციის უმთავრეს მიზანთან მიმართებით.<sup>163</sup> სწორედ ამიტომ ბავშვის უფლებათა კომიტეტი სინანულს გამოთქვამს, რომ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა ჯერ კიდევ არ არის ასახული გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობაში, მათ შორის, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში.<sup>164</sup>

მსგავსად ინგლისისა, ჩრდილოეთ ირლანდიამაც განაახლა მართლმსაჯულების სისტემაში არსებული მიდგომა.<sup>165</sup> კერძოდ, 2002 წლის მართლმსაჯულების აქტის თანახმად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების უმთავრესი მიზანია საზოგადოების დაცვა არასრულწლოვანთა დანაშაულისაგან.<sup>166</sup> სასჯელის შეფარდების ეტაპზე, მოსამართლე უპირველეს ყოვლისა მხედველობაში ღებულობს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს და ძალადობრივი ან სექსუალური ხასიათის დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, უპირატესად გაითვალისწინება საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის ინტერესი. რაც შეეხება არასრულწლოვნის კე-

---

<sup>162</sup> Criminal Justice and Immigration Act, 2008, Section 9.

<sup>163</sup> Arthur R., Protecting the Best Interests of the Child: A Comparative Analysis of the Youth Justice Systems in Ireland, England and Scotland, "International Journal of Children's Rights", No.18, Issue 2, 2010, 226.

<sup>164</sup> Concluding Observations on the Fifth Periodic Report of the United Kingdom of Great Britain and Northern Ireland, Committee on the Rights of the Child, Committee on the Rights of the Child, 12 July, 2016, Para. 26.

<sup>165</sup> O'Mahony D., Campbell C., Mainstreaming Restorative Justice for Young Offender Through Youth Conferencing: The Experience of Northern Ireland, in: International Handbook of Juvenile Justice, Josine Junger-Tas and Scott. H. Decker (Eds.), Springer, Utrecht, Arizona, 2006, 98.

<sup>166</sup> Justice (Northern Ireland) Act, 2002, Section 53.

თილდღეობასა და მის ინტერესებს, იგი მეორეხარისხოვანი გარემოებაა.<sup>167</sup>

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისადმი რადიკალურად განსხვავებული მიდგომა აქვს შოტლანდიას. კერძოდ, შოტლანდიის კანონმდებლობა უფრო მეტად კეთილდღეობის მოძღვრებას ორიენტირებული, მიუხედავად იმისა, რომ ერთ საკანონმდებლო ორგანოს – გაერთიანებული სამეფოს პარლამენტს მიუძღვის წვლილი ორივე სამართლებრივი სისტემის შექმნაში.<sup>168</sup> აღსანიშნავია, რომ შოტლანდიაში, მოქმედებს არასრულწლოვნის კეთილდღეობის უპირველეს ყოვლისა გათვალისწინების პრინციპი და ყველა გადაწყვეტილება არასრულწლოვნის კეთილდღეობის უზრუნველყოფის ინტერესებიდან გამომდინარე უნდა იქნეს მიღებული.<sup>169</sup> მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, შოტლანდიაშიც კი საგამონაკლისო შემთხვევაში, შესაძლებელია არასრულწლოვნის კეთილდღეობის უპირატესობის როლი გარკვეულწილად შესუსტდეს საზოგადოების სერიოზული ზიანისაგან დაცვის მიზნით. მართალია, აღნიშნული მიდგომა პრაქტიკულად თითქმის არ გამოიყენება, მაგრამ შოტლანდიის კანონმდებლობაშიც კი ჰპოვა ასახვა სასჯელის მემკვიდრეობით არასრულწლოვანთა დანაშაულისაგან საზოგადოების დაცვის შესაძლებლობამ.<sup>170</sup>

---

<sup>167</sup> Graham J., Moore C., *Beyond Welfare Versus Justice: Juvenile Justice in England and Wales*, in: *International Handbook of Juvenile Justice*, Josine Junger-Tas and Scott. H. Decker (Eds.), Springer, Utrecht, Arizona, 2006, 78.

<sup>168</sup> Doob A.N., Tonry M., *Varieties of Youth Justice*, "Crime and Justice", Vol. 31, 2004, 14.

<sup>169</sup> Arthur R., *Protecting the Best Interests of the Child: A Comparative Analysis of the Youth Justice Systems in Ireland, England and Scotland*, "International Journal of Children's Rights", No.18, Issue 2, 2010, 227; *Study on Children's Involvement in Judicial Proceedings: Contextual Overview for the Criminal Justice Phase – Scotland*, European Commission, June 2013, 5; Burman M., McVie S., *Scotland*, in: *International Handbook of Juvenile Justice*, 2<sup>nd</sup> Edition, Scott H. Decker, Nerea Marteache (Eds.), Springer, Switzerland, 2017, 373; *Children (Scotland) Act, 1995*, sections 11 (7), 16(1); *Criminal Procedure (Scotland), Act, 1995*, Art. 50(6).

<sup>170</sup> Doob A.N., Tonry M., *Varieties of Youth Justice*, "Crime and Justice", Vol. 31, 2004, 15; *Children (Scotland) Act, 1995*, Sections 16 (5, b), 17 (5).

ირლანდიის კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, სასამართლოს დაეკისრა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინების ვალდებულება, თუმცა არა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საქმის განხილვისას, რაც შეგნებულად იქნა გამოტოვებული.<sup>171</sup> ძირითადი სამართლებრივი აქტი, რომელსაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა ეფუძნება არის ბავშვების შესახებ 2001 წლის აქტი,<sup>172</sup> რომელმაც ჩაანაცვლა საკმაოდ მოძველებული 1908 წლის აქტი.<sup>173</sup> თუმცა, 2001 წლის აქტი არ აკეთებს არავითარ დათქმას არასრულწლოვანი დამნაშავის საუკეთესო ინტერესების უპირველეს ყოვლისა გათვალისწინების თაობაზე. ნაცვლად ამისა, აღნიშნულია, რომ საუკეთესო ინტერესები უნდა დააბალანსოს სხვა კონფლიქტში მყოფმა ინტერესებმა,<sup>174</sup> რაც, მაგალითად, გამოიხატება იმაში, რომ დანაშაულის ჩამდენი არასრულწლოვანი შეიძლება განრიდებულ იქნეს სისხლისსამართლებრივი სისტემისაგან, თუ ეს ემსახურება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს და არ ეწინააღმდეგება მსხვერპლისა და საზოგადოების ინტერესებს.<sup>175</sup> ამავდროულად, მართალია, კანონი განსაზღვრავს სასჯელის დანიშვნისას კეთილდღეობაზე ორიენტირებული კრიტერიუმების გათვალისწინების ვალდებულებას, თუმცა საჭიროა მათი დაბალანსება დანაშაულის მსხვერპლის ინტერესების სამართლი-

---

<sup>171</sup> Arthur R., Protecting the Best Interests of the Child: A Comparative Analysis of the Youth Justice Systems in Ireland, England and Scotland, "International Journal of Children's Rights", No.18, Issue 2, 2010, 221; The Constitution of Ireland, 1937, Art. 42A(2,4).

<sup>172</sup> Seymour M., Ireland, in: International Handbook of Juvenile Justice, 2<sup>nd</sup> Edition, Scott H. Decker, Nerea Marteache (Eds.), Springer, Switzerland, 2017, 327.

<sup>173</sup> Study on Children's Involvement in Judicial Proceedings: Contextual Overview for the Criminal Justice Phase – Ireland, European Commission, June 2013, 5.

<sup>174</sup> Arthur R., Protecting the Best Interests of the Child: A Comparative Analysis of the Youth Justice Systems in Ireland, England and Scotland, "International Journal of Children's Rights", No.18, Issue 2, 2010, 222.

<sup>175</sup> Children Act, Ireland, 2001, Section 23 (2).

ანი გათვალისწინების ვალდებულებით.<sup>176</sup> ანალოგიურად, სისხლის სამართლის კანონიც არ ითვალისწინებს საუკეთესო ინტერესების უპირატესად გათვალისწინების შესაძლებლობას, არამედ ავალდებულებს სასამართლოს სათანადო მნიშვნელობა მიანიჭოს როგორც არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს, ისე დანაშაულის მსხვერპლის ინტერესებსა და საზოგადოების უსაფრთხოებას.<sup>177</sup> აღნიშნულის გათვალისწინებით, ბავშვის უფლებათა კომიტეტი ირლანდიისათვის შედგენილ პერიოდულ მოხსენებაში ყურადღებას ამახვილებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ბავშვის უფლებათა კონვენციასთან და სხვა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის აუცილებლობაზე<sup>178</sup> და მოითხოვს საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის გამოყენებას განურჩევლად ყველა სფეროში.<sup>179</sup>

როგორც უკვე აღინიშნა, ამერიკის შეერთებული შტატები გაეროს იმ ერთადერთ წევრ სახელმწიფოს წარმოადგენს, რომელსაც ჯერ კიდევ არ მოუხდენია ბავშვის უფლებათა კონვენციის რატიფიცირება. ამავდროულად, სწორედ ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩაეყარა საფუძველი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებას, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში პატერნალისტური სახელმწიფოს იდეას ემყარებოდა.<sup>180</sup> მართალია, იუვენალური იუსტიციის სისტემა ნებას რთავს კანონდამრღვევს იქონიოს

---

<sup>176</sup> იქვე, Section 96.

<sup>177</sup> Criminal Justice Act, Ireland, 2006, Section 136.

<sup>178</sup> Seymour M., Ireland, in: *International Handbook of Juvenile Justice*, 2<sup>nd</sup> Edition, Scott H. Decker, Nerea Marteache (Eds.), Springer, Switzerland, 2017, 330.

<sup>179</sup> Concluding Observations on the Combined Third and Fourth Periodic Reports of Ireland, Committee on the Rights of the Child, CRC/C/IRL/CO/ 3-4, 2016, Para. 29.

<sup>180</sup> Jensen E.L., Jepsen J., *Juvenile Law Violators, Human Rights and the Development of New Juvenile Justice Systems*, Oxford, Portland, 2006, 2; Taylor M., USA, *International Handbook of Juvenile Justice*, 2<sup>nd</sup> Edition, Scott H. Decker, Nerea Marteache (Eds.), Springer, Switzerland, 2017, 136; Clarke E. E., *Disrupting Injustice: Fifty Years Post Miranda and Gault: A Call to Action to Re-examine the Rights of Children in Conflict with the Law*, "South Dakota Law Review", Vol. 62, No. 3, 2017, 608, 619.

რეაბილიტაციის შანსი, თუმცა დასჯა გარკვეულ როლს თამაშობს აღნიშნულ სისტემაში.<sup>181</sup> დღეისათვის, ამერიკაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, რაც, მათ შორის, გამოიხატება არასრულწლოვანთა სასამართლოდან იურისდიქციის სრულწლოვანთა სასამართლოში გადაცემის მექანიზმის არსებობაში და რაც გულისხმობს არასრულწლოვნის, როგორც ზრდასრულ პირად გასამართლების შესაძლებლობას,<sup>182</sup> ასაკის მიუხედავად მაქსიმალური სასჯელის გამოყენებას.<sup>183</sup> აღნიშნული მექანიზმი დიდი მხარდაჭერით სარგებლობს საზოგადოებაში<sup>184</sup> და მისი არსებობის გასამართლებელ ძირითად არგუმენტს საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცულობა წარმოადგენს.<sup>185</sup> შესაბამისად, ამერიკელები დანაშაულებრიობასთან და დელიკვანტურობასთან ბრძოლის მიზნით, უფრო მეტად სადამსჯელო ზომებს ანიჭებენ უპირატესობას, ვიდრე სარეაბილიტაციოს.<sup>186</sup>

---

<sup>181</sup> ხერხეულიძე ი., პრობაციის ინსტიტუტი – არასრულწლოვან დამნაშავეთა რეინტეგრაციის უზრუნველყოფის ინსტრუმენტი (საქართველოსა და აშშ-ის სისხლისსამართლებრივი მიდგომის შედარებითი ანალიზი), ნიგნში: მზია ლეკვეიშვილი 85, მ. ივანიძის რედაქტორობით, თბილისი, 2014, 176.

<sup>182</sup> Cole F. F., Smith Ch. E., *Criminal Justice in America*, 6<sup>th</sup> Edition, Carolyn Henderson Meier (Ed.), Wadsworth Cengage Learning, Wadsworth, 2011, 442.

<sup>183</sup> Kilkelly U., *Advancing the Rights of Young People in Juvenile Justice: The Impact of Juvenile Law Center*, "Temple Law Review", Vol. 88, No. 4, 2016, 636.

<sup>184</sup> Steiner B., Hemmens C., *Issues Associated with Juvenile Waiver*, Handbook of Juvenile Justice: Theory and Practice, Barbara Sims, Pamela Preston (Eds.), CRC Press, Boca Raton, London, New-York, 2006, 315; Kupchik A., *Judging Juveniles: Prosecuting Adolescents in Adult and Juvenile Courts*, New-York University Press, New-York, London, 2006, 18.

<sup>185</sup> Hudson D.L., *Juvenile Justice*, Alan Marzilli (Ed.), Chelsea House Publishers, New-york, 2010, 31.

<sup>186</sup> ხერხეულიძე ი., არასრულწლოვანთა დანაშაული და მისი გამომწვევი მიზეზები იუვენალური იუსტიციის სისტემებში, „სამართლის ჟურნალი“, №2, 2012, 291.

ერთმანეთისაგან განასხვავებენ გადაცემის სამ ძირითად მეთოდს: სამოსამართლო, საპროკურორო და საკანონმდებლო.<sup>187</sup> სამოსამართლო მეთოდი გულისხმობს მოსამართლის მიერ, დისკრეციის ფარგლებში, საკუთარი ინიციატივით ან პროკურორის შუამდგომლობით, საქმის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და რეციდივის გათვალისწინებით. აღნიშნული მეთოდი ყველაზე მეტად გავრცელებულია და გაცილებით დიდი ხნის ისტორია გააჩნია ზემოაღნიშნულ ორ მეთოდთან შედარებით და მეტი მხარდაჭერითაც სარგებლობს.<sup>188</sup> ძალადობრივი დანაშაულის ზრდის საპასუხოდ, საზოგადოებამ მოითხოვა უფრო მკაცრი პოლიტიკის გატარება, რის შედეგადაც, დამკვიდრა არასრულწლოვან პირთა სისხლის სამართლის სასამართლოში გასამართლების მიზნით გადაცემის საპროკურორო და საკანონმდებლო მეთოდები.<sup>189</sup> საკანონმდებლო მეთოდი გულისხმობს კანონმდებლის მიერ გადაცემაზე კონტროლის განხორციელებას შესაბამისი ასაკისა და დანაშაულის კატეგორიის განსაზღვრის მეშვეობით, რა დროსაც არასრულწლოვანი ავტომატურად ექვემდებარება სისხლის სამართლის სასამართლოს იურისდიქციას. აღნიშნული გამორიცხავს მოსამართლის დისკრეციას.<sup>190</sup> რაც შეეხება საპროკურორო მეთოდს, ამ შემთხვევაში,

---

<sup>187</sup> Kupchik A., *Judging Juveniles: Prosecuting Adolescents in Adult and Juvenile Courts*, New-York University Press, New-York, London, 2006, 17; Hudson D.L., *Juvenile Justice*, Alan Marzilli (Ed.), Chelsea House Publishers, New-york, 2010, 31; Steiner B., Hemmens C., *Issues Associated with Juvenile Waiver*, in: *Handbook of Juvenile Justice: Theory and Practice*, Barbara Sims, Pamela Preston (Eds.), CRC Press, Boca Raton, London, New-York, 2006, 317-318.

<sup>188</sup> Steiner B., Hemmens C., *Issues Associated with Juvenile Waiver*, in: *Handbook of Juvenile Justice: Theory and Practice*, Barbara Sims, Pamela Preston (Eds.), CRC Press, Boca Raton, London, New-York, 2006, 318; Silva L. R., *The Best Interest is the Child: A Historical Philosophy for Modern Issues*, "Brigham Young University Journal of Public Law", Vol. 28, Issue 2, 2014, 430.

<sup>189</sup> Blumhardt L., *In the Best Interests of the Child: Juvenile Justice or Adult Retribution*, "University of Hawai'i Law Review", Vol. 23, 2000, 347-348.

<sup>190</sup> Kupchik A., *Judging Juveniles: Prosecuting Adolescents in Adult and Juvenile Courts*, New-York University Press, New-York, London, 2006, 16; Silva

პროკურორი დასაშვებობის კრიტერიუმების საფუძველზე, ღებულობს გადაწყვეტილებას, რომელ სასამართლოს გადასცეს საქმე განსახილველად, ყოველგვარი ზედამხედველობისა და სასამართლო კონტროლის განხორციელების გარეშე.<sup>191</sup> ეს მეთოდი ყველაზე მატად საკამათოა, რადგან პროკურორს, რომელიც ტრადიციულად უფრო მეტად დასჯაზეა ორიენტირებული, ვიდრე რეაბილიტაციაზე, ანიჭებს მნიშვნელოვან დისკრეციას.<sup>192</sup> საპროკურორო და საკანონმდებლო მეთოდების შემთხვევაში, თავად დანაშაული და არა დამნაშავე განსაზღვრავს სრულწლოვანთა სასამართლოსათვის არასრულწლოვნის გადაცემის საკითხს.<sup>193</sup>

მიუხედავად ზემოაღნიშნული მსჯელობისა, ამერიკის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში აღინიშნება არასრულწლოვანთა დასჯადობის ჰუმანიზაციისა და სისხლის სამართლის ლიბერალიზაციისკენ მიმართული მიდგომები. მაგალითად, სწორედ აშშ-ის სამართლებრივი გამოცდილების გაზიარებით განხორციელდა საქართველოში განრიდებისა და მედიაციის პროგრამის იმპლემენტაცია.<sup>194</sup> თუმცა, ცხადია, რომ აშშ-ში, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის გათვალისწინებით, უპირატესი ყურადღება ეთმობა საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველყოფას არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებთან შედარებით, რაც შესა-

---

L. R., *The Best Interest is the Child: A Historical Philosophy for Modern Issues*, "Brigham Young University Journal of Public Law", Vol. 28, Issue 2, 2014, 430.

<sup>191</sup> Kupchik A., *Judging Juveniles: Prosecuting Adolescents in Adult and Juvenile Courts*, New-York University Press, New-York, London, 2006, 16; Silva L. R., *The Best Interest is the Child: A Historical Philosophy for Modern Issues*, "Brigham Young University Journal of Public Law", Vol. 28, Issue 2, 2014, 430.

<sup>192</sup> Steiner B., Hemmens C., *Issues Associated with Juvenile Waiver*, in: *Handbook of Juvenile Justice: Theory and Practice*, Barbara Sims, Pamela Preston (Eds.), CRC Press, Boca Raton, London, New-York, 2006, 318.

<sup>193</sup> Blumhardt L., *In the Best Interests of the Child: Juvenile Justice or Adult Retribution*, "University of Hawai'i Law Review", Vol. 23, 2000, 342.

<sup>194</sup> ხერხეულიძე ი., არასრულწლოვანთა სასჯელის გამოყენების შედარებითი ანალიზი აშშ-სა და საქართველოში, წიგნში: არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების პრობლემები, მ. ლეკვიშვილისა და მ. შალიკაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2011, 235.

ძლოა განპირობებული იყოს სისხლის სამართლის პოლიტიკის წარმართვაზე საზოგადოებრივი აზრის გავლენით. ევროპულ ქვეყნებში, მათ შორის, გაერთიანებულ სამეფოში არასრულწლოვნებს ბევრად ნაკლებად დრაკონულ სანქციებთან უნევთ გამკლავება, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში.<sup>195</sup> ეჭვგარეშეა, რომ შეერთებული შტატები კვლავ აგრძელებს არასრულწლოვანთათვის ერთ-ერთ თუ არა ყველაზე მეტად დამსჯელობითი რეჟიმის გამოყენებას.<sup>196</sup>

კანადის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა დაწყებული 1908 წლიდან – კეთილდღეობის პრინციპებზე დაფუძნებული კანონმდებლობით, დამთავრებული 2003 წლით – სისხლისსამართლებრივ პრინციპებსა და პროპორციულობაზე დაფუძნებული კანონის ძალაში შესვლით.<sup>197</sup> დღეისათვის, კანადაში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების 2002 წლის აქტი,<sup>198</sup> რომლის პრეამბულაც სპეციალურ მითითებას აკეთებს ბავშვის უფლებათა კონვენციისა და არასრულწლოვნის უფლებების პატივისცემაზე. კონვენცია არაერთხელ ყოფილა გამოყენებული უზენაესი სასამართლოს მიერ და გადამწყვეტი მნიშვნელობა მინიჭებია ზემოაღნიშნული აქტის განმარტების თვალსაზრისით,<sup>199</sup> თუმცა საყურადღებოა, რომ კანონმდებლობა არ ითვალისწინებს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების

---

<sup>195</sup> Clarke E. E., *Disrupting Injustice: Fifty Years Post Miranda and Gault: A Call to Action to Re-examine the Rights of Children in Conflict with the Law*, “South Dakota Law Review”, Vol. 62, No. 3, 2017, 623.

<sup>196</sup> Kilkelly U., *Advancing the Rights of Young People in Juvenile Justice: The Impact of Juvenile Law Center*, “Temple Law Review”, Vol. 88, No. 4, 2016, 632.

<sup>197</sup> Doob A. N., Spratt J. B., *Youth Justice in Canada*, “Crime and Justice”, Vol. 31, 2004, 185.

<sup>198</sup> Youth Criminal Justice Act, Canada, 2002.

<sup>199</sup> Bala N., Carrington P. J., Canada, in: *International Handbook of Juvenile Justice*, 2<sup>nd</sup> Edition, Scott H. Decker, Nerea Marteache (Eds.), Springer, Switzerland, 2017, 92.

პრიორიტეტულობის პრინციპს, არამედ ამჟამად გამოკვეთილია საზოგადოების დაცულობის უზრუნველყოფის ინტერესი, თუმცა კეთილდღეობაზე დაფუძნებული მიდგომის მეშვეობით. კერძოდ, საზოგადოების დაცულობა უნდა განხორციელდეს არასრულწლოვნისათვის დანაშაულის სიმძიმისა და პასუხისმგებლობის ხარისხის პროპორციული სასჯელის დაკისრებით, რეაბილიტაცია-რეინტეგრაციის ხელშეწყობითა და არასრულწლოვნის სათანადო პროგრამებში ჩართულობის მეშვეობით დანაშაულის პრევენციის უზრუნველყოფით.<sup>200</sup> საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის ერთ-ერთ საშუალებად ასევე მიიჩნევა არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი სისტემის სრულწლოვანთა სისტემისაგან განცალკევება.<sup>201</sup> ამასთან, კანონმდებლობა მიზანდინამოვნად ისახავს ისეთი სამართლიანი სასჯელის გამოყენებას, რომელსაც ექნება მნიშვნელოვანი შედეგები არასრულწლოვნისათვის და რომელიც ხელს შეუწყობს მის რეაბილიტაცია-რესოციალიზაციას, შედეგად, წვლილს შეიტანს საზოგადოების გრძელვადიან დაცულობაში. ამავდროულად, სასჯელის შეფარდების ერთ-ერთ პრინციპად განიხილება სასჯელის პროპორციულობა ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესთან და დანაშაულისათვის არასრულწლოვნის პასუხისმგებლობის ხარისხთან.<sup>202</sup>

აღსანიშნავია, რომ 2012 წელს უსაფრთხო ქუჩებისა და საზოგადოების აქტის<sup>203</sup> მიღებით არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების აქტში განხორციელდა ცვლილებები, რომლითაც გამკაცრდა არასრულწლოვნებისადმი მიდგომა და უფრო მეტად სადამსჯელო ხასიათი მიიღო. ყოველივეს გათვალისწინებით, ბავშვის უფლებათა კომიტეტი რეკომენდაციას

---

<sup>200</sup> Youth Criminal Justice Act, Canada, 2002, Section 3 (1, a).

<sup>201</sup> *ibid*, Section 3 (1, b).

<sup>202</sup> Youth Criminal Justice Act, Canada, 2002, Section 38(1), 38 (2,c); იმერლიშვილი ი., არასრულწლოვანთა უფლებები: საერთაშორისო გამოცდილება და საქართველოში არსებული მდგომარეობა, წიგნში: ადამიანის უფლებათა დაცვა, კონსტიტუციური რეფორმა და სამართლის უზენაესობა საქართველოში (სტატიათა კრებული), კ. კორკელიას რედაქტორებით, თბილისი, 2017, 73.

<sup>203</sup> Safe Streets and Communities Act (S.C. 2012, c. 1), Canada.

აძლევს სახელმწიფოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ბავშვის უფლებათა კონვენციასთან და სხვა სათანადო საერთაშორისო აქტებთან შესაბამისობაში მოყვანის თაობაზე.<sup>204</sup>

ახალ ზელანდიაში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული საკითხები მონესრიგებულია 1989 წლის ბავშვებისა და ახალგაზრდების კეთილდღეობის აქტით. აღნიშნული აქტის მიღებამდე მოქმედებდა 1974 წლის კანონი, რომლის ძირითადი პრინციპი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა იყო და ცალსახად მიანიშნებდა კეთილდღეობის მოდელის უპირატესობაზე, თუმცა ენთუზიაზმი, რაც ხსენებულ კანონს თან სდევდა, მალე შეიცვალა კრიტიკით, როგორც ეს ბევრ ქვეყანაში მოხდა და 1989 წლის აქტმა მიზნად დაისახა არასრულწლოვანთა მიერ პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება.<sup>205</sup> განხორციელებული ცვლილებების შედეგად, ერთმანეთისაგან გაიმიჯნა და ცალკე ნაწილებად ჩამოყალიბდა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება და ბავშვთა მოვლა-მზრუნველობა. აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული აქტი ერთ-ერთი ზოგადი პრინციპის სახით იცნობს არასრულწლოვნის კეთილდღეობისა და მისი ინტერესების პრიორიტეტულობას, თუმცა იმ დათქმით, რომ ეს პრინციპი არ ვრცელდება ამ აქტით გათვალისწინებულ იმ თავებზე, რომლებიც შეეხება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასა და სამართალწარმოებას არასრულწლოვანთა სასამართლოში.<sup>206</sup> სწორედ ამიტომ, ბავშვის უფლებათა კომიტეტი რეკომენდაციას აძლევს სახელმწიფოს, უზრუნველყოს საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულად გათვალისწინების უფლების სათანადოდ ინტეგრირება და გამოყენება განურჩევლად ყველა სასამართლო პროცედურასა

---

<sup>204</sup> Concluding Observations on the Combined Third and Fourth Periodic Report of Canada, Adopted by the Committee at its Sixty-First Session (17 September – 5 October 2012), Committee on the Rights of the Child, 6 December 2012, Paras. 85-86.

<sup>205</sup> Bradley T., Tauri J., Walter R., Demythologising Youth Justice in Aotearoa/New-Zealand, in: Comparative Youth Justice: Critical Issues, John Muncie, Barry Goldson (Eds.), SAGE Publications, London, Thousand Oaks, New Delhi, 2006, 82.

<sup>206</sup> Children's and Young People's Well-being Act 1989, New-Zealand, Art. 6.

თუ გადაწყვეტილებაში.<sup>207</sup> მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პრინციპები თავისი შინაარსით გარკვეულწილად ორიენტირებულია არასრულწლოვნის კეთილდღეობაზე, მაგრამ, ამავდროულად, მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა საზოგადოებრივ ინტერესს. კერძოდ, კანონი ერთ-ერთ პრინციპად აღიარებს ალტერნატიულ საშუალებათა არსებობისას არასრულწლოვნის მიმართ სისხლისსამართლებრივი პროცედურების წარმართვის დაუშვებლობას, გარდა იმ შემთხვევისა, თუ საჯარო ინტერესი სხვაგვარად არ მოითხოვს. აგრეთვე მნიშვნელოვანია დანაშაულის ჩამდენი არასრულწლოვნის საზოგადოებაში შენარჩუნების პრინციპი, იმ პირობით, თუ ეს შესაბამისობაშია საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინტერესთან.<sup>208</sup> გარდა ამისა, დანაშაულებრიობის საპასუხო ღონისძიების განსაზღვრისას კანონმდებლობა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მხხვერპლის ინტერესებსა და მოსაზრებებს.<sup>209</sup>

### 4.3. არსებული პრაქტიკის შეჯამება

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა და კეთილდღეობაზე ორიენტირებული მართლმსაჯულება არაერთი ქვეყნის კანონმდებლობისთვის იყო ცნობილი, თუმცა დროთა განმავლობაში არსებულმა მიდგომებმა გარკვეული ცვლილებები განიცადა, რასაც ზემოთ განხილული ქვეყნების მაგალითებიც ადასტურებს. კეთილდღეობის მოდელი ნაწილობრივ ჩაანაცვლა მართლმსაჯულების მოდელმა, რაც შესაძლოა აიხსნას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებით, რომლის ერთადერთ სამიზნეს ბავშვზე მზრუნველობა არ წარმოადგენს

---

<sup>207</sup> Consideration of Reports Submitted by States Parties Under Article 44 of the Convention, New Zealand, Committee on the Rights of the Child, CRC/C/NZL/5, 11 January, 2016, Para. 16.

<sup>208</sup> Children's and Young People's Well-being Act 1989, New-Zealand, Art. 208 (a,d).

<sup>209</sup> იქვე, Art. 208 (g).

და სადაც მკვეთრად გამოხატულია მართლმსაჯულების სხვა ინტერესები.

ყოველივე ზემოაღნიშნული ნათლად წარმოაჩენს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში ინტერესთა დაპირისპირების სიმწვავეს და არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებთან ერთად მართლმსაჯულების სხვა ინტერესთა არანაკლებ მნიშვნელობას, რაც საუკეთესო გამოსავლის სახით, ბალანსის დაცვას საჭიროებს. ზემოთგანხილული ქვეყნების კანონმდებლობის ანალიზი ცხადყოფს, რომ ბევრ სახელმწიფოში საერთოდ არ მოქმედებს საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, ხოლო ის სახელმწიფოები, რომლებიც ორიენტირებული არიან არასრულწლოვნის კეთილდღეობაზე, ამავდროულად, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესს და თავად საკანონმდებლო რეგულაციებით უზრუნველყოფენ არასრულწლოვნისა და საზოგადოების, მსხვერპლის ინტერესების დაბალანსებას.

არსებული მოსაზრებით, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა, როგორც სახელმძღვანელო პრინციპი ნაკლები სიხშირით გამოიყენება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, განსხვავებით სხვა სამართლებრივი პროცედურებისგან.<sup>210</sup> სწორედ ამავე მოსაზრებას ავითარებს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტიც და ყურადღებას ამახვილებს არასრულწლოვნებისადმი სრულწლოვანთა მსგავსად მოპყრობის თვალსაზრისით ევროსაბჭოს წევრ ქვეყნებში შემამფოთებელი ტენდენციის არსებობის შესახებ.<sup>211</sup> აღნიშნულს ზემოთგანხილული ქვეყნების პრაქტიკაც ადასტურებს. მართალია, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტრუმენტთა შორის ბავშვის უფლებათა კონ-

---

<sup>210</sup> Rap-Leurs S. E., *The Participation of Juvenile Defendants in the Youth Court: A Comparative Study of Juvenile Justice Procedures in Europe*, Utrecht University, 2013, 55.

<sup>211</sup> *Guidelines of the Committee of Ministers of the Council of Europe on Child-Friendly Justice, Explanatory Memorandum, Adopted by the Committee of Ministers of the Council of Europe, Council of Europe Publishing, 17 November, 2010, III, B, 38.*

ვენცია ყველაზე მეტად რატიფიცირებადი აქტია,<sup>212</sup> მაგრამ როგორც ჩანს, ამავდროულად, ყველაზე მეტად ხდება მისი უგულებელყოფა, განსაკუთრებით არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში.<sup>213</sup> კონვენცია აწესებს გლობალურ სტანდარტს და ახდენს იმ ცხადი ფაქტის იგნორირებას, რომ მსოფლიოს მასშტაბით ბავშვობის სხვადასხვა გაგება არსებობს.<sup>214</sup> გასაზიარებელია იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ „არასრულწლოვანთა სამართლის“ შექმნა ძალიან რთული პროცესია, ვინაიდან იგი ბავშვებთან არის დაკავშირებული და ამ მხრივ, თითოეულ ქვეყანას თავისი პრობლემები ახასიათებს,<sup>215</sup> რაც აისახება კიდევ სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობასა და სისხლისსამართლებრივ პოლიტიკაზე. მიუხედავად იმისა, რომ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობას საქართველოს კანონმდებლობაში 2015 წლამდე არსებობის ისტორია არ გააჩნია და უფრო მეტიც, არასრულწლოვანთა მიმართ მკაცრი სასჯელის გამოყენება და ამ გზით დანაშაულებრივი მენტალიტეტის შეცვლა საზოგადოების სიმშვიდის უზრუნველმყოფი იყო,<sup>216</sup> დღეისათვის, საქართველოში მსოფლიოს მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე პროგრესული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა მოქმედებს და შეიძლება ითქვას, რომ თითქმის სრულად პასუხობს ბავ-

---

<sup>212</sup> Awan N. S., Balancing a Child's Right to Be Heard with Protective Measures Undertaken in "The Best Interests of the Child": Does the International Criminal Court Get it Right?, "Children's Legal Rights Journal", Vol. 35, Issue 6, 2015, 99.

<sup>213</sup> Goldson B., Muncie J., Towards a Global "Child Friendly" Juvenile Justice?, "International Journal of Law", "Crime and Justice", Vol. 40, Issue 1, 2012, 51.

<sup>214</sup> Freeman M., The Value and Values of Children's Rights, in: The Human Rights of Children from Visions to Implementation, Antonella Invernizzi, Jane Williams (Eds.), Ashgate Publishing Limited, Swansea University, Wales, UK, 2011, 27.

<sup>215</sup> ივანიძე მ., არასრულწლოვანი და მისი საუკეთესო ინტერესები, წიგნი: არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, თბილისი, 2017, 39.

<sup>216</sup> გვენეტაძე ნ., კვაჭაძე მ., ნიკლაური-ლამიხი ე., გაბუნია მ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება: განრიდება და მედიაცია, თბილისი, 2012, 71.

შვის უფლებათა კონვენციის ძირითად სულისკვეთებას, მათ შორის, საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულად გათვალისწინების კონტექსტში. ბავშვის უფლებათა კომიტეტი თავის დასკვნით მოსაზრებაში მიესალმება საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში ასახვას, თუმცა, ამავდროულად, იძლევა სახელმწიფოს მიერ ძალისხმევის გაძლიერების რეკომენდაციას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს პრინციპის სათანადოდ ინტეგრირება, ინტერპრეტირება და გამოყენება ყველა საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და სასამართლო პროცედურაში. ამ თვალსაზრისით, კომიტეტი მოუწოდებს საქართველოს შესაბამისი პროცედურების განხორციელებისა და კრიტერიუმების განვითარებისაკენ, რათა ყველა სათანადო პირი უზრუნველყოს საუკეთესო ინტერესების განსასაზღვრად და უპირატესობის მისანიჭებლად საჭირო მითითებებით.<sup>217</sup>

---

<sup>217</sup> Concluding Observations on the Fourth Periodic Report of Georgia, Committee on the Rights of the Child, CRC/C/GEO/CO/4, 9 March 2017, Para. 16.

## თავი II. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის ანალიზი

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის განმტკიცების ყველაზე მყარ გარანტიას წარმოადგენს ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლი, რომლის საბოლოო სახით ჩამოყალიბებას თითქმის 11 წელი დასჭირდა.<sup>218</sup> შესაბამისად, მნიშვნელოვანია, სწორედ კონვენციის ტრილში წარმოჩინდეს პრინციპის სამართლებრივი ანალიზი.

1978 წელს პოლონეთის მიერ შემუშავებულ იქნა ბავშვის უფლებათა კონვენციის პროექტი, რომლის მე-2 მუხლი ითვალისწინებდა საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპს შემდეგი სახით: „ბავშვს უფლება აქვს უზრუნველყოფილ იქნეს სათანადო დაცვით, მიეცეს კანონიერი და სხვა საშუალებები განვითარდეს ფიზიკურად, გონებრივად, მორალურად, სულიერად და სოციალურად ჯანსაღი და ნორმალური გზით მისი თავისუფლებისა და ღირსების შესაბამის გარემოში. აღნიშნული მიზნით კანონთა მიღების პროცესში მხოლოდ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები უნდა იქნეს გათვალისწინებული“.<sup>219</sup> პრინციპის ამგვარი ფორმულირება ეფუძნებოდა 1959 წლის დეკლარაციას და მაშასადამე, ასახავდა ამ უკანასკნელის მიერ დამკვიდრებულ საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის მოქმედების შეზღუდულ პერსპექტივას.<sup>220</sup> პროექტის ამ სახით ფორმულირებაზე სახელმწიფოთა წარმომადგენლების მიერ გამოითქვა არაერთი შენიშვნა თუ კომენტარი და შედეგად, 1979 წელს სამუ-

---

<sup>218</sup> Freeman M., A Commentary on the United Nations Convention on the Rights of the Child, Article 3, Best Interests of the Child, André Alen, Johan Vande Lanotte, Eugene Verhellen, Fiona Ang, Eva Berghmans, Mieke Verheyde (Eds.), Martinus Nijhoff Publishers, Leiden, Boston, 2007, 44.

<sup>219</sup> Legislative History of the Convention on the Rights of the Child, Vol. 1, Office of the United Nations High Commissioner for Human Rights, New York, Geneva, 2007, 335.

<sup>220</sup> Cantwell N., Are “Best Interests” A Pillar or a Problem for Implementing the Human Rights of Children?, in: The United Nations Convention on the Rights of the Child: Taking Stock After 25 Years and Looking Ahead, Ton Liefwaard, Julia Sloth-Nielsen (Eds.), Brill Nijhoff, Leiden, Boston, 2017, 63.

შაო ჯგუფს წარედგინა განახლებული ვერსია კონვენციის მე-3 მუხლის სახით: „ბავშვების მიმართ ყველა მოქმედებაში, იმის მიუხედავად მიმართავენ მას მისი მშობლები, მზრუნველები, სოციალური ან სახელმწიფო ინსტიტუციები, სასამართლოები თუ ადმინისტრაციული ორგანოები, გათვალისწინებულ უნდა იქნეს მხოლოდ ბავშვის საუკეთესო ინტერესები“. თუმცა, არც აღნიშნული ფორმულირება აღმოჩნდა ყველა სახელმწიფოსათვის მისაღები და ტექსტის პირველი მოსმენისას (1979-1988 წლებში) არაერთი ქვეყნის დელეგაციამ გამოთქვა შენიშვნა, მათ შორის, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ავსტრალიამ, რომლებმაც 1981 წელს გამართულ სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე წარადგინეს ალტერნატიული პროექტები. 1988-1989 წლებში გაიმართა მეორე მოსმენა და საბოლოოდ, ხანგრძლივი განხილვისას მიღწეული კონსენსუსის შედეგად, კონვენციის მე-3 მუხლის ტექსტი მიღებულ იქნა იმ სახით, რა სახითაც დღეს არსებობს.<sup>221</sup> „ბავშვების მიმართ ყველა მოქმედებაში იმის მიუხედავად, მიმართავენ მას სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას“.

## **1. საუკეთესო ინტერესის ცნება**

### **1.1. საუკეთესო ინტერესისა და**

#### **კეთილდღეობის ცნებების ურთიერთგამიჯვნა**

ტერმინი „საუკეთესო ინტერესები“ ფართო გაგებით აღწერს არასრულწლოვნის კეთილდღეობას.<sup>222</sup> სწორედ კეთილდღეობა

---

<sup>221</sup> Legislative History of the Convention on the Rights of the Child, Vol. 1, Office of the United Nations High Commissioner for Human Rights, New York, Geneva, 2007, 335-348; Freeman M., A Commentary on the United Nations Convention on the Rights of the Child, Article 3, Best Interests of the Child, André Alen, Johan Vande Lanotte, Eugeen Verhellen, Fiona Ang, Eva Berghmans, Mieke Verheyde (Eds.), Martinus Nijhoff Publishers, Leiden, Boston, 2007, 44.

<sup>222</sup> UNHCR Guidelines on Determining the Best Interests of the Child, United Nations High Commissioner for Refugees, Geneva, May, 2008, 14; UNHCR

გახლავთ საუკეთესო ინტერესების ტრადიციული გაგება.<sup>223</sup> ერთი შეხედვით, საუკეთესო ინტერესები და კეთილდღეობა იდენტური ცნებებია, ვინაიდან ორივე მათგანი არასრულწლოვანს განსაკუთრებული საჭიროებების მქონე სუბიექტად განიხილავს, რომელსაც სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი ზრუნვა და დახმარება ესაჭიროება. მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი ნაცვლად საუკეთესო ინტერესისა, ყურადღებას ამახვილებს კეთილდღეობის ცნებაზე, რაც მიანიშნებს მის განსხვავებულ მნიშვნელობაზე. კერძოდ, კეთილდღეობა არის შედეგი, რომელიც უნდა იქნეს მიღწეული და არა გადანყვეტილების მისაღებად საჭირო კრიტერიუმი.<sup>224</sup>

საუკეთესო ინტერესისა და კეთილდღეობის ცნებებს შორის ბევრი საერთო ნიშნის არსებობის მიუხედავად, იკვეთება რამდენიმე მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ფაქტორიც. კერძოდ, საუკეთესო ინტერესის ცნებისაგან განსხვავებით, კეთილდღეობის ცნება არასრულწლოვანის უფლებებს არ ანიჭებს არანაირ მნიშვნელობას. მას მხოლოდ პატერნალისტური, დაცვითი ფუნქცია გააჩნია და შესაბამისი პირის მიერ გადანყვეტილებები მიიღება დამოუკიდებლად, ბავშვის ყოველგვარი მონაწილეობის გარეშე, მაშინ როდესაც საუკეთესო ინტერესები მეტად ორიენტირებულია ბავშვის უფლებებზე და განიმარტება, როგორც არასრულწლოვანის

---

Guidelines on Formal Determination of the Best Interests of the Child, United Nations High Commissioner for Refugees, May, 2006, 6; Parker S., The Best Interests of the Child – Principles and Problems, "International Journal of Law and Family", Vol. 8, Issue 1, 1994, 26; Field Handbook for the Implementation of UNHCR BID Guidelines, United Nations High Commissioner for Refugees, 2011, 3.

<sup>223</sup> Howe R.B., Covell K., Education in the Best Interests of the Child: A Children's Rights Perspective on Closing the Achievement Gap, University of Toronto Press, Toronto, Buffalo, London, 2013, 20.

<sup>224</sup> Sutherland E. E., Article 3 of the United Nations Convention on the Rights of the Child: The Challenges of Vagueness and Priorities, in: Implementing Article 3 of the United Nations Convention on the Rights of the Child: Best Interests, Welfare and Well-being, Elaine E. Sutherland, Lesley-Anne Barnes Macfarlane (Eds.), Cambridge University Press, 2016, 23.

უფლება, პრინციპი და საპროცესო ნორმა.<sup>225</sup> შემდეგი განმასხვავებელი ნიშანი მდგომარეობს დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში. კერძოდ, კეთილდღეობის ცნება გულისხმობს გადაწყვეტილების მიმღები პირის შეუზღუდავ, ფართო დისკრეციას ბავშვის უფლებების მხედველობაში მიღების ვალდებულებით შეზღუდვის გარეშე.<sup>226</sup> გარდა ამისა, კეთილდღეობის ტესტი, საუკეთესო ინტერესის ტესტისგან განსხვავებით, არ ავალდებულებს შესაბამის პირს, მიიღოს ბავშვის ინტერესებისათვის საუკეთესო გადაწყვეტილება. შესაბამისად, გადაწყვეტილება, რომელიც კეთილდღეობის გათვალისწინებით მიიღება, არ ნიშნავს, რომ არის ერთადერთი საუკეთესო არჩევანი.<sup>227</sup> და ბოლოს, დღეისათვის საუკეთესო ინტერესების ცნება უფრო ფართოდ გამოყენებადია, ვიდრე არასრულწლოვნის კეთილდღეობა, რომელსაც შეზღუდული გამოყენების ფარგლები გააჩნდა.<sup>228</sup>

ამრიგად, ზემოაღნიშნულ განმასხვავებელ ნიშანთა მხედველობაში მიღების პარალელურად, შეიძლება ითქვას, რომ საუკეთესო ინტერესის ცნება წარმოადგენს კეთილდღეობის ცნების თანამედროვე გაგებას. გასათვალისწინებელია, რომ ხშირად საუკეთესო ინტერესის ცნება გაიგივებულია ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესის ცნებასთან. ამ უკანასკნელს ჯერ კიდევ არასრულწლოვანთა

---

<sup>225</sup> Khazova O., *Interpreting and Applying the Best Interests of the Child: The Main Challenges*, in: *The Best Interests of the Child – A Dialogue Between Theory and Practice*, Milka Sormunen (Ed.), Council of Europe, 2016, 28; Howe R.B., Covell K., *Education in the Best Interests of the Child: A Children's Rights Perspective on Closing the Achievement Gap*, University of Toronto Press, Toronto, Buffalo, London, 2013, 21.

<sup>226</sup> Howe R.B., Covell K., *Education in the Best Interests of the Child: A Children's Rights Perspective on Closing the Achievement Gap*, University of Toronto Press, Toronto, Buffalo, London, 2013, 21.

<sup>227</sup> Elliston S., *The Best Interests of the Child in Healthcare*, Sheila M.A. Mclean (Ed.), Routledge Cavendish Publishing, London, New-York, 2007, 14; Holm S., Edgar A., *Best interest: A Philosophical Critique*, "Health Care Analysis Journal", Vol. 16, issue 3, 2008, 198.

<sup>228</sup> Howe R.B., Covell K., *Education in the Best Interests of the Child: A Children's Rights Perspective on Closing the Achievement Gap*, University of Toronto Press, Toronto, Buffalo, London, 2013, 21.

მართლმსაჯულების კოდექსის მიღებამდე ითვალისწინებდა არაერთი სამართლებრივი აქტი<sup>229</sup> და კვლავ გამოიყენება იურიდიულ ლიტერატურასა თუ სასამართლო პრაქტიკაში, როგორც საუკეთესო ინტერესის ცნების სინონიმი.

## 1.2. საუკეთესო ინტერესის ცნების განუსაზღვრელობა

მიუხედავად საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის საყოველთაო აღიარებისა, საუკეთესო ინტერესების ცნების განსაზღვრა კვლავ პრობლემურ საკითხად რჩება.<sup>230</sup> იგი წარმოადგენს ბავშვის უფლებათა კონვენციის ერთ-ერთ ყველაზე მეტად არასწორად გაგებულ ცნებას, რის გამოც ბავშვის უფლებათა კომიტეტს ხშირად გამოუთქვამს წუხილი თავის მოხსენებებში.<sup>231</sup> საუკეთესო ინტერესის ცნების განსაზღვრის პირველი მცდელობა პოლონეთის მიერ შემუშავებულ კონვენციის პროექტის თავდაპირველ, 1978 წლის ვერსიაში დაფიქსირდა, სადაც აღნიშნული იყო, რომ საუკეთესო ინტერესები გულისხმობდა ბავშვის ფიზიკურ, გონებრივ, სულიერ, მორალურ და სოციალურ განვითარებას.

---

<sup>229</sup> იხ. მაგ., „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-11 მუხლის მე-4 პუნქტი, 487 მუხლის პირველი პუნქტი; „არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 22 მარტის №235 ბრძანებულებით დამტკიცებული „არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგია“; „სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 8 ოქტომბრის №181 ბრძანებით დამტკიცებული „სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები“.

<sup>230</sup> Degol A., Dinku Sh., Notes on the Principle “Best Interest of the Child”: Meaning, History and its Place Under Ethiopian Law, “Mizan Law Review”, Vol. 5, No. 2, 2011, 324.

<sup>231</sup> Ghilechi V., The Best Interests of the Child in Removal Decisions – A Parliamentary Perspective, in: The Best Interests of the Child – A Dialogue Between Theory and Practice, Milka Sormunen (Ed.), Council of Europe, 2016, 122.

რებას.<sup>232</sup> შემოთავაზებული დეფინიცია ცხარე დისკუსიის საგანი გახდა სახელმწიფოთა დელეგაციებს შორის.<sup>233</sup> შედეგად, ტექსტის რედაქციიდან ამოღებულ იქნა საუკეთესო ინტერესების განმარტება.<sup>234</sup> ამრიგად, ბავშვის უფლებათა კონვენცია არ გვთავაზობს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დეფინიციას და არც მისი განსაზღვრის კონკრეტულ ფაქტორებზე მიუთითებს, რაც განაპირობა ტექსტის შემუშავების პროცესში საკმაოდ ბევრი სახელმწიფოს ჩართულობამ და ერთიან ცნებაზე კონსენსუსის მიღწევის შეუძლებლობამ; საუკეთესო ინტერესების განსაზღვრის სირთულეებმა განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საკითხი ჯერ კიდევ შესწავლის საგანს წარმოადგენდა; ასევე სხვადასხვა კულტურული თუ რელიგიური ტრადიციების მხედველობაში მიღების მიზანშეწონილობამ, რის გამოც საკითხი ღიად იქნა დატოვებული და სახელმწიფოებს მიეცათ ინტერპრეტირების შესაძლებლობა.<sup>235</sup> ამის შემდეგ, არაერთ გამოჩენილ მეცნიერს ჰქონია საუკეთესო ინტერესების განსაზღვრისა თუ მის განსასაზღვრად სათანადო ფაქტორთა შემუშავების მცდელობა, თუმცა უშედეგოდ. ვერავინ შეძლო ერთი ყოვლისმომცველი ცნების ჩამოყალიბება, რომელიც გამოსადეგი იქნებოდა ნებისმიერ სიტუაციაში, ყოველგვარი

---

<sup>232</sup> Legislative History of the Convention on the Rights of the Child, Vol. 1, Office of the United Nations High Commissioner for Human Rights, New York, Geneva, 2007, 335.

<sup>233</sup> Freeman M., A Commentary on the United Nations Convention on the Rights of the Child, Article 3, Best Interests of the Child, André Alen, Johan Vande Lanotte, Eugeen Verhellen, Fiona Ang, Eva Berghmans, Mieke Verheyde (Eds.), Martinus Nijhoff Publishers, Leiden, Boston, 2007, 50; Legislative History of the Convention on the Rights of the Child, Vol. 1, Office of the United Nations High Commissioner for Human Rights, New York, Geneva, 2007, 336.

<sup>234</sup> Legislative History of the Convention on the Rights of the Child, Vol. 1, Office of the United Nations High Commissioner for Human Rights, New York, Geneva, 2007, 337-338.

<sup>235</sup> Howe R.B., Covell K., Education in the Best Interests of the Child: A Children's Rights Perspective on Closing the Achievement Gap, University of Toronto Press, Toronto, Buffalo, London, 2013, 23.

გამონაკლისების გარეშე.<sup>236</sup> 2013 წელს №14 ზოგადი კომენტარის მიღებითა და, შესაბამისად, საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის სამმაგი ბუნების – უფლება, ფუნდამენტური პრინციპი და პროცედურული წესი – წარმოჩენით ბავშვის უფლებათა კომიტეტი შეეცადა შეემცილებინა საუკეთესო ინტერესების ტესტთან დაკავშირებული ბუნდოვანება<sup>237</sup> და ხორცი შეესხა საუკეთესო ინტერესის ცნებისთვის, რისთვისაც კომიტეტს ბავშვის უფლებათა კონვენციის მიღებიდან ოც წელზე მეტი დასჭირდა, რაც საკითხის ექსტრაორდინალური სირთულით აიხსნება.<sup>238</sup>

ისევე როგორც ღირებულებები და სოციალური ნორმები არ არის ყველგან ერთნაირი, სწორედ ასეა საუკეთესო ინტერესის ცნების გაგებაც.<sup>239</sup> საუკეთესო ინტერესები განსხვავებულად განიმარტებოდა სხვადასხვა საზოგადოების მიერ სხვადასხვა ეპოქაში.<sup>240</sup> მისი განმარტება მჭიდრო კავშირშია კულტურასთან და განსხვავებული კულტურის მქონე საზოგადოებას არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების განსხვავებული აღქმა გააჩნია,<sup>241</sup> რაც

---

<sup>236</sup> Khazova O., *Interpreting and Applying the Best Interests of the Child: The Main Challenges*, in: *The Best Interests of the Child – A Dialogue Between Theory and Practice*, Milka Sormunen (Ed.), Council of Europe, 2016, 27.

<sup>237</sup> Sutherland E. E., *Article 3 of the United Nations Convention on the Rights of the Child: The Challenges of Vagueness and Priorities*, in: *Implementing Article 3 of the United Nations Convention on the Rights of the Child: Best Interests, Welfare and Well-being*, Elaine E. Sutherland, Lesley-Anne Barnes Macfarlane (Eds.), Cambridge University Press, 2016, 22.

<sup>238</sup> Khazova O., *Interpreting and Applying the Best Interests of the Child: The Main Challenges*, in: *The Best Interests of the Child – A Dialogue Between Theory and Practice*, Milka Sormunen (Ed.), Council of Europe, 2016, 28.

<sup>239</sup> Degol A., Dinku Sh., *Notes on the Principle “Best Interest of the Child”: Meaning, History and its Place Under Ethiopian Law*, “Mizan Law Review”, Vol. 5, No. 2, 2011, 324.

<sup>240</sup> Freeman M., *A Commentary on the United Nations Convention on the Rights of the Child, Article 3, Best Interests of the Child*, André Alen, Johan Vande Lanotte, Eugeen Verhellen, Fiona Ang, Eva Berghmans, Mieke Verheyde (Eds.), Martinus Nijhoff Publishers, Leiden, Boston, 2007, 27.

<sup>241</sup> იქვე, 33.

დღემდე დისკუსიის საგანს წარმოადგენს.<sup>242</sup> საუკეთესო ინტერესის ცნება დამოკიდებულია დროსა და სივრცეზე. იგი ემყარება კონკრეტული დროის პერიოდში არსებულ მცნიერულ ცოდნას ბავშვის სტატუსის შესახებ და კონკრეტულ პერიოდში გაბატონებულ თეორიებს. მისი დამოკიდებულება სივრცეზე გულისხმობს კონკრეტულ ქვეყანაში არსებული სტანდარტების გავლენას.<sup>243</sup> ამრიგად, საუკეთესო ინტერესის ცნება ევოლუციური, განვითარებადი ხასიათისაა.<sup>244</sup>

საუკეთესო ინტერესების ტესტის განხორციელება რთულია მკაფიო სახელმძღვანელო მითითებების გარეშე. ზოგ ქვეყანაში კანონმდებელმა განსაზღვრა საუკეთესო ინტერესების შესაფასებლად მოსამართლისა და სხვა შესაბამის პირთა მიერ მხედველობაში მისაღები გარემოებები/ელემენტები.<sup>245</sup> ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ინგლისისა<sup>246</sup> და ესპანეთის<sup>247</sup> კანონმდებლობა. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ ქვეყანაში, საუკეთესო ინტერესების განსაზღვრად პრეცედენტული სამართლის მეშვეობით ჩამოყა-

---

<sup>242</sup> Saudamini S., *Child Rights and Transnational Justice*, in: *Children and Transnational Justice: Truth-telling, Accountability and Reconciliation*, Sharanjeet Rarmar, Mindy Jane Roseman, Saudamini Siegrist, Theo Sowa (Eds.), UNICEF, 2010, 17.

<sup>243</sup> Zermatten J., *The Best Interests of the Child Principle: Literal Analysis and Function*, "International Journal of Children's Rights", Vol. 18, Issue 4, 2010, 493.

<sup>244</sup> იქვე.

<sup>245</sup> Khazova O., *Interpreting and Applying the Best Interests of the Child: The Main Challenges*, in: *The Best Interests of the Child – A Dialogue Between Theory and Practice*, Milka Sormunen (Ed.), Council of Europe, 2016, 28.

<sup>246</sup> Children Act, UK, 1989, Section 1; *Children's Involvement in Criminal, Civil and Administrative Judicial Proceedings in 28 Member States of the EU*, Policy Brief, European Union, European Commission, Directorate-General for Justice and Consumers, 2015, 23; Williams J., *England and Wales*, in: *Litigating the Rights of the Child: The UN Convention on the Rights of the Child in Domestic and International Jurisprudence*, Ton Liefwaard, Jaap E. Doek (Ed.), Springer, New-York, London, 2015, 58-59.

<sup>247</sup> Organic Law 1/1996, of January 15, *On the Legal Protection of the Minor, Partial Modification of the Civil Code and the Law of Civil Prosecution*, Spain, 1996, Art. 2

ლიბდა გაიდლაინები. ეს ყოველივე წარმოადგენს ბავშვის ქეშმარიტი ინტერესის შესახებ მცდარი წარმოდგენის შექმნის თავიდან აცილების მცდელობას და აწესებს ზღვრულ ნიშნულებს განსაკუთრებით დელიკატურ გზაზე.<sup>248</sup> ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა ერთ მესამედში არ არსებობს არც კანონმდებლობით დადგენილი კრიტერიუმები და არც სახელმძღვანელო მითითებები. მაგ. შვედეთის მთავრობამ შეგნებულად უარი თქვა ამგვარი კრიტერიუმების არსებობაზე, რათა სასამართლოებს უფრო მეტი მოქნილობა და დისკრეცია ჰქონოდათ საუკეთესო ინტერესის ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში განსასაზღვრად.<sup>249</sup> გასაკვირი არ უნდა იყოს რომ იმ გარემოებების კომპლექსურობა და მრავალფეროვნება, რომლებშიც არასრულწლოვნები გარდატეხის ასაკის გამო იმყოფებიან და რომლებშიც მათ უწევთ ცხოვრება, მოითხოვს გადაწყვეტილების მისაღებად მოქნილი სტანდარტის არსებობას, ხოლო მოქნილობა, თავის მხრივ, სწორედ განუსაზღვრელობის გარკვეულ ხარისხს უკავშირდება.<sup>250</sup> აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ ითვალისწინებს ბავშვის საუკეთესო ინტერესის განსასაზღვრად მხედველობაში მისაღებ გარემოებებს, ამასთან, ადგენს კრიტერიუმებს, რომელთა მიხედვითაც უნდა განხორციელდეს საუკეთესო ინტერესების შეფასება და განსაზღვრა,<sup>251</sup> რაც დადებითად უნდა შეფასდეს, თუმცა მნიშვნელოვანია, მსგავს რეგულაციას ითვალისწინებდეს არასრულწლოვანთა

---

<sup>248</sup> შაჰოვიჩი ნ.ვ., დოეკი ი.ე., ცერმატენი უ., ბავშვის უფლებები საერთაშორისო სამართალში, რ. ტულუშისა და თ. ალექსიძის თარგმანი, ლ. ალექსიძისა და ქ. ხუციშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2015, 113.

<sup>249</sup> Children's Involvement in Criminal, Civil and Administrative Judicial Proceedings in 28 Member States of the EU, Policy Brief, European Union, European Commission, Directorate-General for Justice and Consumers, 2015, 22-23.

<sup>250</sup> Sutherland E. E., Article 3 of the United Nations Convention on the Rights of the Child: The Challenges of Vagueness and Priorities, in: Implementing Article 3 of the United Nations Convention on the Rights of the Child: Best Interests, Welfare and Well-being, Elaine E. Sutherland, Lesley-Anne Barnes Macfarlane (Eds.), Cambridge University Press, 2016, 22.

<sup>251</sup> იხ., საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“, მე-5 მუხლის მე-2, მე-5 ნაწილები.

მართლმსაჯულების კოდექსიც, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სპეციფიკის მხედველობაში მიღებით. დამატებითი კრიტერიუმების არსებობა განსაკუთრებით ღირებული უნდა იყოს ქართულ კანონმდებლობაში საუკეთესო ინტერესების ტესტის ინოვაციურობის გათვალისწინებით.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში საუკეთესო ინტერესის ზოგადი განმარტება გულისხმობს სისხლის სამართლის ტრადიციული მიზნების, დასჯისა და სამაგიეროს მიზლის ჩანაცვლებას რეაბილიტაციისა და აღდგენითი მართლმსაჯულების მიზნებით, საზოგადოებრივ უსაფრთხოებაზე ყურადღების გამახვილების პარალელურად.<sup>252</sup> შესაბამისად, საუკეთესო ინტერესების ტესტი მოითხოვს, რომ მართლმსაჯულების სისტემამ არ გამოიყენოს დამსჯელობითი ღონისძიებები და ხელი შეუწყოს დანაშაულის ჩამდენი ბავშვების რეინტეგრაციას.<sup>253</sup> გარდა ამისა, ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-40 მუხლის მე-4 პუნქტი განიხილავს რა ბავშვის კეთილდღეობის ხელშეწყობას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების უპირველეს მიზნად,<sup>254</sup> მასში მოიაზრებს ამავე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნისადმი ისეთ მოპყობას, რომელიც ხელს უწყობს ბავშვის ღირსების და პიროვნული მნიშვნელობის გრძნობის განვითარებას, ადამიანის უფლებებისა და სხვათა ძირითადი თავისუფლებებისადმი პატივისცემის განმტკიცებას,

---

<sup>252</sup> General Comment No. 10, “Children’s Rights in Juvenile Justice”, UN Committee on the Rights of the Child, Forty-fourth Session (15 January-2 February), CRC/C/GC/10, Geneva, 25 April, 2007, Para. 10.

<sup>253</sup> United Nations Standard Minimum Rules for the Administration of Juvenile Justice (“The Beijing Rules”), Adopted by General Assembly Resolution 40/33 of 29 November 1985, Rule 5; ჰამილტონი ქ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, ბავშვთა სამართლებრივი ცენტრი და გაეროს ბავშვთა ფონდი, ბავშვთა დაცვის განყოფილება, ნიუ-იორკი, 2011, 34.

<sup>254</sup> Van Bueren G., A Commentary on the United Nations Convention on the Rights of the Child, Article 40 (Child Criminal Justice), André Alen, Johan Vande Lanotte, Eugeen Verhellen, Fiona Ang, Eva Berghmans, Mieke Verheyde (Eds.), Martinus Nijhoff Publishers, Leiden, Boston, 2006, 11.

რეინტეგრაციასა და საზოგადოებაში სასარგებლო როლის შესრულებას.<sup>255</sup>

აღსანიშნავია, რომ საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილი გვთავაზობს საუკეთესო ინტერესების ცნების ზოგად, საორიენტაციო განმარტებას, რაც, ამავდროულად, არ არის ამომწურავი ხასიათის. შესაბამისად, კონკრეტულ შემთხვევაში, საუკეთესო ინტერესის განსაზღვრა კვლავ პრობლემურ საკითხად რჩება. რა თქმა უნდა, კანონმდებლობა ვერ დაადგენს საუკეთესო ინტერესის უნივერსალურ ცნებას, რომელიც ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში გამოყენებადი იქნება. თითქმის ყველა საკანონმდებლო ცნება, გარდა ციფრებისა და თარიღებისა, მეტ-ნაკლებად მრავალმნიშვნელოვანი და, შესაბამისად, შეფასებითი შეიძლება იყოს.<sup>256</sup> ზოგიერთ ავტორთა მოსაზრებით, ზუსტი ცნების განსაზღვრა რეკომენდირებულიც კი არ არის, რათა პრინციპმა შეინარჩუნოს თავისი მოქნილობა,<sup>257</sup> თუმცა მნიშვნელოვანია, კანონმდებლობით განისაზღვროს გადანყვეტილების მისაღებად საკმარისი მითითებები, რის შესახებაც ყურადღება გამახვილებულია ასევე „კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ“ მოდალური კანონის კომენტარშიც.<sup>258</sup>

### 1.3. საუკეთესო ინტერესის ტესტის კრიტიკა

საუკეთესო ინტერესის ტესტი ან როგორც ეს ზოგიერთ ეროვნულ კანონმდებლობაშია ცნობილი – კეთილდღეობის ტესტი, ჯერ კიდევ კარგა ხნით ადრე, ვიდრე პოლონეთის მთავრობა ბავშვის

---

<sup>255</sup> იქვე, 12.

<sup>256</sup> გვენეტაძე ნ., ტურავა მ., სისხლის სამართლის საქმეებზე გადანყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, თბილისი, 2005, 14.

<sup>257</sup> Jensdottir R., The Concept of the Child's Best Interests in the Work of the Council of Europe, in: The Best Interests of the Child – A Dialogue Between Theory and Practice, Council of Europe, Milka Sormunen (Ed.), 2016, 85.

<sup>258</sup> Justice in Matters Involving Children in Conflict with the Law, Model Law on Juvenile Justice and Related Commentary, United Nations Office on Drugs and Crime, New York, 2013, Art. 13 (2), Commentary, 70.

უფლებათა კონვენციის პროექტის შემუშავებაზე იფიქრებდა, მწვავე კრიტიკის ქვეშ მოექცა.<sup>259</sup> კრიტიკის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად საუკეთესო ინტერესის ცნების ბუნდოვანება, სუბიექტივიზმი, ზოგადი ხასიათი, აბსტრაქტულობა, განუსაზღვრელობა და არა-პროგნოზირებადობა განიხილება.<sup>260</sup> თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ბევრად მარტივია პრინციპის გაკრიტიკება, ვიდრე ალტერნატივის შეთავაზება.<sup>261</sup>

როგორც აღნიშნულია, განუსაზღვრელობის პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ შეუძლებელია უდავოდ ვამტკიცოთ, რა არის არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი და შევთანხმდეთ კონკრეტულ ღირებულებებზე. საუკეთესო ინტერესის ცნება სპეკულაციურია და მოითხოვს ალტერნატივათა შორის მკაცრად ინდი-

---

<sup>259</sup> Sutherland E. E., Article 3 of the United Nations Convention on the Rights of the Child: The Challenges of Vagueness and Priorities, in: *Implementing Article 3 of the United Nations Convention on the Rights of the Child: Best Interests, Welfare and Well-being*, Elaine E. Sutherland, Lesley-Anne Barnes Macfarlane (Eds.), Cambridge University Press, 2016, 22.

<sup>260</sup> Kilkelly U., *The Best Interests of the Child: A Gateway to Children's Rights?* In: *Implementing Article 3 of the United Nations Convention on the Rights of the Child: Best Interests, Welfare and Well-being*, Elaine E. Sutherland, Lesley-Anne Barnes Macfarlane (Eds.), Cambridge University Press, 2016, 51; Alston P., Gilmour-Walsh B., *The Best Interests of The Child-Towards a Synthesis of Children's Rights and Cultural Values*, UNICEF, Innocenti Studies, 1996, 2; Jensdottir R., *The Concept of the Child's Best Interests in the Work of the Council of Europe*, in: *The Best Interests of the Child – A Dialogue Between Theory and Practice*, Council of Europe, Milka Sormunen (Ed.), 2016, 81; Herring J., *Farewell Welfare?* "Journal of Social Welfare and Family Law", Vol. 27, No. 2, 2005, 160; Reece H., *The Paramountcy Principle: Consensus or Construct?* "Current Legal Problems Journal", Vol. 49, Issue 1, 1996, 271; Freeman M. D. A., *Upholding the Dignity and Best Interest of Children: International Law and the Corporal Punishment of Children*, "Law and Contemporary Problems", Vol. 7, No. 2, 2010, 216; შაპოვიჩი ნ.ვ., დოეკი ი.ე., ცერმატენი ე., ბავშვის უფლებები საერთაშორისო სამართალში, რ. ტულუშისა და თ. ალექსიდის თარგმანი, ლ. ალექსიდისა და ქ. ხუციშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2015, 110.

<sup>261</sup> Eekelaar J., *Beyond the Welfare Principle*, "Child and Family Law Quarterly", Vol. 14, No. 3, 2002, 237.

ვიდუალიზებული არჩევანის გაკეთებას.<sup>262</sup> გადაწყვეტილების მიმღებ პირს შეუძლია ამტკიცოს, რომ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად იმოქმედა, თუმცა რეალურად მხოლოდ საკუთარ ღირებულებებს დაეყრდნო,<sup>263</sup> რაც ცნებისათვის დამახასიათებელი სუბიექტივიზმითაა განპირობებული. ეს უკანასკნელი შეიძლება იყოს როგორც კოლექტიური, ისე პერსონალური. კოლექტიური სუბიექტივიზმი უკავშირდება დროის კონკრეტულ პერიოდში, კონკრეტული საზოგადოების მიერ საუკეთესო ინტერესების აღქმას, ხოლო პერსონალური ანუ ინდივიდუალური სუბიექტივიზმი, თავის მხრივ, მოიცავს სამ განზომილებას: არასრულწლოვნის კანონიერ წარმომადგენელთა სუბიექტურობა, თავად არასრულწლოვნის სუბიექტურობა და ბოლოს, გადაწყვეტილების მიმღები პირის, მოსამართლის სუბიექტურობა.<sup>264</sup>

გარდა ზემოაღნიშნულისა, კრიტიკოსთა განმარტებით, საუკეთესო ინტერესის ცნების განსაზღვრულობის ნაკლებობა წარმოადგენს პრობლემას არა მარტო იმ პირებისათვის, ვისაც საბოლოო გადაწყვეტილება მიემართება არამედ საფრთხეს უქმნის კანონის უზენაესობასა და ზოგადად, სახელმწიფოსა და სასამართლოს ლეგიტიმაციას.<sup>265</sup> ამასთან, შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ბავშვის უფლებებზე და გამოყენებულ იქნეს სახელმწიფოსათვის

---

<sup>262</sup> Thomas N., O'Kane C., When Children's Wishes and Feelings Clash with their "Best Interests", "The International Journal of Children's Rights", Vol. 6, Issue 2, 1998, 138; Archard D., Children, Adults, Best Interests and Rights, "Medical Law International", Vol. 13, Issue 1, 2013, 57-58; Skivenes M., Judging the Child's Best Interests: Rational Reasoning or Subjective Presumptions?, "Acta Sociologica", Vol. 53, Issue 4, 2010, 340; Elliston S., The Best Interests of the Child in Healthcare, Sheila M.A. Mclean (Ed.), Routledge Cavendish Publishing, London, New-York, 2007, 14.

<sup>263</sup> Howe R.B., Covell K., Education in the Best Interests of the Child: A Children's Rights Perspective on Closing the Achievement Gap, University of Toronto Press, Toronto, Buffalo, London, 2013, 29.

<sup>264</sup> Zermatten J., The Best Interests of the Child Principle: Literal Analysis and Function, "International Journal of Children's Rights", Vol. 18, Issue 4, 2010, 494.

<sup>265</sup> Skivenes M., Judging the Child's Best Interests: Rational Reasoning or Subjective Presumptions?, "Acta Sociologica", Vol. 53, Issue 4, 2010, 339-340.

სასარგებლო გადაწყვეტილებების მისაღებად.<sup>266</sup> კერძოდ, წარსულში საუკეთესო ინტერესების ცნება ხშირად გამოიყენებოდა ისეთი ფართომასშტაბიანი ქმედებების გასამართლებლად, რომლებიც დღეს ადამიანის უფლებათა უხემ დარღვევად კვალიფიცირდება. როგორც აღნიშნულია, დღესაც კი, ზოგჯერ წარმატებით, ზოგჯერ წარუმატებლად, არსებობს საუკეთესო ინტერესების ცნების მოხმობის მცდელობები ბავშვის უფლებებთან წინააღმდეგობაში მყოფი ინიციატივების გასამართლებლად.<sup>267</sup> მაგალითად, ბავშვის უფლებათა კომიტეტი ყურადღებას ამახვილებს ზოგიერთი ქვეყნის მთავრობის წარმომადგენლის პოზიციაზე, რომ „გონივრული“ დონით ფიზიკური სასჯელის გამოყენება შესაძლოა გამართლებულ იქნეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესით.<sup>268</sup> აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ავტორი საუკეთესო ინტერესების განუსაზღვრელობას პრინციპის როგორც სუსტ, ისე ძლიერ მხარედ აფასებს, ვინაიდან გარდა უარყოფითი ასპექტებისა, იძლევა მოქნილ და ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული შედეგის მიღწევის შესაძლებლობას.<sup>269</sup>

ზემოაღნიშნული კრიტიკა, რა თქმა უნდა, არ არის უსაფუძვლო და მხედველობაშია მისაღები, თუმცა პასუხი კითხვაზე, რამდენად რეალურია დასახელებული საფრთხეები და რამდენად იძლევა

---

<sup>266</sup> Zermatten J., *The Best Interests of the Child Principle: Literal Analysis and Function*, "International Journal of Children's Rights", Vol. 18, Issue 4, 2010, 495.

<sup>267</sup> Cantwell N., *Are "Best Interests" A Pillar or a Problem for Implementing the Human Rights of Children?*, in: *The United Nations Convention on the Rights of the Child: Taking Stock After 25 Years and Looking Ahead*, Ton Liefwaard, Julia Sloth-Nielsen (Eds.), Brill Nijhoff, Leiden, Boston, 2017, 65; Lansdown G., *Best Interests of the Child and the Right to Be Heard*, in: *The Best Interests of the Child – A Dialogue Between Theory and Practice*, Milka Sormunen (Ed.), Council of Europe, 2016, 31.

<sup>268</sup> General Comment No. 8, "The Right of the Child to Protection from Corporal Punishment and Other Cruel or Degrading Forms of Punishment (Arts. 19; 28, Para. 2; and 37, inter alia)", UN Committee on the Rights of the Child, Forty-second Session (15 May-2 June), CRC/C/GC/8, 2 March, 2007, Para. 26.

<sup>269</sup> Herring J., *Farewell Welfare?* "Journal of Social Welfare and Family Law", Vol. 27, No. 2, 2005, 169.

საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი არასრულწლოვნისათვის საზიანო შედეგთა დადგომის შესაძლებლობას, გაეცემა ნაშრომის მეოთხე თავში საუკეთესო ინტერესების განსაზღვრის საკითხზე მსჯელობის კონტექსტში.

## **2. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის როლი**

საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლის პირველივე პუნქტში განთავსება განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს მას და გააჩნია ე.წ. „ქოლგა პრინციპის“ დანიშნულება, თუმცა ეს საკმარისად ვერ წარმოაჩენს კონვენციის მიერ მისთვის მინიჭებულ როლს.<sup>270</sup> ზოგიერთი ავტორის მიერ პრინციპი პატარა დათვის თანავარსკვლავედის ყველაზე კაშკაშა ჩრდილოეთის ვარსკვლავთანაც კი არის შედარებული, რადგან საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობას სამართლებრივ სივრცეში იგივე დანიშნულება გააჩნია, რაც ცაზე ჩრდილოეთის ვარსკვლავს.<sup>271</sup> მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის სამ ძირითად ფუნქციაზე.

### **2.1. საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა, როგორც ცალკეულ ნორმათა განმარტებისათვის სახელმძღვანელო პრინციპი**

ბავშვის უფლებათა კომიტეტი სახელმწიფოთა მიმართ შედგენილ მოხსენებებში იშვიათად ამახვილებს ყურადღებას ბავშვის

---

<sup>270</sup> Alston Ph., The Best Interests Principle: Towards a Reconciliation of Culture and Human Rights, "International Journal of Law, Policy and the Family", Vol. 8, Issue 1, 1994, 15.

<sup>271</sup> Fierens J., Alpha Ursae Minoris – The North Star and the Child's Best Interests Among Competing Interests, in: The Best Interests of the Child – A Dialogue Between Theory and Practice, Milka Sormunen (Ed.), Council of Europe, 2016, 36.

უფლებათა კონვენციის მხოლოდ ერთი კონკრეტული მუხლის დარღვევაზე. იგი კონვენციას განიხილავს როგორც ურთიერთდამოკიდებული წესების ერთობლიობას, სადაც საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა ყოველისმომცველ პრინციპად განიხილება.<sup>272</sup> მისი ერთ-ერთი ძირითადი დანიშნულება კონვენციიდან გამომდინარე საკითხებთან მიმართებით არსებული მიდგომის განმტკიცება, განმარტება და დაზუსტებაა. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეროვნულ თუ საერთაშორისო კანონმდებლობაში ბუნდოვანებისა და ხარვეზის არსებობისას. ამ კონტექსტში, იგი წარმოადგენს კონსტრუქციის დამატებით ელემენტს, ისევე როგორც ელემენტს, რომელიც საჭიროებს მხედველობაში მიღებას სხვა უფლებების განხორციელებისას.<sup>273</sup> აღნიშნული ფუნქცია გულისხმობს ასევე პრინციპის გამოყენების შესაძლებლობას ბავშვისათვის მინიჭებული უფლებების გაძლიერების ხელშესაწყობად.<sup>274</sup>

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ კონვენციითა თუ ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებულ დებულებებს მეტ სიცხადეს მატებს საუკეთესო ინტერესებთან კავშირში განხილვა.<sup>275</sup> აღნიშნულის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით გათვალისწინებული რამდენიმე შემთხვევა. კერძოდ, ამკის 73-ე მუხლის პირველი ნაწილი არასრულწლოვნისათვის ვადიანი

---

<sup>272</sup> Hammarberg T., *The Principle of the Best Interests of the Child - What it Means and What it Demands from Adults*, Lecture, Commissioner for Human Rights, Council of Europe, CommDH/Speech(2008)10, Warsaw, 30 May, 2008, 3.

<sup>273</sup> Alston Ph., *The Best Interests Principle: Towards a Reconciliation of Culture and Human Rights*, "International Journal of Law, Policy and the Family", Vol. 8, Issue 1, 1994, 15.

<sup>274</sup> Jensdottir R., *The Concept of the Child's Best Interests in the Work of the Council of Europe*, in: *The Best Interests of the Child – A Dialogue Between Theory and Practice*, Council of Europe, Milka Sormunen (Ed.), 2016, 82.

<sup>275</sup> Hammarberg T., *The Principle of the Best Interests of the Child - What it Means and What it Demands from Adults*, Lecture, Commissioner for Human Rights, Council of Europe, CommDH/Speech(2008)10, Warsaw, 30 May, 2008, 3.

თავისუფლების აღკვეთის დანიშვნის ერთ-ერთ შემთხვევად განიხილავს წარსულში გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის ფაქტს. გაურკვეველია, რამდენად მოიაზრებს აღნიშნული ფორმულირება უკვე გაქარწყლებულ ან მოხსნილ ნასამართლობას. სწორედ მსგავს შემთხვევებში საჭიროა საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის, როგორც ცალკეულ ნორმათა განმარტებისათვის სახელმძღვანელო პრინციპად გამოყენება. არსებული მოსაზრებით, კანონმდებლობა უშვებს არასრულწლოვნისათვის თავისუფლების აღკვეთის დანიშვნის შესაძლებლობას, მიუხედავად მოხსნილი ან გაქარწყლებული ნასამართლობისა,<sup>276</sup> თუმცა გასაზიარებელია პოზიცია ნორმის ამგავრი განმარტების მიზანშეუწონლობის შესახებ, ვინაიდან იგი ეწინააღმდეგება სსკ-ის 79-ე მუხლის მე-6 ნაწილს, რომლის თანახმად, „გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობა მხედველობაში არ მიიღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას“.<sup>277</sup> არასრულწლოვნის შემთხვევაში კი ნასამართლობა გაქარწყლებულად ითვლება სასჯელის მოხდისთანავე, ხოლო პირობით მსჯავრდებისას – გამოსაცდელი ვადის გასვლისთანავე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არასრულწლოვანმა კვლავ არ ჩაიდინა დანაშაული.<sup>278</sup>

---

<sup>276</sup> თოდუა ნ., არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, წიგნში: სისხლის სამართალი (სახელმძღვანელო), ზოგადი ნაწილი, მე-2 გამოცემა, გ. ნაჭყებიას და ნ. თოდუას რედაქტორობით, თბილისი, 2016, 692.

<sup>277</sup> თოდუა ნ., არასრულწლოვანთა სასჯელის დანიშვნის ზოგიერთი სადავო საკითხი, წიგნში: არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, თბილისი, 2017, 106-107; ვარძელაშვილი ი., არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის დანიშვნა (სასამართლო პრაქტიკის ანალიზი), წიგნში: არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, თბილისი, 2017, 153; მახარობლიძე თ., სასჯელები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით, წიგნში: არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, თბილისი, 2017, 77.

<sup>278</sup> იხ., ამკ-ის მე-12 მუხლი.

ანალოგიურ პრობლემას ვაწყდებით ამკ-ის 74-ე მუხლში, რომელიც არასრულწლოვნისათვის პირობითი მსჯავრის დანიშვნის აუცილებელ წინაპირობად ითვალისწინებს განზრახი დანაშაულისათვის მსჯავრდების ფაქტის არარსებობას. ასევე გასათვალისწინებელია ამკ-ის 76-ე მუხლი, რომელიც მოსამართლეს ანიჭებს უფლებამოსილებას, არასრულწლოვანს დაუნიშნოს კანონით გათვალისწინებულ ზღვარზე ნაკლები ან სხვა, უფრო მსუბუქი სასჯელი, თუ მის მიმართ წარსულში გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი არ ყოფილა და არსებობს შემამსუბუქებელ გარემოებათა ერთობლიობა. მსგავსად ზემოაღნიშნულისა, გასაზიარებელია მოსაზრება, რომ ამ შემთხვევებშიც დაუშვებელია გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობის მხედველობაში მიღება.<sup>279</sup> ანალოგიურ მსჯელობას ავითარებს საქართველოს უზენაესი სასამართლო და განმარტავს, რომ თუ არასრულწლოვანს მოხსნილი ან გაქარწყლებული აქვს ნასამართლობა, მის მიმართ წარსულში გამოტანილი განაჩენი არ უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული ამკ-ის 73-ე და 74-ე მუხლების მიზნებისათვის.<sup>280</sup> უზენაესი სასამართლოს განმარტებით, „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ნორმის ბუნდოვანების შემთხვევაში, ნორმა უნდა განიმარტოს არასრულწლოვნის საუკეთესო (ჭეშმარიტი) ინტერესების სასარგებლოდ, მართლმსაჯულების საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით“.<sup>281</sup> ამ თვალსაზრისით, საინტერესოა უზენაესი სასამართლოს კიდევ ერთი გადაწყვეტილება, სადაც დავის საგანს

---

<sup>279</sup> ვარძელაშვილი ი., არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის დანიშვნა (სასამართლო პრაქტიკის ანალიზი), წიგნში: არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, თბილისი, 2017, 139, 159-160; ვარძელაშვილი ი., პირობითი მსჯავრის დანიშვნა და გაუქმება, წიგნში: გურამ ნაჭყებია 75, ნ. თოდუას რედაქტორობით, თბილისი, 2016, 247-248; ვარძელაშვილი ი., არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის უმნიშვნელოვანესი პრინციპის მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკაში, „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, №1, 2017, 76.

<sup>280</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 20 ოქტომბრის №172აგ-16 გადაწყვეტილება, აბზ. 10.  
<sup>281</sup> იქვე, აბზ. 11.

წარმოადგენდა არასრულწლოვნის სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლება გამამტყუნებელი განაჩენის ხანდაზმულობის გამო მაშინ, როდესაც მსჯავრდებული იმყოფებოდა მიმალვაში. აღსანიშნავია, რომ ამკ-ის 36-ე მუხლი განსაზღვრავს მხოლოდ სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების სპეციფიკურ ვადებს და განსხვავებით სსკ-ის 76-ე მუხლის მე-2 ნაწილისაგან, არ შეიცავს სასჯელის მოხდისაგან თავის არიდების შემთხვევაში ვადის დინების შეჩერების დამდგენ ნორმას. საკასაციო პალატამ არ გაიზიარა დაცვის მხარის პოზიცია და განმარტა, რომ ამკ-ის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილი, რომელიც უშვებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში სხვა ნორმატიული აქტების დებულებების გამოყენების შესაძლებლობას, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება მართლმსაჯულების კოდექსს ან/და არასრულწლოვნისათვის შეღავათს ითვალისწინებს, არ გამოორიცხავდა სსკ-ის 76-ე მუხლის მე-2 ნაწილის გამოყენების შესაძლებლობას, ვინაიდან ეს უკანასკნელი არ წარმოადგენდა ამკ-ის მიზნებისა და პრინციპების საწინააღმდეგოდ დებულებას, არამედ შინაარსობრივად ავსებდა ამკ-ის 36-ე მუხლს. საკასაციო პალატამ საკითხის ამგვარად გადაწყვეტისას იხელმძღვანელა სწორედ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპით და განმარტა, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესს წარმოადგენს მისი საზოგადოებაში ინტეგრაციის წარმატებით განხორციელება, კანონისა და ადამიანის უფლებებისადმი პატივისცემის გრძნობით განმსჭვალვა, განაჩენის აღსრულება და სასჯელის მიზნების მიღწევა. სასამართლოს შეფასებით, სსკ-ის 76-ე მუხლის მე-2 ნაწილის გაუთვალისწინებლობის პირობებში, ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე შესაძლოა არასრულწლოვანში გაიზარდოს სასჯელის მოხდისათვის თავის არიდების ცდუნების რისკი, რაც ვერ უზრუნველყოფს არასრულწლოვანში ადამიანის უფლებებისადმი და სხვათა ძირითადი თავისუფლებებისადმი პატივისცემის განმტკიცებას, ვინაიდან სასჯელის მოხდისათვის თავის არიდების დროს, პირი არ ცდილობს გაანალიზოს დარღვეული სამართლებრივი სიკეთის მნიშვნელობა და მისი ქმედებით გამოწვეული მართლსაწინააღმდეგოდ შედეგი, არამედ უპირისპირდება სახელმწიფოს რეაქციას მის მიერ

ჩადენილ ქმედებაზე. საკასაციო პალატის განმარტებით, სასჯელის მოხდისათვის თავის არიდების შემთხვევაში, ხანდაზმულობის ვადის დინების შეუჩერებლობა არ წარმოადგენს ბავშვის საზოგადოებაში წარმატებით დაბრუნების წინაპირობას და, შესაბამისად, სსკ-ის 76-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიმართ ამკ-ის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის გამოყენება ეფექტიანად ემსახურება ბავშვის საუკეთესო ინტერესს.<sup>282</sup>

აღნიშნული მაგალითები ნათლად წარმოაჩენს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის როლს ნორმათა განმარტების თვალსაზრისით.

## **2.2. საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის მედიატორული ფუნქცია**

საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის მეორე ძირითად დანიშნულებად მისი მედიატორული ფუნქცია განიხილება, რაც პროფესორ ფილიპ ალსტონის სახელს უკავშირდება.<sup>283</sup> ამ თვალსაზრისით, პრინციპი უზრუნველყოფს უფლებათა შორის არსებული კონფლიქტის გადაჭრას. კერძოდ, შესაძლებელია, ერთმანეთს დაუპირისპირდეს ბავშვის უფლება იქონიოს კონტაქტი თავის მშობლებთან და უფლება იყოს დაცული ყოველგვარი ძალადობისაგან, რაც განსაკუთრებით აქტუალურია ოჯახური დანაშაულისა და ოჯახში ძალადობის შედეგად დაზარალებული არასრულწლოვნის შემთხვევაში. ასეთ დროს, ერთადერთი გამოსავალი სწორედ საუკეთესო ინტერესების შესაბამისად მოქმედებაა.<sup>284</sup> „ბრალ-

---

<sup>282</sup> იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება, საქმე №558აპ-16, აბზ. 3-9; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე №65აგ-17, აბზ. 14.

<sup>283</sup> Alston Ph., The Best Interests Principle: Towards a Reconciliation of Culture and Human Rights, "International Journal of Law, Policy and the Family", Vol. 8, Issue 1, 1994, 16.

<sup>284</sup> Hammarberg T., The Principle of the Best Interests of the Child - What it Means and What it Demands from Adults, Lecture, Commissioner for Human

დების მხარეს ეკისრება ვალდებულება, უფრო მეტი ძალისხმევით მოიპოვოს და შეკრიბოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ წარდგენილ ბრალდებას, რათა დაცულ იქნეს ბავშვის საუკეთესო ინტერესები, ნორმალურ გარემოში ცხოვრებისა და განვითარების უფლება.“<sup>285</sup>

პრინციპის, როგორც უფლებათა დამბალანსებლის ფუნქციას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ევროპის საბჭოც. ეს გახლავთ საკითხი, რომლის წინაშეც ხშირად დგას ევროსასამართლო, რომელიც ასეთ დროს განსაკუთრებულ ყურადღებას სწორედ საუკეთესო ინტერესის უპირატესად გათვალისწინების სტანდარტზე ამახვილებს.<sup>286</sup> არსებული მოსაზრებით, მიუხედავად პრინციპის მედიატორული ფუნქციისა, აღნიშნული არც თუ ისე გამოყენებადია, რადგან საკმაოდ ბევრია დამოკიდებული გადაწყვეტილების მიმღებ პირთა ღირებულებებზე და იმაზე, თუ ბავშვის უფლებათა კონვენციის რა ასპექტებს ანიჭებენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას.<sup>287</sup>

მედიატორული ფუნქცია მჭიდრო კავშირშია ე.წ. „პრობლემის გადაჭრის“ იგივე „გამოსავლის ძიების“ ფუნქციასთან, რომლის მიხედვით, პრინციპი გადაწყვეტილების მიმღებ პირს ხელს უწყობს არასრულწლოვნისათვის შესაფერისი გადაწყვეტილების მიღებაში, რაც გულისხმობს ბავშვზე ყველაზე პოზიტიური გავლენის

---

Rights, Council of Europe, CommDH/Speech(2008)10, Warsaw, 30 May, 2008, 3.

<sup>285</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 18 თებერვლის განჩინება, საქმე №628აპ-19, აბზ. 10; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 15 მაისის განჩინება, საქმე №424აპ-20, აბზ. 12; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 19 მაისის განჩინება, საქმე №129აპ-20, აბზ. 15.

<sup>286</sup> Jensdottir R., *The Concept of the Child's Best Interests in the Work of the Council of Europe*, in: *The Best Interests of the Child – A Dialogue Between Theory and Practice*, Council of Europe, Milka Sormunen (Ed.), 2016, 83.

<sup>287</sup> Freeman M., *A Commentary on the United Nations Convention on the Rights of the Child, Article 3, Best Interests of the Child*, André Alen, Johan Vande Lanotte, Eugeen Verhellen, Fiona Ang, Eva Berghmans, Mieke Verheyde (Eds.), Martinus Nijhoff Publishers, Leiden, Boston, 2007, 32.

მქონე ყველა შესაძლო გამოსავლის მოძიებას, შეფასებას და მათგან არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესზე მორგებული გადაწყვეტის არჩევას.<sup>288</sup> აღნიშნული კრიტერიუმი, უფრო ფართოა და მოიცავს კონკრეტულ უფლებათა შორის წინააღმდეგობის არსებობის შემთხვევებს. „გამოსავლის ძიების“ ფუნქცია განსაკუთრებულ როლს ასრულებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რადგან წარმოადგენს ხიდს თეორიულ ცნებასა და მის პრაქტიკაში პირდაპირ გამოყენებას შორის.<sup>289</sup>

### **2.3. საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა, როგორც კანონმდებლობისა და პრაქტიკის შეფასების სახელმძღვანელო პრინციპი**

საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის მესამე ძირითად ფუნქციად განიხილება სახელმწიფოთა კანონმდებლობისა და არსებული პრაქტიკის შეფასება ბავშვის უფლებათა კონვენციის პოზიტიური უფლებებით დაურეგულირებელ ყველა საკითხთან მიმართებით.<sup>290</sup> სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იქ სადაც

---

<sup>288</sup> შაჰოვიჩი ნ.ვ., დოეკი ი.ე., ცერმატენი უ., ბავშვის უფლებები საერთაშორისო სამართალში, რ. ტულუშისა და თ. ალექსიდის თარგმანი, ლ. ალექსიდისა და ქ. ხუციშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2015, 2015, 111-112; შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მე-2 გამოცემა, თბილისი, 2016, 73; Zermatten J., The Best Interests of the Child Principle: Literal Analysis and Function, "International Journal of Children's Rights", Vol. 18, Issue 4, 2010, 493; Beshir F. H., Article 3 of the Convention on the Rights of the Child, The Best Interests of the Child, Prepared for Public Policies and Child Rights Diploma, Course: Child Rights in Law, 2011-2012, 8.

<sup>289</sup> Zermatten J., The Best Interests of the Child Principle: Literal Analysis and Function, "International Journal of Children's Rights", Vol. 18, Issue 4, 2010, 493.

<sup>290</sup> Parker S., The Best Interests of the Child – Principles and Problems, "International Journal of Law and Family", Vol. 8, Issue 1, 1994, 27; Alston Ph., The Best Interests Principle: Towards a Reconciliation of Culture and Human Rights, "International Journal of Law, Policy and the Family", Vol. 8, Issue 1, 1994, 16.

სიცარიელე არსებობს.<sup>291</sup> მაგ. კონვენციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტი ავალდებულებს სახელმწიფოებს, დაადგინონ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი, თუმცა არ განსაზღვრავს კონკრეტულ ასაკობრივ ზღვარს. შესაბამისად, სახელმწიფოებმა მინიმალური ზღვარის დადგენისას, სწორედ ბავშვის საუკეთესო ინტერესებით უნდა იხელმძღვანელონ.<sup>292</sup> ამ თვალსაზრისით, საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა შემავსებელ ფუნქციას ასრულებს. მისი გამოყენების საჭიროება იკვეთება, თუ ბავშვის უფლებებით სარგებლობას საფრთხე ემუქრება<sup>293</sup> და საჭიროა სათანადო ღონისძიებების გამოვლენა.<sup>294</sup> შესაბამისად, პრინციპის აღნიშნული ფუნქცია ემსახურება ბავშვის უფლებების განხორციელების უზრუნველყოფას.<sup>295</sup>

საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის ეს ტრადიციული დანიშნულება ლიტერატურაში ასევე ცნობილია „მაკონტროლებელი ფუნქციის“ სახელით, რომლის თანახმად, პრინციპი გამოიყენება ბავშვების მიერ მათთვის მინიჭებული უფლებებით სრულად სარგებლობისა და მათ წინაშე არსებული ვალდე-

---

<sup>291</sup> Freeman M., A Commentary on the United Nations Convention on the Rights of the Child, Article 3, Best Interests of the Child, André Alen, Johan Vande Lanotte, Eugeen Verhellen, Fiona Ang, Eva Berghmans, Mieke Verheyde (Eds.), Martinus Nijhoff Publishers, Leiden, Boston, 2007, 32.

<sup>292</sup> Hammarberg T., The Principle of the Best Interests of the Child - What it Means and What it Demands from Adults, Lecture, Commissioner for Human Rights, Council of Europe, CommDH/Speech(2008)10, Warsaw, 30 May, 2008, 3.

<sup>293</sup> Freeman M., A Commentary on the United Nations Convention on the Rights of the Child, Article 3, Best Interests of the Child, André Alen, Johan Vande Lanotte, Eugeen Verhellen, Fiona Ang, Eva Berghmans, Mieke Verheyde (Eds.), Martinus Nijhoff Publishers, Leiden, Boston, 2007, 33.

<sup>294</sup> Howe R.B., Covell K., Education in the Best Interests of the Child: A Children's Rights Perspective on Closing the Achievement Gap, University of Toronto Press, Toronto, Buffalo, London, 2013, 26.

<sup>295</sup> Jensdottir R., The Concept of the Child's Best Interests in the Work of the Council of Europe, in: The Best Interests of the Child – A Dialogue Between Theory and Practice, Council of Europe, Milka Sormunen (Ed.), 2016, 83.

ბულებების ჯეროვნად განხორციელების უზრუნველსაყოფად.<sup>296</sup> კონტროლის კრიტერიუმი არასრულწლოვანთათვის აგრეთვე არის გარანტია, რომ მათი უფლება საუკეთესო ინტერესების უპირატესად გათვალისწინების შესახებ სრულად იქნება რეალიზებული ისეთი გადაწყვეტილებების მიღებისას, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს არასრულწლოვნის ცხოვრებაზე.<sup>297</sup>

აღნიშნული ფუნქციის მიხედვით, კანონმდებლობით გათვალისწინებული თითოეული რეგულაცია სწორედ საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპთან შესაბამისობის ტესტს უნდა გადიოდეს. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი ითვალისწინებს არაერთ რეგულაციას, რომელიც შესაძლოა ვერ აკმაყოფილებდეს საუკეთესო ინტერესებთან შესაბამისობის კრიტერიუმს. აღნიშნულის მაგალითად შეიძლება განვიხილოთ არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის სახით შინაპატიმრობის გამოყენება, რომელიც ერთი შეხედვით ჰუმანურ სასჯელად აღიქმება. შეიძლება ითქვას, რომ პრივილეგირებული მოპყრობის გზას წარმოადგენს<sup>298</sup> და სისხლის სამართლის სისტემის ლიბერალიზაციას ემსახურება,<sup>299</sup> თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ამკ-ის 69-ე მუხლის

---

<sup>296</sup> შაჰოვიჩი ნ.ვ., დოეკი ი.ე., ცერმატენი ჟ., ბავშვის უფლებები საერთაშორისო სამართალში, რ. ტულუშისა და თ. ალექსიდის თარგმანი, ლ. ალექსიდისა და ქ. ხუციშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2015, 111; შალიკა-შვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მე-2 გამოცემა, თბილისი, 2016, 73; Zermatten J., The Best Interests of the Child Principle: Literal Analysis and Function, "International Journal of Children's Rights", Vol. 18, Issue 4, 2010, 492-493; Beshir F. H., Article 3 of the Convention on the Rights of the Child, The Best Interests of the Child, Prepared for Public Policies and Child Rights Diploma, Course: Child Rights in Law, 2011-2012, 8.

<sup>297</sup> Zermatten J., The Best Interests of the Child Principle: Literal Analysis and Function, "International Journal of Children's Rights", Vol. 18, Issue 4, 2010, 492-493.

<sup>298</sup> ივანიძე მ., ალტერნატიული სასჯელები (შედარებითი ანალიზი), წიგნში: მზია ლეკვეიშვილი 85, მ. ივანიძის რედაქტორობით, თბილისი, 2014, 35.

<sup>299</sup> გორგოძე მ., იუვენალური იუსტიციის ორგანიზაციულ-სამართლებრივი მოდელები და ქართული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების

მე-5 ნაწილის თანახმად, შინაპატიმრობა, როგორც წესი, აღსრულდება ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენებით, რაც უარყოფით ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ შედეგებთანაა დაკავშირებული.<sup>300</sup> კერძოდ, ელექტრონული სამაჯურის ტარებითა და მისი ხილვადობით იკვეთება არასრულწლოვნის სოციუმთან ურთიერთობის პრობლემები, რადგან ხდება მისი ნასამართლობის გასაჯაროება და სამართალდამრღვევად იდენტიფიცირება, რაც ხელს უწყობს არასრულწლოვნის სტიგმატიზაციას, იზოლაციასა და მარგინალიზაციას.<sup>301</sup> შესაბამისად, არასრულწლოვანი ცდილობს სოციუმთან ნაკლებ ურთიერთობას და კარგავს სოციალურ კონტაქტებს.<sup>302</sup> გარდა ამისა, ელექტრონული მონეობილობის ტარება იწვევს მოზარდის ეტიკეტირებას და შესაძლებელია, ხელი შეუწყოს მასში დამნაშავის პიროვნების ჩამოყალიბებას.<sup>303</sup> აღსანიშნავია ასევე განათლების მიღებასთან და დასაქმებასთან დაკავშირებული პრობლემებიც. ამ მხრივ, საინტერესოა იურიდიულ ლიტერატურაში განხილული ერთ-ერთი შემთხვევა, საიდანაც იკვე-

---

ზოგიერთი პრობლემატური საკითხი ამ მოდელთა ჭრილში, „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, №1, 2017, 96.

<sup>300</sup> მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., შინაპატიმრობა, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში – ისტორიული, სამართლებრივი ასპექტები და დანიშვნის თავისებურება, „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, №1, 2017, 67.

<sup>301</sup> მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., შენიშვნები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსზე, „სამართალი და მსოფლიო“, №2, 2015, 61; მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., საპატიმრო სასჯელების ალტერნატივა საზღვარგარეთის ქვეყნებში, წიგნში: სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, ნ. თოდუას რედაქტორობით, თბილისი, 2016, 717; არსოშვილი გ., მიქანაძე გ., შალიკაშვილი მ., პრობაციის სამართალი, თბილისი, 2015, 166.

<sup>302</sup> მახარობლიძე თ., შინაპატიმრობა, როგორც საპატიმრო სასჯელის ახალი ალტერნატივა იუვენალურ იუსტიციაში, წიგნში: გურამ ნაჭყებია 75, ნ. თოდუას რედაქტორობით, თბილისი, 2016, 288; ვარძელაშვილი ი., არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის დანიშვნა, წიგნში: არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, თბილისი, 2017, 147.

<sup>303</sup> შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია (სახელმძღვანელო), მე-3 გამოცემა, თბილისი, 2017, 141.

ვა, რომ არასაპატიმრო სასჯელის აღსრულების პერიოდში არასრულწლოვანი გარიცხეს სკოლიდან და სხვა სკოლაში მოუწია სწავლის გაგრძელება, სადაც ჩვეულებრივად მიიღეს, რადგან არ გაუგიათ მისი ნასამართლობის შესახებ.<sup>304</sup> აღნიშნული წარმოადგენს არასრულწლოვნის სტიგმატიზაციის კარგ მაგალითს, რაც უფრო მძაფრდება ელექტრონული სამაჯურის ხილვადობის პირობებში. გარდა ამისა, მიუხედავად იმისა, რომ შინაპატიმრობა შესაძლებელია საქმიანობის უფლების შენარჩუნებით, ეს უფლება პრაქტიკულად ვერ რეალიზდება, რადგან ყველა დამსაქმებელი მოერიდება მსჯავრდებული პირის დასაქმებას.<sup>305</sup> ამასთან, ელექტრონული ზედამხედველობის გამოყენებისას ასევე იკვეთება პირად ცხოვრებაში ჩარევის პრობლემაც.<sup>306</sup> აღსანიშნავია, რომ ელექტრონული მონიტორინგის გამოყენებას საფუძველი ჩაეყარა 1983 წელს, ამერიკის შეერთებულ შტატებში,<sup>307</sup> იმ ქვეყანაში, სადაც ჯერ კიდევ არ არის ბავშვის უფლებათა კონვენცია რატიფიცირებული. ეს ფაქტიც ბევრს მეტყველებს ზემოაღნიშნული მსჯელობის განმტკიცების თვალსაზრისით. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ შესაძლოა ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელება, კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით, წარმოადგენდეს აუცილებლობას განაჩენის ეფექტიანად აღსრულების უზრუნველსაყოფად. ამ ყოველივეს გათვალისწინებით, მიზანშეწონილია ამკ-ის 69-ე მუხლის მე-5 ნაწილში ცვლილების განხორციელება და ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების

---

<sup>304</sup> შალიკაშვილი მ., ალტერნატიული სასჯელების კვლევა საქართველოში, წიგნში: მზია ლეკვეიშვილი 85, მ. ივანიძის რედაქტორობით, თბილისი, 2014, 101.

<sup>305</sup> მახარობლიძე თ., სასჯელები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით, წიგნში: არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, თბილისი, 2017, 57-58.

<sup>306</sup> გორგოძე მ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ზოგიერთი სადავო საკითხი, „მართლმსაჯულება და კანონი“, №1, 2018, 50; არსოშვილი გ., მიქანაძე გ., შალიკაშვილი მ., პრობაციის სამართალი, თბილისი, 2015, 167.

<sup>307</sup> შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მე-2 გამოცემა, თბილისი, 2016, 135.

გამოყენების შესაძლებლობის დადგენა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, პრობაციის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებით. შინაპატიმრობის აღსრულება კი, როგორც წესი, უნდა ხორციელდებოდეს მსჯავრდებულის საცხოვრებელ ადგილზე პრობაციის ოფიცრის გაუფრთხილებელი ვიზიტით, თვეში არანაკლებ ექვსჯერ, რის თაობაზეც უნდა შედგეს შესაბამისი ოქმი, როგორც ამას „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 44<sup>8</sup> მუხლის მე-8 პუნქტი ითვალისწინებს ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენებით კონტროლის განხორციელების ტექნიკურად შეუძლებლობისას. ამასთან, ამოღებულ უნდა იქნეს ამკ-ის 75-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომელიც გარდა შინაპატიმრობისა, არასაპატიმრო სასჯელის აღსასრულებლად, ადგენს ელექტრონული ზედამხედველობის ერთ წლამდე ვადით გამოყენების შესაძლებლობას, არასრულწლოვნის და მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით.

გარდა ელექტრონული სამაჯურის ხილვადობასთან დაკავშირებული პრობლემებისა, სასჯელის სახით შინაპატიმრობის გამოყენება შეიძლება შეფასდეს სახელმწიფოს მიერ საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპით მასზე დაკისრებული პასუხისმგებლობისა და ვალდებულებების შესრულების თავიდან აცილებად. კერძოდ, არსებული მოსაზრებით, სახელმწიფო ელექტრონული სამაჯურის გამოყენებისას უარს ამბობს არასრულწლოვნის რესოციალიზაციაზე და მხოლოდ პირის ადგილსამყოფლის კონტროლით კმაყოფილდება,<sup>308</sup> რაც სახელმწიფოსათვის ეკონომიკური უპირატესობის მომატანია, რადგან პირი სახელმწიფოს არ აწევს ტვირთად და იზოგება სახელმწიფოს სახსრები.<sup>309</sup> ამ მხრივ,

---

<sup>308</sup> მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., საპატიმრო სასჯელების ალტერნატივა საზღვარგარეთის ქვეყნებში, წიგნში: სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, ნ. თოდუას რედაქტორობით, თბილისი, 2016, 713.

<sup>309</sup> მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., შინაპატიმრობა, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში – ისტორიული, სამართლებრივი ასპექტები და დანიშვნის თავისებურება, „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, №1, 2017, 62-63.

საინტერესოა სისხლის სამართლის კოდექსში 2017 წლის 1 ივნისს განხორციელებული ცვლილება, რომლითაც სასჯელის სახე თავისუფლების შეზღუდვა ჩაანაცვლა შინაპატიმრობამ. აღნიშნული ცვლილების პროექტის განმარტებით ბარათში ყურადღება სწორედ იმ მიმართულებითაა გამახვილებული, რომ თავისუფლების შეზღუდვის გაუქმება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე. კერძოდ, სასჯელის აღნიშნული სახის დატოვების შემთხვევაში, სახელმწიფოს უნდა უზრუნველყო სულ მცირე სამი ახალი, მათ შორის, არასრულწლოვანთა დაწესებულების მშენებლობა. ამასთან, როგორც აღინიშნა, სახელმწიფოს თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების ფუნქციონირებისათვის, მსჯავრდებულთა შენახვის ხარჯების გათვალისწინებით, წელიწადში 100 000 ლარამდე თანხის გაღება უწევდა.<sup>310</sup> ამ ყოველივეს გათვალისწინებით, ნათელია, რამდენად ხელსაყრელია სახელმწიფოსათვის შინაპატიმრობის გამოყენება, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის, მათი საუკეთესო ინტერესების დაცულობის მიმართ უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას.

ზემოთგანხილული საკითხები კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის გამოყენება კანონმდებლობის შეფასების, არსებული ხარვეზების იდენტიფიცირებისა და სათანადო ცვლილებების განხორციელების ინსტრუმენტად. ბუნებრივია, მხოლოდ ამ საკითხებით არ შემოიფარგლება ამკ-ით გათვალისწინებული რეგულაციების საუკეთესო ინტერესების ტესტთან შესაბამისობის შემოწმება და ყველა სხვა დანარჩენ საკითხზე ნაშრომის შესაბამის ქვეთავში გამახვილდება ყურადღება.

---

<sup>310</sup> იხ., განმარტებითი ბარათი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2017 წლის 1 ივნისის კანონის პროექტზე,; განმარტებითი ბარათი „პატიმრობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2017 წლის 1 ივნისის კანონის პროექტზე.

### **3. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის სამმაგი ბუნება**

ბავშვის უფლებათა კომიტეტი საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის ნამდვილ მნიშვნელობას გამოხატავს მისთვის სამგვარი გაგების – უფლების, პრინციპისა და პროცედურული წესის – მინიჭების მეშვეობით.<sup>311</sup>

#### **3.1. საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა, როგორც არასრულწლოვნის უფლება**

ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი განამტკიცებს არა მარტო პრინციპს, არამედ არასრულწლოვნის უფლებას, მის მიმართ ნებისმიერი ქმედების განხორციელებისას და გადაწყვეტილების მიღებისას შეფასებულ იქნეს მისი საუკეთესო ინტერესი და მიენიჭოს უპირველესი მნიშვნელობა სხვა ინტერესებთან მიმართებით. ამასთან, საუკეთესო ინტერესების ამგვარი გაგება გულისხმობს გარანტიის არსებობას, რომ ეს უფლება აუცილებლად განხორციელდება. საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულად გათვალისწინების უფლებას გააჩნია თვითაღსრულებადი ხასიათი და შესაძლებელია სასამართლოში პირდაპირ გამოყენება.<sup>312</sup>

---

<sup>311</sup> General Comment No. 14 “On the Right of the Child to Have his or her Best Interests Taken as a Primary Consideration” (Art. 3, para.1)”, UN Committee on the Rights of the Child, Sixty-second Session (14 January - 1 February 2013), CRC/C/GC/14, 29 May, 2013, Paras.1, 6; Sutherland E. E., Article 3 of the United Nations Convention on the Rights of the Child: The Challenges of Vagueness and Priorities, in: Implementing Article 3 of the United Nations Convention on the Rights of the Child: Best Interests, Welfare and Well-being, Elaine E. Sutherland, Lesley-Anne Barnes Macfarlane (Eds.), Cambridge University Press, 2016, 32; Hainsworth J., The Best Interests of the Child and Current Challenges Civil Society Faces, in: The Best Interests of the Child – A Dialogue Between Theory and Practice, Milka Sormunen (Ed.), Council of Europe, 2016, 100.

<sup>312</sup> General Comment No. 14 “On the Right of the Child to Have his or her Best Interests Taken as a Primary Consideration (Art. 3, para.1)”, UN Committee

კონვენციის მე-3 მუხლის ამგვარი გაგება ნათლად აისახა ბავშვის უფლებათა კომიტეტის №14 ზოგადი კომენტარის სათაურშიც.<sup>313</sup> კერძოდ, ზოგად კომენტარს ნაცვლად საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპისა, ეწოდა ბავშვის უფლება მისი საუკეთესო ინტერესების უპირველესად გათვალისწინების შესახებ.<sup>314</sup> მიუხედავად ამისა, არსებობს კონვენციის მე-3 მუხლთან დაკავშირებული ერთ-ერთი სერიოზული, მაგრამ ნაკლებად გავრცელებული კრიტიკა, რომლის თანახმად, საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა არ წარმოადგენს უფლებას იმ მოტივით, რომ იგი გახლავთ კონვენციის იმ მცირერიცხოვან დებულებათა შორის, რომლებიც არ იყენებენ უფლების ფორმულირების ენას.<sup>315</sup> მიუხედავად ამისა, საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა ფართოდ აღიარებულია, როგორც არასრულწლოვნის უფლება, რასაც ბავშვის უფლებათა კომიტეტის განმარტებაც ადასტურებს.

### **3.2. საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა, როგორც ფუნდამენტური ინტერპრეტირებადი პრინციპი**

საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა, როგორც ფუნდამენტური პრინციპი გულისხმობს გადანყვეტილების მიმღები პირის ფართო უფლებამოსილების შეზღუდვას და არასრულწლოვნის სასარგებლოდ გადანყვეტილების მიღების ვალდებულების დანესე-

---

on the Rights of the Child, Sixty-second Session (14 January - 1 February 2013), CRC/C/GC/14, 29 May, 2013, Paras.1, 6.

<sup>313</sup> Zermatten J., Best Interests of the Child, in: Child-Friendly Justice: A Quarter of a Century of the UN Convention on the Rights of the Child, Said Mahmoudi, Pernila Leviner, Anna Kaldal, Katrin Lainpelto (Eds.), Brill Nijhoff, Leiden, Boston, 2015, 31.

<sup>314</sup> Llorens J. C., Presentation of General Comment No.14: Strengthens and Limitations, Points of Consensus and Dissent Emerging in its Drafting, in: The Best Interests of the Child – A Dialogue Between Theory and Practice, Milka Sormunen (Ed.), Council of Europe, 2016, 17.

<sup>315</sup> Kilkelly U., Using the Convention on the Rights of the Child in Law and Policy: Two Ways to Improve Compliance, in: The Human Rights of Children from Visions to Implementation, Antonella Invernizzi, Jane Williams (Eds.), Ashgate Publishing Limited, Swansea University, Wales, UK, 2011, 181.

ბას.<sup>316</sup> ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ კანონის ნორმა იძლევა ინტერპრეტირების საშუალებას, იმგვარი განმარტება უნდა იქნეს გამოყენებული, რომელიც ყველაზე მეტად ემსახურება არასრულწლოვნის ინტერესების დაცვას. ინტერპრეტირების ჩარჩოს კი ბავშვის უფლებათა კონვენციასა და მის დამატებით ოქმებში გარანტირებული უფლებები ქმნიან.<sup>317</sup> საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა, როგორც პრინციპი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს იარაღს ღირსებითა და უფლებებით აღჭურვილი არასრულწლოვნის პატივისცემისა და ძირითადი ყურადღების საგნად განხილვის თვალსაზრისით.<sup>318</sup>

ბავშვის უფლებათა კომიტეტის განმარტებით, საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი განსაზღვრავს სამი სხვადასხვა სახის ვალდებულებას. პირველი, საჯარო უწყებების მიერ განხორციელებულ ნებისმიერ ქმედებაში, განსაკუთრებით, ადმინისტრაციულ და სასამართლო წარმოებისას, არსრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების სათანადოდ ინტეგრირებისა და თანმიმდევრულად გამოყენების უზრუნველყოფა; მეორე, არასრულწლოვნებთან დაკავშირებულ სასამართლო და ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებებში, ასევე კანონმდებლობასა თუ პოლიტიკაში საუკეთესო ინტერესების უპირატესად გათვალისწინების წარმოჩენის უზრუნველყოფა; და ბოლოს, კერძო სექტორის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებსა და თუ განხორციელებულ ქმედებებში არა-

---

<sup>316</sup> Zermatten J., *The Best Interests of the Child Principle: Literal Analysis and Function*, "International Journal of Children's Rights", Vol. 18, Issue 4, 2010, 485.

<sup>317</sup> General Comment No. 14 "On the Right of the Child to Have his or her Best Interests Taken as a Primary Consideration (Art. 3, para.1)", UN Committee on the Rights of the Child, Sixty-second Session (14 January - 1 February 2013), CRC/C/GC/14, 29 May, 2013, Para. 6 (b).

<sup>318</sup> Zermatten J., *Best Interests of the Child*, in: *Child-Friendly Justice: A Quarter of a Century of the UN Convention on the Rights of the Child*, Said Mahmoudi, Pernila Leviner, Anna Kaldal, Katrin Lainpelto (Eds.), Brill Nijhoff, Leiden, Boston, 2015, 42.

სრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და უპირატესად გათვალისწინების უზრუნველყოფა.<sup>319</sup>

ამრიგად, საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა, როგორც უფლება არასრულწლოვანს აღჭურავს უფლებამოსილებით, მოსთხოვოს გადაწყვეტილების მიმღებ პირს მისი საუკეთესო ინტერესების უპირველეს ყოვლისა გათვალისწინება, ხოლო როგორც პრინციპი, გადაწყვეტილების მიმღებ პირს ავალდებულებს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად მოქმედებას.<sup>320</sup>

### **3.3. საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა, როგორც პროცედურული წესი**

საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პროცედურულ წესად განმარტებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, მისი როგორც ბავშვის უფლებისა და ფუნდამენტური პრინციპის სათანადოდ განხორციელების უზრუნველსაყოფად. კერძოდ, საუკეთესო ინტერესები, როგორც პროცედურული წესი სახელმწიფოსაგან მოითხოვს ფორმალური პროცედურების დანერგვას მკაცრი საპროცესო გარანტიებით, რათა შეფასდეს და განისაზღვროს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები. თავის მხრივ, სახელმწიფოს ეკისრება გადაწყვეტილების მიღების გამჭვირვალე და ობიექტური პროცესის ჩამოყალიბების ვალდებულება.<sup>321</sup>

პროცედურის დაცვაში, მათ შორის, მოიაზრება საბოლოო გადაწყვეტილების არასრულწლოვანზე შესაძლო გავლენის შეფასება,

---

<sup>319</sup> General Comment No. 14 “On the Right of the Child to Have his or her Best Interests Taken as a Primary Consideration (Art. 3, para.1)”, UN Committee on the Rights of the Child, Sixty-second Session (14 January - 1 February 2013), CRC/C/GC/14, 29 May, 2013, Para. 14.

<sup>320</sup> შეყილაძე ხ., არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის არსი, „სამართლის ჟურნალი“, №2, 2016, 274.

<sup>321</sup> Llorens J. C., Presentation of General Comment No.14: Strengthens and Limitations, Points of Consensus and Dissent Emerging in its Drafting, in: The Best Interests of the Child – A Dialogue Between Theory and Practice, Milka Sormunen (Ed.), Council of Europe, 2016, 17.

როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური თვალსაზრისით.<sup>322</sup> ამასთან, მნიშვნელოვანია, მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთება ცხადყოფდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესის უპირატესად გათვალისწინების უფლების სათანადოდ მხედველობაში მიღებას<sup>323</sup> და უფლების მფლობელი ფლობდეს ინფორმაციას იმ ფაქტორებისა და გარემოებების შესახებ, რომლებიც შეფასებულ იქნა გადაწყვეტილების მიმღები პირის მიერ.<sup>324</sup> შესაბამისად, გადაწყვეტილება სრულყოფილად უნდა ასახავდეს, თუ რა იქნა მიჩნეული ბავშვის საუკეთესო ინტერესად, რა კრიტერიუმებს დაეფუძნა იგი და როგორ შეფასდა ბავშვის ინტერესები სხვა ინტერესებთან მიმართებით.<sup>325</sup> ამრიგად, არა მარტო საბოლოო გადაწყვეტილება უნდა შეესაბამებოდეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს, არამედ გადაწყვეტილების მიღების პროცესიც შესაბამისობაში უნდა იყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესებთან.<sup>326</sup>

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის ბავშვის უფლებად, ძირითად პრინციპად და პროცედურულ წესად განმარტება ნათელს ჰყენს მის ნამდვილ შინაარსსა და დანიშნულებას. ასევე ხაზგასმით წარმოაჩენს არასრულწლოვნის აღქმას, როგორც უფლებებით აღჭურვილ აქტიურ პროცესის მონაწილეებად, ისე სახელმწიფოს მხრიდან სათანადო დაცვისა და ზრუნვის ობიექტებად. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების

---

<sup>322</sup> General Comment No. 14 “On the Right of the Child to Have his or her Best Interests Taken as a Primary Consideration (Art. 3, para.1)”, UN Committee on the Rights of the Child, Sixty-second Session (14 January - 1 February 2013), CRC/C/GC/14, 29 May, 2013, Para. 6(c).

<sup>323</sup> იქვე.

<sup>324</sup> Llorens J. C., Presentation of General Comment No.14: Strengthens and Limitations, Points of Consensus and Dissent Emerging in its Drafting, in: The Best Interests of the Child – A Dialogue Between Theory and Practice, Milka Sormunen (Ed.), Council of Europe, 2016, 17.

<sup>325</sup> General Comment No. 14 “On the Right of the Child to Have his or her Best Interests Taken as a Primary Consideration (Art. 3, para.1)”, UN Committee on the Rights of the Child, Sixty-second Session (14 January - 1 February 2013), CRC/C/GC/14, 29 May, 2013, Para. 6 (c).

<sup>326</sup> შეილაძე ხ., არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის არსი, „სამართლის ჟურნალი“, №2, 2016, 274-275.

კოდექსი საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ზოგად პრინციპად განიხილავს, თუმცა აღნიშნული არ გამოირიცხავს საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის, როგორც ბავშვის უფლებად განხილვის შესაძლებლობას. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობას სწორედ ბავშვის ძირითად უფლებად განიხილავს.<sup>327</sup>

#### **4. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებისათვის პრიორიტეტის მინიჭების თეორიული საფუძვლები**

რატომ საუკეთესო ინტერესები? ეს კითხვა შეიძლება პრინციპის კრიტიკოსებისთვის იყოს განსაკუთრებით აქტუალური და მასზე პასუხის გასაცემად მნიშვნელოვანია საუკეთესო ინტერესებისათვის უპირატესობის მინიჭების თეორიული საფუძვლების განალიზება. ამ საკითხთან დაკავშირებით ლიტერატურაში დამკვიდრებულია რამდენიმე არგუმენტი. პირველი, არასრულწლოვნებს აქვთ უფლება, მათ ინტერესებს მიენიჭოს უპირატესობა; მეორე, საუკეთესო ინტერესებისათვის უპირატესობის მინიჭება გამომდინარეობს არასრულწლოვანთა დაუცველობიდან და თუ არა ამგვარი პრიორიტეტის მინიჭება, არსებობს მათი ინტერესების სრული იგნორირების საფრთხე; მესამე, არასრულწლოვნებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, გახდნენ წარმატებულები; მეოთხე, ბავშვებს ქმნიან და აყალიბებენ სრულწლოვნები და სწორედ მათი ვალდებულებაა არასრულწლოვანთათვის განვითარების ხელშეწყობა; და ბოლოს, მეხუთე არგუმენტი საუკეთესო ინტერესისათვის უპირატესობის მინიჭებას მშობლის პოზიციიდან აფასებს. კერძოდ, სურვილი შესწირო საკუთარი ინტერესები არასრულწლოვნის ინტერესებს.<sup>328</sup>

<sup>327</sup> იხ., საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“, მე-5 მუხლი.

<sup>328</sup> Reece H., *The Paramountcy Principle: Consensus or Construct?* "Current Legal Problems Journal", Vol. 49, Issue 1, 1996, 275-280; Freeman M., *A Commentary on the United Nations Convention on the Rights of the Child,*

არისტოტელეს განმარტებით, „მართლმსაჯულება ისაა, რომ თანასწორს მოვექცეთ თანასწორად და „არათანასწორს“ – არათანასწორად, მათი არათანასწორობის შესაბამისად“. <sup>329</sup> ამრიგად, არც ერთი ცივილიზებული საზოგადოება არ აკისრებს არასრულწლოვნებს ჩადენილი ქმედებებისთვის პასუხისმგებლობას ისეთივე დონეზე, როგორც სრულწლოვნებს. <sup>330</sup> „ცალკე აღებული კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპის დაცვა დიდ ბოროტებად იქცევა, თუ მას სხვა პრინციპებთან კავშირში არ ავამოქმედებთ. თანასწორობა ადამიანთა შორის, ასე ვთქვათ, „უთანასწორო“ განსხვავებული პირობებით მიდგომას მოითხოვს, რასაც საფუძვლად ცალკეული ინდივიდისათვის დამახასიათებელი განსხვავებული თვისებები და შესაძლებლობები განაპირობებს. თანასწორობის გამოსაყვანად მოქმედებს ფორმულა: საერთო თანასწორი პირობების გამოყენება ინდივიდუალური შესაძლებლობების პროპორციულად“. <sup>331</sup> სწორედ ეს გახლავთ სამართლიანობა, რომელიც საფუძვლად უდევს კონსტიტუციას, სამართლებრივ სახელმწიფოსა და სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციას, როგორც სისხლის სამართლის პოლიტიკის მთავარ საკითხს. <sup>332</sup> შესაბამისად, არასრულწლოვნებთან მიმართებით განსხვავებული დამოკიდებულების დადგენა სწორედ სამართლიანობის პრინციპის გამოხატულებაა. <sup>333</sup>

---

Article 3, Best Interests of the Child, André Alen, Johan Vande Lanotte, Eugeen Verhellen, Fiona Ang, Eva Berghmans, Mieke Verheyde (Eds.), Martinus Nijhoff Publishers, Leiden, Boston, 2007, 40.

<sup>329</sup> უექსი რ., სამართლის ფილოსოფია, ძალიან მოკლე შესავალი, მ. ბაბუხაძის თარგმანი, ი. ბაჩიაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2012, 82.

<sup>330</sup> Molan M., Lanser D., Bloy D., Bloy and Parry's Principles of Criminal Law, 4<sup>th</sup> Edition, Paul Dobson, Nigel Gravells, Phillip Kenny, Richard Kidner (Eds.), Cavendish Publishing Limited, London, Sydney, 2000, 256.

<sup>331</sup> დვალაძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელის და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბილისი, 2013, 209.

<sup>332</sup> ივანიძე მ., ალტერნატიული სასჯელები (შედარებითი ანალიზი), წიგნში: მზია ლეკვეიშვილი 85, მ. ივანიძის რედაქტორობით, თბილისი, 2014, 20.

<sup>333</sup> გიორგაძე ალ., არასრულწლოვანთა სასჯელის მიზანი (რა მიზანს ემსახურება სასჯელი?), წიგნში: არასრულწლოვანთა სასჯელისა და

ბავშვის უფლებათა კომიტეტის განმარტებით, საუკეთესო ინტერესისათვის უპირატესობის მინიჭება განპირობებულია ბავშვის განსაკუთრებული ვითარებით, რასაც განაპირობებს მათი დამოკიდებული მდგომარეობა, მონიფულობის ხარისხი, სამართლებრივი სტატუსი და ხშირად საკუთარი აზრის გამოხატვის შეუძლებლობა. ზრდასრული ადამიანებისაგან განსხვავებით, ბავშვებს საკუთარი ინტერესების დაცვის ნაკლები შესაძლებლობა გააჩნიათ.<sup>334</sup> სწორედ გამოცდილებისა და განსჯის შესაძლებლობის ნაკლებობით აიხსნება ზრდასრულთა მიერ არასრულწლოვნების სასარგებლოდ გადანყვეტილების მიღების აღიარება.<sup>335</sup> გამოუცდელობამ შესაძლოა არა მარტო დანაშაულის ჩადენა, არამედ არასრულწლოვნის მსხვერპლად გახდომაც განაპირობოს, როგორც ამას ვიქტიმოლოგიაში კარგად ცნობილი ჰენტინგის მსხვერპლის ტიპოლოგიები მოწმობს.<sup>336</sup> გარდა ამისა, პირის მოწყვლადობა უფლებების დარღვევის მაღალ რისკს შეიცავს,<sup>337</sup> რომლის პრევენციისათვის განსაკუთრებული მიდგომაა საჭირო. ამასთან, არასრულწლოვანთა მოუმნიფებლობიდან გამომდინარე, ისინი არ შეიძლება განხილულ იქნან, როგორც თვითმოტივირებული დანაშაულის ჩამდენი ადამიანები, არამედ განიხილებიან იმ გარემოს მსხვერპლად, სადაც ცხოვრობენ. მათ მიერ ჩადენილი ნებისმიერი კრიმინალური ქმედება შეიძლება გამომდინარეობდეს სწორედ გარემოში არსებული

---

აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიებების შეფარდების პრობლემები, მ. ლეკვეიშვილისა და მ. შალიკაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2011, 84.

<sup>334</sup> General Comment No. 14 "On the Right of the Child to Have his or her Best Interests Taken as a Primary Consideration (Art. 3, para.1)", UN Committee on the Rights of the Child, Sixty-second Session (14 January - 1 February 2013), CRC/C/GC/14, 29 May, 2013, Para. 37.

<sup>335</sup> Sund L.G., Vackermo M., The Interest Theory, Children's Rights and Social Authorities, "The International Journal of Children's Rights", Vol. 23, Issue 4, 2015, 759.

<sup>336</sup> შალიკაშვილი მ., ვიქტიმოლოგია – მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ, თბილისი, 2011, 37.

<sup>337</sup> შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასჯელალსრულების სამართალი (სახელმძღვანელო), თბილისი, 2014, 312.

დისფუნქციური ელემენტებიდან.<sup>338</sup> გარდატეხის პერიოდში მოზარდის ორგანიზმში მიმდინარე ნივთიერებათა ცვლა დიდ გავლენას ახდენს მის ფსიქიკურ განვითარებაზე.<sup>339</sup> ამ დროს მოზარდში აღინიშნება ენერჯის დიდი მოზღვავება, რის გამოც ყოველგვარი სულიერი და მორალური ნორმების გაუთვალისწინებლად, სურს თავი გამოიჩინოს.<sup>340</sup> ჩატარებული კვლევებით, მოზარდებს უჭირთ სურვილების რაციონალური მართვა.<sup>341</sup> დანაშაულის ჩადენას ხშირ შემთხვევაში, არასრულწლოვნის პიროვნებაში (თვითდამკვიდრება) და ორგანიზმში (ბიოლოგიური) მიმდინარე პროცესები განაპირობებს.<sup>342</sup> სწორედ ჯერ კიდევ განუვითარებელი ფიზიკური და ფსიქოლოგიური შესაძლებლობების გათვალისწინებით, სახელმწიფოს ეკისრება განსაკუთრებული პასუხისმგებლობა არასრულწლოვანთა მიმართ,<sup>343</sup> რაც საუკეთესო ინტერესების უპირატესად გათვალისწინებაში გამოიხატება. ამ მიდგომის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ასევე არის არასრულწლოვნის შემდგომი რესოციალიზა-

---

<sup>338</sup> Bottoms A., *The Divergent Development of Juvenile Justice Policy and Practice in England and Scotland*, in: *A Century of Juvenile Justice*, Margaret K. Rosenheim, Franklin E. Zimring, David S. Tanenhaus, Bernardine Dohrn (Eds.), University of Chicago Press, Chicago, London, 2002, 461.

<sup>339</sup> შალიკაშვილი მ., არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის პროგრამის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბილისი, 2013, 15; შალიკაშვილი მ., არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის კრიმინოლოგიური თავისებურებები, წიგნში: არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების პრობლემები, მ. ლეკვეიშვილისა და მ. შალიკაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2011, 18; შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2011, 158; ივანიძე მ., არასრულწლოვანი და მისი საუკეთესო ინტერესები, წიგნში: არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, თბილისი, 2017, 22-23.

<sup>340</sup> შალიკაშვილი მ., ვიქტიმოლოგია - მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ, თბილისი, 2011, 37.

<sup>341</sup> ივანიძე მ., არასრულწლოვანი და მისი საუკეთესო ინტერესები, წიგნში: არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, თბილისი, 2017, 22-23.

<sup>342</sup> იქვე, 24.

<sup>343</sup> Ashworth A., *Sentencing and Criminal Justice*, 5<sup>th</sup> Edition, Cambridge University Press, Cambridge, 2010, 391.

ციის სიმარტივე.<sup>344</sup> სწორედ სრულწლოვნებისაგან განსხვავებული ფიზიკური და გონებრივი განვითარების დონით, ემოციური მდგომარეობითა და განათლების საჭიროებით ხსნის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის განმარტებითი ბარათი არასრულწლოვნების მიმართ განსხვავებულ დამოკიდებულებას და მათი ინტერესების უპირატესად გათვალისწინების ვალდებულებას.<sup>345</sup>

გარდა არასრულწლოვნებსა და სრულწლოვნებს შორის ბიოფსიქოლოგიური განსხვავებების არსებობისა, მნიშვნელოვანია, არასრულწლოვანთა დანაშაულთან დაკავშირებულ რისკ-ფაქტორებზე ყურადღების გამახვილება. კერძოდ, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ინტერესებისათვის უპირატესობის მინიჭება შესაძლოა ასევე აიხსნას არასრულწლოვანთა დანაშაულობის ხასიათის, თავისებურებების გათვალისწინებით. აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვანთა დანაშაული, მათი ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური განვითარების გამო, საზოგადოების ნორმალური გამოვლინებაა.<sup>346</sup> საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ რეციდიული დანაშაულის შემთხვევაში, დამნაშავეთა უმეტესმა ნაწილმა თავისი პირველი დანაშაული სწორედ მოზარდობის პერიოდში ჩაიდინა.<sup>347</sup> ამასთან, კრიმინოლოგიური კვლევები ცხად-

---

<sup>344</sup> იმერლიშვილი ი., არასრულწლოვანთა მიმართ აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების საკითხი ეროვნული კანონმდებლობის, სასამართლო პრაქტიკისა და ევროპული სტანდარტების ანალიზის მიხედვით, „მართლმსაჯულება და კანონი“, №1, 2018, 28.

<sup>345</sup> იხ., განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“.

<sup>346</sup> შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მე-2 გამოცემა, თბილისი, 2016, 16; შალიკაშვილი მ., არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის პროგრამის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბილისი, 2013, 19; შალიკაშვილი მ., არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის კრიმინოლოგიური თავისებურებები, ნიგში: არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების პრობლემები, მ. ლეკვიშვილისა და მ. შალიკაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2011, 20.

<sup>347</sup> ივანიძე მ., არასრულწლოვანთა მიმართ სასჯელის გამოყენების სასამართლო პრაქტიკა, ნიგში: არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრ-

ყოფს, რომ თითქმის ყველა მოზარდს არასრულწლოვანების პერიოდში ერთხელ მაინც აქვს ჩადენილი კანონსაწინააღმდეგო ქმედება.<sup>348</sup> გასათვალისწინებელია ასევე არასრულწლოვანთა დანაშაულობის სიტუაციური ხასიათი.<sup>349</sup> გარდა ამისა, ყველგან და ყოველთვის არასრულწლოვნები ჩადიან საზიანო ქმედებებს.<sup>350</sup> შესაბამისად, არასრულწლოვანთა დანაშაული ყველა საზოგადოებაში, ნებისმიერ სოციალურ ფენაში გავრცელებულია და, ამავდროულად, ახასიათებს ეპიზოდურობა, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი ჩადენა შესაძლებელია ნებისმიერ დროს, გარდატეხის პერიოდიდან სრულ ჩამოყალიბებამდე, რა დროსაც ასევე მნიშვნელოვანია მის სოციალიზაციასთან დაკავშირებული პრობლემები. აღნიშნული გულისხმობს იმას, რომ სოციალიზაციის დასრულების შემდეგ მოზარდი აღარ ჩაიდენს დანაშაულს,<sup>351</sup> ვინაიდან ამ პროცესის დასრულებამდე არასრულწლოვანს არ აქვს მკაფიოდ გარკვეული საკუთარი როლი საზოგადოებაში, საბოლოოდ არ აქვს ჩამოყალიბებული წარმოდგენა, თუ რა არის სწორი და არასწორი და რა

---

დებლობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების პრობლემები, მ. ლეკვეიშვილისა და მ. შალიკაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2011, 160.

<sup>348</sup> შალიკაშვილი მ., კრიმინალური კარიერის ხელშეწყობის კრიმინოლოგიური ანალიზი (საზოგადოების როლი ადამიანის კრიმინალად ჩამოყალიბების პროცესში), „სამართლის ჟურნალი“, №1-2, 2010, 199.

<sup>349</sup> კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში, გ. ლლონტის რედაქტორობით, თბილისი, 2008, 290.

<sup>350</sup> Telford M., *The Criminal Responsibility of Children and Young People: An Analysis of Compliance with International Human Rights Obligations in England and Wales*, „International Journal of Private Law“, Vol. 5, No. 2, 2012, 114.

<sup>351</sup> შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მე-2 გამოცემა, თბილისი, 2016, 17; შალიკაშვილი მ., არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის პროგრამის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბილისი, 2013, 19-20; შალიკაშვილი მ., არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის კრიმინოლოგიური თავისებურებები, ნიგეში: არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების პრობლემები, მ. ლეკვეიშვილისა და მ. შალიკაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2011, 21-22.

შედეგები შეიძლება მოუტანოს დანაშაულის ჩადენამ.<sup>352</sup> თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ არასრულწლოვნის მიერ დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების საკითხი არ წყდება ერთმნიშვნელოვნად და მრავალ ფაქტორზეა დამოკდიებული.<sup>353</sup> გარდა ზემოთ დასახელებულისა, აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვანთა დანაშაულებრიობა საზოგადოებისათვის ნაკლებად საშიში და ნაკლები ზარალის მომტანია, ასევე შედარებით დაბალია მძიმე დანაშაულთა წილიც.<sup>354</sup> ამ ყოველივეს გათვალისწინებით, სახელმწიფოს პოლიტიკა უნდა უზრუნველყოფდეს მოზარდის მიერ გარდატეხის პერიოდით გამომწვეული სირთულეების გადალახვასა და მისი კრიმინალად ჩამოყალიბების პრევენციას.<sup>355</sup> ნევროლოგიური კვლევები ცხადყოფს სანქციის ეფექტიანობის სხვადასხვა ფაქტორს. კერძოდ, ერთი მხრივ, სასჯელი მხოლოდ მაშინ არის ეფექტიანი, როდესაც იგი სოციალური კონტროლის სისტემაში თავშეკავებულ ადგილს იკავებს, ხოლო, მეორე მხრივ, ხაზი უნდა გაესვას მოზარდისთვის შესაძლებლობის მიცემას, საკუთარი დადებითი საქციელით აღიდგინოს იმიჯი საზოგადოებაში.<sup>356</sup> აღნიშნულის გათვალისწინებით, კანონმდებლობა უნდა იყოს იმდენად დახვეწილი და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი, რომ არასრულწლოვანების პერიოდში ჩადენილმა დანაშაულმა რაც შეიძლება

---

<sup>352</sup> გიორგაძე აღ., არასრულწლოვანთა სასჯელის მიზანი (რა მიზანს ემსახურება სასჯელი?), წიგნში: არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების პრობლემები, მ. ლეკვეიშვილისა და მ. შალიკაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2011, 80.

<sup>353</sup> ხერხეულიძე ი., არასრულწლოვანთა დანაშაული და მისი გამომწვევი მიზეზები იუვენალური იუსტიციის სისტემაში, „სამართლის ჟურნალი“, №2, 2012, 292.

<sup>354</sup> კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში, გ. ლლონტის რედაქტორობით, თბილისი, 2008, 290.

<sup>355</sup> შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მე-2 გამოცემა, თბილისი, 2016, 18.

<sup>356</sup> იქვე, 91.

უმტკივნეულოდ ჩაიაროს პირის ცხოვრებაში.<sup>357</sup> სწორედ ამ მიზნის მიღწევას ემსახურება საუკეთესო ინტერესებისათვის უპირატესობის მინიჭება, რაც ასევე უტილიტარული თეორიებითაც შეიძლება იქნეს გამართლებული, მიუხედავად იმისა, რომ უტილიტარიზმი სოციალურად სასარგებლო შედეგებზეა ორიენტირებული,<sup>358</sup> ინდივიდუალურ საჭიროებებთან მიმართებით უპირატესობას საყოველთაო კეთილდღეობას ანიჭებს<sup>359</sup> და რომლის თანახმად, „მართლმსაჯულება ბედნიერების მაქსიმუმამდე გაზრდაა“,<sup>360</sup> რისთვისაც გამართლებულია ერთი ადამიანისათვის ზიანის მიყენება საყოველთაო კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.<sup>361</sup> თუმცა, საყოველთაო კეთილდღეობის მიღწევა ერთი ადამიანის კეთილდღეობის ხარჯზეც შესაძლებელია. კერძოდ, არასრულწლოვნის ინტერესებისათვის უფრო დიდი მნიშვნელობის მინიჭება ხელს უწყობს მთლიანად საზოგადოების კეთილდღეობის მაქსიმალურ ზრდას, რადგან სწორედ არასრულწლოვნები არიან საზოგადოებაში უწყვეტი წესრიგის შენარჩუნების ძირითადი ძალა, ხოლო მათი ინტერესების გათვალისწინება მომავლის შენებას გულისხმობს.<sup>362</sup> ახალგაზრდა თაობა წარმოადგენს სოციალური განვითარების

---

<sup>357</sup> ივანიძე მ., სასჯელის შეფარდების ზოგადი სანქსიები საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობის მიხედვით, „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, №1, 2017, 10.

<sup>358</sup> ვაჩიშვილი ალ., სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისძიებანი, თბილისი, 1960, 31.

<sup>359</sup> ხუბუა გ., სამართლის თეორია, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2015, 101.

<sup>360</sup> უექსი რ., სამართლის ფილოსოფია, ძალიან მოკლე შესავალი, მ. ბაბუხაძიას თარგმანი, ი. ბაჩიაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2012, 82.

<sup>361</sup> Follesdal A., John Rawls' Theory of Justice as Fairness, in: *Philosophy of Justice, Series: Contemporary Philosophy: A New Survey*, Vol. 12, Guttorm Fløistad (Ed.), Springer, Oslo, 2015, 312.

<sup>362</sup> Freeman M., A Commentary on the United Nations Convention on the Rights of the Child, Article 3, Best Interests of the Child, André Alen, Johan Vande Lanotte, Eugeen Verhellen, Fiona Ang, Eva Berghmans, Mieke Verheyde (Eds.), Martinus Nijhoff Publishers, Leiden, Boston, 2007, 41; Reece H., The Paramountcy Principle: Consensus or Construct? "Current Legal Problems Journal", Vol. 49, Issue 1, 1996, 280.

ბუნებრივ რეზერვს.<sup>363</sup> შესაბამისად, ის, რაც დემოკრატიულ საზოგადოებაში არასრულწლოვნისათვის სასარგებლოა, იმავდროულად სარგებლის მომტანია მთლიანად საზოგადოებისათვის.<sup>364</sup> საუკეთესო ინტერესებისათვის უპირატესობის მინიჭება უზრუნველყოფს არასრულწლოვნების კანონმორჩილ ადამიანებად ჩამოყალიბებას, რაც საზოგადოებისათვის უსაფრთხოდ ცხოვრების გარანტიაა. ამასთან, ისიც გასათვალისწინებელია, რომ არასრულწლოვნები უფრო მეტად ექცევიან დადებითი ზეგავლენის, სარეაბილიტაციო და საგანმანათლებლო პროგრამების ქვეშ, ვიდრე სრულწლოვნები.<sup>365</sup>

კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებისათვის უპირატესობის მინიჭება და მათდამი განსაკუთრებული დამოკიდებულების აღიარება ჰუმანიზმის პრინციპიდან გამომდინარეობს, რომელსაც ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა გააჩნია, თუმცა არ ნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ ცალმხრივ დათმობებს და ზღვარგადასულ მიმტევებლობას.<sup>366</sup>

## **5. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის მიმართება და კავშირი სხვა პრინციპებთან**

ბავშვის უფლებათა კონვენცია ეფუძნება ოთხ ფუნდამენტურ პრინციპს: დისკრიმინაციის დაუშვებლობა, არასრულწლოვნის სა-

---

<sup>363</sup> წულაია ზ., კრიმინოლოგია (ზოგადი და კერძო ნაწილი), თბილისი, 2005, 284.

<sup>364</sup> Corriero M.A., Judging Children as Children: A Proposal for a Juvenile Justice System, Temple University Press, Philadelphia, 2006, 6.

<sup>365</sup> მიქანაძე გ., არასრულწლოვან, ქალ და უვადო თავისუფლებაალკვეთილ პატიმრებთან მოპყრობის თავისებურებანი, თბილისი, 2008, 13.

<sup>366</sup> სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, გ. ნაჭყებიას და გ. ტყეშელიაძის რედაქტორობით, თბილისი, 2004, 34-35; სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, გ. ნაჭყებიას და ი. დვალიძის რედაქტორობით, თბილისი, 2007, 37; ნაჭყებია გ., სისხლის სამართლის პრინციპები, წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო), მე-2 გამოცემა, გ. ნაჭყებიას და ნ. თოდუას რედაქტორობით, თბილისი, 2016, 70.

უკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა, სიცოცხლის, გადარჩენისა და ჯანსაღი განვითარების უფლება და საკუთარი შეხედულებების გამოხატვის უფლება.<sup>367</sup> ყველა ეს პრინციპი იმავდროულად არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პრინციპებიცაა. უნდა აღინიშნოს, რომ თავად ბავშვის უფლებათა კომიტეტს არ უკეთებია განმარტება, თუ რატომ დაყო კონვენცია ზემოაღნიშნულ ოთხ ზოგად პრინციპად და რატომ მოიხსენიებს მათ პრინციპებად, როდესაც ისინი თავისი არსით კონვენციით დაცულ უფლებებს წარმოადგენენ. აღსანიშნავია, რომ ამგვარი დაყოფა განხორციელდა კომიტეტის თავდაპირველი წევრების მიერ 1991 წელს.<sup>368</sup> როგორც შემდგომ გამოიკვეთა, ვინაიდან კონვენციის დებულებები მისი მიღების საწყის ეტაპზე უცხო იყო სახელმწიფოებისა და საერთაშორისო საზოგადოებისათვის, ზოგადი პრინციპების წარმოჩენა ემსახურებოდა კონვენციის არსის შეცნობის გამარტივებასა<sup>369</sup> და სახელმწიფოებისათვის მითითების მიცემას, თუ რა ღირებულებებზე უნდა გაემახვილებინათ განსაკუთრებული ყურადღება კონვენციის იმპლემენტაციის შესახებ თავიანთ საწყის

---

<sup>367</sup> ჰამილტონი ქ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, ბავშვთა სამართლებრივი ცენტრი და გაეროს ბავშვთა ფონდი, ბავშვთა დაცვის განყოფილება, ნიუ-იორკი, 2011, 34; Detrick Sh., A Commentary on the United Nations Convention on the Rights of the Child, Martinus Nijhoff Publishers, The Hague, Boston, London, 1999, 86; Tobin J., Understanding a Human Rights Based Approach to Matters Involving Children: Conceptual Foundations and Strategic Considerations, in: The Human Rights of Children from Visions to Implementation, Antonella Invernizzi, Jane Williams (Eds.), Ashgate Publishing Limited, Swansea University, Wales, UK, 2011, 71; Kilkelly U., Using the Convention on the Rights of the Child in Law and Policy: Two Ways to Improve Compliance, in: The Human Rights of Children from Visions to Implementation, Antonella Invernizzi, Jane Williams (Eds.), Ashgate Publishing Limited, Swansea University, Wales, UK, 2011, 180-181.

<sup>368</sup> Abramson B., A Commentary on the United Nations Convention on the Rights of the Child, Article 2, The Right of Non-Discrimination, Andre Alen, Johan Vande Lanotte, Eugeen Verhellen, Fiona Ang, Eva Berghmans, Mieke Verheyde (Eds.), Martinus Nijhoff Publishers, Leiden, Boston, 2008, 64.

<sup>369</sup> იქვე.

მოსხენებში.<sup>370</sup> ამრიგად, აღნიშნული დებულებები ასახავენ იმ ძირითად ვალდებულებებს, რისი შესრულებაც სახელმწიფოებს ეკისრებათ მთლიანად კონვენციის იმპლემენტაციის უზრუნველსაყოფად.<sup>371</sup> ის უფლებები, რომლებიც ბავშვის უფლებების სფეროში ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნევიან, პრინციპებად ჩამოყალიბდნენ.<sup>372</sup>

მნიშვნელოვანია, შეფასება მიეცეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის სხვა პრინციპებთან მიმართების საკითხს. მართალია, იგი წარმოადგენს ყოველისმომცველ დებულებას, რომელსაც ეფუძნება როგორც ბავშვის უფლებათა კონვენცია, ისე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა, მაგრამ აღნიშნული გარემოება არ გულისხმობს საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის, როგორც პრინციპის უპირატესობას სხვა პრინციპებზე. ამ მიდგომას ადასტურებს ზემოაღნიშნული მსჯელობაც, საიდანაც ირკვევა, რომ ბავშვის უფლებათა კომიტეტს განსაკუთრებული მნიშვნელობა მხოლოდ კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული უფლებისთვის არ მიუნიჭებია და მასთან ერთად სხვა უფლებებიც მოიაზრა, როგორც ძირითად პრინციპებად. ამასთან, კომიტეტმა საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა ერთ-ერთ ძირითად პრინციპად წარმოაჩინა არა იმიტომ, რომ მას როგორც პრინციპს უნდა მინიჭებოდა უპირატესობა, არამედ სულ სხვა მიზეზით, რაზეც ზემოთ გამახვილდა ყურადღება. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ბავშვის უფლებათა კონვენციით გათვალისწინებულ დებულებებს გააჩნიათ

---

<sup>370</sup> Cantwell N., Are “Best Interests” A Pillar or a Problem for Implementing the Human Rights of Children?, in: *The United Nations Convention on the Rights of the Child: Taking Stock After 25 Years and Looking Ahead*, Ton Liefwaard, Julia Sloth-Nielsen (Eds.), Brill Nijhoff, Leiden, Boston, 2017, 64.

<sup>371</sup> Kilkelly U., Using the Convention on the Rights of the Child in Law and Policy: Two Ways to Improve Compliance, in: *The Human Rights of Children from Visions to Implementation*, Antonella Invernizzi, Jane Williams (Eds.), Ashgate Publishing Limited, Swansea University, Wales, UK, 2011, 181.

<sup>372</sup> შაჰოვიჩი ნ.ვ., დოეკი ი.ე., ცერმატენი უ., ბავშვის უფლებები საერთაშორისო სამართალში, რ. ტულუშისა და თ. ალექსიძის თარგმანი, ლ. ალექსიძისა და ქ. ხუციშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2015, 2015, 64.

თანაბარი იურიდიული ძალა, რადგან კონვენცია თითოეულ მუხლს ანიჭებს ერთსა და იმავე მბოჭავ ეფექტს. შესაბამისად, არსად გვხვდება მინიმუმბა იმის შესახებ, რომ რომელიმე უფლებას/პრინციპს აქვს პრიორიტეტი სხვებთან მიმართებით.<sup>373</sup> ზოგადად, ბავშვის უფლებათა კონვენციას უფლებებისადმი/პრინციპებისადმი ერთიანი მიდგომა ახასიათებს და ყველა მათგანი ურთიერთდამოკიდებული ხასიათისაა. თითოეული მათგანის მნიშვნელობა გაგებულ უნდა იქნეს სხვათა ინტერპრეტირებისა და გაანალიზების შედეგად.<sup>374</sup> პრინციპთა შორის არ მოქმედებს სუბორდინაციის წესი. შესაბამისად, საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპს არ შეუძლია გადაფაროს სხვა პრინციპები და მიენიჭოს უპირატესობა, არამედ იგი უნდა განიმარტოს სხვა პრინციპებთან კავშირში.<sup>375</sup> ამგვარი ურთიერთდამოკიდებული და ურთიერთშეთავსებადი ხასიათიდან გამომდინარე, რთული წარმოსადგენია პრინციპთა შორის წინააღმდეგობა, თუმცა შესაძლო კონფლიქტის არსებობისას, აუცილებელია ბალანსის შენარჩუნება და არა რომელიმე მათგანისთვის უპირატესობის მინიჭება. აღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის სხვა პრინციპებთან, მათ შორის, სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის გარდუვალობის პრინციპთან

---

<sup>373</sup> Archard D., Skivenes M., *Balancing a Child's Best Interests and a Child's Views*, "The International Journal of Children's Rights", Martinus Nijhoff Publishers, Vol.17, Issue 1, 2009, 2.

<sup>374</sup> Rap-Leurs S. E., *The Participation of Juvenile Defendants in the Youth Court: A Comparative Study of Juvenile Justice Procedures in Europe*, Utrecht University, 2013, 54.

<sup>375</sup> Howe R.B., Covell K., *Education in the Best Interests of the Child: A Children's Rights Perspective on Closing the Achievement Gap*, University of Toronto Press, Toronto, Buffalo, London, 2013, 24; Nyaman J., *What is the Input by Children and Young People in Implementing their Best Interests?*, in: *The Best Interests of the Child – A Dialogue Between Theory and Practice*, Milka Sormunen (Ed.), Council of Europe, 2016, 93; Lansdown G., *Best Interests of the Child and the Right to Be Heard*, in: *The Best Interests of the Child – A Dialogue Between Theory and Practice*, Milka Sormunen (Ed.), Council of Europe, 2016, 33.

მიმართებით უპარატესი ძალის შესახებ არ უნდა იქნეს გაზიარებული,<sup>376</sup> მით უფრო, საუკეთესო ინტერესების განუსაზღვრელობისა და განუჭვრეტადობის გათვალისწინებით, რაც, თავის მხრივ, გარკვეულ რისკებს უკავშირდება. შესაბამისად, მიზანშეუწონელიცაა სისხლისსამართლებრივ თუ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პრინციპთა უარყოფა საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის სახელით მაშინ, როდესაც დარწმუნებით არავინ იცის კონკრეტულ შემთხვევაში რა არის საუკეთესო ინტერესი და მისი განსაზღვრა გადაწყვეტილების მიმღებ პირზეა დამოკიდებული, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ მსგავსი მიდგომა არსებითად აკნინებს სხვა პრინციპთა მნიშვნელობას.

რაც შეეხება უშუალოდ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გარდუვალობის პრინციპთან მიმართებით საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობისათვის უპირატესობის მინიჭებას და შედეგად, სისხლისსამართლებრივი დევნის არდანყებისა და განრიდების გამოყენების საკითხს, გასათვალისწინებელია, რომ არასრულწლოვნის მიმართ განრიდების გამოყენება დამოკიდებულია კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის მიერ განრიდების საკანონმდებლო კრიტერიუმების დაკმაყოფილების ფაქტზე. ასეთ დროს, თუნდაც კანონმდებლობა არ ითვალისწინებდეს საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპს, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გარდუვალობის პრინციპი თავის-

---

<sup>376</sup> შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მე-2 გამოცემა, თბილისი, 2016, 73; თოდუა ნ., არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო), მე-2 გამოცემა, გ. ნაჭყებია და ნ. თოდუას რედაქტორობით, თბილისი, 2016, 658; ვარძელაშვილი ი., არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის დანიშვნა, წიგნში: არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, თბილისი, 2017, 130; ივანიძე მ., სასჯელის შეფარდების ზოგადი საწყისები საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობის მიხედვით, „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, №1, 2017, 10-11; ვარძელაშვილი ი., არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის უმნიშვნელოვანესი პრინციპის მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკაში, „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, №1, 2017, 72.

თავად უკან დაიხევს და შესაძლებელი გახდება განრიდების მექანიზმის ამოქმედება. და პირიქით, თუ არასრულწლოვანი კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს, როგორი უპირატესობაც არ უნდა მიენიჭოს საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპს, განრიდების გამოყენება მაინც შეუძლებელი იქნება. თუნდაც საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობისათვის, როგორც პრინციპისთვის უპირატესობის მინიჭება და შედეგად, განრიდების გამოყენება მხოლოდ ისეთი შემთხვევებს მიემართებოდა, როდესაც არასრულწლოვანი აკმაყოფილებს განრიდების საკანონმდებლო კრიტერიუმებს, აღნიშნული მიდგომა მაინც ვერ იქნება გამართლებული, რადგან ეწინააღმდეგება სისხლისსამართლებრივი დევნის დისკრეციულობის პრინციპს და პროკურორს, ამკ-ის 38-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 8 ოქტომბრის №181 ბრძანებით დამტკიცებული „სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებით“ გათვალისწინებული გარემოებების შეფასების გარეშე, ავალდებულებს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას ან მის დაწყებაზე უარის თქმას.

აღნიშნული ქვეთავის ფარგლებში, მნიშვნელოვანია, შეფასება მიეცეს საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის შეჯიბრებითობის პრინციპთან თავსებადობის საკითხს. კერძოდ, გამომდინარე იქედან, რომ შეჯიბრებითობის პრინციპი მოსამართლეს მხარეებთან შეთანხმების გარეშე დამაზუსტებელი შეკითხვის დასმის შესაძლებლობასაც კი არ ანიჭებს,<sup>377</sup> მნიშვნელოვნად ზღუდავს დამოუკიდებლად მოქმედების ფარგლებს და მეტყველებს მოსამართლის როლის დასუსტებაზე.<sup>378</sup> არსებული მოსაზრებით, „არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი შესაძლებელია დარღვეულ იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის დროს“,<sup>379</sup> რომლის

---

<sup>377</sup> იხ., სსსკ-ის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

<sup>378</sup> აქუბარდია ი., შეჯიბრებითობის ქართული მოდელის ზოგიერთი ასპექტი, „გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი“, მე-2 გამოცემა, 2016, 13.

<sup>379</sup> შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მე-2 გამოცემა, თბილისი, 2016, 76.

თავიდან ასაცილებლად საჭიროა მოსამართლისათვის მხარეებთან შეთანხმების გარეშე შეკითხვის დასმის უფლების მინიჭება, რათა გაარკვიოს დანაშაულის ჩადენის მიზეზები და სასჯელის სახისა და ზომის განსაზღვრისას იხელმძღვანელოს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესით. ამასთან, მიზანშეწონილად მიიჩნევა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის შეჯიბრებითობის პრინციპზე უპირატესი ძალის მინიჭების საკითხის კანონმდებლობით დარეგულირება.<sup>380</sup>

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ შეჯიბრებითობის პრინციპის თავსებადობის შემოწმება საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპთან უნდა განხორციელდეს არა საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის, არამედ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების სათანადოდ შეფასებისა და განსაზღვრის თვალსაზრისით, ვინაიდან არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი არ ემსახურება საქმეზე ჭეშმარიტების დადგენასა და არასრულწლოვნის დამნაშავეობისა თუ უდანაშაულობის შეფასებას. იგი მოსამართლისათვის, როგორც წესი, სასჯელის დანიშვნისას სახელმძღვანელო პრინციპია.<sup>381</sup> საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას კი, სხვა საპროცესო გარანტიებთან ერთად, უზრუნველყოფს შეჯიბრებითობის პრინციპი.<sup>382</sup> არსებული მოსაზრებით, ასეთ დროს ხდება საქმეზე არა ობიექტური, არამედ ფორმალური ჭეშმარიტების დადგენა ანუ ფაქტების დადგენა არა იმგვარად, როგორც მათ ჰქონდათ ადგილი, არამედ, როგორც ამის საშუალებას მხარეთა მიერ წარდგენილი ფაქტობრივი გარემოებები იძლევა.<sup>383</sup> შეჯიბრებითობა არის კონსტიტუციური რან-

---

<sup>380</sup> იქვე, 77.

<sup>381</sup> Manco E., *Protecting the Child's Right to Participate in Criminal Justice Proceedings*, "Amsterdam Law Forum", Vol. 8, No. 1, 2016, 56.

<sup>382</sup> თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბილისი, 2014, 76; თუმანიშვილი გ., შეჯიბრებითობის პრინციპი ბრალდებულის დაუსწრებლად სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვისას, ნიგნში: მზია ლეკვეიშვილი 85, მ. ივანიძის რედაქტორობით, თბილისი, 2014, 108.

<sup>383</sup> ჰეგერი მ., ადვერსალური და ინკვიზიციური ელემენტები ევროპული სახელმწიფოების სისხლის სამართლის პროცესის კანონმდებლობებში,

გის პრინციპი, ასევე „სამართლიანი სასამართლოს უფლების შემადგენელი ელემენტი და წარმოადგენს როგორც ინკვიზიციური, ისე შეჯიბრებითი სისხლის სამართლის მოდელის ნაწილს“.<sup>384</sup> ამასთან, უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა დემოკრატიული მექანიზმების განვითარებისთვის და ბრალდებულის უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად.<sup>385</sup> შესაბამისად, ამ პრინციპის უარყოფა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის კონტექსტში საფუძველს მოკლებულია. რაც შეეხება საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და განსაზღვრის პროცესს, ამ ეტაპზე შეჯიბრებითობის პრინციპი არ აწესებს შეზღუდვებს მოსამართლისათვის. იგი საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის კონტექსტში მოითხოვს მოსამართლისაგან ნეიტრალურობას და კრძალავს ბრალდებისა და დაცვის პოზიციების ხელშეწყობას, რომელიმე მხარის სასარგებლოდ საქმისთვის მნიშვნელოვანი მტკიცებულების დამოუკიდებლად მოპოვებას, მათ შორის, თუნდაც დამაზუსტებელი შეკითხვის დასმას. ამით კანონმდებელი შეეცადა, სასამართლოს მიერ საქმის გადანყვეტის ფუნქცია გაენმინდა ბრალდებისა და დაცვის ელემენტებისგან.<sup>386</sup> ეს ყოველივე ემსახურება

---

როგორც სისხლის საპროცესო სამართლის ევროპეიზაციის გამოწვევა, „გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი“, მე-2 გამოცემა, 2016, 5; აქუბარდია ი., შეჯიბრებითობის ქართული მოდელის ზოგიერთი ასპექტი, „გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი“, მე-2 გამოცემა, 2016, 14.

<sup>384</sup> „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის გადანყვეტილება, საქმე №3/1/608,609, 29 სექტემბერი, 2015, II-16.

<sup>385</sup> თუმანიშვილი გ., შეჯიბრებითობის პრინციპი ბრალდებულის დაუსწრებლად სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვისას, წიგნში: მზია ლეკვეიშვილი 85, მ. ივანიძის რედაქტორობით, თბილისი, 2014, 108.

<sup>386</sup> აქუბარდია ი., მხარეთა თანასწორობა და მოსამართლის როლი შეჯიბრებით სამართალწარმოებაში, განხილვისას, წიგნში: მზია ლეკვეიშვილი 85, მ. ივანიძის რედაქტორობით, თბილისი, 2014, 142; აქუბარდია ი., გოგ-

მხარეთა თანასწორობას, რაც „შეჯიბრებითობის აუცილებელი პირობაა“.<sup>387</sup> საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და განსაზღვრის პროცესი სცილდება საქმეზე ქეშმარიტების დადგენის ფარგლებს, რადგან ამ შემთხვევაში არ ხდება პირის დამნაშავეობისა თუ უდანაშაულობის შეფასება. შესაბამისად, ამ ეტაპზე მოსამართლე ვერ იქნება შეზღუდული შეჯიბრებითობის პრინციპით და საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და განსაზღვრის მიზნით ვერ წაერთმევა შეკითხვის დასმის შესაძლებლობა. მით უფრო, რომ საქმეზე ქეშმარიტების დადგენის თვალსაზრისითაც კი არ არის მოსამართლე აბსოლუტურად ნეიტრალური, განსხვავებით შეჯიბრებითი მოდელისაგან, რომლის „ფუნდამენტურ ნიშანს წარმოადგენს მოსამართლის ნეიტრალურობის პირობებში სასამართლოში ქეშმარიტების დამტკიცების ფუნქციის მხარეთა ინიციატივისთვის მინდობა“.<sup>388</sup> შეჯიბრებითობის პრინციპი, როგორც აღინიშნა, სამართლიანი სასამართლოს უფლების შემადგენელ ელემენტად განიხილება და „არც ერთ შემთხვევაში არ ათავისუფლებს მოსამართლეს თავისთავადი ვალდებულებისგან, ითვალისწინებდეს და სწორად იყენებდეს სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს...“.<sup>389</sup>

გარდა ზემოაღნიშნულისა, საუკეთესო ინტერესების შეფასების, განსაზღვრისა და გადაწყვეტილების მიღებისას მისი უპირატესად გათვალისწინება მოსამართლისათვის როგორც ბავშვის უფლებათა კონვენციით, ისე ეროვნული კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებაა, რომლის შესრულებაც თავისთავად

---

შელიძე რ., ფაფიაშვილი ლ., გოგიაშვილი ნ., სისხლის სამართლის პროცესი, (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები), მე-2 გამოცემა, თბილისი, 2009, 152.

<sup>387</sup> „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილება, საქმე №3/1/608,609, 29 სექტემბერი, 2015, II-19.

<sup>388</sup> იქვე, II-15.

<sup>389</sup> იქვე, II-21.

მოითხოვს მოსამართლის აქტიურ როლს, რასაც ვერ შეზღუდავს შეჯიბრებითობის პრინციპი. ამასთან, თუნდაც შეჯიბრებითობის პრინციპი საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და განსაზღვრის ეტაპზეც უკრძალავდეს მოსამართლეს შეკითხვის დასმის უფლებას, გასათვალისწინებელია, ამკ-ის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილი, რომელიც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში სხვა ნორმატიული აქტების დებულებების გამოყენების შესაძლებლობას მხოლოდ იმ შემთხვევაში უშვებს, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება მართლმსაჯულების კოდექსს ან/და არსრულწლოვნისათვის შეღავათს ითვალისწინებს. საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და განსაზღვრის პროცესში მოსამართლისათვის შეკითხვის დასმის უფლების შეზღუდვა ეწინააღმდეგება მართლმსაჯულების კოდექსს იმ თვალსაზრისით, რომ იგი ვერ შეძლებს საუკეთესო ინტერესის სათანადოდ შეფასებას, განსაზღვრას და, შესაბამისად, ამკ-ის მე-4 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებას. ამ შემთხვევაში, სსსკ-ის 25-ე მუხლის მე-3 ნაწილის გამოყენება შეკითხვის დასმის ნაწილში დაუშვებელია, თუმცა ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს მთლიანად შეჯიბრებითობის პრინციპის უარყოფას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში ზემოაღნიშნულ მიზეზთა გამო, განსაკუთრებით კი პრინციპის კონსტიტუციური რანგის გათვალისწინებით.

**6. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების  
პრიორიტეტულობის პრინციპის გამოყენება  
6.1. პრინციპის მოქმედების არეალი**

ბავშვის უფლებათა კონვენციის მიხედვით, საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულად განხილვა გარანტირებულია ბავშვების მიმართ განხორციელებულ ყველა მოქმედებაში და ამასთან, არ შემოიფარგლება მხოლოდ კონვენციით დაცული უფლებებით, რაც, თავის მხრივ, მიაწინებს პრინციპის გამოყენების საკმაოდ ფართო

არეალზე.<sup>390</sup> შესაბამისად, მართალია, კონვენციის 37-ე და მე-40 მუხლები არ განსაზღვრავს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან დაკავშირებულ საკითხთა სრულყოფილ რეგულირებას და მხოლოდ პრინციპული მნიშვნელობის საკითხებით შემოიფარგლება, მაგრამ საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი განაგრძობს მოქმედებას ამ მუხლებით დარეგულირებულ საკითხთა მიღმაც. აღნიშნული მსჯელობა რელევანტურია ეროვნულ კანონმდებლობასთან მიმართებითაც. კერძოდ, საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი მოქმედებს არა მარტო ამკ-ით დადგენილ ფარგლებში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, როდესაც კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილიდან გამომდინარე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში ხდება სხვა ნორმატიული აქტების დებულებების გამოყენება.

ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლი ყურადღებას ამახვილებს სიტყვა „მოქმედებაზე“, რომელიც პირველად 1979 წელს პოლონეთის მიერ შემოთავაზებული კონვენციის ტექსტის კორექტირებულ ვერსიაში აისახა და 1981 წელს, პირველი მოსმენისას, განხილულ იქნა სამუშაო ჯგუფის მიერ,<sup>391</sup> თუმცა სამუშაო ჯგუფის ფარგლებში არანაირი მსჯელობა არ გამართულა იმასთან დაკავშირებით, გულისხმობდა თუ არა აღნიშნული სიტყვა უმოქმედობასაც. აღსანიშნავია, რომ კონვენცია უნდა განიმარტოს მიზნობრივად. შესაბამისად, საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპიდან უმოქმედობის ამორიცხვა არ იქნება გამართლებული კონვენციის მიზნებისათვის.<sup>392</sup> მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ გადაწყვეტილებაც, თავის

---

<sup>390</sup> Detrick Sh., *A Commentary on the United Nations Convention on the Rights of the Child*, Martinus Nijhoff Publishers, The Hague, Boston, London, 1999, 90.

<sup>391</sup> *Legislative History of the Convention on the Rights of the Child*, Vol. 1, Office of the United Nations High Commissioner for Human Rights, New York, Geneva, 2007, 337-338.

<sup>392</sup> Freeman M., *A Commentary on the United Nations Convention on the Rights of the Child, Article 3, Best Interests of the Child*, André Alen, Johan Vande Lanotte, Eugeen Verhellen, Fiona Ang, Eva Berghmans, Mieke Verheyde (Eds.), Martinus Nijhoff Publishers, Leiden, Boston, 2007, 45.

მხრივ, მოქმედებაა.<sup>393</sup> ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ კონვენცია პრინციპის მოქმედებას არ ზღუდავს მხოლოდ გადაწყვეტილების მიღების პროცესით. ანალოგიური მიდგომა გვხვდება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსშიც, რომელიც საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპს განავრცობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მთლიან პროცესზე, დაწყებული გამოძიებით, დასრულებული რეაბილიტაცია-რესოციალიზაციით, რაც მოიცავს არასრულწლოვნის მიმართ როგორც გადაწყვეტილებების მიღებას, ისე ქმედებათა განხორციელებას. შესაბამისად, პრინციპის მოქმედების ფარგლები პრაქტიკულად შეუზღუდავია, რაც ხაზს უსვამს მის განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

## 6.2. პრინციპის ადრესატთა წრე

საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის მოქმედებას ადრესატთა წრის მიხედვით გააჩნია, როგორც ვიწრო, ისე ფართო გაგება. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ საუკეთესო ინტერესების უპირატესად გათვალისწინების ვალდებულება მიემართება არა მარტო კონკრეტულ არასრულწლოვანს/არასრულწლოვნებს, რომლებიც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში აღმოჩნდებიან ჩართული, არამედ ზოგადად ბავშვებს, კონკრეტიზაციის გარეშე.<sup>394</sup> პრინციპით გათვალისწინებუ-

---

<sup>393</sup> General Comment No. 14 “On the Right of the Child to Have his or her Best Interests Taken as a Primary Consideration (Art. 3, para.1)”, UN Committee on the Rights of the Child, Sixty-second Session (14 January - 1 February 2013), CRC/C/GC/14, 29 May, 2013, Para. 18; Howe R.B., Covell K., Education in the Best Interests of the Child: A Children’s Rights Perspective on Closing the Achievement Gap, University of Toronto Press, Toronto, Buffalo, London, 2013, 21.

<sup>394</sup> General Comment No. 14 “On the Right of the Child to Have his or her Best Interests Taken as a Primary Consideration (Art. 3, para.1)”, UN Committee on the Rights of the Child, Sixty-second Session (14 January - 1 February 2013), CRC/C/GC/14, 29 May, 2013, Para. 23; General Comment No. 7, “Implementing Child Rights in Early Childhood”, UN Committee on the Rights of

ლი სამართლებრივი ვალდებულება, ვინრო გაგებით, მიემართება იმ გადანყვეტილებებსა და ღონისძიებებს, რომლებსაც პირდაპირი გავლენა აქვთ არასრულწლოვანზე, არასრულწლოვანთა გარკვეულ ჯგუფზე ან ზოგადად არასრულწლოვნებზე (მაგ. არასრულწლოვნის მიმართ გამოტანილი სასამართლოს გადანყვეტილება, პროკურორის დადგენილება, მართლმსაჯულების მარეგულირებელი კანონმდებლობის მიღება თუ პოლიტიკის შემუშავება და ა.შ.), ხოლო ფართო გაგებით ასევე მოიცავს ყველა იმ ღონისძიებასა და გადანყვეტილებას, რომლებსაც არაპირდაპირი გავლენა აქვთ არასრულწლოვანზე, არასრულწლოვანთა გარკვეულ ჯგუფზე თუ ზოგადად არასრულწლოვნებზე (მაგ. ხელისუფლების მიერ მიღებული ნებისმიერი გადანყვეტილება თუ განხორციელებული ქმედება, რომლებიც არა მარტო არასრულწლოვნებს ეხებათ).<sup>395</sup> ამრიგად, პრინციპი არაა შეზღუდული ბავშვებთან პირდაპირ შემხებლობაში მყოფი ქმედებებით, არამედ მოიცავს ყველაფერ მნიშვნელოვანს, რამაც შეიძლება პირდაპირი ან არაპირდაპირი გავლენა მოახდინოს ბავშვზე.<sup>396</sup> ბავშვის უფლებათა კომი-

---

the Child, Fortieth Session (12-20 September), CRC/C/GC/7/Rev.1, 20 September, 2006, Para. 13; ჰამილტონი ქ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, ბავშვთა სამართლებრივი ცენტრი და გაეროს ბავშვთა ფონდი, ბავშვთა დაცვის განყოფილება, ნიუ-იორკი, 2011, 34.

<sup>395</sup> General Comment No. 14 "On the Right of the Child to Have his or her Best Interests Taken as a Primary Consideration (Art. 3, para.1)", UN Committee on the Rights of the Child, Sixty-second Session (14 January - 1 February 2013), CRC/C/GC/14, 29 May, 2013, Para.19; General Comment No. 7, "Implementing Child Rights in Early Childhood", UN Committee on the Rights of the Child, Fortieth Session (12-20 September), CRC/C/GC/7/Rev.1, 20 September, 2006, Para. 13 (b).

<sup>396</sup> მესხი მ., არასრულწლოვანი მსხვერპლის დაცვა და საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებული უფლებები, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია სამართალწარმოებისას (გაერთიანებული ერების სამოდელო კანონმდებლობის ანალიზის მიხედვით), „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, №1, 2017, 56; შეყილაძე ხ., არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის არსი, „სამართლის ჟურნალი“, №2, 2016, 277.

ტეტი უპირატესობას ფართო განმარტებას ანიჭებს,<sup>397</sup> რასაც საფუძვლად უდევს, ერთი მხრივ, საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის მაქსიმალურად ფართოდ გამოყენების აუცილებლობა და, მეორე მხრივ, თავად ბავშვის უფლებათა კონვენციის სულისკვეთება, რაც გამოიხატება მე-3 მუხლის ტექსტში სიტყვა „ბავშვების“ ანუ მრავლობითი რიცხვის გათვალისწინებით და მიანიშნებს საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის ფართოდ გამოყენების მიზანზე.<sup>398</sup> ფართო განმარტების გამოყენება შესაძლებელია იმ მოცულობით, რაც ძალიან ზოგადს და აბსოლუტურად ყოვლისმომცველს არ გახდის პრინციპს.<sup>399</sup>

ბავშვის უფლებათა კომიტეტი საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპს ავრცელებს როგორც კანონთან კონფლიქტში მყოფ, ისე კანონთან კონტაქტში მყოფ პირებზე - მოწმე და დაზარალებული.<sup>400</sup> სწორედ ანალოგიურ მიდგომას ეფუძნება საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსიც.

მოცემულ თემაზე მსჯელობის ფარგლებში, მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საპროცესო ნორმების მოქმედების საკითხზე, ვინაიდან აღნიშნული გავლენას ახდენს კოდექსის დებულებების, მათ შორის, საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის მოქმედებაზე პირთა წრის მიმართ. 2018 წლის 30 მაისს განხორ-

---

<sup>397</sup> General Comment No. 14 “On the Right of the Child to Have his or her Best Interests Taken as a Primary Consideration (Art. 3, para.1)”, UN Committee on the Rights of the Child, Sixty-second Session (14 January - 1 February 2013), CRC/C/GC/14, 29 May, 2013, Para.19.

<sup>398</sup> Freeman M., A Commentary on the United Nations Convention on the Rights of the Child, Article 3, Best Interests of the Child, André Alen, Johan Vande Lanotte, Eugeen Verhellen, Fiona Ang, Eva Berghmans, Mieke Verheyde (Eds.), Martinus Nijhoff Publishers, Leiden, Boston, 2007, 46.

<sup>399</sup> იქვე.

<sup>400</sup> General Comment No. 14 “On the Right of the Child to Have his or her Best Interests Taken as a Primary Consideration (Art. 3, para.1)”, UN Committee on the Rights of the Child, Sixty-second Session (14 January - 1 February 2013), CRC/C/GC/14, 29 May, 2013, Para. 28.

ციელებული ცვლილებით, მართლმსაჯულების კოდექსი იმ პირის მიმართ, რომელიც დანაშაულის ჩადენისას და/ან არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის დაწყებისას არასრულწლოვანი იყო და შემდეგ გახდა სრულწლოვანი გამორიცხავს ამკ-ის საპროცესო ნორმების გამოყენების შესაძლებლობას და მასზე ავრცელებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმებს.<sup>401</sup> აღნიშნული რეგულირება გულისხმობს, რომ მხოლოდ და მხოლოდ იურიდიული ასაკის დადგომის გამო, კანონთან კონფლიქტში მყოფი პირი რჩება სახელმწიფოს მხრიდან ყოველგვარი დაცვის გარეშე და ერთმევა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით დადგენილი არაერთი უმნიშვნელოვანესი გარანტიით, მათ შორის, საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპით, სავალდებულო დაცვით, საქმის დახურულ სხდომაზე განხილვისა და პროცესში სპეციალიზებულ პირთა მონაწილეობის უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, მოსამართლესთან მიმართებით, სასამართლოს შემადგენლობის უცვლელიდან გამომდინარე, პრაქტიკულად პრობლემა არ წარმოიქმნება,<sup>402</sup> თუმცა პროცესის სხვა მონაწილეები შეიძლება ჩანაცვლონ არასპეციალიზებულმა პირებმა. ყოველივე აღნიშნული გულისხმობს სახელმწიფოს მიერ პასუხისმგებლობის მოხსნას სისხლისსამართლებრივ სისტემაში მოხვედრილი არასრულწლოვნების მიმართ. მსგავსი მიდგომა პირს უკარგავს სტაბილურობის განცდას, რაც სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია და „პირველ რიგში, ცალკეული მოქალაქის ნდობის დაცვას გულისხმობს“.<sup>403</sup> 18 წლის ასაკის მიღწევა არ ნიშნავს, რომ მოზარდმა დაასრულა განვითარება და შესაძლებელია მის წინააღმდეგ იგივე ნორმების გამოყენება, რაც გამოიყენება სრულწლოვანი ადამიანის სისხლისსამართლებრივი პასუხის-

---

<sup>401</sup> იხ., ამკ-ის მე-2 მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილები.

<sup>402</sup> ჩხეიძე ი., სპეციალიზაციის სტანდარტი არასრულწლოვანთა ქართულ მართლმსაჯულებაში, „მართლმსაჯულება და კანონი“, №3, 2018, 91.

<sup>403</sup> შვაბე ი., გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, ე. ჩაჩანიძის თარგმანი, კ. კუბლაშვილის, თ. ნინიძის, ბ. ლოლაძის და ქ. ერემაძის რედაქტორობით, თბილისი, 2011, 335.

მგებლობის დროს.<sup>404</sup> ევროსასამართლოს განმარტებით, ის მიზეზები, როგორცაა ბავშვის სიმწიფის დონე, ინტელექტუალური და ემოციური უნარები, რომელთა გამო არასრულწლოვნის მიმართ გამოიყენება სპეციალური მოპყრობა, არ წყვეტს მოქმედებას და უყოვნებლივ იურიდიული ასაკის მიღწევისთანავე და გარკვეული პერიოდის მანძილზე კვლავ ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას.<sup>405</sup> სწორედ მსგავს მიდგომას ეფუძნება არაერთი ქვეყნის კანონმდებლობა. კერძოდ, ესტონეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი სისხლის სამართალწარმოებაში ადვოკატის სავალდებულო მონაწილეობას დანაშაულის ჩადენის დროს პირის არასრულწლოვანებას უკავშირებს, მიუხედავად იმისა, პროცესის მსვლელობისას შეუსრულდა თუ არა 18 წელი.<sup>406</sup> გერმანიის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების აქტი 18-დან 21 წლამდე პირის მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში უშვებს არასრულწლოვანთათვის გათვალისწინებული სანქციების გამოყენების შესაძლებლობას, იმ შემთხვევაში, თუ პირი დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისას საკუთარი მორალური ღირებულებებითა და ინტელექტუალური განვითარების დონით უთანაბრდებოდა არასრულწლოვანს ან თუ ქმედებას ახასიათებს არასრულწლოვანთა დანაშაულისათვის სპეციფიკურად დამახასიათებელი მოტივი და გარემოებები.<sup>407</sup> ჩეხეთის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების აქტის თანახმად, 18 წელს გადაცილებული პირი ექვემდებარება აღნიშნული აქტით გათვალისწინებულ სისხლისსამართლებრივ პრო-

---

<sup>404</sup> შალიკაშვილი მ., არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიების სახეები, წიგნში: არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების პრობლემები, მ. ლეკვეიშვილისა და მ. შალიკაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2011, 101.

<sup>405</sup> *Martin v. Estonia*, [ECtHR], Application No. 35985/09, 30 May, 2013, Para. 92.

<sup>406</sup> Code of Criminal Procedure, Estonia, Riigikogu, Passed 12.02.2003, Entry into force 01.07.2004, Art. 45(2).

<sup>407</sup> Dunkel F., Heinz W., Germany, in: *International Handbook of Juvenile Justice*, 2<sup>nd</sup> Edition, Scott H. Decker, Nerea Marteache (Eds.), Springer, Switzerland, 2017, 306; *Juvenile Justice Act*, Germany, 1974, Section 105(1).

ცედურებს, თუ იგი დანაშაულის ჩადენის დროს იყო 18 წელზე ნაკლები ასაკის.<sup>408</sup> ანალოგიურად, ავსტრიის არასრულწლოვანთა სასამართლოების შესახებ აქტის<sup>409</sup> დებულებები გამოიყენება იმ დანაშაულთა მიმართ, რომლებიც ჩადენილია არასრულწლოვანების პერიოდში, თუნდაც ბრალდებული პროცესის მსვლელობისას გახდეს სრულწლოვანი.<sup>410</sup> განსხვავებით საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსისაგან, აღნიშნული მაგალითები ადასტურებს, რომ სახელმწიფო არ იხსნის არასრულწლოვანების მიმართ პასუხისმგებლობას იურიდიული ასაკის დადგომისთანავე და ითვალისწინებს ამ კატეგორიის პირთა მოწყვლადობას. მსგავსი მიდგომა აღიარებულია საერთაშორისო დონეზეც. კერძოდ, ევროპის საბჭოსა და ევროპარლამენტის დირექტივა, რომელიც განსაზღვრავს სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესში არასრულწლოვანთა პროცედურულ გარანტიებს, ითვალისწინებს სავალდებულო დათქმას, რომლის მიხედვითაც დირექტივის დებულებები, გარდა კანონიერ წარმომადგენელთა მონაწილეობის კონტექსტში, ვრცელდება სრულწლოვან პირებზეც, თუ ისინი არასრულწლოვანების პერიოდში დაექვემდებარნენ სისხლისსამართლებრივ პროცედურებს და თუ ამ დებულებათა გამოყენება გამართლებულია კონკრეტული საქმის გარემოებებით, მათ შორის, პირის მონიჭულობის დონითა და დაუცველობის ხარისხით.<sup>411</sup> სწორედ დანაშაულის არასრულწლოვანების პერიოდში ჩა-

---

<sup>408</sup> Study on Children's Involvement in Judicial Proceedings, Contextual Overview for the Criminal Justice Phase – Czech Republic, European Commission, June, 2013, 21-22; The Law on Juvenile Responsibility for Unlawful Acts and Juvenile Justice and on Amendments to Certain Acts (Law on Juvenile Justice), Czech Republic, Act No. 218/2003 Coll. Art.1 (3).

<sup>409</sup> Federal Act of 20 October 1988 on the Administration of Justice for Juvenile and Young Adult Offenses (Juvenile Court Act 1988 - JGG), Austria.

<sup>410</sup> Study on Children's Involvement in Judicial Proceedings, Contextual Overview for the Criminal Justice Phase – Austria, European Commission, June, 2013, 16.

<sup>411</sup> Directive (EU) 2016/800 of the European Parliament and of the Council, "On Procedural Safeguards for Children Who Are Suspects or Accused Persons in Criminal Proceedings", 11 May, 2016, Art. 2 (3); Cras S., The Directive on Procedural Safeguards for Children who Are Suspects or Accused Persons

დენის ფაქტზე აკეთებს აქცენტს „კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ“ მოდალური კანონი და 18 წლის ასაკის მიღწევის შემთხვევაში, გამორიცხავს სრულწლოვანთა რეგულაციების გავრცელებას.<sup>412</sup>

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, საინტერესოა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც ჯერ კიდევ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ამოქმედებამდე იქნა მიღებული და სადაც საკასაციო პალატამ განმარტა, რომ იმ დროისათვის მოქმედი სსკ-ის 63-ე მუხლის მე-5 ნაწილი, რომელიც მიუხედავად დანაშაულის არასრულწლოვანების დროს ჩადენისა, კრძალავდა პირობითი მსჯავრის გამოყენების შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, თუ განაჩენის გამოტანის მომენტისათვის მსჯავრდებულს შეუსრულდა თვრამეტი წელი, ეწინააღმდეგებოდა საერთაშორისო აქტებს, რის გამოც პალატამ იხელმძღვანელა რა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებით, საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, ეროვნულ კანონმდებლობასთან მიმართებით უპირატესობა მიანიჭა საერთაშორისო სტანდარტებს და არასრულწლოვანს თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი ჩაუთვალა პირობითად.<sup>413</sup>

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში განხორციელებული ცვლილება ვერ პასუხობს სახელმწიფოს მიერ ნაკისრ ვალდებულებებს არასრულწლოვნებთან მიმართებით. შესაბამისად, მიზანშეწონილია, მართლმსაჯულების კოდექსში ცვლილების განხორციელება, რომელიც ამკ-ის საპროცესო ნორმების, გარდა კანონიერ/საპროცესო ნარმომადგენლობასთან დაკავშირებული

---

in Criminal Proceedings - Genesis and Descriptive Comments Relating to Selected Articles, "UECRIM (The European Criminal Law Associations' Forum)", Issue 2, 2016, 112.

<sup>412</sup> Justice in Matters Involving Children in Conflict with the Law, Model Law on Juvenile Justice and Related Commentary, United Nations Office on Drugs and Crime, New York, 2013, Art. 5 (5), Commentary, 60.

<sup>413</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება, საქმე №265აპ-15, აბზ. 25-29.

რეგულაციებისა, გავრცელებას უზრუნველყოფს იმ პირებზე, რომლებმაც არასრულწლოვანების პერიოდში ჩაიდინეს დანაშაული, მიუხედავად პროცესის დასრულებამდე 18 წლის ასაკის მიღწევისა. აღნიშნული განსაკუთრებით მიემართება იმ შემთხვევას, როდესაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის დაწყებისას პირი არასრულწლოვანი იყო და პროცესის დასრულებამდე გახდა სრულწლოვანი. რაც შეეხება შემთხვევას, როდესაც დანაშაული არასრულწლოვანმა ჩაიდინა და პროცესი სრულწლოვნის მიმართ დაიწყო, შესაძლებელია, ცალკეულ საგამონაკლისო შემთხვევებში, დანაშაულის ჩადენიდან პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებამდე გასული დროის ხანგრძლივობის გამო, პირის ასაკის გათვალისწინებით, მიზანშეუწონელი იყოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის საპროცესო ნორმების გამოყენება. ამ პრობლემის აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად, სასურველია, დადგინდეს 21 წლამდე ასაკობრივი ზღვარი, რომლის მიღწევაც გამოიწვევს პროცესის წარმართვას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმების შესაბამისად.

### **6.3. პრინციპის განმახორციელებელი სუბიექტები**

#### **6.3.1. სასამართლოები და ადმინისტრაციული ორგანოები**

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის განხორციელების თვალსაზრისით განსაკუთრებული წვლილი სასამართლოებსა და პროცესის მწარმოებელ სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებს მიუძღვით. პრინციპის ჯეროვნად განხორციელება წარმოადგენს აბსოლუტურად ყველა ინსტანციის სასამართლოს ვალდებულებას<sup>414</sup> და ვრცელდება საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე დაწყებული პირველი ინსტანციის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომით, დასრულებული საკასაციო საჩივრის გან-

---

<sup>414</sup> General Comment No. 14 “On the Right of the Child to Have his or her Best Interests Taken as a Primary Consideration (Art. 3, para.1)”, UN Committee on the Rights of the Child, Sixty-second Session (14 January - 1 February 2013), CRC/C/GC/14, 29 May, 2013, Para. 27.

ხილვით. ასევე მოიცავს განაჩენის გადასინჯვას ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო. სწორედ სასამართლო არის ერთადერთი ორგანო, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულება და გამოიტანოს საბოლოო გადაწყვეტილება.<sup>415</sup> ამასთან, წარმოადგენს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვის უმაღლეს ინსტიტუციას და ბავშვის კეთილდღეობის საკითხის გადაწყვეტისას, საბოლოო სიტყვა სწორედ მოსამართლე ზეა დამოკიდებული.<sup>416</sup>

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულად განხილვის ვალდებულებას ავრცელებს მართლმსაჯულების პროცესზე, რაც ამკ-ის მე-3 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, მოიცავს არასრულწლოვნის მონაწილეობით სისხლის სამართლის საქმის წარმოებას, მათ შორის, დანაშაულის გამოძიებას, სისხლისსამართლებრივ დევნას, საქმის სასამართლოში განხილვას, დანიშნული სასჯელის ან სხვა ზომის აღსრულებას, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას. შესაბამისად, პრინციპის შესრულების ვალდებულება ეკისრება ამ პროცესის მწარმოებელ/მონაწილე ყველა ადმინისტრაციულ ორგანოს. კერძოდ, პროკურატურას, პოლიციას, პრობაციის ეროვნულ სააგენტოსა და პენიტენციურ დაწესებულებებს. თუმცა, გარდა ადმინისტრაციული ორგანოებისა, ამკ-ის მე-3 მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, ვალდებულება ეკისრებათ აგრეთვე ადვოკატებს, მედიატორებს, მონმისა და დაზარალებულის კოორდინატორებს. მნიშვნელოვანია, შეფასება მიეცეს საკითხს, რამდენად მოიაზრებს მართლმსაჯულების კოდექსი სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივ საბჭოს, როგორც პრინციპის განხორციელების ვალდებულების მქონე ადმინისტრაციულ ორგანოს. მართალია, ზემოაღნიშნული ნორმა მართლმსაჯულების პროცესის განმარტებისას პირდაპირ არ მიუთითებს სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და თავისუფლების აღკვეთის სახით

---

<sup>415</sup> თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბილისი, 2014, 90.

<sup>416</sup> Dausab Y., *The Best Interests of the Child*, in: *Children's Rights in Namibia*, Oliver C. Ruppel (Ed.), Macmillan Education Namibia, 2009, 147.

დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლაზე და უფრო მეტიც, ადგილობრივი საბჭო არც მართლმსაჯულების პროცესის მწარმოებელ/მონაწილე პირებში მოიაზრება,<sup>417</sup> მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მასზე არ ვრცელდება პრინციპის დაცვის ვალდებულება. კერძოდ, ამკ-ის მე-3 მუხლის მე-5 ნაწილი არ გვთავაზობს მართლმსაჯულების პროცესის ეტაპთა ამომწურავ ჩამონათვალს, შესაბამისად, შესაძლებელია, აღნიშნულ პროცესში მოვიაზროთ ადგილობრივი საბჭოს მიერ საკითხთა განხილვაც. გარდა ამისა, მართლმსაჯულების პროცესი ცალსახად გულისხმობს სასჯელის აღსრულებას, რაც არ შეიძლება გაგებულ იქნეს ვინაობა, როგორც არასრულწლოვანზე მხოლოდ სათანადო ზედამხედველობის განხორციელება, არამედ მოიაზრება სასჯელის აღსრულების ეტაპი, რაც მოიცავს ადგილობრივი საბჭოს ქვემდებარე საკითხთა განხილვასაც. შესაბამისად, პრინციპის განმახორციელებელ ადმინისტრაციულ ორგანოებში ადგილობრივი საბჭოც უნდა მოვიაზროთ. ანალოგიური მსჯელობა ვრცელდება მუდმივმოქმედ კომისიებზე, რომლებიც განიხილავენ პირობითი მსჯავრისა და ნასამართლობის მოხსნის, აგრეთვე ავადმყოფობის გამო სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლების საკითხებს. ბუნდოვანების აღმოფხვრის მიზნით, მიზანშეწონილია, ამკ-ის მე-3 მუხლის მე-6 ნაწილში ცვლილების განხორციელება და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის მწარმოებელ/პროცესის მონაწილე პირთა ჩამონათვალისათვის ზემოაღნიშნული ადმინისტრაციული ორგანოების დამატება.

### **6.3.2. სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო და კერძო დაწესებულებები**

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები და ზოგადად ბავშვის უფლებები არასრულწლოვნებთან მომუშავე სოციალური მუ-

---

<sup>417</sup> იხ., ამკ-ის მე-3 მუხლის მე-6 ნაწილი.

შაკების ძირითადი ყურადღების საგანს წარმოადგენს,<sup>418</sup> რაც ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტიდან გამომდინარეობს და მიანიშნებს პრინციპის შესრულების ვალდებულების დაკისრების განზრახვას ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალთა როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორისათვის.<sup>419</sup> ამრიგად, ყველა სათანადო პირმა უნდა უზრუნველყოს კონვენციის მუხლების პრაქტიკაში გამოყენება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დასაცავად.<sup>420</sup> აღსანიშნავია, რომ პოლონეთის მიერ 1979 წელს პირველი მოსმენისას შემოთავაზებული კონვენციის მე-3 მუხლის განახლებული რედაქცია პრინციპის დაცვის ვალდებულებას, მათ შორის, მშობლებსა და მზრუნველებს აკისრებდა.<sup>421</sup> ამერიკის შეერთებული შტატების მიერ შემოთავაზებულმა ალტერნატიულმა ვერსიამ პრინციპის გამოყენება შეზღუდა მხოლოდ „ოფიციალური“ ქმედებებით,<sup>422</sup> რაც მიზნად ისახავდა კერძო გადარწმუნებულთა გამორიცხვას პრინციპის მოქმედების არეალიდან.<sup>423</sup> აღსანიშნავია, რომ არც პოლონეთის და არც ამერიკის შე-

---

<sup>418</sup> Martins C., How Can We Ensure that the Best Interests of the Child Are a Primary Consideration in Social Work?, in: *The Best Interests of the Child – A Dialogue Between Theory and Practice*, Milka Sormunen (Ed.), Council of Europe, 2016, 117.

<sup>419</sup> Zermatten J., *The Best Interests of the Child: Literal Analysis, Function and Implementation*, Working Report, Institut international des droits de l'enfant, 2010, III-a (Literal Analysis).

<sup>420</sup> Ng G. T., *The Rights of the Child and The Best Interests of the Child*, "Asia Pacific Journal of Social Work and Development", Vol. 15, No. 2, 2005, 1.

<sup>421</sup> Freeman M., *A Commentary on the United Nations Convention on the Rights of the Child, Article 3, Best Interests of the Child*, André Alen, Johan Vande Lanotte, Eugeen Verhellen, Fiona Ang, Eva Berghmans, Mieke Verheyde (Eds.), Martinus Nijhoff Publishers, Leiden, Boston, 2007, 47; *Legislative History of the Convention on the Rights of the Child*, Vol. 1, Office of the United Nations High Commissioner for Human Rights, New York, Geneva, 2007, 337.

<sup>422</sup> *Legislative History of the Convention on the Rights of the Child*, Vol. 1, Office of the United Nations High Commissioner for Human Rights, New York, Geneva, 2007, 338.

<sup>423</sup> Detrick Sh., *A Commentary on the United Nations Convention on the Rights of the Child*, Martinus Nijhoff Publishers, The Hague, Boston, London, 1999, 90; *Legislative History of the Convention on the Rights of the Child*, Vol.

ერთებული შტატების მიერ შეთავაზებული მოდელი არ იქნა გაზიარებული.<sup>424</sup> ტექსტის საბოლოო ვერსია ცალსახად მიუთითებს, რომ ვალდებულება არ ვრცელდება მშობლებზე და მზრუნველებზე, არამედ მხოლოდ ოფიციალური (მიუხედავად ტექსტში ამ სიტყვის არარსებობისა) გადანყვებილებები უნდა იქნეს მიღებული საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.<sup>425</sup> თუმცა, მიუხედავად ამისა, „მშობლები უფლებამოსილი და ვალდებული არიან, აღზარდონ თავიანთი შვილები საზოგადოების ღირსეულ წევრებად, იზრუნონ მათ ფიზიკურ, გონებრივ, სულიერ და სოციალურ განვითარებაზე.“<sup>426</sup> აღსანიშნავია, რომ გერმანიის საკონსტიტუციო სამართლო აღიარებს მშობლების უპირატესობას შვილების აღზრდის საკითხში სახელმწიფო სტრუქტურებთან შედარებით.<sup>427</sup>

ამგვარ მიდგომას განამტკიცებს საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“, რომელიც ბავშვის საუკეთესო ინტერესის განსაზღვრას პრიორიტეტულად სწორედ მშობელს მიანდობს.<sup>428</sup> შესაბამისად, ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-18 მუხლი, მართალია, სუსტი ფორმულირებით, მაგრამ მაინც განამტკიცებს ბავშვის საუკეთესო ინტერესების მშობელთა ძირითადი ზრუნვის საგ-

---

1, Office of the United Nations High Commissioner for Human Rights, New York, Geneva, 2007, 339.

<sup>424</sup> Detrick Sh., A Commentary on the United Nations Convention on the Rights of the Child, Martinus Nijhoff Publishers, The Hague, Boston, London, 1999, 90.

<sup>425</sup> Freeman M. D. A., Upholding the Dignity and Best Interest of Children: International Law and the Corporal Punishment of Children, “Law and Contemporary Problems”, Vol. 7, No. 2, 2010, 217.

<sup>426</sup> „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის გადანყვებილება, საქმე №3/2/416, 11 ივლისი, 2011, II-58; კოპალეიშვილი მ., ინვესს თუ არა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის 51 ნაწილის მოქმედება მშობლის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2013, 304.

<sup>427</sup> შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მე-2 გამოცემა, თბილისი, 2016, 22.

<sup>428</sup> იხ., საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“, მე-3 მუხლის „თ“ ქვეპუნქტი.

ნად განიხილავის აუცილებლობას.<sup>429</sup> არსებული მოსაზრებით, ბავშვის საუკეთესო ინტერესი ფართოდ უნდა იქნეს გაგებული და გარდა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული პირებისა, მშობლის აქტიურ როლსაც უნდა ითვალისწინებდეს.<sup>430</sup>

ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლი საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპს ძირითადად საჯარო პირების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე და მოქმედებებზე ავრცელებს, ხოლო კონკრეტულად სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე კერძო დაწესებულებებზე მითითება მიანიშნებს პრინციპის მოქმედების არეალის გავრცელებაზე მხოლოდ იმ კერძო სექტორზე, რომელსაც მინიჭებული აქვს სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე დაწესებულების სტატუსი.<sup>431</sup> არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი პრინციპის განხორციელების ვალდებულებას აკისრებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის მწარმოებელ/მონაწილე ყველა პირს, მათ შორის, სოციალურ მუშაკებს, რომლებსაც განსაკუთრებული როლი აკისრიათ ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით თავისუფლებაალკვეთილ არასრულწლოვანთა რესოციალიზაციის თვალსაზრისით, რადგან სოციალური ინტეგრაციის საკითხები საჭიროებს რეგულარულ ინსპექტირებასა და კონტროლს ამ მიზნით შექმნილი ორგანოს მიერ, რომელიც არ უნდა იყოს სასჯელალსრულების დაწესებულების ნაწილი.<sup>432</sup>

---

<sup>429</sup> Freeman M. D. A., Upholding the Dignity and Best Interest of Children: International Law and the Corporal Punishment of Children, "Law and Contemporary Problems", Vol. 7, No. 2, 2010, 217.

<sup>430</sup> ივანიძე მ., სისხლის სამართლის პოლიტიკა, ნიგნში: სისხლის სამართალი (სახელმძღვანელო), ზოგადი ნაწილი, მე-2 გამოცემა, გ. ნაჭყებია და ნ. თოდუას რედაქტორობით, თბილისი, 2016, 48.

<sup>431</sup> Detrick Sh., A Comment on the United Nations Convention on the Rights of the Child, Martinus Nijhoff Publishers, The Hague, Boston, London, 1999, 90.

<sup>432</sup> მიქანაძე გ., არასრულწლოვან, ქალ და უვადო თავისუფლებაალკვეთილ პატიმრებთან მოპყრობის თავისებურებანი, თბილისი, 2008, 17.

### 6.3.3. საკანონმდებლო ორგანო

ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლის პროექტი სამუშაო ჯგუფში მეორე მოსმენით განხილვამდე არ ითვალისწინებდა საკანონმდებლო ორგანოზე მითითებას, თუმცა 1988 წელს კონვენციის მე-3 მუხლის რედაქციის ტექნიკური გადასინჯვისას, გაეროს სამდივნოს მიერ გამოითქვა მოსაზრება სხვა ინსტიტუციებთან ერთად, საკანონმდებლო ორგანოზე მითითების მიზანშეწონილობის შესახებ, რადგან კონვენციის პროექტი მოიცავდა არაერთ მუხლს, რომლებიც მოითხოვდა ბავშვის უფლებათა უზრუნველსაყოფად საკანონმდებლო ზომების მიღებას.<sup>433</sup> ამ მცირე დამატებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან მისი წყალობით კონვენციაში მთელი პოლიტიკური თუ მაკრო-სოციალური განზომილება შემოიჭრა.<sup>434</sup> საკანონმდებლო ორგანოთა მიერ საუკეთესო ინტერესების მხედველობაში მიღების ვალდებულება პრაქტიკულ დონეზე გულისხმობს იმას, რომ ეროვნული, რეგიონული თუ მუნიციპალური კანონებისა თუ პოლიტიკის შექმნისას, მთავრობებმა უნდა უზრუნველყონ ბავშვების სათანადოდ გათვალისწინება და მათი ინტერესების დაბალანსება სხვა დაპირისპირებულ ინტერესებთან მიმართებით.<sup>435</sup> ამასთან, ბავშვის უფლება შეფასებულ და უპირველეს ყოვლისა გათვალისწინებულ იქნეს მისი საუკეთესო ინტერესები მკაფიოდ უნდა აისახოს შესაბამის კანონმდებლობაში.<sup>436</sup>

---

<sup>433</sup> Legislative History of the Convention on the Rights of the Child, Vol. 1, Office of the United Nations High Commissioner for Human Rights, New York, Geneva, 2007, 344.

<sup>434</sup> შაჰოვიჩი ნ.ვ., დოეკი ი.ე., ცერმატენი უ., ბავშვის უფლებები საერთაშორისო სამართალში, რ. ტულუშისა და თ. ალექსიდის თარგმანი, ლ. ალექსიდისა და ქ. ხუციშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2015, 114.

<sup>435</sup> Zermatten J., Best Interests of the Child, in: Child-Friendly Justice: A Quarter of a Century of the UN Convention on the Rights of the Child, Said Mahmoudi, Pernila Leviner, Anna Kaldal, Katrin Lainpelto (Eds.), Brill Nijhoff, Leiden, Boston, 2015, 39.

<sup>436</sup> General Comment No. 14 "On the Right of the Child to Have his or her Best Interests Taken as a Primary Consideration (Art. 3, para.1)", UN Committee on the Rights of the Child, Sixty-second Session (14 January - 1 February 2013), CRC/C/GC/14, 29 May, 2013, Para. 31.

საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის შესრულება, უპირველეს ყოვლისა, საკანონმდებლო ორგანოს ვალდებულებაა, ვინაიდან სწორედ ის განსაზღვრავს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ძირითად მიმართულებებს და თუ კანონმდებლობა სათანადო გარანტიების შექმნით ვერ უზრუნველყოფს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცულობას, ბუნებრივია, ამ მიზნით, პროცესის მწარმოებელ პირებს შეეზღუდებათ მოქმედების ფარგლები. შესაბამისად, სისხლის სამართლის „კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს არასრულწლოვანთა საკითხებს, ორიენტირებული უნდა იყოს ახალგაზრდების კეთილდღეობაზე და მიზნად ისახავდეს მათ რეაბილიტაციას და არა დასჯას“<sup>437</sup> ამასთან, უზრუნველყოფდეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვის მყარი გარანტიების შექმნას.<sup>438</sup>

საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის პირველივე მუხლის მე-2 ნაწილი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვას კოდექსის ერთ-ერთ, უპირველეს მიზნად განსაზღვრავს, რაც მიაინიშნებს იმაზე, რომ მხოლოდ საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის კანონმდებლობაში არსებობა საკმარისი არ არის მიზნის მისაღწევად, არამედ თავად კანონმდებლობაც შესაბამისობაში უნდა იყოს აღნიშნულ პრინციპთან.<sup>439</sup> ამ მიზნით, მნიშვნელოვანია, საკანონმდებლო ორგანომ უზრუნველყოს შემოთავაზებული კანონის არასრულწლოვნებზე სამომავლო გავლენის პროგნოზირება.<sup>440</sup>

---

<sup>437</sup> შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასჯელაღსრულების სამართალი (სახელმძღვანელო), თბილისი, 2014, 348.

<sup>438</sup> შეყილაძე ხ., არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის არსი, „სამართლის ჟურნალი“, №2, 2016, 268.

<sup>439</sup> იქვე, 278.

<sup>440</sup> General Comment No. 14 “On the Right of the Child to Have his or her Best Interests Taken as a Primary Consideration (Art. 3, para.1)”, UN Committee on the Rights of the Child, Sixty-second Session (14 January - 1 February 2013), CRC/C/GC/14, 29 May, 2013, Para. 99.

**7. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების  
უპირატესად გათვალისწინების სტანდარტის მნიშვნელობა**  
**7.1. საუკეთესო ინტერესების უპირატესად  
გათვალისწინების სტანდარტის სამგვარი გაგება**

ბავშვის უფლებათა კონვენცია, ისევე როგორც საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, აწესებს რა საუკეთესო ინტერესების უპირველეს ყოვლისა გათვალისწინების სტანდარტს, განსაზღვრავს საუკეთესო ინტერესების მხედველობაში მიღების ფარგლებს. აღნიშნული საკითხის სიღრმისეული ანალიზის მიზნით, მნიშვნელოვანია, ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს საუკეთესო ინტერესების გათვალისწინების სამი სხვადასხვა სტანდარტი, რისთვისაც აუცილებელია, ყურადღება გამახვილდეს ინგლისურენოვან ფორმულირებებზე. კერძოდ, საუკეთესო ინტერესები, როგორც: “A primary consideration”, “The primary consideration” და “The paramount consideration”.

პირველი სტანდარტი (A primary consideration) ნიშნავს, რომ საუკეთესო ინტერესები არის უპირველესად გასათვალისწინებელი გარემოება სხვა გარემოებათა შორის, მაგრამ არ წარმოადგენს ერთადერთ დამძლევ ფაქტორს<sup>441</sup> ანუ არის ერთ-ერთი უპირველესი მნიშვნელობის მქონე გარემოება. მეორე სტანდარტს (The primary consideration) იგივე მნიშვნელობა გააჩნია, რაც პირველ მათგანს იმ განსხვავებით, რომ საუკეთესო ინტერესები განიხილება, როგორც ყველა შემთხვევაში აბსოლუტური უპირატესობის

---

<sup>441</sup> Freeman M., A Commentary on the United Nations Convention on the Rights of the Child, Article 3, Best Interests of the Child, André Alen, Johan Vande Lanotte, Eugeen Verhellen, Fiona Ang, Eva Berghmans, Mieke Verheyde (Eds.), Martinus Nijhoff Publishers, Leiden, Boston, 2007, 61; Alston Ph., The Best Interests Principle: Towards a Reconciliation of Culture and Human Rights, “International Journal of Law, Policy and the Family”, Vol. 8, Issue 1, 1994, 12; Sund L.G., Vackermo M., The Interest Theory, Children’s Rights and Social Authorities, “The International Journal of Children’s Rights”, Vol. 23, Issue 4, 2015, 756; Howe R.B., Covell K., Education in the Best Interests of the Child: A Children’s Rights Perspective on Closing the Achievement Gap, University of Toronto Press, Toronto, Buffalo, London, 2013, 28.

მქონე გარემოება სხვა გარემოებებთან მიმართებით, არის ერთადერთი და არა ერთ-ერთი დამძლევი ფაქტორი.<sup>442</sup> მაგალითად, აღნიშნულ სტანდარტს ადგენს ბავშვის უფლებებისა და კეთილდღეობის შესახებ აფრიკული ქარტიის მე-4 მუხლი. რაც შეეხება მესამე, ყველაზე მაღალ სტანდარტს (**The paramount consideration**), იგი გულისხმობს, რომ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა და განსაზღვრავს განსახორციელებელ ქმედებათა კურსს, რა დროსაც რთულია სხვა გარემოებების სერიოზულად აღქმა. იგი ბევრად მეტია, ვიდრე უპირველესი სხვათა შორის და წარმოადგენს ერთადერთ გასათვალისწინებელ გარემოებას. არც ერთ სხვა ინტერესს არ შეუძლია გადამწყვეტილებაზე გავლენის მოხდენა და გულისხმობს უპირობო უპირატესობას.<sup>443</sup> არსებული მოსაზრებით, სხვა ინტერესები რელევანტურია იმდენად, რამდენადაც ისინი გავლენას ახდენს არასრულწლოვნის კეთილდღეობაზე.<sup>444</sup> მსგავსი მიდგომა საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპს სძენს უკონტროლობას, განუსაზღვრელი მოქმედების ფარგლებს და ანადგურებს მის გარშემო არსებულ ყველა სხვა ინტერესს.<sup>445</sup> სწორედ აღნიშნულ სტანდარტს აწესებს 1959 წლის დეკლარაცია ბავშვის უფლებების შესახებ, თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, მისი მოქმედების სფერო საკმაოდ შეზღუდულია.

---

<sup>442</sup> Freeman M., *A Commentary on the United Nations Convention on the Rights of the Child, Article 3, Best Interests of the Child*, André Alen, Johan Vande Lanotte, Eugeen Verhellen, Fiona Ang, Eva Berghmans, Mieke Verheyde (Eds.), Martinus Nijhoff Publishers, Leiden, Boston, 2007, 61.

<sup>443</sup> იქვე, 60; Reece H., *The Paramountcy Principle: Consensus or Construct?* "Current Legal Problems Journal", Vol. 49, Issue 1, 1996, 267; Archard D., *Children, Adults, Best Interests and Rights*, "Medical Law International", Vol. 13, issue 1, 2013, 59; Moyo A., *Reconceptualising the "Paramountcy Principle": Beyond the Individualistic Construction of the Best Interests of the Child*, "African Human Rights Law Journal", Vol. 12, No. 1, 2012, 144.

<sup>444</sup> Foster Ch., Herring J., *Altruism, Welfare and the Law*, Springer, Heidelberg, New-York, Dordrecht, London, 2015, 55.

<sup>445</sup> Moyo A., *Reconceptualising the "Paramountcy Principle": Beyond the Individualistic Construction of the Best Interests of the Child*, "African Human Rights Law Journal", Vol. 12, No. 1, 2012, 145.

აღსანიშნავია, რომ პოლონეთის მიერ წარდგენილი ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლის პროექტის თავდაპირველი ვერსია საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპისთვის აწესებდა ყველაზე მაღალ სტანდარტს “**The Paramount Consideration**”-ის სახით.<sup>446</sup> აღნიშნული გამოწვეული იყო 1959 წლის ბავშვის უფლებათა დეკლარაციის გავლენით,<sup>447</sup> თუმცა, 1980 წელს, პროექტის პირველი მოსმენისას, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა წარადგინა ალტერნატიული ვერსია, რომელიც ნაცვლად არსებული სტანდარტისა, ითვალისწინებდა საუკეთესო ინტერესების უპირველესი მნიშვნელობის მქონე ერთ-ერთ გარემოებად (**A primary consideration**) განხილვას. 1981 წელს, ალტერნატიულ პროექტზე მსჯელობისას, მართალია, გამოითქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ პოლონეთის ვერსია მეტად იცავდა ბავშვის უფლებებს, თუმცა, საბოლოო შეთანხმების შედეგად, პირველი მოსმენით მიღებულ იქნა შეერთებული შტატების პროექტი.<sup>448</sup> მიუხედავად ამისა, საკითხი კვლავ დისკუსიის საგანი გახდა 1988 წელს, პროექტის ტექნიკური გადასინჯვისას, რა დროსაც გაეროს ბავშვთა ფონდმა მოითხოვა აბსოლუტური უპირატესობის (**The Primary Consideration**) მქონე სტანდარტის დადგენა სწორედ იმ მიზეზით, რომ არსებული რედაქცია გულისხმობდა სხვა, თუნდაც არაუპირატესი გარემოებების მხედველობაში მიღების შესაძლებლობას

---

<sup>446</sup> Legislative History of the Convention on the Rights of the Child, Vol. 1, Office of the United Nations High Commissioner for Human Rights, New York, Geneva, 2007, 335.

<sup>447</sup> Sutherland E. E., Article 3 of the United Nations Convention on the Rights of the Child: The Challenges of Vagueness and Priorities, in: Implementing Article 3 of the United Nations Convention on the Rights of the Child: Best Interests, Welfare and Well-being, Elaine E. Sutherland, Lesley-Anne Barnes Macfarlane (Eds.), Cambridge University Press, 2016, 24; Cantwell N., Are “Best Interests” A Pillar or a Problem for Implementing the Human Rights of Children?, in: The United Nations Convention on the Rights of the Child: Taking Stock After 25 Years and Looking Ahead, Ton Liefwaard, Julia Sloth-Nielsen (Eds.), Brill Nijhoff, Leiden, Boston, 2017, 63.

<sup>448</sup> Legislative History of the Convention on the Rights of the Child, Vol. 1, Office of the United Nations High Commissioner for Human Rights, New York, Geneva, 2007, 338-339, 343.

და მიანიშნებდა სხვა გარემოებების არსებობის შესახებ, რომელთაგან თითოეული შეიძლება უპირატესი ყოფილიყო.<sup>449</sup> აღნიშნულ პოზიციას მეორე მოსმენისას არაერთმა დელეგაციამ დაუჭირა მხარი, რადგან იგი შესაბამისობაში იყო უკვე არსებულ საერთაშორისო სტანდარტებთან, კერძოდ, ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაეროს გენერალური ასამბლეის 1979 წლის კონვენციასთან.<sup>450</sup> მიუხედავად ამისა, შემოთავაზებული ვერსია არ იქნა გაზიარებული, რადგან არსებული საერთაშორისო აქტების რეგულირების სფერო, ბავშვის უფლებათა კონვენციასთან შედარებით, ბევრად შეზღუდული იყო, რაც ამართლებდა უფრო მაღალი სტანდარტის დანერგვას.<sup>451</sup> გარდა ამისა, საუკეთესო ინტერესებისათვის აბსოლუტური უპირატესობის მინიჭების საპირისპიროდ, გამოითქვა მოსაზრება, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, დაპირისპირებული ინტერესები, მათ შორის, მართლმსაჯულებისა და საზოგადოების, შესაძლოა ყოფილიყო არასრულწლოვნის ინტერესების სულ მცირე ტოლფასი, თუ არა აღმატებული მნიშვნელობის.<sup>452</sup>

---

<sup>449</sup>იქვე, 343-344.

<sup>450</sup> Report of the Working Group on a Draft Convention on the Rights of the Child, United Nations, Economic and Social Council, E/CN.4/1989/48, 2 March, 1989, Para. 118; Legislative History of the Convention on the Rights of the Child, Vol. 1, Office of the United Nations High Commissioner for Human Rights, New York, Geneva, 2007, 345.

<sup>451</sup> Alston Ph., The Best Interests Principle: Towards a Reconciliation of Culture and Human Rights, "International Journal of Law, Policy and the Family", Vol. 8, Issue 1, 1994, 12; Legislative History of the Convention on the Rights of the Child, Vol. 1, Office of the United Nations High Commissioner for Human Rights, New York, Geneva, 2007, 345.

<sup>452</sup> Report of the Working Group on a Draft Convention on the Rights of the Child, United Nations, Economic and Social Council, E/CN.4/1989/48, 2 March, 1989, Para. 121; Legislative History of the Convention on the Rights of the Child, Vol. 1, Office of the United Nations High Commissioner for Human Rights, New York, Geneva, 2007, 345; Freeman M., A Commentary on the United Nations Convention on the Rights of the Child, Article 3, Best Interests of the Child, André Alen, Johan Vande Lanotte, Eugeen Verhellen, Fiona Ang, Eva Berghmans, Mieke Verheyde (Eds.), Martinus Nijhoff Publishers, Leiden, Boston, 2007, 45; Eklund H., Article 12 of the "UN's Convention on the Rights

ხანგრძლივი დისკუსიის შედეგად, მიღწეულ იქნა კონსენსუსი ბავშვის უფლებათა კონვენციის ყოვლისმომცველ მე-3 მუხლში საუკეთესო ინტერესების უპირველესი მნიშვნელობის მქონე ერთ-ერთ გარემოებად (**A Primary Consideration**) გათვალისწინების სტანდარტის დადგენის შესახებ. აღსანიშნავია, რომ კონვენციის რამდენიმე მუხლში პრინციპი განსხვავებული სახით არის წარმოდგენილი. კერძოდ, ყველაზე მაღალ სტანდარტს (**The paramount consideration**) ადგენს 21-ე მუხლი, ხოლო მე-9, მე-18, მე-20, 37-ე (თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა სრულწლოვნებისგან განცალკევების კონტექსტში) და მე-40 (საქმის განხილვისას ადვოკატის ან სხვა შესაბამისი პირის დასწრების კონტექსტში) მუხლებში პრინციპი შედარებით ნეიტრალური სახით გვევლინება.

## **7.2. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების ადგილი ინტერესთა კონფლიქტის დროს**

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, ნათელია, რომ ბავშვის უფლებათა კონვენცია, ისევე როგორც საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, საუკეთესო ინტერესებს განიხილავს, როგორც უპირველესი მნიშვნელობის მქონე ერთ-ერთ გარემოებად. კერძოდ, მართალია, პირველ რიგში სწორედ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები გაითვალისწინება და არის უპირველესი მნიშვნელობის მქონე გარემოება, მაგრამ, ამავდროულად, არ წარმოადგენს ერთადერთ დამძლევე ფაქტორს და არ გამორიცხავს სხვა, ასევე უპირველესი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა არსებობას. ჭეშმარიტი ინტერესის ცნება არ არის დამკვიდრებული აბსოლუტურად უპირატეს ცნებად.<sup>453</sup> ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია, არსებობს ინტერესთა კონფლიქტის წარ-

---

of the Child” and the Procedural Status of Children in Sweden, in: *Procedural Law: Court Administrations, Publisher Scandinavian Studies in Law, Peter Wahlgren (Ed.)*, Stockholm, 2007, 171.

<sup>453</sup> შაჰოვიჩი ნ.ვ., დოეკი ი.ე., ცერმატენი უ., ბავშვის უფლებები საერთაშორისო სამართალში, რ. ტულუშისა და თ. ალექსიდის თარგმანი, ლ. ალექსიდისა და ქ. ხუციშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2015, 114.

მოქმნის შესაძლებლობა რამდენიმე უპირატესი მნიშვნელობის მქონე გარემოებას შორის. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, შეფასება მიეცეს საკითხს, თუ რა ადგილი უჭირავს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს სხვა ინტერესებთან მიმართებით და რამდენად უშვებს არსებული სტანდარტი სხვა დაპირისპირებული გარემოებებისადმი უპირატესობის მინიჭების შესაძლებლობას.

პროფესორ ფილიპ ალსტონის მოსაზრებით, არსებული სტანდარტის დადგენის ობიექტური მიზეზი მეტი მოქნილობის უზრუნველყოფა იყო, რათა გარკვეულ ექსტრემალურ შემთხვევებში შესაძლებელი ყოფილიყო სხვა ინტერესთათვის უპირატესობის მინიჭება.<sup>454</sup> გარდა ამისა, როგორც აღნიშნულია, ბავშვის უფლებათა კონვენციის შემუშავების პროცესში ჩართული პირები მიზნად ისახავდნენ პრინციპის გამოყენებისათვის გარკვეული ხარისხის მოქნილობის მინიჭების უზრუნველყოფას არა იმიტომ, რომ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები არ შეიძლება გადამწყვეტი, აბსოლუტური მნიშვნელობის ყოფილიყო ზოგიერთ შემთხვევაში, არამედ იმიტომ, რომ კონვენციის მესამე მუხლით გათვალისწინებულ პრინციპს გააჩნდა ფართო გამოყენების ფარგლები და საუკეთესო ინტერესებისათვის აბსოლუტური უპირატესობის მინიჭება მე-3 მუხლით მოცულ ყველა შესაძლო შემთხვევაში ვერ იქნებოდა გამართლებული.<sup>455</sup> კონვენციის ტექსტში პრინციპის სუსტი ფორმულირების ასახვის ძირითადი გამართლება სწორედ იმ შემთხვევებს უკავშირდება, რა დროსაც ისეთი დაპირისპირებული

---

<sup>454</sup> Alston Ph., The Best Interests Principle: Towards a Reconciliation of Culture and Human Rights, "International Journal of Law, Policy and the Family", Vol. 8, Issue 1, 1994, 13; Freeman M., A Commentary on the United Nations Convention on the Rights of the Child, Article 3, Best Interests of the Child, André Alen, Johan Vande Lanotte, Eugene Verhellen, Fiona Ang, Eva Berghmans, Mieke Verheyde (Eds.), Martinus Nijhoff Publishers, Leiden, Boston, 2007, 61-62; Mower A. G., The Convention on the Rights of the Child: International Law Support for Children, Greenwood Publishing Group, Westport, London, 1997, 24.

<sup>455</sup> Alston P., Gilmour-Walsh B., The Best Interests of The Child-Towards a Synthesis of Children's Rights and Cultural Values, UNICEF, Innocenti Studies, 1996, 11.

ინტერესები, როგორცაა საზოგადოებისა და მართლმსაჯულების, შესაძლოა ბავშვის ინტერესების თანაბარი ან სულაც აღმატებულიც ყოფილიყო.<sup>456</sup> ანალოგიურ მსჯელობას ავითარებს გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი თავის რეკომენდაციაში და აღნიშნავს, რომ ბავშვის უფლებათა კონვენცია, იშვიათ საგამონაკლისო შემთხვევებში, არ გამოირიცხავს სხვა, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული გარემოებების უპირატესობას ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე. ასეთ ვითარებასთან შეიძლება გვეკონდეს საქმე, როდესაც არასრულწლოვანი წარმოადგენს სერიოზულ საფრთხეს სხვა ადამიანთა ფიზიკური უსაფრთხოებისა და საზოგადოების ჯანმრთელობის დაცულობის თვალსაზრისით.<sup>457</sup> გადანყვეტილების მიღებისას საუკეთესო ინტერესების ერთადერთ გადამწყვეტ ფაქტორად აღქმას, ბავშვის უფლებათა სფეროში ერთ-ერთი ავტორიტეტული ექსპერტი კონვენციის არასწორი წაკითხვისა და ინტერპრეტირების შედეგს უწოდებს, ვინაიდან კონვენციით დადგენილი ვალდებულება მოითხოვს ბავშვის ინტერესების ერთ-ერთ უპირველეს გარემოებად გათვალისწინებას.<sup>458</sup> აღნიშნული სტანდარტი მნიშვნელოვანია, თუმცა არა იმგვარად, რომ აუცილებლად გადანონოს ყველა სხვა ინტერესი<sup>459</sup> და შესაძლებელია, კონკრეტულ სიტუაციაში სხვა უპირველესი მნიშვნელობის მქონე გარემოებას მიენიჭოს უპირატესობა.<sup>460</sup> აღნიშნული მსჯელობის გაგება

---

<sup>456</sup> Degol A., Dinku Sh., Notes on the Principle “Best Interest of the Child”: Meaning, History and its Place Under Ethiopian Law, “Mizan Law Review”, Vol. 5, No. 2, 2011, 328; Alston Ph., The Legal Framework of the Convention on the Rights of the Child, “Human Rights Bulletin”, Geneva, 1992, 12-13.

<sup>457</sup> UNHCR Guidelines on Formal Determination of the Best Interests of the Child, United Nations High Commissioner for Refugees, May, 2006, 37.

<sup>458</sup> Cantwell N., Are Children’s Rights Still Human?, in: The Human Rights of Children from Visions to Implementation, Antonella Invernizzi, Jane Williams (Eds.), Ashgate Publishing Limited, Swansea University, Wales, UK, 2011, 49.

<sup>459</sup> Archard D., Children, Adults, Best Interests and Rights, “Medical Law International”, Vol. 13, issue 1, 2013, 60.

<sup>460</sup> Howe R.B., Covell K., Education in the Best Interests of the Child: A Children’s Rights Perspective on Closing the Achievement Gap, University of To-

დაუშვებელია იმგვარად, თითქოს არასრულწლოვნის ინტერესები შეიძლება მარტივად იქნეს იგნორირებული, არამედ, საჭიროა გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და სათანადო დასაბუთება.<sup>461</sup> კერძოდ, პრინციპის ფორმულირება, მათთვის, ვინც ცდილობს მი-აღნიოს ბავშვზე არაორიენტირებული შედეგი, აწესებს მტკიცების ვალდებულებას იმის წარმოსაჩენად, რომ არსებულ ვითარებაში სხვა შესაძლო და მისაღები ალტერნატივა არ არსებობდა.<sup>462</sup> ლიტერატურაში ასევე გვხვდება განსხვავებული მოსაზრებაც, რომლის თანახმად, სხვა, ასევე უპირველესი მნიშვნელობის მქონე გარემოებებს შეიძლება მიენიჭოს საუკეთესო ინტერესების თანაბარი და არა აღმატებული მნიშვნელობა.<sup>463</sup>

მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს საკითხის ბავშვის უფლებათა კომიტეტისეულ განმარტებაზე, რამაც, როგორც აღნიშნულია, ყველაზე ცხარე დებატი და მსჯელობა გამოიწვია კომიტეტის ზოგად კომენტარზე მუშაობის პროცესში.<sup>464</sup> კომიტეტი ინტერესთა შორის კონფლიქტის არსებობისას უპირატესობას ანი-

---

ronto Press, Toronto, Buffalo, London, 2013, 28; Zermatten J., The Best Interests of the Child Principle: Literal Analysis and Function, "International Journal of Children's Rights", Vol. 18, Issue 4, 2010, 489.

<sup>461</sup> Howe R.B., Covell K., Education in the Best Interests of the Child: A Children's Rights Perspective on Closing the Achievement Gap, University of Toronto Press, Toronto, Buffalo, London, 2013, 28.

<sup>462</sup> Alston Ph., The Best Interests Principle: Towards a Reconciliation of Culture and Human Rights, "International Journal of Law, Policy and the Family", Vol. 8, Issue 1, 1994, 13; Freeman M., A Commentary on the United Nations Convention on the Rights of the Child, Article 3, Best Interests of the Child, André Alen, Johan Vande Lanotte, Eugeen Verhellen, Fiona Ang, Eva Berghmans, Mieke Verheyde (Eds.), Martinus Nijhoff Publishers, Leiden, Boston, 2007, 61-62; Mower A. G., The Convention on the Rights of the Child: International Law Support for Children, Greenwood Publishing Group, Westport, London, 1997, 24.

<sup>463</sup> Taylor R., Putting Children First? Children's Interests as a Primary Consideration in Public Law, "Child and Family Law Quarterly", Vol. 28, No. 1, 2016, 62.

<sup>464</sup> Llorens J. C., Presentation of General Comment No.14: Strengthens and Limitations, Points of Consensus and Dissent Emerging in its Drafting, in: The Best Interests of the Child – A Dialogue Between Theory and Practice, Milka Sormunen (Ed.), Council of Europe, 2016, 15.

ჭებს ინტერესთა დაბალანსებას და კომპრომისული შედეგის მიღწევას, თუმცა ინტერესთა ჰარმონიზაციის შეუძლებლობის შემთხვევაში, საჭიროდ მიაჩნია თითოეული მხარის უფლებათა სათანადოდ გაანალიზება იმის გათვალისწინებით, რომ არასრულწლოვნის უფლება, უპირველეს ყოვლისა გათვალისწინებულ იქნეს მისი საუკეთესო ინტერესები, გულისხმობს იმას, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესს მაღალი პრიორიტეტი გააჩნია და არ წარმოადგენს უბრალოდ ერთ-ერთ გასათვალისწინებელ გარემოებას. შესაბამისად, მიიჩნევს, რომ უფრო დიდი მნიშვნელობა იმ გადანყვეტილებას უნდა მიენიჭოს, რომელიც ყველაზე უკეთ ემსახურება არასრულწლოვნის ინტერესებს.<sup>465</sup> ამ შემთხვევაში, კომიტეტი საკმაოდ ფრთხილობს და ყურადღებას არ ამახვილებს იშვიათ საგამონაკლისო შემთხვევებში ასევე უპირველესი მნიშვნელობის მქონე დაპირისპირებული ინტერესისათვის პრიორიტეტის მინიჭების შესაძლებლობაზე. მიუხედავად ამისა, კომიტეტი შორს არ დგას ამ მოსაზრებისგან. კერძოდ, იმავე ზოგად კომენტარში, გადანყვეტილების დასაბუთებულობაზე მსჯელობისას, ყურადღებას ამახვილებს იმ მიზეზთა სათანადოდ ახსნის აუცილებლობაზე, რის გამოც საგამონაკლისო შემთხვევაში სხვა ინტერესებს მიენიჭა არასრულწლოვნის ინტერესებზე უფრო დიდი მნიშვნელობა და იმის განმარტებზე, თუ რატომ არ იყო არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები საკმარისად ძლიერი, რათა დაეძლია სხვა გარემოებები.<sup>466</sup> ამრიგად, კომიტეტიც უშვებს საგამონაკლის შემთხვევებში სხვა ინტერესებისათვის უპირატესობის მინიჭების შესაძლებლობას.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, საუკეთესო ინტერესების ერთ-ერთი უპირველესი მნიშვნელობის მქონე გარემოებად განსაზღვრა, ნაცვლად აბსოლუტური უპირატესობისა, არ უნდა იქნეს გაგებული იმ ზოგადი სტანდარტის უარყოფად, რომ განხორციელებული

---

<sup>465</sup> General Comment No. 14 “On the Right of the Child to Have his or her Best Interests Taken as a Primary Consideration (Art. 3, para.1)”, UN Committee on the Rights of the Child, Sixty-second Session (14 January - 1 February 2013), CRC/C/GC/14, 29 May, 2013, Para. 39.

<sup>466</sup> იქვე, Para. 97.

ქმედებები უნდა შეესაბამებოდეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს, რასაც ადასტურებს ის გარემოება, რომ პრინციპს მოქნილობა მიენიჭა მხოლოდ ექსტრემალურ სიტუაციებში სხვა გარემოებებისათვის უპირატესობის მინიჭების შესაძლებლობის შექმნის მიზნით.<sup>467</sup> ამასთან, არსებული სტანდარტი არ წარმოადგენს პრინციპის შესუსტების მცდელობას, ვინაიდან იგი აწესებს ყველა შემთხვევაში საუკეთესო ინტერესების გათვალისწინების ვალდებულებას და არა დისკრეციას.<sup>468</sup> ანალოგიურ მიდგომას განამტკიცებს ბავშვის უფლებათა კომიტეტიც და აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ გამონაკლის ვითარებაში, საკითხის გადანყევტა არ ემსახურება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესს, საჭიროა სათანადო დასაბუთება იმის წარმოსაჩენად, რომ მიუხედავად დამდგარი შედეგისა, არასრულწლოვნის ინტერესები წარმოადგენდა უპირველესი განხილვის საგანს.<sup>469</sup> შესაბამისად, გადანყევტილების მიმღებმა პირმა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი უნდა განიხილოს სულ მცირე, როგორც მნიშვნელოვან გარემოებად. ამავდროულად, პრინციპის ფორმულირება შესაბამის პირს უტოვებს შესაძლებლობას, იქ სადაც შესაძლებელია, ბავშვის

---

<sup>467</sup> Alston Ph., *The Legal Framework of the Convention on the Rights of the Child*, "Human Rights Bulletin", Geneva, 1992, 9; Detrick Sh., *A Commentary on the United Nations Convention on the Rights of the Child*, The Hague, Boston, London, 1999, 91.

<sup>468</sup> Zermatten J., *The Best Interests of the Child: Literal Analysis, Function and Implementation*, Working Report, Institut international des droits de l'enfant, 2010, III-a (Literal Analysis).

<sup>469</sup> General Comment No. 14 "On the Right of the Child to Have his or her Best Interests Taken as a Primary Consideration (Art. 3, para.1)", UN Committee on the Rights of the Child, Sixty-second Session (14 January - 1 February 2013), CRC/C/GC/14, 29 May, 2013, Paras. 36, 97; Hodgkin R., Newell P., *Implementation Handbook for the Convention on the Rights of the Child*, 3<sup>rd</sup> Edition, United Nations Children's Fund, Geneva, 2007, 38; *Field Handbook for the Implementation of UNHCR BID Guidelines*, United Nations High Commissioner for Refugees, 2011, 3-4.

ინტერესებს მიანიჭოს გადამწყვეტი, აბსოლუტური მნიშვნელობა (Paramount consideration).<sup>470</sup>

ამრიგად, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები წარმოადგენს ყველა შემთხვევაში უპირველეს გასათვალისწინებელ გარემოებას. ამის შემდეგ კი შეფასება უნდა მიეცეს სხვა გარემოებებსაც, რომლებიც შეიძლება აღმოჩნდნენ არასრულწლოვნის ინტერესებზე ნაკლები, თანაბარი ან იშვიათ შემთხვევაში, უფრო დიდი მნიშვნელობისაც. თუ სხვა არსებული გარემოებები საუკეთესო ინტერესებზე ნაკლები მნიშვნელობისაა, მაშინ გადანწყვეტილების მიღებისას, არასრულწლოვნის ინტერესებს ენიჭება აბსოლუტური, გადამწყვეტი მნიშვნელობა ანუ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ერთადერთ დამძლევ ფაქტორად. იმ შემთხვევაში, თუ იკვეთება სხვა, არანაკლები მნიშვნელობის მქონე ინტერესების არსებობა, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები ხდება ერთ-ერთი უპირველესი მნიშვნელობის მქონე გარემოება და არა ერთადერთი დამძლევი ფაქტორი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ინტერესთა შორის ბალანსის დაცვა, ჰარმონიზაცია. აღნიშნულის შეუძლებლობის შემთხვევაში, უფრო დიდი მნიშვნელობა იმ გადანწყვეტილებას ენიჭება, რომელიც ყველაზე მეტად ემსახურება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესს. თუმცა, იშვიათ საგამონაკლისო, ექსტრემალურ შემთხვევებში, შესაძლოა საბოლოო გადანწყვეტილება დაპირისპირებული ინტერესების სასარგებლოდ იქნეს მიღებული, რაც საჭიროებს მყარ არგუმენტაციას და არ ნიშნავს იმას, რომ საუკეთესო ინტერესები არ წარმოადგენდა უპირველესი განხილვის საგანს.

---

<sup>470</sup> Alston P., Gilmour-Walsh B., *The Best Interests of The Child-Towards a Synthesis of Children's Rights and Cultural Values*, UNICEF, Innocenti Studies, 1996, 12.

### თავი III. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების მიმართება მართლმსაჯულების სხვა ინტერესებთან

1993 წლის 12 თებერვალი, ქალაქი ბუტლი, ლივერპული. ორი წლის ჯეიმს ბულგერი დედასთან ერთად სავაჭრო ცენტრში იმყოფებოდა. საბედისწერო აღმოჩნდა იმავე ადგილას ათი წლის რობერტ ტომპსონისა და ჯონ ვენებლსის ყოფნა, რომლებიც თავიანთ სამიზნეს ეძებდნენ. მას შემდეგ, რაც ჯეიმსის დედამ რამდენიმე წუთით უყურადღებოდ დატოვა შვილი, აღმოაჩინა, რომ ჯეიმსი მის გვერდით აღარ იყო. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო საშინელი ტრაგედია. პოლიციამ ჯეიმსის კვალს ორი დღის განმავლობაში ვერ მიაგნო. სავაჭრო ცენტრში არსებული ვიდეოკამერის ჩანაწერიდან კარგად ჩანდა, როგორ მიუახლოვდნენ ორი წლის ჯეიმსს ტომპსონი და ვენებლსი და როგორ გაიყვანეს შენობიდან.<sup>471</sup> 1993 წლის 14 თებერვალს ჯეიმს ბულგერის ცხედარი ოთხი კილომეტრის მოშორებით, რკინიგზის რელსებზე აღმოაჩინეს, თუმცა ის, რაც პოლიციამ იხილა შოკისმომგვრელი აღმოჩნდა მთელი ქვეყნისთვის.<sup>472</sup> როგორც შემდგომ გაირკვა, ჯეიმსი საშინლად ნანამები იყო. მას შემდეგ, რაც დამნაშავეებმა ორი წლის ჯეიმსი წამებით მოკლეს, შეეცადნენ მომხდარი უბედურ შემთხვევად წარმოეჩინათ და ცხედარი რკინიგზის ლიანდაგზე მოათავსეს იმ იმედით, რომ მატარებელი გადაუვლიდა. მართლაც, პოლიციამ ჯეიმსის ცხედარი ორ ნაწილად გაყოფილი აღმოაჩინა.<sup>473</sup> ტომპსონსა და ვე-

---

<sup>471</sup>იხ., <<http://www.crimeandinvestigation.co.uk/crime-files/james-bulger>>, [23.05.2019]; Fergus D., I Let Him Go: A Mother's Heartbreaking True Story of the Murder that Shocked the World, Blink Publishing, London, 2018, 111.

<sup>472</sup>იხ., <<http://www.crimeandinvestigation.co.uk/crime-files/james-bulger>>, [23.05.2019]; Fergus D., I Let Him Go: A Mother's Heartbreaking True Story of the Murder that Shocked the World, Blink Publishing, London, 2018, 134.

<sup>473</sup>იხ., <<http://www.independent.co.uk/news/uk/james-bulger-suffered-multiple-fractures-pathologist-reveals-two-year-old-had-42-injuries-including-1503297.html>>, [23.05.2019]; <<https://www.theguardian.com/uk/1993/nov/02/bulger.tomsharratt>>, [23.05.2019]; Bulger R., Rosie D., My James: The Heart-rending Story of James Bulger by his Father, Sidgwick & Jackson Publishing, London, 2013, 114.

ნებლსს მსჯავრი დაედოთ ჯეიმს ბულგერის მკვლელობისა და გატაცებისთვის.<sup>474</sup>

აღნიშნული საქმე კარგი ილუსტრაციაა იმისა, თუ რა სიმწვავეთ შეიძლება დაუპირისპირდეს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები მართლმსაჯულების სხვა ინტერესებს. სწორედ მსგავსი შემთხვევების არსებობამ განაპირობა საუკეთესო ინტერესების აღიარება, როგორც ერთ-ერთ უპირველესი მნიშვნელობის მქონე გარემოებად, რაც იძლევა ინტერესთა ჰარმონიზაციის შესაძლებლობას. ამ უკანასკნელის საჭიროება კი, როგორც წესი, განსაკუთრებული სიმწვავეთ დგას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში. წინამდებარე თავი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებსა და მართლმსაჯულების სხვა ინტერესთა შორის შესაძლო კონფლიქტსა და ამ კონფლიქტის გადაჭრის გზების ანალიზს ეთმობა. აგრეთვე განხილული იქნება საზოგადოებრივი აზრის გავლენის საკითხი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის რეალიზებაზე. სწორედ განსახილველი საკითხების თემატიკამ განაპირობა აღნიშნული თავის ჯეიმს ბულგერის საქმით დანყება. ხსენებული საქმე კარგი მაგალითია საუკეთესო ინტერესების პარალელურად მართლმსაჯულების სხვა ინტერესთა არსებობისა და მათ შორის კონფლიქტის წარმოქმნის, აგრეთვე უსაფრთხოებისა და სამართლიანობის ინტერესთა სასარგებლოდ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე გავლენის მოხდენის საილუსტრაციოდ. ამ თემების ბულგერის მკვლელობის საქმის ფონზე განხილვა მეტ სიცხადეს შემატებს წინამდებარე თავში განსახილველ საკითხებს და უზრუნველყოფს არსებული პრობლემების ნათლად წარმოჩენას.

## **1. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ინტერესები**

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ინტერესებზე მსჯელობისას, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია, ყურადღება გა-

---

<sup>474</sup> T.v. The United Kingdom, [ECtHR], Application No.24724/94, 16 December, 1999, Para. 14.

მახვილდეს თავად მართლმსაჯულების მიზნებზე, რადგან სწორედ ეს უკანასკნელი განაპირობებს მართლმსაჯულების ინტერესებს. მართლმსაჯულების მიზნები, თავის მხრივ, საჭიროებს სასჯელის მიზნებისაგან გამიჯვნას, რადგან არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება მოიცავს სისხლის სამართლის საქმის წარმოების მთლიან პროცესს – დაწყებული გამოძიებით, განაჩენის აღსრულებით დასრულებული. შესაბამისად, სამართალწარმოების სტადიების მიხედვით შეიძლება გამოიკვეთოს სხვადასხვა მიზანი<sup>475</sup> და მხოლოდ სასჯელის მიზნებით შემოფარგვლა არ იქნება გამართლებული. აღსანიშნავია, რომ ამკ-ის პირველი მუხლის მე-2 ნაწილი კოდექსის მიზნებად განსაზღვრავს არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების დაცვასა და მის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას, არასრულწლოვანი დაზარალებულისა და არასრულწლოვანი მოწმის უფლებათა დაცვას, არასრულწლოვანი დაზარალებულისა და არასრულწლოვანი მოწმის მეორეული ვიქტიმიზაციისა და არასრულწლოვანი დაზარალებულის ხელახალი ვიქტიმიზაციის თავიდან აცილებას, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებასა და მართლწესრიგის დაცვას. ამასთან, მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს სასჯელის მიზნებზეც, ვინაიდან ყველაზე მნიშვნელოვან, სამართალწარმოების დამაგვირგვინებელ სტადიად სწორედ სასჯელის დანიშვნა განიხილება. ამკ-ის 65-ე მუხლის თანახმად, „არასრულწლოვანისთვის დანიშნული სასჯელის მიზანია არასრულწლოვანის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია და ახალი დანაშაულის თავიდან აცილება“. კოდექსისა და სასჯელის მიზნებიდან გამომდინარე, ნათელია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ინტერესები აერთიანებს როგორც კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანის, ისე საზოგადოების ინტერესებს. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, მოიცავს უსაფრთხოებისა და სამართლიანობის უზრუნველყოფას. თუმცა, ბუნებრივია, მართლმსაჯულების ინტერესები არ შემოიფარგლება მხოლოდ არასრულწლოვანისა და საზოგადოების ინტერესების დაცულობით, არამედ მართლმსაჯუ-

---

<sup>475</sup> Ashworth A., *Sentencing and Criminal Justice*, 5<sup>th</sup> Edition, Cambridge University Press, Cambridge, 2010, 71.

ლების პროცესის სტადიების მიხედვით, შესაძლოა გამოიკვეთოს ისეთი მნიშვნელოვანი ინტერესები, როგორცაა დანაშაულთან ეფექტიანი ბრძოლა და მართლმსაჯულების ჯეროვანი განხორციელების ხელშეწყობა, სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების შეუფერხებლად, სრულყოფილად, ობიექტურად და ეფექტიანად წარმართვა, საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა, დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა, დანაშაულებრივი საქმიანობის აღკვეთა და სხვ.<sup>476</sup> „ეჭვგარეშეა, რომ დანაშაულთან ეფექტური ბრძოლა და მართლმსაჯულების ჯეროვანი განხორციელების ხელშეწყობა სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა“.<sup>477</sup>

მართლმსაჯულების ინტერესებზე მსჯელობა ემსახურება იმ ინტერესთა და მათი მნიშვნელობის ნათლად წარმოჩენას, რომლებიც შესაძლოა არაფრით ჩამოუვარდებოდეს, ხოლო იშვიათ საგამონაკლისო შემთხვევებში, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის გავალისწინებით, აჭარბებდეს კიდევ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს. ამგვარ ინტერესებად გვევლინება საზოგადოებრივი უსაფრთხოება და სამართლიანობა, რომელთა ანალიზს შემდგომი ქვეთავები ეთმობა.

---

<sup>476</sup> „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე №3/2/574, 23 მაისი, 2014, II-26; „საქართველოს მოქალაქეები თეიმურაზ ჯანაშია და გიული ალასანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე №2/1/631, 18 აპრილი, 2016, II-9; „საქართველოს მოქალაქეები ვალერიან გელახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე №1/4/557,571, 576, 13 ნოემბერი, 2014, II-22.

<sup>477</sup> „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე №3/2/574, 23 მაისი, 2014, II, 26.

## 2. საზოგადოებრივი უსაფრთხოება და სამართლიანობა, როგორც მართლმსაჯულების განუყოფელი ინტერესები

### 2.1. საზოგადოებრივი უსაფრთხოება

ფილოსოფოს მაქს ვებერის განმარტებით, კანონის უმთავრესი მიზანი ადამიანური ურთიერთობების დარეგულირება, სოციალური წესრიგის შენარჩუნებაა.<sup>478</sup> კანონმა სწორედ საზოგადოებრივ ურთიერთობებში არსებული სამართალი უნდა გამოხატოს.<sup>479</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სახელმწიფოს ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას საზოგადოების, მისი წევრების უსაფრთხოების დაცვა წარმოადგენს.<sup>480</sup> ამასთან, „წესრიგი, მშვიდი და ჰარმონიული თანაცხოვრება საზოგადოების იმანენტური მოთხოვნილებაა, რომლის ფარგლებშიც ადამიანები პრეტენზიულები ვართ ერთმანეთის, მთლიანად საზოგადოების და, ცხადია, ხელისუფლების მიმართ. ამიტომ ლოგიკური და საფუძვლიანია მოლოდინი, რომ ნებისმიერი ქმედება/ქცევა, რომელიც საფრთხეს უქმნის წესრიგს, შეთანხმებულს საზოგადოების წევრებს შორის, ალკვეთილი, თავიდან აცილებული და რეაგირებული იქნება, რაც საბოლოოდ, ხელს შეუწყობს ამ წესრიგის გრძელვადიან პერსპექტივაში სტაბილურ დაცულობას“.<sup>481</sup> ამავე მოსაზრებას ავითარებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც, როდესაც განმარტავს, რომ სახელმწიფოები ვალდე-

---

<sup>478</sup> Hess K. M., *Juvenile Justice*, 5<sup>th</sup> Edition, Carolyn Henderson Meier (Ed.), Wadsworth Cengage Learning, Wadsworth, 2009, 66.

<sup>479</sup> ნაჭყებია გ., საქართველოს სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციის მეთოდოლოგიური პრობლემები, წიგნში: სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, ნ. თოდუას რედაქტორობით, თბილისი, 2016, 61.

<sup>480</sup> „საქართველოს მოქალაქეები – ლევან იზორია და დავით-მიხეილ შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე №1/2/503,513, 11 აპრილი, 2013, II, 3.

<sup>481</sup> „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე №1/4/592, 24 ოქტომბერი, 2015, II, 45.

ბუნნი არიან ევროკონვენციის ფარგლებში მიიღონ ზომები საზოგადოების მძიმე დანაშაულებისაგან დასაცავად.<sup>482</sup> მეტიც, სასამართლოს განმარტებით, ევროპული კონვენცია არ უკრძალავს სახელმწიფოებს სერიოზულ დანაშაულში ბრალდებული არასრულწლოვნების დასჯას განუსაზღვრელი ვადით, რაც დამნაშავის ხანგრძლივი ვადით დაპატიმრების ან გათავისუფლების შემდეგ საპატიმროში დაბრუნების საშუალებას იძლევა, თუკი ეს საჭირო გახდება საზოგადოების უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე.<sup>483</sup> ადამიანი ჩადის დანაშაულს, რითაც უპირისპირდება საზოგადოებასა და სახელმწიფოს, ხოლო სახელმწიფო მის მიმართ იყენებს უფლების შემზღუდავ ღონისძიებებს.<sup>484</sup>

ბავშვის უფლებათა კომიტეტის განმარტებით, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვა, რაც გულისხმობს სისხლის სამართლის ტრადიციული მიზნების, სამაგიეროს მიზლისა და დასჯის ჩანაცვლებას რეაბილიტაციისა და აღდგენითი მართლმსაჯულების მიზნებით, უნდა განხორციელდეს საზოგადოებრივ უსაფრთხოებაზე ყურადღების გამახვილების პარალელურად.<sup>485</sup> ანალოგიურ მიდგომას ავითარებს „პეკინის ნესებიც“, რომელიც უპირატესობას ანიჭებს ალტერნატიული სანქციების გამოყენებას, თუმცა საზოგადოებრივ უსაფრთხოებაზე ყურადღების გამახვილების პარალელურად. ასევე უშვებს თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას, თუ სხვა ალტერნატიული სასჯელი

---

<sup>482</sup> T.v. The United Kingdom, [ECtHR], Application No.24724/94, 16 December, 1999, Para. 97; Osman v. The United Kingdom, [ECtHR], Application No. 87/1997/871/1083, 28 October, 1998, Para. 115; A. v. The United Kingdom, [ECtHR], Application No. 100/1997/884/1096, 23 September, 1998, Para. 22.

<sup>483</sup> T.v. The United Kingdom, [ECtHR], Application No.24724/94, 16 December, 1999, 97; Hussain v. The United Kingdom, [ECtHR], Application No. 21928/93, 21 February, 1996, Para. 53.

<sup>484</sup> გამყრელიძე ო., სისხლისსამართლებრივი სასჯელის ცნება, „გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი“, პირველი გამოცემა, 2016, 3.

<sup>485</sup> General Comment No. 10, “Children’s Rights in Juvenile Justice”, UN Committee on the Rights of the Child, Forty-fourth Session (15 January-2 February), CRC/C/GC/10, Geneva, 25 April, 2007, Para. 10.

ვერ უზრუნველყოფს საზოგადოების დაცვას.<sup>486</sup> აღსანიშნავია ასევე „ტოკიოს წესები“, რომელიც სასჯელის დანიშვნისას გასათვალისწინებელ გარემოებებში მოიაზრებს როგორც ბრალდებულის საჭიროებებს, ისე საზოგადოებრივ უსაფრთხოებასა და მსხვერპლის ინტერესებს.<sup>487</sup> შესაბამისად, საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის განხორციელება არ გულისხმობს საზოგადოების ინტერესების მეორეხარისხოვნად განხილვას და საზოგადოებრივ უსაფრთხოების რისკის ქვეშ დაყენებას.<sup>488</sup> „სახელმწიფოებმა, ერთი მხრივ, უნდა დააბალანსონ დაუცველ არასრულწლოვანთა ინტერესები და, მეორე მხრივ, უზრუნველყონ საზოგადოების დაცვა სხვებისაგან, სახელმწიფო რესურსების ეფექტური გამოყენების გზით“.<sup>489</sup> შეიძლება ითქვას, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება ვერ იქნება წარმატებული, თუ იგი ვერ დააკმაყოფილებს საზოგადოებრივ უსაფრთხოებას.<sup>490</sup> თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ თითოეულ ადამიანს გააჩნია უფლებები და არ შეიძლება მათზე უარის თქმა სხვებისთვის უფრო დიდი სარგებლის მოტანის მიზნით.<sup>491</sup>

მართალია, საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი პირდაპირ არ მიუთითებს საზოგადოებრივ უსაფრთხოების დაცვის მიზანზე, მაგრამ როგორც თავად კო-

---

<sup>486</sup> United Nations Standard Minimum Rules for the Administration of Juvenile Justice (“The Beijing Rules”), Adopted by General Assembly Resolution 40/33 of 29 November 1985, Rule 17.1 (b, c) (Commentary).

<sup>487</sup> United Nations Standard Minimum Rules for Non-custodial Measures (“The Tokyo Rules”), Adopted by General Assembly Resolution 45/110 of 14 December 1990, Rule 7.1.

<sup>488</sup> Manco E., Protecting the Child’s Right to Participate in Criminal Justice Proceedings, “Amsterdam Law Forum”, Vol.8, No.1, 2016, 57.

<sup>489</sup> ფაფიაშვილი ლ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ზოგიერთი საკითხი, „საერთაშორისო სამართლის ჟურნალი“, №1, თბილისი, 2008, 155.

<sup>490</sup> Scott E.S., Steinberg L., Rethinking Juvenile Justice, Harvard University Press, Cambridge, London, 2008, 3.

<sup>491</sup> Follesdal A., John Rawls’ Theory of Justice as Fairness, in: Philosophy of Justice, Series: Contemporary Philosophy: A New Survey, Vol. 12, Guttorm Fløistad (Ed.), Springer, Oslo, 2015, 312.

დექსის, ისე სასჯელის მიზნად ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას ასახელებს. ეს უკანასკნელი კი სხვა არაფერია თუ არა საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცულობის ინტერესი. წინააღმდეგ შემთხვევაში, კანონმდებელი მხოლოდ რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიზნის განსაზღვრით შემოიფარგლებოდა, რადგან იგი თავისთავად ხელს უწყობს ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას. ვინაიდან კანონმდებელმა ცალკე, დამოუკიდებელ მიზნად ჩამოაყალიბა ახალი დანაშაულის თავიდან აცილება, ამით ხაზგასმით წარმოჩინდა საზოგადოებრივი უსაფრთხოების, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განუყოფელი ინტერესის მნიშვნელობა.

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მიღწევა შესაძლოა განხორციელდეს, როგორც სპეციალური, ისე ზოგადი პრევენციის მეშვეობით, თუმცა, არსებული მოსაზრებით, არასრულწლოვანთა შემთხვევაში ზოგადი პრევენციის მიზანი უნდა გამოირიცხოს.<sup>492</sup> აღნიშნულის საპირისპიროდ, ასევე არსებობს მოსაზრება, რომ სასჯელმა ზემოქმედება უნდა მოახდინოს არა მხოლოდ არასრულწლოვან დამნაშავეზე, არამედ სხვა არასრულწლოვნებზეც, რომლებიც მიდრეკილნი არიან დანაშაულის ჩადენისკენ.<sup>493</sup> მიგვაჩნია, რომ არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის გამოყენების მიზანი არ უნდა იყოს სხვათა დაშინება და ამ გზით საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, არამედ სასჯელმა უნდა იქონიოს არასრულწლოვანზე ინდივიდუალური გავლენა, როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური კერძო პრევენციის სახით. თუმცა, ამ მიზნით არასრულწლოვნის მიმართ გამოყენებულ სასჯელს თავისთავად გააჩნია ზოგადი პრევენციისა და სხვებზე ზემოქმედების ფუნქცია. ამგვარი მოსაზრება განავითარა კანადის უზენაესმა სასამართლომ, როდესაც აღნიშნა, რომ არასრულწლოვნისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების ფაქტს უდავოდ გააჩნია „შეკავების“ ეფექტი როგორც კონკრეტული არასრულწლოვნის, ისე სხვა პირთა

---

<sup>492</sup> შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მე-2 გამოცემა, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, 2016, 126.

<sup>493</sup> ვარძელაშვილი ი., სასჯელის მიზნები, თბილისი, 2016, 269.

მიმართ.<sup>494</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „ზოგადი პრევენციის მიზნის უგულებელყოფა არ შეიძლება. მეტიც, მას ნამდვილად აქვს საზოგადოებაში მაგალითის დატვირთვა და პოზიტიური როლი კრიმინალური ქმედების შემცირებისა და საზოგადოების მშვიდი, ჰარმონიული განვითარებისთვის. თუმცა, სახელმწიფოს იძულების ღონისძიების გამოყენებისას უნდა ჰქონდეს ზოგადი პრევენციის ზემოაღნიშნული პოზიტიური შედეგების გამომწვევის პასიური მოლოდინი, სახელმწიფომ არ შეიძლება პირი დასაჯოს მხოლოდ იმის გამო, რომ სხვამ არ ჩაიდინოს იგივე ქმედება“.<sup>495</sup> ამრიგად, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესი შეიძლება დაკმაყოფილდეს ახალი დანაშაულის თავიდან აცილებით, რაც ხორციელდება როგორც სპეციალური, ისე ზოგადი პრევენციის მეშვეობით, თუმცა, სპეციალური პრევენციისგან განსხვავებით, ზოგადი პრევენცია არ უნდა წარმოადგენდეს არასრულწლოვნისათვის დანიშნული სასჯელის მიზანს, არამედ უნდა განვიხილოთ, როგორც სასჯელის თანმდევი ეფექტი, რომლის პოზიტიური შედეგების მიმართ მხოლოდ პასიური მოლოდინია გამართლებული.

## 2.2. სამართლიანობა

საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსმა, მართალია, უარი განაცხადა სამართლიანობის აღდგენაზე, როგორც სასჯელის მიზანზე, თუმცა აღნიშნული არ ნიშნავს სამართლიანობის, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ინტერესის უარყოფას. მით უფრო, რომ სასჯელის მიზნებიდან სამართლიანობის აღდგენის ამოღებაც კი სადავო საკითხია. როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კო-

---

<sup>494</sup> Bala N., Carrington P. J., Canada, in: *International Handbook of Juvenile Justice*, 2<sup>nd</sup> Edition, Scott H. Decker, Nerea Marteache (Eds.), Springer, Switzerland, 2017, 101.

<sup>495</sup> „ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე №1/4/592, 24 ოქტომბერი, 2015, II-44.

დექსის განმარტებითი ბარათიდან ირკვევა, აღნიშნულ მიდგომას საფუძვლად დაედო ბავშვის უფლებათა კომიტეტის განმარტება.<sup>496</sup> თუმცა, აღსანიშნავია, რომ კომიტეტი ყურადღებას ამახვილებს არა სამართლიანობის აღდგენის, არამედ სამაგიეროს მიზლის რეაბილიტაციისა და აღდგენითი მართლმსაჯულების მიზნებით ჩანაცვლების აუცილებლობაზე.<sup>497</sup> სასჯელის მიზნებიდან სამართლიანობის აღდგენის ამოღება შესაძლოა გამოიწვიოს იმ გარემოებამ, რომ ხშირად სამართლიანობის აღდგენა სამაგიეროს მიზლვასთან არის გაიგივებული.<sup>498</sup> ავტორთა ნაწილი მიიჩნევს, რომ სამართლიანობის აღდგენა აუცილებლად გულისხმობს სამაგიეროს მიზლვას და წარმოუდგენელია სასჯელი მიზანდ არ ისახავდეს სამაგიეროს მიზლვას.<sup>499</sup> თუმცა, გასაზიარებელია მოსაზრება, რომ სამართლიანობის აღდგენისა და სამაგიეროს მიზლის გაიგივება მიზანშეუწონელია, რადგან სამაგიეროს მიზლვა უსამართლო სასჯელსაც მოიზარებს, მაშინ როდესაც სამართლიანობის აღდგენა მხოლოდ სამართლიან სამაგიეროს მიზლვას შეიძლება გულისხმობდეს.<sup>500</sup> ვინაიდან დანაშაულებრივი ქმედების აკრძალვა სამართლიანია, ამ აკრძალვის დარღვევა უსამართლობის აქტს წარმოადგენს. შესაბამისად, უსამართლო აქტის ჩამდენის დასჯა სამართლიანობის აღდგენასაც მოასწავებს, თუმცა აუცილებელია ქმედების კრიმინალიზაციის ეტაპზე დანაშაულისა და სასჯელის

---

<sup>496</sup> იხ., საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის განმარტებითი ბარათი, 60,

<<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/68425?>>, [1.03.2019].

<sup>497</sup> General Comment No. 10, “Children’s Rights in Juvenile Justice”, UN Committee on the Rights of the Child, Forty-fourth Session (15 January-2 February), CRC/C/GC/10, Geneva, 25 April, 2007, Para. 10.

<sup>498</sup> ვარძელაშვილი ი., არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის დანიშვნა, წიგნში: არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, თბილისი, 2017, 126.

<sup>499</sup> დვალაძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელის და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბილისი, 2013, 26.

<sup>500</sup> ცქიტიშვილი თ., სასჯელის პროპორციულობა, წიგნში: სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, ნ. თოდუას რედაქტორობით, თბილისი, 2016, 640.

შესაბამისობის საკითხის გადაწყვეტა.<sup>501</sup> ამრიგად, სამართლიანობის აღდგენა თავის თავში გულისხმობს სამართლიანი სასჯელის შეფარდებას,<sup>502</sup> რაზეც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი უარს არ ამბობს. სასჯელი მიზნად ისახავს ისეთ შედეგებს, რომელთაც სამაგიეროს მიზლის პრინციპთან საერთო არ აქვთ.<sup>503</sup> ბავშვის უფლებათა კომიტეტი სწორედ რეპრესიისა და დასჯის ჩანაცვლებაზე ამახვილებს ყურადღებას, ნაცვლად სამართლიანი სასჯელის დაწესებით სამართლიანობის აღდგენისა. შესაბამისად, არ არსებობს არავითარი სამართლებრივი დასაბუთება, რომ სამართლიანობის აღდგენა არ იყოს გათვალისწინებული არასრულწლოვანთათვის სასჯელის შეფარდებისას.<sup>504</sup> ამასთან, როგორც აღინიშნება, სამართლიანობის აღდგენა სასჯელის უპირველესი მიზანია და სამართლიანობის აღდგენის გარეშე სასჯელი თავის ფუნქციურ დატვირთვას ვერ შეასრულებს, თუნდაც აღსრულდეს სასჯელის ნებისმიერი სხვა მიზანი.<sup>505</sup> აღნიშნულ მოსაზრებას, ჰყავს მონინალმდეგეებიც,<sup>506</sup> თუმცა შეიძლება გავიზი-

---

<sup>501</sup> სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, გ. ნაჭყებიას და გ. ტყეშელიაძის რედაქტორობით, თბილისი, 2004, 30; სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, გ. ნაჭყებიას და ი. დვალიძის რედაქტორობით, თბილისი, 2007, 32; ნაჭყებია გ., სისხლის სამართლის პრინციპები, წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო), მე-2 გამოცემა, გ. ნაჭყებიას და ნ. თოდუას რედაქტორობით, თბილისი, 2016, 65.

<sup>502</sup> ლეკვეიშვილი მ., სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, „მართლმსაჯულება და კანონი“, №4, 2014, 22.

<sup>503</sup> სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, გ. ნაჭყებიას და გ. ტყეშელიაძის რედაქტორობით, თბილისი, 2004, 29; სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, გ. ნაჭყებიას და ი. დვალიძის რედაქტორობით, თბილისი, 2007, 31.

<sup>504</sup> ლეკვეიშვილი მ., სასჯელის ინდივიდუალიზაცია, როგორც სასჯელის შეფარდების მნიშვნელოვანი პრინციპი, წიგნში: სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, ნ. თოდუას რედაქტორობით, თბილისი, 2016, 187.

<sup>505</sup> დვალიძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელის და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბილისი, 2013, 25.

<sup>506</sup> ცქიტიშვილი თ., სასჯელის შეფარდების საკითხისათვის, წიგნში: გურამ ნაჭყებია 75, ნ. თოდუას რედაქტორობით, თბილისი, 2016, 133.

როთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლიანობის აღდგენიდან გამოვრიცხავთ სამაგიეროს მიზღვის ელემენტს. როგორც იურიდიულ ლიტერატურაში აღინიშნება, დღესდღეობით, სასჯელით სამაგიეროს მიზღვის მიზანი ფაქტობრივად უარყოფილია.<sup>507</sup>

არისტოტელეს განმარტებით, სამართალი არის ის, რაც არის კანონიერი (უნივერსალური სამართლიანობა) და თანასწორი (განსაკუთრებული სამართლიანობა).<sup>508</sup> ესა თუ ის კანონი სამართლიანობის იდეასთან უნდა იყოს ნაზიარევი, იმის მიუხედავად, რომ სამართალი და სამართლიანობა ერთი და იგივე არაა.<sup>509</sup> ზოგადად, არ არსებობს სამართლიანობის საყოველთაოდ აღიარებული ცნება<sup>510</sup> და წარმოადგენს შეფასებით კატეგორიას.<sup>511</sup> იგი შინაგან კანონებზე, შინაგან მდგომარეობაზე აკეთებს აქცენტს.<sup>512</sup> სამართლებრივი სახელმწიფოს იდეიდან გამომდინარე, სამართლიანობა წარმოადგენს, როგორც სამართალშემოქმედების, ისე სამართლის შეფარდების უპირობო მიზანს და შეფასებადია ადამიანის ფუნდამენტური უფლებებით სრულყოფილად სარგებლობისა და და-

---

<sup>507</sup> ლეკვეიშვილი მ., სასჯელის მიზნები და არასრულწლოვანთა სასჯელის დანიშვნის სპეციფიკა, წიგნში: არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების პრობლემები (სტატიათა კრებული), მ. ლეკვეიშვილისა და მ. შალიკაშვილის რედაქტორობით, თბილისი 2011, 27-28; ლეკვეიშვილი მ., სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, „მართლმსაჯულება და კანონი“, №4, 2014, 19.

<sup>508</sup> Hess K.M., *Juvenile Justice*, 5<sup>th</sup> Edition, Carolyn Henderson Meier (Ed.), Wadsworth Cengage Learning, Wadsworth, 2009, 4.

<sup>509</sup> ნაჭყებია გ., საქართველოს სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციის მეთოდოლოგიური პრობლემები, წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო), მე-2 გამოცემა, გ. ნაჭყებია და ნ. თოდუას რედაქტორობით, თბილისი, 2016, 61.

<sup>510</sup> ხუბუა გ., სამართლის თეორია, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2015, 85.

<sup>511</sup> იქვე, 87.

<sup>512</sup> გაბუნია მ., კრიმინოლოგიური შეხედულებანი სამართლიანობასა და სამართალზე, წიგნში: გურამ ნაჭყებია 75, ნ. თოდუას რედაქტორობით, თბილისი, 2016, 229-230.

ცვის ხარისხით.<sup>513</sup> სისხლის სამართალში სამართლიანობის აღდგენა თანაბარ პირობებში დაბრუნებას, მართლწესრიგში ბალანსის აღდგენას ნიშნავს.<sup>514</sup> სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთი მიზანი სწორედ სამართლებრივი წესრიგის აღდგენაა.<sup>515</sup> სამართლიანობა მოითხოვს, რომ ის პირი, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა დაუსჯელი არ დარჩეს,<sup>516</sup> ვინაიდან დანაშაული წარმოადგენს სახელმწიფოს იდეის უარყოფას თუ უგულებელყოფას.<sup>517</sup> „სახელმწიფო იუსტიცია“ სჯის დამნაშავეს სწორედ სამართლიანობისა და დარღვეული სამართლებრივი წესრიგის აღსადგენად.<sup>518</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის თავისუფლება უმთავრესი ღირებულებაა, ის იმავდროულად ზღვარდადებულია საზოგადოების სხვა წევრების თავისუფლებით და ყველა, ვინც ბოროტად ისარგებლებს თავისუფლებით და ხელყოფს სხვის უფლებას, სამართლიანობა მოითხოვს, აღდგეს თავდაპირველი წონასწორობა და სამომავლოდაც საფრთხის ქვეშ არ დადგეს ყველას ერთნაირი უფლება თავისუფლებაზე. სასჯელით სამართლიანობის აღდგენის

---

<sup>513</sup> „ბექა ნიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე №1/4/592, 24 ოქტომბერი, 2015, II-44.

<sup>514</sup> დვალიძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელის და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბილისი, 2013, 28.

<sup>515</sup> თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბილისი, 2014, 38.

<sup>516</sup> ლეკვეიშვილი მ., სასჯელის ინდივიდუალიზაცია, როგორც სასჯელის შეფარდების მნიშვნელოვანი პრინციპი, წიგნში: სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, ნ. თოდუას რედაქტორობით, თბილისი, 2016, 176; სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო), მე-2 გამოცემა, გ. ნაჭყებია და ნ. თოდუას რედაქტორობით, თბილისი, 2016, 485.

<sup>517</sup> ნაჭყებია, გ., დანაშაულისა და სასჯელის შინაგანი ერთიანობის პრობლემა, წიგნში: მზია ლეკვეიშვილი 85, მ. ივანიძის რედაქტორობით, თბილისი, 2014, 10.

<sup>518</sup> თუმანიშვილი გ., აღდგენითი (რესტორაციული) მართლმსაჯულება და მისი განვითარების პერსპექტივა საქართველოში, წიგნში: სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, მ. ტურავას რედაქტორობით, თბილისი, 2013, 254.

მიზანი სწორედ მართლწესრიგში ბალანსის აღდგენასა და შენარჩუნებას გულისხმობს.<sup>519</sup> პირი არღვევს რა სოციალურ სამართლიანობას, სახელმწიფოს რეაქცია გამოხატულებას ჰპოვებს სასჯელში და ამ უკანასკნელის წინაშე ისახება ამოცანა აღადგინოს სოციალური სამართლიანობა.<sup>520</sup> სამართლიანობის გრძობას დიდი ძალა აქვს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.<sup>521</sup>

აღნიშნული მიდგომა თანაბრად ვრცელდება როგორც არასრულწლოვანთა, ისე სრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართ. არასრულწლოვანსაც იგივე წარმატებით შეუძლია გადააბიჯოს საკუთარ თავისუფლებას და საფრთხე შეუქმნას სხვათა უფლებებს, როგორც სრულწლოვანს. ამ შემთხვევაში, ჩადენილი ქმედების სამართლებრივი ხასიათის გათვალისწინებით, ხელისუფლება რეაგირებს სწორედ მართლმსაჯულების მექანიზმის ამოქმედებით. შესაბამისად, იქ სადაც არსებობს მართლმსაჯულება, შეუძლებელია, არ არსებობდეს სამართლიანობა, რადგან ეს უკანასკნელი მართლმსაჯულების განუყოფელი ელემენტია. მართლმსაჯულება სამართლიანობის გარეშე ვერ იქნება ეფექტიანი. მნიშვნელოვანია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სასჯელის მიზნების განხორციელებამ საზოგადოებაში სწორედ სამართლიანობის განცდა უნდა დატოვოს.<sup>522</sup> სამართლიანობის ცნება სასჯელის სხვა მიზნებისაგან განყენებული არ არის, არამედ იგი სასჯელის მიზნების განხორციელებას ემსახურება. სასჯელის სამართლიანობაში მოიზარება სასჯელის შეფარდების სამართლებრივი გადაწყვეტა, საზოგადოებისათვის მაქსიმალური სარგებლის

---

<sup>519</sup> „ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე №1/4/592, 24 ოქტომბერი, 2015, II-45.

<sup>520</sup> გოთუა ზ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (სასჯელი), თბილისი, 2001, 8.

<sup>521</sup> ნაჭყებია გ., სისხლის სამართლის პრინციპები, წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო), მე-2 გამოცემა, გ. ნაჭყებიას და ნ. თოდუას რედაქტორობით, თბილისი, 2016, 66.

<sup>522</sup> ივანიძე მ., სასჯელის შეფარდების ზოგადი საწყისები საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობის მიხედვით, „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, №1, 2017, 9.

მოტანა და შესაძლებლობის ფარგლებში, სადამსჯელო ღონისძიებათა ეკონომიური გამოყენება.<sup>523</sup>

სამართლიანობა და საზოგადოებრივი უსაფრთხოება სწორედ ის ძირითადი ინტერესებია, რომლებიც შესაძლოა, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის გათვალისწინებით, დაუპირისპირდნენ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს.

### **3. ინტერესთა ბალანსის ანალიზი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მარეგულირებელი კანონმდებლობის მიხედვით**

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები, როგორც უპირველესი მნიშვნელობის მქონე ერთ-ერთი გარემოება, როგორც უკვე აღინიშნა, ითვალისწინებს სხვა, ასევე უპირველესი მნიშვნელობის მქონე დაპირისპირებული ინტერესების არსებობის შესაძლებლობას, რაც, ბუნებრივია, დამოკიდებულია ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეზე და არასრულწლოვნისაგან მომდინარე საფრთხეებზე. შესაბამისად, ყოველთვის არ წარმოიქმნება ინტერესთა ბალანსის აუცილებლობა და შესაძლოა არასრულწლოვნის ინტერესებს მიენიჭოს დამძლველი ეფექტი, აბსოლუტური უპირატესობა ჩადენილი ქმედების და არსებული საფრთხეების ნაკლებმნიშვნელობის გათვალისწინებით. თუმცა, „მაშინ, როდესაც ინტერესების დაპირისპირება აუცდენელია, წარმოიშობა მათი ჰარმონიზაციის, სამართლიანი დაბალანსების აუცილებლობა“.<sup>524</sup> დემოკრატია ეყრდნობა ინტერესებს შორის გონივრული ბალანსის არსებობას.<sup>525</sup> კერძო და საჯარო ინტერესების გონივრული დაბალანსება წარმოადგენს როგორც უფლებით სარგებლობის, ისე კონკრეტული სა-

---

<sup>523</sup> ლეკვიეშვილი მ., სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, „მართლმსაჯულება და კანონი“, №4, 2014, 22.

<sup>524</sup> „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე №1/1/477, 22 დეკემბერი, 2011, II-45.

<sup>525</sup> ერემაძე ე., ინტერესთა დაბალანსება დემოკრატიულ საზოგადოებაში, თბილისი, 2013, 15.

ჯარო მიზნების მიღწევის საშუალებას.<sup>526</sup> „სამართლებრივ სახელმწიფოში კანონზომიერია იმის მოლოდინი, რომ კერძო და საჯარო ინტერესების ურთიერთმიმართება სამართლიანი იქნება“.<sup>527</sup> მართალია, პრიორიტეტი ენიჭება არასრულწლოვნის ინტერესებს, მაგრამ არ უნდა მოხდეს სხვა ინტერესთა იგნორირება.<sup>528</sup> თუმცა, არც ის არის გამორიცხული, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, შესაძლოა შეუძლებელიც კი იყოს ინტერესთა შორის ბალანსის მიღწევა, რა დროსაც, როგორც უკვე აღინიშნა, დამძლევი ეფექტი არასრულწლოვნის ინტერესებზე მორგებულ გადანყვეტილებას უნდა მიენიჭოს, თუმცა, იშვიათ საგამონაკლისო შემთხვევაში, შესაძლოა მართლმსაჯულების სხვა ინტერესები აღმოჩნდეს გადამწყვეტი, რაც მყარ დასაბუთებას საჭიროებს.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მარეგულირებელი კანონმდებლობა ითვალისწინებს არაერთ გარანტიას, რომლებიც უზრუნველყოფენ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ინტერესების საზოგადოებრივი უსაფრთხოების, სამართლიანობისა და მართლმსაჯულების სხვა ინტერესებთან სამართლიან დაბალანსებას.

ამკ-ის მე-9 მუხლი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპის სახით ითვალისწინებს პატიმრობას, როგორც უკიდურეს ღონისძიებას, რომელიც კონვენციურ დებულებას წარმოადგენს<sup>529</sup> და ემსახურება არასრულწლოვნის პერსონალური განვითარებისა და

---

<sup>526</sup> „საქართველოს მოქალაქეები ვალერიან გელბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილება, საქმე №1/4/557,571,576, 13 ნოემბერი, 2014, II-27.

<sup>527</sup> „საქართველოს მოქალაქეები დავით ჯიმშელიშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიშვილი საქართველო პარლამენტის წინააღმდეგ“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილება, საქმე №1/2/384, ივლისი, 2007, II-19.

<sup>528</sup> იმერლიშვილი ი., არასრულწლოვანთა უფლებები: საერთაშორისო გამოცდილება და საქართველოში არსებული მდგომარეობა, წიგნში: ადამიანის უფლებათა დაცვა, კონსტიტუციური რეფორმა და სამართლის უზენაესობა საქართველოში (სტატიათა კრებული), კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2017, 74.

<sup>529</sup> იხ., ბავშვის უფლებათა კონვენციის 37-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი.

ბავშვის გარე სამყაროსთან ურთიერთობების მნიშვნელობის ყოველმხრივ გაცნობიერებას მის მიმართ სოციალური რეაქციის კონკრეტული ღონისძიების შერჩევამდე.<sup>530</sup> ანალოგიურ სტანდარტს ანებსებს „პეკინის წესებიც“ და კრძალავს არასრულწლოვნის მიმართ თავისუფლების აღკვეთის გამოყენებას, გარდა სერიოზული ძალადობრივი დანაშაულის ჩადენისა, რა დროსაც მიზანშეუნონელია სხვა ღონისძიების გამოყენება.<sup>531</sup> თავისუფლების აღკვეთა, როგორც სასჯელი არის საზოგადოების რეაქცია ჩადენილ დანაშაულზე, რომელსაც სერიოზული გავლენა შეიძლება ჰქონდეს ბავშვის განვითარებასა და მის მომავალზე.<sup>532</sup> ციხეში რამდენიმე წლის გატარებამ კანონდამრღვევ არასრულწლოვანს შესაძლოა ჩამოუყალიბოს კრიმინალური მენტალიტეტი და გახდეს სისხლის სამართლის დამნაშავე.<sup>533</sup> ამასთან, ჩატარებული კვლევები ცხადყოფს, რომ არასრულწლოვნებს, რომლებსაც თავისუფლების აღკვეთა შეეფარდათ, რეციდივის მაღალი მაჩვენებელი ახასიათებთ და ზოგადად, სისხლისსამართლებრივი სისტემისაგან განრიდება მეტად უწყობს ხელს ახალი დანაშაულის ჩადენის

---

<sup>530</sup> Schabas W., Sax H., A Commentary on the United Nations Convention on the Rights of the Child, Prohibition of Torture, Death Penalty, Life Imprisonment and Deprivation of Liberty, Article 37, André Alen, Johan Vande Lanotte, Eugeen Verhellen, Fiona Ang, Eva Berghmans, Mieke Verheyde (Eds.), Martunus Nijhoff Publisgers, Leiden, Boston, 2006, 81.

<sup>531</sup> United Nations Standard Minimum Rules for the Administration of Juvenile Justice (“The Beijing Rules”), Adopted by General Assembly Resolution 40/33 of 29 November 1985, Rule 17.1 (c).

<sup>532</sup> Schabas W., Sax H., A Commentary on the United Nations Convention on the Rights of the Child, Prohibition of Torture, Death Penalty, Life Imprisonment and Deprivation of Liberty, Article 37, André Alen, Johan Vande Lanotte, Eugeen Verhellen, Fiona Ang, Eva Berghmans, Mieke Verheyde (Eds.), Martunus Nijhoff Publisgers, Leiden, Boston, 2006, 81.

<sup>533</sup> ადამიანის უფლებები და სასჯელალსრულების დაწესებულებები, სახელმძღვანელო ადამიანის უფლებების საკითხებში სასჯელალსრულების დაწესებულების თანამშრომლებისათვის, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი, თარგმანი ა. გეგეჩკორისა და რ. მარგიშვილის თარგმანი, ნიუ-იორკი, უენევა, 2005, 180.

შემცირებას.<sup>534</sup> სწორედ ამიტომაც წარმოადგენს იგი უკანასკნელ საშუალებას და მიანიშნებს, რომ სასჯელის აღნიშნული სახე, როგორც წესი, არ ემსახურება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, უკიდურესი ზომა არ იქნებოდა. იგი გამოიყენება აბსოლუტური აუცილებლობის შემთხვევაში, საჯარო წესრიგის დასაცავად.<sup>535</sup> თავისუფლების აღკვეთა, როგორც *Ultima Ratio* ნიშნავს ისეთ შემთხვევას, როდესაც ფაქტების სიმძიმიდან გამომდინარე, მოსამართლეს სხვა გამოსავალი აღარ აქვს.<sup>536</sup> სწორედ აქ წარმოჩინდება საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესის განსაკუთრებული მნიშვნელობა და წარმოადგენს ნეგატიური სპეციალური პრევენციის გამოხატულებას, რაც გულისხმობს საზოგადოების დამნაშავესაგან დაცვის მიზნით, მოზარდის გარკვეული პერიოდით იზოლირებას, რათა აღკვეთილ იქნეს მის მიერ დანაშაულის ჩადენა ახლო მომავალში<sup>537</sup> ანუ მსჯავრდებულის იზოლაციით საზოგადოების დაცვა.<sup>538</sup> ამრიგად, თავისუფლების აღკვეთის გამოყენება წარმოადგენს დამბალანსებელს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებსა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესს შორის. უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში, სადაც არასრულწლოვანს ბრალად ედებოდა დამამძიმებელ გარემოებებში ძარცვის ორი ეპიზოდის ჩა-

---

<sup>534</sup> კავთუაშვილი ე., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი - დასჯის თუ აღზრდის სამართალი?!, „სამართალი და მსოფლიო“, №4, 2016, 206.

<sup>535</sup> პრადელი, ჟ., შედარებითი სისხლის სამართალი, ე. სუმბათაშვილის თარგმანი, თ. წინიძის რედაქტორობით, თბილისი, 1999, 443.

<sup>536</sup> იქვე; ხერხეულიძე ი., საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა - არასაპატიმრო სახის სასჯელთა შორის არასრულწლოვან დამნაშავეთა რესოციალიზაციის ერთ-ერთი საუკეთესო აგენტი, „მართლმსაჯულება და კანონი“, №2, 2011, 119; ხერხეულიძე ი., პრობაციის ინსტიტუტი - არასრულწლოვან დამნაშავეთა რეინტეგრაციის უზრუნველყოფის ინსტრუმენტი (საქართველოსა და აშშ-ის სისხლისსამართლებრივი მიდგომის შედარებითი ანალიზი), წიგნში: მზია ლეკვეიშვილი 85, მ. ივანიძის რედაქტორობით, თბილისი, 2014, 171.

<sup>537</sup> შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მე-2 გამოცემა, თბილისი, 2016, 126.

<sup>538</sup> ცქიტიშვილი თ., სასჯელის შეფარდების საკითხისათვის, წიგნში: გურამ ნაჭყებია 75, ნ. თოდუას რედაქტორობით, თბილისი, 2016, 136.

დენა, არ გაიზიარა დაცვის მხარის პოზიცია სასჯელის სიმკაცრესთან დაკავშირებით და 5 წლითა და 3 თვის ვადით შეფარდებული თავისუფლების აღკვეთა, ჩადენილი დანაშაულის განსაკუთრებით მძიმე ხასიათისა და წარსულში ორჯერ ნასამართლობის გათვალისწინებით, მიიჩნია უკიდურეს ზომად, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებზე ყოველგვარი მსჯელობის გარეშე.<sup>539</sup> აღნიშნულის საპირისპიროდ, საკასაციო პალატამ დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი ქურდობისათვის არასრულწლოვნისათვის 4 წლისა და 6 თვის ვადით დანიშნული თავისუფლების აღკვეთა არ მიიჩნია უკიდურეს ზომად და ბავშვის ასაკის, რეინტეგრაციისა და საზოგადოებაში კონსტრუქციული როლის შესრულების ხელშეწყობის მიზნით, ადეკვატურ ღონისძიებად პირობითი მსჯავრი განსაზღვრა.<sup>540</sup>

გარდა ზემოაღნიშნულისა, ინტერესთა ბალანსის თვალსაზრისით, საინტერესოა არასრულწლოვნის მიმართ აღკვეთის ღონისძიების, განსაკუთრებით, პატიმრობის გამოყენების საკითხის განხილვა. სსკ-ის 198-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „აღკვეთის ღონისძიება გამოიყენება იმ მიზნით, რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, აღიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა, უზრუნველყოფილ იქნეს განაჩენის აღსრულება“. ამკ-ის 64-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, პატიმრობის გამოყენების ერთ-ერთი საფუძველი არის არასრულწლოვნის მიმალვის, მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის და მტკიცებულებების მოპოვებისათვის ხელის შეშლის, აგრეთვე ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილება. ამასთან, მიზანი, რომელსაც პატიმრობა ემსახურება უნდა აღემატებოდეს მისი თავისუფლების ინტერესს. გასაზიარებელია გამოთქმულ მოსაზრება, რომ არ შეიძლება პატიმრობა

---

<sup>539</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 2 ოქტომბრის განაჩენი, საქმე №362აპ-17.

<sup>540</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 26 ივლისის განაჩენი, საქმე №251აპ-16.

არასრულწლოვნის ინტერესებს ემსახურებოდა,<sup>541</sup> არამედ იგი ემსახურება მართლმსაჯულების შეუფერხებლად განხორციელების მიზნებს. პატიმრობის მიზანია, მოახდინოს მართლმსაჯულების ხელისშემშლელი გარემოებების აღმოფხვრა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სისხლის სამართლის საქმის სამართლიანი განხილვა.<sup>542</sup> სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების ჯეროვანი განხორციელება ღირებულ კონსტიტუციურ სიკეთეს წარმოადგენს, რომლის მისაღწევადაც კანონმდებელი უფლებამოსილია დაადგინოს გარკვეული შეზღუდვები.<sup>543</sup> შესაბამისად, ამ შემთხვევაშიც, შეუძლებელია ვისაუბროთ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დამძლევ ეფექტზე და აღკვეთის ღონისძიებების გამოყენება წარმოადგენს ბალანსის მექანიზმს არასრულწლოვნის ინტერესებსა და მართლმსაჯულების სხვა ინტერესთა შორის. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, „არასრულწლოვანი ბრალდებულისათვის პატიმრობის შეფარდება ძალზედ სენსიტიური საკითხია, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მის საუკეთესო ინტერესებს ყველა შემთხვევაში უნდა მიენიჭოს უპირატესობა სხვა სიკეთებთან მიმართებით“.<sup>544</sup> თუმცა, ასევე სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, არასრულწლოვნის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენება და მისი კონკრეტული ფორმის შერჩევა უნდა მოხდეს განსაკუთრებული სიფრთხილით და გამო-

---

<sup>541</sup> შალიკაშვილი მ., არასრულწლოვნის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება ქართული სისხლის სამართლის მიხედვით, „გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი“, მე-2 გამოცემა, 2016, 25.

<sup>542</sup> „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე №3/2/646, 15 სექტემბერი, 2015, II-31.

<sup>543</sup> „საქართველოს მოქალაქეები თეიმურაზ ჯანაშია და გიული ალასანიას საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე №2/1/631, 18 აპრილი, 2016, II-9.

<sup>544</sup> ქვრივიშვილი თ., არასრულწლოვნის პატიმრობა, როგორც უკიდურესი ღონისძიება (აღამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და საქართველოს სასამართლოების პრაქტიკის ანალიზი), „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, №1, 2017, 108.

ყენებული ღონისძიება ყველა შემთხვევაში უნდა იყოს არასრულწლოვნის პიროვნებისა და ჩადენილი ქმედების თანაზომიერი.<sup>545</sup>

გარდა ზემოაღნიშნულისა, ზოგიერთი ავტორის მიერ საჯარო ინტერესის უპირატესობად ფასდება არასრულწლოვანი მონმისათვის ჩვენების მიცემის ვალდებულების დაკისრება, მაშინ როდესაც ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-12 მუხლი შეხედულებების გამოხატვის თავისუფლებას განამტკიცებს.<sup>546</sup>

რაც შეეხება საუკეთესო ინტერესებსა და სამართლიანობას შორის ბალანსის უზრუნველყოფას, ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს თანაზომიერების პრინციპზე, „რომელიც სამართლებრივი სახელმწიფოს იდეის უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია“,<sup>547</sup> არ წარმოადგენს ინდივიდის უფლებას, თუმცა მისი დაცვის თვალსაზრისით გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია<sup>548</sup> და უზრუნველყოფს როგორც პირის თავისუფლებას, ისე თავისუფლების შეზღუდვისადმი თანაზომიერ დამოკიდებულებას. ამასთან, კრძალავს, ძირითად უფლებებში ზომაზე მეტ ჩარევას.<sup>549</sup> მას ადამიანის უფლებების სფეროში აქვს ინტერპრეტაციის პრინციპის ფუნქცია ძირითადი უფლებების შეზღუდვის უკიდურესი

---

<sup>545</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2015 წლის 25 თებერვლის განჩინება, საქმე №1გ/178-15.

<sup>546</sup> Eklund H., Article 12 of the “UN’s Convention on the Rights of the Child” and the Procedural Status of Children in Sweden, in: *Procedural Law: Court Administrations*, Publisher Scandinavian Studies in Law, Peter Wahlgren (Ed.), Stockholm, 2007, 171.

<sup>547</sup> კობახიძე ი., სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალი, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2013, 319.

<sup>548</sup> იზორია ლ., საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის კომენტარი, ნიგში: საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის უფლებანი და ძირითადი თავისუფლებანი, პ. ტურავას რედაქტორობით, თბილისი, 2013, 484.

<sup>549</sup> იზორია ლ., საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის კომენტარი, ნიგში: საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის უფლებანი და ძირითადი თავისუფლებანი, თავისუფლებანი, პ. ტურავას რედაქტორობით, თბილისი, 2013, 2013, 24.

ფარგლების დადგენის თვალსაზრისით.<sup>550</sup> არც ერთ ინდივიდს, მათ შორის, არც კანონთან კონფლიქტში მყოფ ადამიანს არ მოეთხოვება შესწიროს საკუთარი ინტერესები იმაზე მეტად, ვიდრე ეს აბსოლუტურად აუცილებელი და გონივრულად პროპორციული არ არის დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ან ზიანის საფრთხისა.<sup>551</sup> დამნაშავე არ უნდა გახდეს ინსტრუმენტი სახელმწიფოს ხელში, არამედ უნდა დაისაჯოს თავისი ქმედებისათვის, ბრალის ხარისხისა და მისი პიროვნების გათვალისწინებით.<sup>552</sup> „დაუშვებელია ლეგიტიმური მიზნის მიღწევა განხორციელდეს ადამიანის უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე“.<sup>553</sup> თანაზომიერების პრინციპს განამტკიცებს როგორც ამკ-ის მე-7 მუხლი, ისე ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-40 მუხლის მე-4 პუნქტი. ეს უკანასკნელი რეგულაცია სახელმწიფოებს ავალდებულებს არასრულწლოვნის მიმართ გამოყენებული ნებისმიერი ღონისძიების შესაბამისობის უზრუნველყოფას ბავშვის კეთილდღეობასთან და პროპორციულობის დაცვას ინდივიდუალური გარემოებებისა და დანაშაულის სიმძიმის მხედველობაში მიღებით.<sup>554</sup> ამკ-ის მე-7 მუხლის თანახმად, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ გამოყენებული ზომა უნდა შეესაბამებოდეს როგორც ჩადენილ ქმედებას, ისე არასრულწლოვნის პიროვნებას, ასაკს,

---

<sup>550</sup> გაბრიჩიძე გ., თანაზომიერების პრინციპი ევროპის გაერთიანების სამართლის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების სფეროში, ნიგნში: ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2006, 69.

<sup>551</sup> Ashworth A., Horder, J., *Principles of Criminal Law*, 7<sup>th</sup> Edition, Oxford University Press, Oxford, 2013, 10.

<sup>552</sup> ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბილისი, 2013, 356.

<sup>553</sup> „დანის მოქალაქე ჰეიკე ქონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე №3/1/512, 26 ივნისი, 2012, II-60.

<sup>554</sup> Van Bueren G., *A Commentary on the United Nations Convention on the Rights of the Child, Article 40 (Child Criminal Justice)*, André Alen, Johan Vande Lanotte, Eugeen Verhellen, Fiona Ang, Eva Berghmans, Mieke Verheyde (Eds.), Martinus Nijhoff Publishers, Leiden, Boston, 2006, 30.

საგანმანათლებლო, სოციალურ და სხვა საჭიროებებს. მსგავსი მიდგომა ადასტურებს, რომ „მართალია, სისხლის სამართალი, უპირველეს ყოვლისა, ქმედების სამართალია, მაგრამ იგი ამავე დროს მოქმედის სამართალიც არის“.<sup>555</sup> არასრულწლოვნის პიროვნება ფართო ცნებაა და მოიცავს არა მარტო წმინდა პიროვნულ თვისებებს, არამედ მის წარსულ ცხოვრებასაც. პიროვნული თვისებები, თავის მხრივ, გულისხმობს არასრულწლოვნის ფსიქიკური განვითარების დონეს, ხასიათს, ფსიქოლოგიურ ტიპს, მის შეხედულებებს, ღირებულებებს, მსოფლმხედველობას, გარე სამყაროსადმი დამოკიდებულებას.<sup>556</sup> ჩადენილ ქმედებაში მოიაზრება ამ ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი, დამდგარი შედეგი, მოსალოდნელი საფრთხის ხარისხი, ბრალის ხარისხი და სხვ.<sup>557</sup>

მართლმსაჯულებაში სამართლიანობა სხვა არაფერია თუ არა თანაზომიერების პრინციპის დაცვა. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, „სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებას და მის

---

<sup>555</sup> თოდუა ნ., არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო), მე-2 გამოცემა, გ. ნაჭყებიას და ნ. თოდუას რედაქტორობით, თბილისი, 2016, 662; თოდუა ნ., პირობითი მსჯავრი, წიგნში: სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, ნ. თოდუას რედაქტორობით, თბილისი, 2016, 374-375; ივანიძე მ., არასრულწლოვანი და მისი საუკეთესო ინტერესები, წიგნში: არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, თბილისი, 2017, 33.

<sup>556</sup> ივანიძე მ., არასრულწლოვანი და მისი საუკეთესო ინტერესები, წიგნში: არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, თბილისი, 2017, 33-34; თოდუა ნ., არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო), მე-2 გამოცემა, გ. ნაჭყებიას და ნ. თოდუას რედაქტორობით, თბილისი, 2016, 669.

<sup>557</sup> თოდუა ნ., არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო), მე-2 გამოცემა, გ. ნაჭყებიას და ნ. თოდუას რედაქტორობით, თბილისი, 2016, 661-662; ვარძელაშვილი ი., არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის დანიშვნა, წიგნში: არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, თბილისი, 2017, 134.

მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს“. რარიგ კანონიერი ან/და დასაბუთებული არ უნდა იყოს განაჩენი, იგი ნაკლებეფექტიანია უსამართლო სასჯელის (მეტისმეტად მკაცრის ან ლმობიერის) პირობებში.<sup>558</sup> ამრიგად, პროპორციულობა, ერთი მხრივ, კრძალავს მკაცრი სასჯელის გამოყენებას, ხოლო, მეორე მხრივ, გამოირიცხავს მეტისმეტად მსუბუქი სასჯელის გამოყენებას. შესაბამისად, თანაზომიერება უზრუნველყოფს, როგორც არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცულობას, ისე მართლწესრიგში ბალანსის აღდგენას. თუ სამართლიანი სასჯელი მართლწესრიგის აღდგენას ემსახურება, უსამართლო სასჯელი მართლწესრიგს არღვევს.<sup>559</sup> სასჯელის სამართლიანობა შურისგების გრძნობას კი არ აკმაყოფილებს, არამედ სწორედ სამართლიანობის გრძნობას.<sup>560</sup> სამართლიანობის აღდგენა ბრალის პროპორციული სასჯელის დანიშვნის გარეშე წარმოუდგენელია.<sup>561</sup>

ამრიგად, თანაზომიერების პრინციპი ემსახურება სამართლიანობასა და საუკეთესო ინტერესებს შორის ბალანსის დაცვას, მით უფრო, რომ თანაზომიერი სასჯელი თავად არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებსაც ემსახურება იმ თვალსაზრისით, რომ კრძალავს უფლებაში ზომაზე მეტ ჩარევას, სასჯელის აშკარად დისპროპორციულობას და, შესაბამისად, გამოირიცხება არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის რისკები.<sup>562</sup> ამასთან,

---

<sup>558</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, გ. გიორგაძის რედაქტორობით, თბილისი, 2015, 724.

<sup>559</sup> დვალიძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელის და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბილისი, 2013, 28.

<sup>560</sup> სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, გ. ნაჭყებია და გ. ტყეშელიაძის რედაქტორობით, თბილისი, 2004, 30; სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, გ. ნაჭყებია და ი. დვალიძის რედაქტორობით, თბილისი, 2007, 32.

<sup>561</sup> მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ., სანქციები არასრულწლოვანთა სისხლის სამართალში გერმანიის კანონმდებლობის მიხედვით, წიგნში: არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების პრობლემები (სტატიათა კრებული), მ. ლეკვიშვილის დამ. შალიკაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2011, 246.

<sup>562</sup> გოცირიძე ე., საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის კომენტარი, წიგნში: საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქარ-

სასჯელის სამართლიანობა ხელს უწყობს მსჯავრდებულის მიერ სასჯელისადმი სწორი დამოკიდებულების შემუშავებას.<sup>563</sup> ვინაიდან დანაშაული სახელმწიფოს წინაშე უპასუხისმგებლობის აქტია, სასჯელმა მსჯავრდებულში პოზიტიური პასუხისმგებლობა უნდა გამოავლინოს,<sup>564</sup> რაც მხოლოდ პროპორციული სასჯელის დაკისრებით მიიღწევა. მხოლოდ პროპორციულ სასჯელს შეუძლია არასრულწლოვანზე დადებითი ეფექტის მოხდენა და მისი კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით განმსჭვალვა. კონკრეტული დანაშაულისათვის თანაზომიერი სასჯელის გამოყენება ემსახურება სასჯელის მიზნების რეალიზების შესაძლებლობას.<sup>565</sup>

ზემოთგანხილული შემთხვევების პარალელურად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მარეგულირებელი კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს ისეთ რეგულაციებს, რომლებიც არ ემსახურება არც ინტერესთა დაბალანსების და არც რომელიმე ღირებული ინტერესისათვის უპირატესობის მინიჭების მიზანს. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ კანონით განსაზღვრული მინიმალური ვადების არსებობა პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის შემთხვევებში. დღეისათვის საქართველოში პირობით ვადამდე გათავისუფლების დისკრეტული სისტემა მოქმედებს, რომელიც გულისხმობს ვადამდე გათავისუფლების უფლების მოპოვებისათვის მოსახდელი სას-

---

თველოს მოქალაქეობა, ადამიანის უფლებანი და ძირითადი თავისუფლებანი, პ. ტურავას რედაქტორობით, თბილისი, 2013, 125.

<sup>563</sup> სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, გ. ნაჭყებია და გ. ტყეშელიაძის რედაქტორობით, თბილისი, 2004, 30; სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, გ. ნაჭყებია და ი. დვალის რედაქტორობით, თბილისი, 2007, 32.

<sup>564</sup> ნაჭყებია გ., სასჯელის მიზნების საკანონმდებლო განსაზღვრებისა და თავისუფლების უვადოდ აღკვეთის მიმართების პრობლემა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით (სისხლის სამართლის სფეროში ლიბერალური პოლიტიკის გამოვლენის ერთი ასპექტი), „მართლმსაჯულება და კანონი“, №2, 2013, 112.

<sup>565</sup> „ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე №1/4/592, 24 ოქტომბერი, 2015, II-45.

ჯელის მინიმალური ვადის განსაზღვრას კანონით, რის შემდეგაც ხდება პირის ინდივიდუალური შეფასება, მათ შორის, მისგან მომდინარე საფრთხეების გაანალიზება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.<sup>566</sup> ვინაიდან დისკრეციული სისტემა ინდივიდუალურ შეფასებას ეფუძნება, შესაძლებელია, კანონით გათვალისწინებული მინიმალური ვადის გასვლამდეც კი გამოიკვეთოს არასრულწლოვნის გათავისუფლების მიზანშეწონილობა, თუმცა, მიუხედავად ამისა, იგი ვერ დაექვემდებარება გათავისუფლებას, თუ ფორმალურად არ დააკმაყოფილებს მინიმალური ვადის მოხდის იმპერატიულ მოთხოვნას. აღნიშნული მიდგომა მიზანდ ისახავს მხოლოდ და მხოლოდ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის პროპორციულ პასუხისგებას და საზოგადოების დამსჯელობითი მოთხოვნის დაკმაყოფილებას, რაც შეუსაბამოა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებთან<sup>567</sup> და არც მართლმსაჯულების სხვა რომელიმე დაცვის ღირს ინტერესს ემსახურება. ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, აღნიშნული შემთხვევა სასჯელში დასჯის მიზნის არსებობას განამტკიცებს.<sup>568</sup> აღნიშნული პოზიცია გასაზიარებელია, თუმცა იგივე ავტორი თავის სხვა ნაშრომში განსახილველ შემთხვევას არა დასჯის, არამედ სასჯელში სამართლი-

---

<sup>566</sup> მიქანაძე გ., პატიმრის პირობით ვადამდე გათავისუფლების უფლება - ევროპული გამოცდილება და საქართველოს რეალობა, წიგნში: ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები, სტატიათა კრებული, რედ. კორკელია კ., თბილისი, 2012, 124-125; Recommendation Rec(2003)22 of the Committee of Ministers to Member States on Conditional Release (Parole), Adopted by the Committee of Ministers on 24 September 2003 at the 853rd Meeting of the Ministers' Deputies, Council of Europe, Paras. 16-21.

<sup>567</sup> შეყილაძე ხ., პრობაციის სამსახურის როლი პირობით ვადამდე გათავისუფლებულ განსაკუთრებული კატეგორიის მსჯავრდებულთა მიმართ, „კრიმინოლოგიის ჟურნალი“, №1, 2016, 171.

<sup>568</sup> ლეკვეიშვილი მ., სასჯელის მიზნები და არასრულწლოვანთა სასჯელის დანიშვნის სპეციფიკა, წიგნში: არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების პრობლემები (სტატიათა კრებული), მ. ლეკვეიშვილისა და მ. შალიკაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2011, 46.

ანობის მიზნის არსებობის განმტკიცებად მიიჩნევს,<sup>569</sup> რაც არ შეიძლება იქნას გაზიარებული, რადგან სამართლიანობა კუმულაციურად აერთიანებს როგორც ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის, ისე დანაშაულის ჩამდენის პიროვნების შესაბამის პასუხისგებას. იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებულის პიროვნების გათვალისწინებით, აღარ არსებობს მისი თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში დატოვების აუცილებლობა, მაგრამ მიუხედავად ამისა, კანონმდებლობა გამოიციხავს მის გათავისუფლებას სავალდებულო მინიმალური ვადის მოხდამდე, შეუძლებელია ასეთ დროს ვისაუბროთ სამართლიანობის მიზანზე, რადგან არ არსებობს მეორე აუცილებელი კრიტერიუმი მსჯავრდებულის პიროვნების სახით. განსახილველი შემთხვევა უფრო მეტად დასჯას ემსახურება, ვიდრე სამართლიანობის მიზანს. აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, ამკ-ის 95-ე და 96-ე მუხლებში ცვლილების განხორციელება და არასრულწლოვანთათვის კანონით დადგენილი მინიმალური ვადების გაუქმება.

#### 4. ინტერესთა ბალანსის პრაქტიკული ანალიზი

ინტერესთა დაბალანსების თვალსაზრისით, საინტერესოა არსებული სასამართლო პრაქტიკის გაანალიზება მძიმე ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა საქმეებზე. ამ მხრივ, აღსანიშნავია უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილება, საიდანაც ირკვევა, რომ არასრულწლოვანს მსჯავრი დაედო სხვა დანაშაულის ჩადენის გადავილების მიზნით, წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ, ჯგუფურად ჩადენილი განზრახ მკვლელობის, ყაჩაღობისა და ქურდობის ჩადენისათვის. საკასაციო პალატამ იმსჯელა სიცოცხლის უფლების ფუნდამენტური მნიშვნელობის, მისი ფუძემდებლური ხასიათის შესახებ და აღნიშნა, რომ სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებთან დაკავშირებით,

---

<sup>569</sup> ლეკვეიშვილი მ., სასჯელის ცნება და მიზნები, წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო), მე-2 გამოცემა, გ. ნაჭყებია და ნ. თოდუას რედაქტორობით, თბილისი, 2016, 485.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სამართლიანი და ადეკვატური სასჯელების გამოყენებას. ამასთან, ყურადღება გაამახვილა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებზე, საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებულ მიდგომებზე და არასრულწლოვნისათვის შეფარდებული 10 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა მიიჩნია სამართლიან და ადეკვატურ სასჯელად, რომელიც სრულად შეესაბამებოდა სასჯელის მიზნების განხორციელებას.<sup>570</sup> ანალოგიურად, სხვა საქმეშიც, რომელშიც არასრულწლოვანი მსჯავრდებულ იქნა სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობის, აგრეთვე წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნისა და ორი ან მეტი პირის მიმართ განზრახ მკვლელობის მცდელობის ჩადენისათვის, უზენაესმა სასამართლომ სამართლიანად მიიჩნია 12 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთის შეფარდება ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის, მსჯავრდებულის პიროვნებისა და მისი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.<sup>571</sup>

მსგავსად ზემოაღნიშნული შემთხვევებისა, წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის განზრახ მკვლელობისათვის კანონთან კონფლიქტში მყოფი პირისათვის 8 წლისა და 6 თვის ვადით შეფარდებული თავისუფლების აღკვეთა საკასაციო პალატამ მიიჩნია ჩადენილი ქმედებისა და არასრულწლოვნის მოთხოვნილებების, მისი მდგომარეობისა და საუკეთესო ინტერესების თანაზომიერად და განმარტა, რომ შეფარდებული სასჯელის სახე და ზომა წარმოადგენდა ადეკვატურ ღონისძიებას არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და ახალი დანაშაულის თავიდან ასაცილებლად.<sup>572</sup> თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ განსხვავებით ზემოთგანხილული საქმეებისგან, ამ შემთხვევაში, გამოყენებულ

---

<sup>570</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე №656აპ-17, აბზ. 50-52.

<sup>571</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილება, საქმე №379აპ-18, აბზ. 31.

<sup>572</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილება, საქმე №595აპ-17 აბზ. 13-14.

იქნა თავისუფლების აღკვეთის მინიმალური ვადა, მიუხედავად სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისა და საქმეში არასრულწლოვანი დაზარალებულის არსებობისა. აღნიშნული გარემოება მიანიშნებს, რომ თუნდაც მსგავს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა შემთხვევებში, სასამართლო უფრო მეტად ორიენტირებულია კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის ინტერესების დაცვაზე. გადანყვეტილებებში თითქმის არ არის განხილული ინტერესთა შეპირისპირების შემთხვევები და არ გვხვდება მსჯელობა ბალანსის დაცვის თვალსაზრისით, არამედ ჩამოყალიბებულია მხოლოდ საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილი ზოგადი ფორმულირებები და ასევე ზოგადი მითითება იმის შესახებ, რომ სასჯელის კონკრეტული სახე და ზომა ჩადენილი ქმედებისა და არასრულწლოვნის პიროვნების პროპორციულია. ინტერესთა დაბალანსების შესახებ მსჯელობის ნაკლებობა შესაძლოა განპირობებულია საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულად განხილვის სტანდარტის არასწორი აღქმით. კერძოდ, გადანყვეტილებებში აღინიშნება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების, როგორც ერთადერთ და არა ერთ-ერთ დამძლევ ფაქტორად განხილვის ტენდენცია. შესაბამისად, სასამართლო თავს არიდებს სხვა ინტერესთა წარმოჩენას და არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პარალელურად განხილვას. თუმცა, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა შემთხვევაში, სასამართლო არასრულწლოვანს მაინც უფარდებს ისეთი სიმკაცრის სასჯელს, როგორცაა რვა, ათი და თორმეტი წლით თავისუფლების აღკვეთა და ცდილობს ეს ყოველივე არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებით გაამართლოს, მაშინ როდესაც რთული წარმოსადგენია როგორ შეიძლება ხსენებული სახისა და ზომის სასჯელი ემსახურებოდეს საუკეთესო ინტერესს და იყოს რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის მომტანი. აღნიშნულ საკითხს პასუხს სცემს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების ერთ-ერთი უპირველესი მნიშვნელობის მქონე გარემოებად აღქმა. სწორედ ამ უკანასკნელს უნდა ეფუძნებოდეს სასამართლოს მსჯელობა მკაცრი სასჯელების გამოყენების დასაბაბუთებლად.

**5. საზოგადოებრივი აზრის გავლენა  
არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების  
პრიორიტეტულობის პრინციპის რეალიზებაზე  
5.1, საზოგადოებრივი აზრის მნიშვნელობა**

ბავშვის უფლებათა კონვენციით გათვალისწინებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მარეგულირებელი ნორმების ქვეყნის შიდა კანონმდებლობაში იმპლემენტაცია მოითხოვს სახელმწიფოს პოლიტიკურ აქტიურობას, რაც ზოგიერთი ქვეყნისთვის დაკავშირებულია კანონმდებლობის, პრაქტიკისა და არსებული პოლიტიკის რადიკალურ ცვლილებებთან.<sup>573</sup>

დემოკრატიულ ქვეყნებში საზოგადოება ირჩევს ხელისუფლებას, როგორც მათ წარმომადგენლად და, შესაბამისად, აქვთ მოთხოვნილება, პოლიტიკოსებმა მუდმივად გაითვალისწინონ მათი შეხედულებები<sup>574</sup> და მოახდინონ გავლენა მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებზე. საზოგადოებრივი გავლენის მეტნაკლებად ძირითადი ფორმა სწორედ საზოგადოებრივი აზრია,<sup>575</sup> რაც გულისხმობს საზოგადოების საერთო აკუმულირებულ დამოკიდებულებას სოციალური სინამდვილის რაიმე მოვლენისადმი, ფაქტისადმი, პროცესისადმი და ასახავს უმრავლესობის კოლექტიურ ცნობიერებას, თუნდაც ჭეშმარიტი არ იყოს იგი.<sup>576</sup> რა თქმა უნდა, არსებობს პოლიტიკური მართვის სფეროები, რომლითაც საზოგადოება ნაკლებად დაინტერესებულია, თუმცა, ამავდროულად, არსებობს ისეთი სფეროები, რომელთა მიმართ საზოგადო-

---

<sup>573</sup> Hamilton C., Harvey R., The Role of Public Opinion of International Juvenile Justice Standards, "The International Journal of Children's Rights", Vol. 11, No.4, 2004, 369.

<sup>574</sup> Wood J., Why Public Opinion of the Criminal Justice System is Important, in: Public Opinion and Criminal Justice, Jane Wood, Theresa Gannon (Eds.), Willan Publishing, 2009, 33.

<sup>575</sup> ყვარელაშვილი გ., არასრულწლოვან მსჯავრდებულთა ქვეყნის დეკრიმინალიზაციის პრობლემები (ზოგიერთი მოსაზრება პენიტენციარული სისტემის რეფორმის შესახებ), თბილისი, 1996, 110.

<sup>576</sup> ქარუმიძე ვ., დარგალი ე., არასრულწლოვანი, დამნაშავეობა და მართლმსაჯულება, თბილისი, 1998, 10.

ების ინტერესი განსაკუთრებით მაღალია. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება სწორედ ამ უკანასკნელს განეკუთვნება. აღსანიშნავია, რომ საზოგადოებას ცენტრალური ფუნქცია გააჩნია მართლმსაჯულების ადმინისტრირებაში და, შესაბამისად, ამ ფუნქციის შესრულება სისხლისსამართლებრივი სისტემისთვის კრიტიკული მნიშვნელობის მქონეა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მართლმსაჯულების სისტემა ვერ შეძლებს სათანადოდ ფუნქციონირებას. მაგალითად, საზოგადოების როლი, მათ შორის, გამოიხატება სამართალდამცავი ორგანოებისათვის ჩადენილი დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიწოდებაში, მტკიცებულებების წარდგენაში, სასამართლოში ნაფიც მსაჯულად ან მოწმედ მონაწილეობაში და სხვ.<sup>577</sup> ეს ყოველივე ნათლად წარმოაჩენს საზოგადოების მჭიდრო კავშირს მართლმსაჯულების სისტემასთან და, შესაბამისად, შეუძლებელია მართლმსაჯულებისათვის საზოგადოებრივი აზრი არ იყოს გასათვალისწინებელი, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მართლმსაჯულების სისტემისადმი საზოგადოების ნდობის შენარჩუნებისა და ამაღლების თვალსაზრისით. თავის მხრივ, ნდობის დაკარგვამ, საზოგადოების ზემოაღნიშნული როლის გათვალისწინებით, შესაძლოა მნიშვნელოვნად დააზიანოს მართლმსაჯულების პროცესი. ამასთან, სახელმწიფოს მართვაში მოქალაქეების სიტყვა, იმის რწმენით, რომ ეს უკანასკნელი სათანადოდ იქნება გათვალისწინებული, არის ის, რაც მთავრობასა და სახელმწიფოს სძენს ლეგიტიმურობასა და ავტორიტეტს.<sup>578</sup> თუ სისხლის სამართლის სისტემისადმი არსებობს მორალური რწმენა და ნდობა, მაშინ საზოგადოება უფრო კანონმორჩილია, ხოლო უკმაყოფილების შემთხვევაში, საზოგადოება უარს ამბობს კანონის შესრულებაზე.<sup>579</sup> აღნიშნულის თავიდან ასაცილებლად, საჭიროა არ-

---

<sup>577</sup> Wood J., *Why Public Opinion of the Criminal Justice System is Important*, in: *Public Opinion and Criminal Justice*, Jane Wood, Theresa Gannon (Eds.), Willan Publishing, 2009, 33.

<sup>578</sup> Faulkner D., *Crime, State and Citizen: A Field Full of Folk*, 2<sup>nd</sup> Edition, Published by Waterside Press, 2006, 63.

<sup>579</sup> Wood J., *Why Public Opinion of the Criminal Justice System is Important*, in: *Public Opinion and Criminal Justice*, Jane Wood, Theresa Gannon (Eds.),

სებობდეს გარკვეული თანხვედრა საზოგადოებრივ აზრსა და სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების რეგულირებებს შორის.<sup>580</sup>

როგორც უკვე აღინიშნა, სწორედ საზოგადოებრივმა აზრმა იქონია გადამწყვეტი გავლენა 1970-იან წლებში კეთილდღეობის მოდელიდან მართლმსაჯულების მოდელზე გადასასვლელად და კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების მიმართ სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის გასამკაცრებლად.

## **5.2. საზოგადოების დამოკიდებულება კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნებისადმი**

არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენა საზოგადოების განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. აღსანიშნავია, რომ, ზოგადად, საზოგადოება უარყოფითად არის განწყობილი არასრულწლოვანთა მიმართ შემწყნარებლური სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის გატარების მიმართ, რაც ფუნდამენტური პრობლემაა სახელმწიფოთათვის ბავშვის უფლებათა კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თვალსაზრისით.<sup>581</sup> საზოგადოებისათვის არასრულწლოვანთა დანაშაული ძირითადად ძალადობასთან ასოცირდება.<sup>582</sup> ამგვარი დამოკიდებულება შეიძლება მრავალი ფაქტორით იყოს განპირობებული, რაზეც შემდგომ გამახვილდება ყურადღება.

---

Willan Publishing, 2009, 34; Robinson P. H., Darley J. M., Objectivist vs. Subjectivist Views of Criminality: A Study in the Role of Social Science in Criminal Law Theory, "Oxford Journal of Legal Studies", Vol. 18, Issue 3, 1998, 443-444.

<sup>580</sup> Wood J., Why Public Opinion of the Criminal Justice System is Important, in: Public Opinion and Criminal Justice, Jane Wood, Theresa Gannon (Eds.), Willan Publishing, 2009, 33-34.

<sup>581</sup> Hamilton C., Harvey R., The Role of Public Opinion of International Juvenile Justice Standards, "The International Journal of Children's Rights", Vol. 11, Issue 4, 2004, 369.

<sup>582</sup> Roberts J.V., Stalans L.J., Indermaur D., Hough M., Penal Populism and Public Opinion: Lessons from Five Countries, Oxford University Press, Oxford, New-york, 2003, 111.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისადმი საზოგადოების დამოკიდებულების გადამონმების საუკეთესო საშუალება გამოკითხვის ჩატარებაა, რაზეც აქტიურად მუშაობენ ამ სფეროთი დაინტერესებული მეცნიერები. ასე, მაგალითად, ამერიკაში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთსა და კანადაში ჩატარებულმა კვლევებმა ნათლად წარმოაჩინა საზოგადოების მზარდი შიში არასრულწლოვანთა დანაშაულის მიმართ. დასავლურ ქვეყნებში საზოგადოება დანაშაულს ყოველწლიურად მზარდ მოვლენად აღიქვამს და, შესაბამისად, იმედგაცრუებას გამოთქვამს მართლმსაჯულების სისტემის უუნარობისადმი, სათანადო კონტროლი გაუწიოს ძალადობრივი დანაშაულის აღკვეთას. აღნიშნულის მიზეზი რეაბილიტაცი-აზე ორიენტირებული მართლმსაჯულებაა, რომელიც ვერ პასუხობს საზოგადოების დამსჯელობით მოთხოვნილებებს. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში დიდი მხარდაჭერით სარგებლობს არასრულწლოვანთა საქმის გადაცემა სრულწლოვანთა სასამართლოსათვის, განსაკუთრებით, ძალადობრივი დანაშაულის შემთხვევაში.<sup>583</sup> კერძოდ, კვლევის თანახმად, გამოკითხულთა 87 პროცენტი მხარს უჭერს არასრულწლოვნის მიმართ სრულწლოვანთა სასჯელის გამოყენებას ძალადობრივი დანაშაულის ჩადენისას.<sup>584</sup>

კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნებისადმი საზოგადოების დამოკიდებულების ნათლად წარმოსაჩენად მნიშვნელოვანია, ასევე ყურადღება გამახვილდეს დიდ ბრიტანეთში ჩატარებულ კვლევაზე, რომლის მიხედვით, რესპონდენტებს უნდა განესაზღვრათ როგორც არასრულწლოვანთათვის, ისე სრულწლოვანთათვის სასჯელის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანი. შედეგად, არასრულწლოვანთა შემთხვევაში, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და სამართლიანი მიზლვა დასახელდა ყველაზე მნიშვნელოვ-

---

<sup>583</sup> Hamilton C., Harvey R., *The Role of Public Opinion of International Juvenile Justice Standards*, "The International Journal of Children's Rights", Vol. 11, Issue 4, 2004, 369; Hudson D.L., *Juvenile Justice*, Alan Marzilli (Ed.), Chelsea House Publishers, New-york, 2010, 37.

<sup>584</sup> Kupchik A., *Judging Juveniles: Prosecuting Adolescents in Adult and Juvenile Courts*, New-York University Press, New-York, London, 2006, 18.

ნად და მიიღო თითქმის თანაბარი მხარდაჭერა, შესაბამისად, ოცდაცამეტი და ოცდათოთხმეტი პროცენტი. სწორედ აღნიშნულმა მიზნებმა მიიღეს ყველაზე დიდი მხარდაჭერა სრულწლოვანთა შემთხვევაშიც, თუმცა სამართლიანი მიზნის/პროპორციულობა ბევრად პოპულარული აღმოჩნდა ზრდასრულ დამნაშავეებთან მიმართებით. რაც შეეხება რეაბილიტაციას, სასჯელის ამ მიზანს გამოკითხულთა ოცმა პროცენტმა მიანიჭა უპირატესობა არასრულწლოვნების შემთხვევაში, ხოლო თორმეტმა პროცენტმა – სრულწლოვნების შემთხვევაში. აღსანიშნავია, რომ დანაშაულის მსხვერპლისათვის ზიანის ანაზღაურებას მხოლოდ ხუთმა პროცენტმა მიანიჭა უპირატესობა, თუმცა აღნიშნული სულაც არ ნიშნავს საზოგადოების მხრიდან მსხვერპლისადმი მხარდაჭერის გრძნობის არარსებობას, არამედ რესპონდენტებს გაუჭირდათ ამ უკანასკნელის დასახელება სასჯელის უმთავრეს მიზნად, რადგან მათ მხოლოდ ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანი უნდა განესაზღვრათ.<sup>585</sup> აღნიშნული კვლევა ცხადად ადასტურებს საზოგადოების დამოკიდებულებას არასრულწლოვანი დამნაშავეების მიმართ. ის ფაქტი, რომ უმრავლესობამ უპირატესობა მიანიჭა ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას და სამართლიანი, პროპორციული სასჯელის დანიშვნას, მეტყველებს იმაზე, რომ საზოგადოებისათვის უმთავრესი ღირებულება საკუთარი უსაფრთხოებაა და განსაკუთრებული მოთხოვნა გააჩნია სამართლიანობისადმი. აღნიშნულის მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ საზოგადოება მეტად მიდრეკილია დანაშაულის მსხვერპლის თანაგრძნობისადმი, ვიდრე კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ინტერესების დაცვისკენ. როგორც ნესი, უპირატესობას ანიჭებენ მსხვერპლის საჭიროებებზე ორიენტირებულ რეფორმებს.<sup>586</sup> ამასთან, ძალზე მნიშვნე-

---

<sup>585</sup> Roberts J.V., Hough M., *Understanding Public Attitudes to Criminal Justice*, Mike Maguire (Ed.), Open University Press, New-York, 2005, 119.

<sup>586</sup> Roberts J.V., *Public Opinion, Crime and Criminal Justice*, "Crime and Justice", Vol. 16, 1992, 139.

ლოვანია მსხვერპლად გახდომის შიშის ფაქტორიც.<sup>587</sup> ზოგადად, მსხვერპლის ცნებისადმი საზოგადოების დამოკიდებულება ფრიად ემოციური და მრავალმნიშვნელოვანია.<sup>588</sup> საზოგადოების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დანაშაულისათვის სამართლიანი სასჯელის დანიშვნას, რაც, თავის მხრივ, იწვევს კმაყოფილებას და ნდობის ამაღლებას მართლმსაჯულების სისტემისადმი. ამ შემთხვევაში, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები საზოგადოებისთვის მეორეხარისხოვანია. თუმცა, გასათვალისწინებელია კონკრეტული საზოგადოების კულტურული ღირებულებებიც და ზოგადად, ქვეყანაში არასრულწლოვანთა მიერ ძალადობრივი დანაშაულის ჩადენის სტატისტიკა.

### **5.3. საზოგადოების ცნობიერების დონე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისადმი**

არასრულწლოვანთა დანაშაულის მიმართ საზოგადოების წარმოდგენა და რეალობა ბევრად განსხვავდება ერთმანეთისგან, რასაც დიდ ბრიტანეთში 1998 წელს ჩატარებული კვლევაც ადასტურებს. კერძოდ, კვლევაში მონაწილე პირთა ორმა მესამედმა აღნიშნა, რომ დანაშაულის ჩადენის რიცხვი გაიზარდა, მაშინ როდესაც ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით იმ პერიოდში არასრულწლოვანთა დანაშაულის კლება აღინიშნებოდა. მსგავსი შედეგი დააფიქსირა კანადაში ჩატარებულმა კვლევამაც.<sup>589</sup> ანალოგიური კვლევა 2003 წელს კვლავ ჩატარდა ბრიტანეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადაში, რა დროსაც იგივე შედეგი იქნა მიღებული. გამოკითხულთა უმეტესობა დარწმუნე-

---

<sup>587</sup> Hoge R.D., *The Juvenile Offender: Theory, Research and Application*, Richard M. Lerner (Ed.), Springer Science+Business Media, New-York, 2001, 1.

<sup>588</sup> შალიკაშვილი მ., ვიქტიმოლოგია - მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ, თბილისი, 2011, 16.

<sup>589</sup> Hamilton C., Harvey R., *The Role of Public Opinion of International Juvenile Justice Standards*, "The International Journal of Children's Rights", Vol. 11, Issue 4, 2004, 371.

ბული იყო, რომ 2001-2003 წლებში არასრულწლოვანთა დანაშაულის მაჩვენებელი გაიზარდა, მაშინ როდესაც სტატისტიკა საპირისპიროს მეტყველებდა.<sup>590</sup> გარდა ამისა, კანადაში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხულთა დიდმა ნაწილმა თითქმის არაფერი იცოდა არასრულწლოვანთა მიმართ გამოსაყენებელი სასჯელების შესახებ. ანალოგიური შედეგი დაფიქსირდა ამერიკის შეერთებულ შტატებშიც.<sup>591</sup>

ზემოაღნიშნული კვლევები ადასტურებს, რომ საზოგადოების ინფორმირების დონე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა და არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ საკმაოდ დაბალია.

## **5.4. საზოგადოებრივი აზრის ფორმირება**

### **5.4.1. მედიის გავლენა**

მედია არის ის უმნიშვნელოვანესი წყარო, რომელსაც უდიდესი გავლენა აქვს საზოგადოებაზე და მისი აზრის ფორმირებაზე. მას დაკისრებული აქვს „საზოგადოებრივი დარაჯის“ ფუნქცია.<sup>592</sup> როგორც ბავშვის უფლებათა კომიტეტი განმარტავს, დანაშაულის ჩამდენი არასრულწლოვნები ხშირად ხდებიან მედიის მხრიდან ნეგატიურად გაშუქების მსხვერპლნი, რაც ხელს უწყობს როგორც კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების, ისე სხვა არასრულწლოვნების სტიგმატიზაციას. ნეგატიურ დამოკიდებულებას ძირითადად განაპირობებს დანაშაულის ჩადენის მიზეზების არასწორად გადმოცემა და არასწორად აღქმა, რაც, ხშირ შემთხვევაში, იწვევს პოლიტიკის გამკაცრებას. კომიტეტი მოუწოდებს სახელმწიფოებს მიიღონ ყველა ზომა, რათა ხელი შეუწყონ საგან-

---

<sup>590</sup> Roberts J.V., Hough M., *Understanding Public Attitudes to Criminal Justice*, Mike Maguire (Ed.), Open University Press, New-York, 2005, 112.

<sup>591</sup> Roberts J.V., Stalans L.J., Indermaur D., Hough M., *Penal Populism and Public Opinion: Lessons from Five Countries*, Oxford University Press, Oxford, New-york, 2003, 113-114.

<sup>592</sup> *Barthold v. Germany*, [ECtHR] Application No. 8734/79, 25 March, 1985, Para. 58; *Lingens v. Austria*, [ECtHR], Application No. 9815/82, 8 July, 1986, Para. 44.

მანათლებლო ღონისძიებების გატარებას კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა საჭიროებების შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით.<sup>593</sup> ზემოაღნიშნული კვლევებით დაფიქსირებული შედეგები დანაშაულის ზრდასთან დაკავშირებით საზოგადოების არასწორი წარმოდგენის შესახებ შესაძლოა სწორედ მედიის გავლენით იყოს განპირობებული, რადგან ტელევიზიით ძირითადად განსაკუთრებით მძიმე ძალადობრივი დანაშაულები შუქდება, რაც საზოგადოების ცნობიერებაზე ახდენს გავლენას.<sup>594</sup> შესაბამისად, იქმნება დანაშაულის ზრდის ტენდენციის შთაბეჭდილება და საზოგადოებას ეუფლება დაუცველობის განცდა. აღნიშნულის გადასამოწმებლად, გამოკითხვაში მონაწილე პირებს ეთხოვათ, დაეზუსტებინათ ინფორმაციის წყარო, რასაც აფუძნებდნენ თავიანთ მოსაზრებას დანაშაულის ჩადენის მაჩვენებლის გაზრდის შესახებ. რესპონდენტთა ძირითადმა ნაწილმა სწორედ მედია დაასახელა ინფორმაციის წყაროდ, ხოლო მცირე ნაწილმა – პირდაპირი თუ არაპირდაპირი გამოცდილება.<sup>595</sup>

როგორც ჩატარებული კვლევები ადასტურებს, მედიით გაშუქებული ინფორმაცია იშვიათად აღწერს გარემოებებს არასრულწლოვნის შესახებ, მის წარსულს, დანაშაულის ჩადენის მიზეზებს, ხოლო ძირითად აქცენტს ჩადენილი ქმედების სიმძიმესა და დანაშაულის მსხვერპლზე აკეთებს, რაც იწვევს საზოგადოების მძაფრ რეაქციას.<sup>596</sup> საზოგადოების არასრულწლოვანთა მიმართ დამოკიდებულების ფენომენის შესასწავლად არაერთი კვლევა ჩატარდა. ერთ-ერთი კვლევის ფარგლებში, რესპონდენტთა ნაწილს წააკით-

---

<sup>593</sup> General Comment No. 14 “On the Right of the Child to Have his or her Best Interests Taken as a Primary Consideration (Art. 3, para.1)”, UN Committee on the Rights of the Child, Sixty-second Session (14 January - 1 February 2013), CRC/C/GC/14, 29 May, 2013, Para. 96.

<sup>594</sup> Roberts J.V., Public Opinion and Youth Crime, “Crime and Justice”, Vol. 31, 2004, 497.

<sup>595</sup> Roberts J.V., Hough M., Understanding Public Attitudes to Criminal Justice, Mike Maguire (Ed.), Open University Press, New-York, 2005, 112.

<sup>596</sup> Roberts J.V., Stalans L.J., Indermaur D., Hough M., Penal Populism and Public Opinion: Lessons from Five Countries, Oxford University Press, Oxford, New-york, 2003, 111.

ხეს მოკლე ინფორმაცია გაუპატიურებაში ბრალდებული არასრულწლოვნის შესახებ, ხოლო რესპონდენტთა ნაწილს გადასცეს იგივე დოკუმენტი, თუმცა დამატებით მიაწოდეს ინფორმაცია არასრულწლოვნის ოჯახური ცხოვრებისა და პირობების შესახებ, რაც, როგორც წესი, ყურნალებში არ აისახება. შედეგად, კვლევაში მონაწილე იმ პირებმა, რომლებმაც მიიღეს დამატებითი ინფორმაცია, უფრო მეტი ლმობიერება გამოიჩინეს.<sup>597</sup> ამ კვლევის ძირითადი ღირებულება გახლავთ ის, რომ საზოგადოება კონცენტრირებულია ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეზე და ნაკლებად ფლობენ ინფორმაციას არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლების შესახებ, რაც ხელს უწყობს დასჯაზე ორიენტირებულ მიდგომას.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მოზარდთა დანაშაულს ხშირად მოიხსენიებენ, როგორც საზოგადოების განუკუურებელ სენს, რომელიც მხოლოდ მკაცრი სისხლისსამართლებრივი პოლიტიკით შეიძლება დამარცხდეს, თუმცა კრიმინოლოგიაში არასრულწლოვანთა დანაშაული მიჩნეულია ერთ-ერთ ყველაზე ნაკლები ეკონომიკური ზარალისა და საშიშროების მქონე დანაშაულად, რომელიც ნორმალური მოვლენაა.<sup>598</sup> ამავდროულად, არის სიტუაციური ხასიათის, რაც გულისხმობს წინასწარ დაუგეგმავად, დანაშაულის სპონტანურად ჩადენას.<sup>599</sup> მიუხედავად ამისა, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების გაშუქებით, მედია საზოგადოებაში ხელს უწყობს მორალური პანიკის დანერგვას და შეგრძნებას იმისა, რომ არასრულწლოვნები არ ექვემდებარებიან სათანადო კონტროლს, რის გამოც, ჩნდება მკაცრი პოლიტიკის

---

<sup>597</sup> იქვე.

<sup>598</sup> შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მე-2 გამოცემა, თბილისი, 2016, 15-16; შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებანი: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კრიმინოლოგიური, სისხლისსამართლებრივი, პენიტენციური და საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლები, თბილისი, 2011, 17.

<sup>599</sup> კავეთაშვილი ე., კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი - ფსიქოლოგიურ, თეოლოგიურ, პედაგოგიურ და იურიდიულ ჭრილში, „მართლმსაჯულება და კანონი“, №4, 2016, 102.

გატარების მოთხოვნილება.<sup>600</sup> ინგლისში, 1993 წელს 10 წლის ბავშვების მიერ ჯეიმს ბულგერის მკვლელობა იყო ის ერთ-ერთი პირველი შემთხვევა, როდესაც მედიამ არასრულწლოვნები „საშიშ მონსტრებად“ წარმოაჩინა.<sup>601</sup> მნიშვნელოვანია, რომ მას შემდეგ, რაც სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანა ჯეიმს ბულგერის მკვლელებს, მედია კვლავ ზემოქმედებდა მოსახლეობაზე, რათა დაერწმუნებინა სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების სისწორეში, რომ ორივე დამნაშავე სიცოცხლის ბოლომდე უნდა დარჩენილიყო ციხეში, რადგან ისინი არ იმსახურებდნენ მეორე შანსს.<sup>602</sup> ამ შემთხვევამ სერიოზული გავლენა მოახდინა საზოგადოებაზე და რადიკალურად შეცვალა არასრულწლოვნების მიმართ არსებული დამოკიდებულება.

#### 5.4.2. გახმაურებული საქმეების გავლენა

არც ერთ დანაშაულს ისეთი დრამატული გავლენა არ აქვს საზოგადოებაზე, როგორც მკვლელობას. როგორც წესი, გახმაურებული ტრაგედიები ყველაზე დიდხანს რჩება საზოგადოების მეხსიერებაში. სწორედ ასეთი განსაკუთრებით საშიში დამნაშავეები ხდებიან საზოგადოებისათვის არასრულწლოვნების სიმბოლო, რაც ნეგატიურად აისახება საზოგადოებრივ აზრზე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისადმი.<sup>603</sup> საზოგადოების რეაქციამ ერთ დანაშაულზე შეიძლება მთლიანად შეცვალოს წარმოდგენა

---

<sup>600</sup> Joyce P., *Criminology: A Complete Introduction*, Publisher Hodder & Stoughton, London, 2012, 252.

<sup>601</sup> Jewkes Y., *Media and Crime*, Sage Publications, London, Thousand Oaks, New Deli, 2004, 57.

<sup>602</sup> ჯორბენაძე ს., ბახტაძე უ., მაჭარაძე ზ., მედიასამართალი, თბილისი, 2014, 222.

<sup>603</sup> Roberts J.V., Stalans L.J., Indermaur D., Hough M., *Penal Populism and Public Opinion: Lessons from Five Countries*, Oxford University Press, Oxford, New-york, 2003, 111.

მართლმსაჯულების ეფექტიანობის შესახებ.<sup>604</sup> გახმაურებული საქმეებისადმი მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი მჭიდროდ არის დაკავშირებული უსაფრთხოების ინტერესთან. სწორედ აქედან გამომდინარეობს დამნაშავეთა მკაცრად დასჯის მოთხოვნა, როგორც ეს რობერტ ტომპსონისა და ჯონ ვენებლსის შემთხვევაში მოხდა. 1993 წლის ნოემბერში, სამი კვირის განმავლობაში, მეფის სასამართლოში საჯაროდ მიმდინარეობდა ტომპსონისა და ვენებლსის საქმის განხილვა ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის ფონზე. ბრალდებულთა გამოჩენას საზოგადოების ოვაციები და შეძახილი ახლდა თან. უფრო მეტიც, ქუჩაში შეკრებილ ხალხს ბრალდებულთა გადაყვანა სატრანსპორტო საშუალებაზე თავდასხმის მცდელობაც კი ჰქონდა. სასამართლო სხდომის დარბაზი მუდმივად სავსე იყო პრესის წარმომადგენლებითა და დაინტერესებული მოქალაქეებით.<sup>605</sup> მსგავსი მაგალითები ახსოვს არა მარტო დიდ ბრიტანეთს, არამედ მსოფლიოს მრავალ ქვეყანას.<sup>606</sup> არასრულწლოვანთა მიერ ძალადობრივ დანაშაულთა ჩადენის შემთხვევები არაერთხელ დაფიქსირებულა საქართველოს რეალობაშიც, რამაც ყოველთვის გამოიწვია საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესი, რაც, როგორც წესი, დამნაშავეთა მკაცრად დასჯის მოთხოვნაში გამოიხატება. სწორედ მსგავს შემთხვევებში საზოგადოებას ეუფლება დაუცველობის განცდა, მსხვერპლისადმი ემპათია და გამძაფრებული მოთხოვნა აქვს არა მარტო საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე, არამედ დამნაშავეს დასჯის მეშვეობით სამართლიანობის აღდგენაზე. ასეთ დროს, საზოგადოება უარყოფს თავის როლს მოზარდის დამნაშავედ ჩამოყალიბებაში და

---

<sup>604</sup> Hamilton C., Harvey R., The Role of Public Opinion of International Juvenile Justice Standards, "The International Journal of Children's Rights", Vol.11, No.4, 2004, 378.

<sup>605</sup> T.v. The United Kingdom, [ECtHR], Application No. 24724/94, 16 December, 1999, Para. 9.

<sup>606</sup> Roberts J.V., Public Opinion and Youth Crime, "Crime and Justice", Vol. 31, 2004, 517.

თავისი ბრალეულობა დანაშაულის ჩამდენ პირზე გადააქვს, მოზარდი საზოგადოების მიერ იქცევა განტევევის ვაცად.<sup>607</sup>

### **5.5. საზოგადოებრივი აზრის მხედველობაში მიღების მიზანშეწონილობა**

წინამდებარე თავში განხილული საკითხები ცხადყოფს, რომ საზოგადოება ძალადობრივი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში მიდრეკილია დამსჯელობითი პოლიტიკისკენ და ზოგადად, დამნაშავეთა მიმართ მსუბუქი სასჯელის გამოყენება ინვესტის პროტესტის განცდასა და უსამართლობის შეგრძნებას. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივ აზრს განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია მართლმსაჯულების ადმინისტრირების თვალსაზრისით, სადავოა მისი მხედველობაში მიღების მიზანშეწონილობა, რადგან, როგორც გამოიკვეთა, საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას, მათ შორის, მედიისა და გახმაურებული საქმეების გავლენით, ხშირ შემთხვევაში, არასწორი წარმოდგენები და არასრულყოფილი ინფორმაციის ფლობა უდევს საფუძვლად, რაც ამძაფრებს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების მიმართ მკაცრი პოლიტიკის გატარების მოთხოვნილებას. მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებრივ ინტერესს არა მარტო არასრულწლოვნისათვის განსაზღვრული სასჯელის სახე და ზომა ინვესტის, არამედ მათ მიერ განხორციელებული ქმედების შინაარსი და ხასიათი, ის რეალობა, რაც დანაშაულის ჩადენას განაპირობებს.<sup>608</sup> გარდა ამისა, გასათვალისწინებელია სტატისტიკური ინფორმაცია არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რაოდენობის შესახებ. კერძოდ, უზენაესი სასამართლოს მონაცემებით, არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რაოდენობა 2016 წელს შეადგენდა 146-ს, 2017 წელს – 197-ს, 2018 წელს – 212-ს, ხოლო 2019 წელს – 290-ს, მათ შორის, ძალადობრივი დანაშა-

<sup>607</sup> შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მე-2 გამოცემა, თბილისი, 2016, 16.

<sup>608</sup> ივანიძე მ., არასრულწლოვანი და მისი საუკეთესო ინტერესები, წიგნში: არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, თბილისი, 2017, 41, 18.

აულის (ყაჩაღობა, განზრახ მკვლელობა, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, გაუპატიურება) ჩადენისათვის მსჯავრდებულ პირთა საერთო რაოდენობის მაჩვენებელი შეადგენდა, შესაბამისად, ოცდაოთხს, ოცდაერთს, ჩვიდმეტს და თვრამეტს.<sup>609</sup> აღნიშნული მონაცემები ცხადყოფს, რომ ბოლო წლების განმავლობაში, არ შეინიშნება არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენის მაჩვენებლის მკვეთრი ზრდა, ხოლო აღინიშნება კლების ტენდენცია უშუალოდ ძალადობრივი დანაშაულისათვის მსჯავრდებულ პირთა რაოდენობისა. ამასთან, ძალადობრივ დანაშაულთათვის მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა რიცხვი საკმაოდ მცირეა საერთო რაოდენობაში, რაც მიანიშნებს იმას, რომ ამგვარი კატეგორიის დანაშაულს არასრულწლოვნები არც თუ ისე ხშირად ჩადიან. სტატისტიკის თანახმად, არასრულწლოვნები ყველაზე მეტად ქურდობის ჩადენისკენ არიან მიდრეკილნი.<sup>610</sup> შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ არასრულწლოვანთა მიერ საზოგადოებისათვის განსაკუთრებული საფრთხის შექმნის საშიშროება არ იკვეთება, ხოლო ცალკეულ ერთეულ შემთხვევებში, არასრულწლოვნის მიერ განსაკუთრებით მძიმე ძალადობრივი დანაშაულის ჩადენის გავლენით ჩამოყალიბებულმა საზოგადოებრივმა აზრმა, მით უფრო, არასრულწლოვანთან დაკავშირებული ყველა გარემოების მხედველობაში მიღების გარეშე, არ შეიძლება გადაწონოს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებზე დაფუძნებული მიდგომა. რაც შეეხება საზოგადოებრივ უსაფრთხოებასა და სამართლიანობას, როგორც მართლმსაჯულების განუყოფელ ინტერესებს, როგორც უკვე აღინიშნა, არსებული სისტემა უზრუნველყოფს მათ სამართლიან დაბალანსებას არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებთან.

---

<sup>609</sup> იხ., მართლმსაჯულება საქართველოში – 2019 წლის სტატისტიკა, ნაწილი III – სისხლის სამართლის საქმეები, <<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2019-weli-wigni-sisxli.pdf>>, [18.12.2020].

<sup>610</sup> იქვე.

#### თავი IV. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების შეფასება და განსაზღვრა

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი აწესებს მართლმსაჯულების პროცესში მიღებული გადაწყვეტილებების არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებთან შესაბამისობის მყარ სამართლებრივ გარანტიას, რაც, თავის მხრივ, გადაწყვეტილების მიმღებ პირებს განუსაზღვრავს საუკეთესო ინტერესებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების ვალდებულებას. ამ ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა კონკრეტულ შემთხვევაში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის განსაზღვრა, რაც საკმაოდ რთულ და კომპლექსურ პროცედურასთან არის დაკავშირებული და საჭიროებს განსაკუთრებული სიფრთხილით მიდგომას.

საუკეთესო ინტერესებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და განსაზღვრის ორი ძირითადი ეტაპის გავლა. საუკეთესო ინტერესების შეფასება გულისხმობს კონკრეტულ ვითარებაში კონკრეტული არასრულწლოვნის მიმართ გადაწყვეტილების მისაღებად ყველა საჭირო ელემენტის შეფასებასა და დაბალანსებას, რაც შეიძლება განხორციელდეს უშუალოდ გადაწყვეტილების მიმღები პირის ან დამხმარე, მულტიდისციპლინური ჯგუფის მიერ, არასრულწლოვნის აუცილებელი მონაწილეობით. რაც შეეხება საუკეთესო ინტერესების განსაზღვრას, ბავშვის უფლებათა კომიტეტის განმარტებით, იგი წარმოადგენს ოფიციალურ პროცესს მკაცრი პროცედურული გარანტიებით, რომელიც მოწოდებულია განსაზღვროს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი შეფასების შედეგების საფუძველზე.<sup>611</sup> მნიშვნელოვანია, საუკეთესო ინ-

---

<sup>611</sup> General Comment No. 14 “On the Right of the Child to Have his or her Best Interests Taken as a Primary Consideration (Art. 3, para.1)”, UN Committee on the Rights of the Child, Sixty-second Session (14 January - 1 February 2013), CRC/C/GC/14, 29 May, 2013, Para 47; Zermatten J., Best Interests of

ტერესების შეფასებისას და განსაზღვრისას გამოყენებულ იქნეს უფლებებზე დაფუძნებული და ინდივიდუალიზებული მიდგომა.<sup>612</sup>

## **1. საუკეთესო ინტერესების შეფასება**

საუკეთესო ინტერესების ცნება მოიცავს ორ ერთმანეთისაგან განსხვავებულ შეფასების პროცედურას. პირველი არის აბსტრაქტული, ზოგადი შეფასება, რომელიც გამოყენებადია ყველა არასრულწლოვნის მიმართ, ხოლო მეორე გულისხმობს კონკრეტული სიტუაციის ზუსტ შეფასებას.<sup>613</sup> სწორედ ეს უკანასკნელი წარმოადგენს ძირითად სირთულეს და განსახილველი ნაშრომის ერთ-ერთ კვლევის საგანს.

საუკეთესო ინტერესების შეფასებას ორი ძირითადი დანიშნულება გააჩნია. კერძოდ, შეფასების პროცესი, ერთი მხრივ, გადაწყვეტილების მიმღებ პირს უადვილებს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრასა და სათანადო გადაწყვეტილების მიღებას, მეორე მხრივ, მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს არასრულწლოვნისათვის, რათა კონკრეტულ შემთხვევაში ობიექტურად განისაზღვროს მისი საუკეთესო ინტერესი.

### **1.1. საუკეთესო ინტერესების შეფასებისას**

#### **მხედველობაში მისაღები ელემენტები**

##### **1.1.1. ბავშვის უფლებათა კომიტეტის მიხედვით**

ბავშვის უფლებათა კომიტეტის მიერ, მათ შორის, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების შესაფასებლად გადა-

---

the Child, in: *Child-Friendly Justice: A Quarter of a Century of the UN Convention on the Rights of the Child*, Said Madmoudi, Pernilla Leviner, Anna Kaldal, Katrin Lainpelto (Eds.), Brill Nijhoff, Leiden, Boston, 2015, 37.

<sup>612</sup> *Children's Involvement in Criminal, Civil and Administrative Judicial Proceedings in 28 Member States of the EU*, Policy Brief, European Union, European Commission, Directorate-General for Justice and Consumers, 2015, 22.

<sup>613</sup> De Vos B., *Ethical Pointers and Framework for Taking Decisions in a Child's Best Interests – The Perspective of a Children's Ombudsman*, in: *The Best Interests of the Child – A Dialogue Between Theory and Practice*, Milka Sormunen (Ed.), Council of Europe, 2016, 96.

წყვეტილების მიმღებ პირთათვის სათანადო მითითებების მიცემისა და დახმარების განწესის მიზნით, განისაზღვრა მხედველობაში მისაღები ელემენტები,<sup>614</sup> რომლებიც, ამავდროულად, წარმოადგენენ კონკრეტულ უფლებებს.<sup>615</sup> აღსანიშნავია, რომ ელემენტთა ნუსხა არც ამომწურავი და არც იერარქიული ხასიათისაა,<sup>616</sup> რაც მიზნად ისახავს ასევე ისეთი გარემოებების მხედველობაში მიღებას, რომლებიც ახასიათებს არასრულწლოვნის ინდივიდუალურ შემთხვევასა და მისაღები გადაწყვეტილების ტიპს.<sup>617</sup> თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ მათი გათვალისწინება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ბავშვის უფლებათა კონვენციით დაცულ უფლებებს.<sup>618</sup> მიუხედავად იმისა, რომ ზოგადი კომენტარი არ გვთავაზობს კონკრეტულ სიტუაციაში საუკეთესო ინტერესების შესაფასებლად და განსაზღვრად საჭირო კრიტერიუმებს,<sup>619</sup> იგი მაინც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან ადგენს ზოგად სახელმძღვანელო მითითებებს, რომლებიც საორიენტაციო ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, შესაბამისად, მეტ ობიექტურობას მატებს საუკეთესო ინტერესის ცნებას და პრაქტიკულად გამორიცხავს სუბიექტივიზმს, რაც, თავის მხრივ, ამცირებს თვითნებური და არაობიექტური გადაწყვეტილებების მიღე-

---

<sup>614</sup> General Comment No. 14 “On the Right of the Child to Have his or her Best Interests Taken as a Primary Consideration (Art. 3, para.1)”, UN Committee on the Rights of the Child, Sixty-second Session (14 January - 1 February 2013), CRC/C/GC/14, 29 May, 2013, Para. 51.

<sup>615</sup> იქვე, Para. 58.

<sup>616</sup> იქვე, Para. 50.

<sup>617</sup> Kalverboer M., How to Assess and Determine the Best Interests of the Child from a Perspective of Child Development and Child-Rearing, in: The Best Interests of the Child – A Dialogue Between Theory and Practice, Milka Sormunen (Ed.), Council of Europe, 2016, 67.

<sup>618</sup> General Comment No. 14 “On the Right of the Child to Have his or her Best Interests Taken as a Primary Consideration (Art. 3, para.1)”, UN Committee on the Rights of the Child, Sixty-second Session (14 January - 1 February 2013), CRC/C/GC/14, 29 May, 2013, Para. 51.

<sup>619</sup> Llorens J. C., Presentation of General Comment No.14: Strengthens and Limitations, Points of Consensus and Dissent Emerging in its Drafting, in: The Best Interests of the Child – A Dialogue Between Theory and Practice, Milka Sormunen (Ed.), Council of Europe, 2016, 12.

ბის რისკს. მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს კომიტეტის მიერ განსაზღვრულ მხედველობაში მისაღებ თითოეულ ელემენტზე.

### 1.1.1.1. არასრულწლოვნის მოსაზრებები

საუკეთესო ინტერესების განსაზღვრისას მნიშვნელოვანია ცოდნა იმისა, თუ რას მიიჩნევს თავად არასრულწლოვანი მის საუკეთესო ინტერესად.<sup>620</sup> ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები არ უნდა იქნეს მიღებული მხოლოდ ობიექტურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, არამედ მნიშვნელოვანია ბავშვის მოსაზრებების გათვალისწინებაც.<sup>621</sup> ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-12 მუხლი უზრუნველყოფს არასრულწლოვნის უფლებას, თავისუფლად გამოხატოს საკუთარი შეხედულებები მასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე. შესაბამისად, ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც არ ითვალისწინებს არასრულწლოვნის მოსაზრებებს და არ ანიჭებს მათ სათანადო მნიშვნელობას, არასრულწლოვნის ასაკისა და მონიფულობის შესაბამისად, უგულებელყოფს ბავშვის შესაძლებლობას, გავლენა მოახდინოს საკუთარი საუკეთესო ინტერესების განსაზღვრის პროცესზე.<sup>622</sup> ამასთან, მნიშვნელოვანია, გადახვევა ტრადიციული, პატერნალისტური აღქმიდან, სადაც სრულწლოვნები თავად ქმნიან ყველანაირ ჩარჩოს ბავშვთა უფლებებისათვის და მათ ეკუთვნით საბოლოო

---

<sup>620</sup> Van Hooijdonk E., Children's Best Interests: A Discussion of Commonly Encountered Tensions, in: *The Best Interests of the Child – A Dialogue Between Theory and Practice*, Milka Sormunen (Ed.), Council of Europe, 2016, 42.

<sup>621</sup> Detrick Sh., *A Comment on the United Nations Convention on the Rights of the Child*, Martinus Nijhoff Publishers, The Hague, Boston, London, 1999, 89.

<sup>622</sup> General Comment No. 14 "On the Right of the Child to Have his or her Best Interests Taken as a Primary Consideration (Art. 3, para.1)", UN Committee on the Rights of the Child, Sixty-second Session (14 January - 1 February 2013), CRC/C/GC/14, 29 May, 2013, Para. 53.

სიტყვა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრისას.<sup>623</sup>

აღსანიშნავია, რომ ევროსაბჭოს წევრ არაერთ ქვეყანაში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების შეფასებისას სასამართლოებს გააჩნიათ არასრულწლოვნის მოსაზრებებისათვის სათანადო მნიშვნელობის მინიჭების საკანონმდებლო ვალდებულება. ლუქსემბურგში აღნიშნული მიდგომა მხოლოდ პრაქტიკულ დონეზე ხორციელდება, საკანონმდებლო ვალდებულების არსებობის გარეშე. ზოგიერთ ქვეყანაში ეს ვალდებულება მოქმედებს სამართლის ვიწრო დარგებში, კერძოდ, საოჯახო სამართალში. სახელმწიფოთა მცირე რიცხვში (სლოვენია, პორტუგალია, ლატვია) არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრისას სასამართლოს არ გააჩნია ბავშვის მოსაზრებების გათვალისწინების სამართლებრივი ვალდებულება.<sup>624</sup> აღსანიშნავია, რომ საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილი საუკეთესო ინტერესის განსაზღვრისას ერთ-ერთ მხედველობაში მისაღებ გარემოებად სწორედ არასრულწლოვნის მოსაზრებებს ითვალისწინებს, რაც მართლმსაჯულების პროცესს მნიშვნელოვნად აახლოებს საერთაშორისო სტანდარტებთან.

### **1.1.1.2. არასრულწლოვნის ინდივიდუალობა/იდენტობა**

არასრულწლოვნები არ განიხილებიან ერთგვაროვან ჯგუფად და, შესაბამისად, საუკეთესო ინტერესების შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მათი განსხვავებულობა. ინდივიდუალობა მოიცავს ისეთ მახასიათებლებს, როგორცაა სქესი, სექსუალური ორიენტაცია, ეროვნება, რელიგია, რწმენა, კულტურა,

---

<sup>623</sup> Nyaman J., What is the Input by Children and Young People in Implementing their Best Interests?, in: The Best Interests of the Child – A Dialogue Between Theory and Practice, Milka Sormunen (Ed.), Council of Europe, 2016, 94.

<sup>624</sup> Children's Involvement in Criminal, Civil and Administrative Judicial Proceedings in 28 Member States of the EU, Policy Brief, European Union, European Commission, Directorate-General for Justice and Consumers, 2015, 23.

პიროვნება. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვებს და ახალგაზრდებს ძირითადი საერთო საჭიროებები აქვთ, ამ საჭიროებების გამოვლენა დამოკიდებულია პერსონალური, ფიზიკური, კულტურული და სოციალური ასპექტების ფართო სპექტრზე, მათ შორის, განვითარებად უნარებზე. ბავშვის უფლება, შეინარჩუნოს საკუთარი იდენტობა გარანტირებულია ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-8 მუხლით და იმსახურებს პატივისცემასა და მხედველობაში მიღებას საუკეთესო ინტერესების შეფასების პროცესში.<sup>625</sup> მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვანია რელიგიის, კულტურული ღირებულებებისა და ტრადიციების, როგორც ბავშვის იდენტობის შემადგენელი კომპონენტების მხედველობაში მიღება, პრაქტიკა, რომელიც შეუსაბამოა კონვენციით გარანტირებულ უფლებებთან, არ შეიძლება განხილულ იქნეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესად. გადანყვეტილების მიმღები პირის მიერ საუკეთესო ინტერესების შეფასებისას იმ ტრადიციებისა და კულტურული ღირებულებების გათვალისწინება, რომლებიც ეწინააღმდეგება კონვენციით დაცულ უფლებებს, არ შეიძლება გამართლებულ იქნეს კულტურული იდენტობით.<sup>626</sup> კულტურული გარემოებები ყოველთვის უკან დაიხვეს, როდესაც წარმოიქმნება აშკარა კონფლიქტი ადამიანის უფლებებთან.<sup>627</sup>

### **1.1.1.3. ოჯახური გარემოსა და ურთიერთობების შენარჩუნება**

ბავშვის უფლებათა კომიტეტის განმარტებით, საუკეთესო ინტერესების შეფასება და განსაზღვრა აუცილებელია, განხორციელდეს არასრულწლოვნის ოჯახისა და მშობლებისაგან პოტენცი-

---

<sup>625</sup> General Comment No. 14 “On the Right of the Child to Have his or her Best Interests Taken as a Primary Consideration (Art. 3, para.1)”, UN Committee on the Rights of the Child, Sixty-second Session (14 January - 1 February 2013), CRC/C/GC/14, 29 May, 2013, Para. 55.

<sup>626</sup> იქვე, Para. 57.

<sup>627</sup> Alston Ph., The Best Interests Principle: Towards a Reconciliation of Culture and Human Rights, “International Journal of Law, Policy and the Family”, Vol. 8, Issue 1, 1994, 21.

ური განშორების გათვალისწინების კონტექსტში.<sup>628</sup> მშობლისა და ბავშვის მიერ მათი ერთად ყოფნით სიამოვნების მიღება ქმნის ოჯახური ცხოვრების ფუნდამენტურ ელემენტს.<sup>629</sup> ბავშვის უფლებათა კონვენცია ხაზგასმით აღნიშნავს ბავშვის ოჯახურ გარემოცვაში აღზრდის აუცილებლობას მისი პიროვნების სრული და ჰარმონიული განვითარებისათვის.<sup>630</sup> კომიტეტი ოჯახს საზოგადოების შემადგენელ ფუნდამენტურ ნაწილად და ბავშვის ჩამოყალიბებისა და კეთილდღეობის ბუნებრივ გარემოდ განიხილავს.<sup>631</sup>

არასრულწლოვანზე მშობლებისაგან განცალკევების გავლენის გათვალისწინებით, იგი გამოყენებულ უნდა იქნეს, როგორც უკანასკნელი საშუალება, როდესაც არსებობს არასრულწლოვანისათვის უშუალო ზიანის მიყენების საფრთხე ან ეს სხვაგვარად არის აუცილებელი.<sup>632</sup> განსაკუთრებით ეს ეხება თავისუფლების აღკვეთას, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს დანაშაულზე სოციალური რეაგირების ფორმას, რა დროსაც არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესებს მცირედი მნიშვნელობა ენიჭება.<sup>633</sup> რაოდენ კარგი გარემოც არ უნდა არსებობდეს არასრულწლოვანისათვის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში, საზოგადოებისაგან იზოლირებულად ყოფნა უარყოფით დაღს ასვამს ბავშვის როგორც ფსიქოლოგიურ, ისე ფიზიკურ განვითარებას.

---

<sup>628</sup> General Comment No. 14 “On the Right of the Child to Have his or her Best Interests Taken as a Primary Consideration (Art. 3, para.1)”, UN Committee on the Rights of the Child, Sixty-second Session (14 January - 1 February 2013), CRC/C/GC/14, 29 May, 2013, Para. 58.

<sup>629</sup> Case of Olsson v. Sweden, Application No. 10465/83, Strasbourg, 24 March, 1988, Para. 59; Case of Monory v. Romania and Hungary, Application No. 71099/01, Strasbourg, 5 April, 2005, Para. 70.

<sup>630</sup> იხ., ბავშვის უფლებათა კონვენცია, პრეამბულა.

<sup>631</sup> General Comment No. 14 “On the Right of the Child to Have his or her Best Interests Taken as a Primary Consideration (Art. 3, para.1)”, UN Committee on the Rights of the Child, Sixty-second Session (14 January - 1 February 2013), CRC/C/GC/14, 29 May, 2013, Para. 59.

<sup>632</sup> იქვე, Para. 61.

<sup>633</sup> Hirschelmann A., Children’s perspectives Concerning Imprisonment: Setting Up a Self-expression Group of Children with Imprisoned Parents or Other Relatives, in: The Best Interests of the Child – A Dialogue Between Theory and Practice, Milka Sormunen (Ed.), Council of Europe, 2016, 125.

რებას, რადგან იგი მონყვეტილია მისთვის ჩვეულ ზრუნვასა და გარემოს.<sup>634</sup> შესაბამისად, როდესაც იკვეთება განცალკევების აუცილებლობა, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს არასრულწლოვნისთვის ოჯახთან, მშობლებთან, ნათესავებთან და მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ ადამიანებთან ურთიერთობების შენარჩუნება, თუ ეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს არ ეწინააღმდეგება.<sup>635</sup>

არასრულწლოვნის ოჯახური ურთიერთობების შენარჩუნების თვალსაზრისით, ყურადსაღებია ევროსასამართლოს გადანყვეტილება საქმეზე „მასლოვი ავსტრიის წინააღმდეგ“, სადაც საკითხი შეეხებოდა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ქვეყნის ტერიტორიიდან გაძევებას. სასამართლოს განმარტებით, არასრულწლოვნის ინტერესების უკეთ დაცვა მოითხოვს მისი ინტეგრაციის გამარტივების ვალდებულებასაც. მოცემული მიზანი მიღწეული ვერ იქნება გაძევების გზით ოჯახთან განშორებითა და სოციალური კავშირების განყვეტივით. ეს უკანასკნელი უნდა წარმოადგენდეს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნისათვის დაწესებულ უკიდურეს ზომას. ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ ამგვარი მიდგომა არ იქნა გათვალისწინებული ავსტრიის ხელისუფლების მიერ.<sup>636</sup> თუმცა, აღსანიშნვია, რომ ოჯახური ცხოვრების უფლება არ გახლავთ აბსოლუტური ხასიათის და სასამართლომ არაერთ საქმეზე არასრულწლოვნის მიერ მძიმე ძალადობრივი დანაშაულების ჩადენა განიხილა გაძევების პატივსაღებ მიზეზად და, შესაბამისად, არ დაადგინა ევროკონვენციის მე-8 მუ-

---

<sup>634</sup> ხასია მ., არასრულწლოვანთა სასჯელის მოხდის საერთაშორისო სტანდარტების ზოგადი მიმოხილვა, „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, №1, 2017, 128.

<sup>635</sup> General Comment No. 14 “On the Right of the Child to Have his or her Best Interests Taken as a Primary Consideration (Art. 3, para.1)”, UN Committee on the Rights of the Child, Sixty-second Session (14 January - 1 February 2013), CRC/C/GC/14, 29 May, 2013, Para. 64.

<sup>636</sup> Case of Maslov v. Austria, Application No. 1638/03, Grand Chamber, Strasbourg, 23 June, 2008, Para. 83.

ხლის დარღვევა,<sup>637</sup> ხოლო ზოგ შემთხვევაში, მომჩივანთა საჩივრები მიუღებლად ჩათვალა.<sup>638</sup>

ბავშვის ინტერესი მოიცავს ორ მხარეს. ერთი მხრივ, ბავშვის კავშირი ოჯახთან უნდა იქნეს შენარჩუნებული, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ოჯახი შეფასებულია, როგორც შეუფერებელი. ეს ნიშნავს, რომ ოჯახური კავშირი შეიძლება განყდეს მხოლოდ განსაკუთრებულ გარემოებებში. მეორე მხრივ, ბავშვის ინტერესში აუცილებლად შედის ჯანსაღ გარემოში ჩამოყალიბება.<sup>639</sup>

#### **1.1.1.4. არასრულწლოვანზე ზრუნვა, დაცვა და უსაფრთხოება**

ბავშვის საუკეთესო ინტერესის შეფასებისა და განსაზღვრისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს სახელმწიფოს ვალდებულება, უზრუნველყოს არასრულწლოვნის იმგვარი დაცვა და მასზე იმგვარი ზრუნვა, როგორც აუცილებელია მისი კეთილდღეობისათვის. აღნიშნული დათქმა გამომდინარეობს ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლის მე-2 პარაგრაფიდან.

ბავშვის უფლებათა კომიტეტის განმარტებით, არასრულწლოვნის დაცვა და მზრუნველობა უნდა განიმარტოს ფართოდ, რადგან მათი მიზანი არ არის ჩამოყალიბებული შეზღუდული და ნეგატიური ფორმით და გულისხმობს არა ზიანის მიყენებისაგან დაცულობას, არამედ ბავშვის კეთილდღეობისა და განვითარების სრული იდეალის უზრუნველყოფას. კეთილდღეობა ფართო გაგებით მოიცავს როგორც მატერიალურ, ფიზიკურ, საგანმანათლებლო და

---

<sup>637</sup> *Case of Bouchelkia v. France*, Application no. 23078/93, Strasbourg, 29 January, 1997, Para. 51. (საქმე ეხებოდა 17 წლის ასაკში დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ გაუპატიურებას).

<sup>638</sup> *Case of Hizir Kilic v. Denmark*, Application No. 20277/05, Strasbourg, 22 January, 2007; *Case of Ferhat Kilic v. Denmark*, Application No. 20730/05, Strasbourg, 22 January, 2007. (საქმე შეეხებოდა არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ ყაჩაღობის მცდელობას, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ თავდასხმასა და მკვლელობას).

<sup>639</sup> გ. ს. საქართველოს წინააღმდეგ, საჩივარი №2361/13, სტრასბურგი, 21 ივლისი, 2015, პარა. 45.

ემოციურ საჭიროებებს, ასევე ზრუნვასა და უსაფრთხოებას.<sup>640</sup> ამასთან, ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, კეთილდღეობის ინტერესში მოაზრებულია არასრულწლოვნის პიროვნულ და პროფესიულ განვითარებასთან, ასევე ქონებრივ უფლებებთან დაკავშირებული ინტერესები.<sup>641</sup> შესაბამისად, კეთილდღეობა წარმოადგენს მხედველობაში მისაღებ მნიშვნელოვან ფაქტორს საუკეთესო ინტერესების შეფასებისას.<sup>642</sup>

საუკეთესო ინტერესების შეფასების პროცესში გათვალისწინებულ უნდა იქნეს არასრულწლოვნის უსაფრთხოებასაც, რაც გულისხმობს ბავშვის უფლებას, იყოს დაცული ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობის ყველა ფორმის, ზიანისა და ჩაგვრის, სექსუალური ძალადობის, თანატოლთა მხრიდან ზეწოლის, დამამცირებელი მოპყრობის, ასევე სექსუალური, ეკონომიკური და სხვა სახის ექსპლუატაციისაგან, ნარკოტიკების, შრომისა და შეიარაღებული კონფლიქტისაგან.<sup>643</sup> ძალადობა ბავშვისათვის მატრავმირებელი ქცევაა<sup>644</sup> და იწვევს არასრულწლოვნის პიროვნულობის განადგურებას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, გადაწყვეტილების მიღებისას ძალადობის ყოველგვარი საფრთხის დეტალურად გაანალიზება, ბავშვის უსაფრთხოების შეფასება როგორც მოცემულ მო-

---

<sup>640</sup> General Comment No. 14 “On the Right of the Child to Have his or her Best Interests Taken as a Primary Consideration (Art. 3, para.1)”, UN Committee on the Rights of the Child, Sixty-second Session (14 January - 1 February 2013), CRC/C/GC/14, 29 May, 2013, Para. 71.

<sup>641</sup> თოდუა ნ., არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა, გ. ნაჭყებია და ნ. თოდუას რედაქტორობით, თბილისი, 2016, 652.

<sup>642</sup> Baillie T., The Concept of the Best Interests of the Child from the Perspective of a Practitioner, in: The Best Interests of the Child – A Dialogue Between Theory and Practice, Milka Sormunen (Ed.), Council of Europe, 2016, 90.

<sup>643</sup> General Comment No. 14 “On the Right of the Child to Have his or her Best Interests Taken as a Primary Consideration (Art. 3, para.1)”, UN Committee on the Rights of the Child, Sixty-second Session (14 January - 1 February 2013), CRC/C/GC/14, 29 May, 2013, Para. 73.

<sup>644</sup> მახარობლიძე თ., არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობის ფორმები და მისგან დაცვის სამართლებრივი მექანიზმები, „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, №2, 2017, 24.

მენტში, ისე სამომავლოდ,<sup>645</sup> რათა უზრუნველყოფილ იქნეს ბავშვის ყოველგვარი ძალადობისაგან დაცულობა და საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპით გათვალისწინებული ვალდებულების ჯეროვნად შესრულება.

#### **1.1.1.5. დაუცველობა (მონყვლადი ჯგუფისადმი კუთვნილება)**

ბავშვის უფლებათა კომიტეტი არასრულწლოვნის მონყვლადი ჯგუფისადმი კუთვნილებას (მაგ. შეზღუდული შესაძლებლობები, ძალადობის მსხვერპლობა, ქუჩაში ცხოვრება, უმცირესობათა ჯგუფისადმი კუთვნილება, თავშესაფრის მაძიებლობა და სხვ.) საუკეთესო ინტერესების შეფასების პროცესში ერთ-ერთ მნიშვნელოვან მხედველობაში მისაღებ ფაქტორად განიხილავს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ერთსა და იმავე მონყვლად მდგომარეობაში მყოფი არასრულწლოვნების საუკეთესო ინტერესები შეიძლება არ დაემთხვეს ერთმანეთს და გადანყვეტილების მიღებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს მონყვლადობის სახე და ხარისხი, ვინაიდან თითოეული ბავშვი უნიკალურია, ყოველი კონკრეტული შემთხვევა სწორედ მისი ინდივიდუალიზმის, უნიკალურობის გათვალისწინებით უნდა შეფასდეს.<sup>646</sup>

#### **1.1.1.6. ჯანმრთელობის დაცვის უფლება**

არასრულწლოვნის უფლება ისარგებლოს ჯანმრთელობის დაცვით და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა უმნიშვნელოვანესი ელემენტია საუკეთესო ინტერესების შეფასების პროცესში.<sup>647</sup> ბავშვის უფლებათა კომიტეტი აღნიშნულ ელემენტს ძირითადად მკურნალობისა და ჰოსპიტალიზაციის შემთხვევაში გადანყვეტი-

---

<sup>645</sup> General Comment No. 14 “On the Right of the Child to Have his or her Best Interests Taken as a Primary Consideration (Art. 3, para.1)”, UN Committee on the Rights of the Child, Sixty-second Session (14 January - 1 February 2013), CRC/C/GC/14, 29 May, 2013, Para. 74.

<sup>646</sup> იქვე, Paras. 75-76.

<sup>647</sup> იქვე, Para. 77.

ლების მიღების კონტექსტში განიხილავს, თუმცა, ამავდროულად, მიუთითებს, რომ ბავშვის ჯანმრთელობა და მკურნალობის შესაძლებლობები შესაძლოა აგრეთვე იყოს საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და განსაზღვრის ნაწილი სხვა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებთან მიმართებით.<sup>648</sup> კერძოდ, არასრულწლოვნის ჯანმრთელობის მდგომარეობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის მიმართ გადაწყვეტილების მიღებისას. ევროსასამართლოს განმარტებით, როდესაც განიხილება არასრულწლოვნისათვის თავისუფლების აღკვეთის საკითხი, აუცილებელია სამედიცინო შემონემების ჩატარება არასრულწლოვნის ჯანმრთელობის მდგომარეობის დასადგენად, რათა განისაზღვროს რამდენად შესაძლებელია მისი არასრულწლოვანთა დაწესებულებაში მოთავსება.<sup>649</sup> რაც შეეხება თავისუფლებააღკვეთილი პირის ჯანმრთელობის დაცვის საჭირო სტანდარტის განსაზღვრას, სასამართლო ამ მხრივ მეტ მოქნილობას ანიჭებს უპირატესობას და ყოველი საქმის შემთხვევაში ინდივიდუალურად მიიღება გადაწყვეტილება. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ სტანდარტი უნდა შეესაბამებოდეს დაკავებულის ადამიანურ ღირსებას და, ამავდროულად, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული თავისუფლების აღკვეთის თავისებურებანი.<sup>650</sup> როდესაც საქმე არასრულწლოვნებს ეხება, ევროსასამართლო დამკვიდრებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, მიიჩნევს, რომ თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნის ჯანმრთელობის დაცვა უნდა შეესაბამებოდეს არასრულწლოვანთათვის საზოგადოდ დადგენილ სამედიცინო სტანდარტებს.<sup>651</sup>

---

<sup>648</sup> იქვე, Para. 78.

<sup>649</sup> *Blokhin v. Russia*, Application No. 47152/06, Strasbourg, 23 March, 2016, Para. 138.

<sup>650</sup> *Aleksanyan v. Russia*, Application No. 46468/06, Strasbourg, 22 December, 2008, Para. 140.

<sup>651</sup> *Blokhin v. Russia*, Application No. 47152/06, Strasbourg, 23 March, 2016, Para. 138.

### 1.1.1.7. განათლების უფლება

ბავშვის უფლებათა კომიტეტის განმარტებით, განათლებაზე ხელმისაწვდომობა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესს წარმოადგენს და ნებისმიერი გადაწყვეტილება ნაკარნახევი უნდა იყოს აღნიშნული უფლების რეალიზების უზრუნველყოფით.<sup>652</sup> იმის გათვალისწინებით, რომ არასრულწლოვნები ჯერ კიდევ განვითარების პროცესში არიან, მათ მიმართ გამოყენებულ ყველა ღონისძიებას უნდა ჰქონდეს საგანმანათლებლო ხასიათი.<sup>653</sup> გარდა ამისა, არასრულწლოვნების მიმართ გამოსაყენებელი სანქციები და ღონისძიებები, აგრეთვე მათი განხორციელების ფორმა უნდა განისაზღვროს კანონით და ეფუძნებოდეს არასრულწლოვნის სოციალური ინტეგრაციის, განათლების მიღებისა და ახალი დანაშაულის თავიდან აცილების პრინციპებს.<sup>654</sup> ამასთან, მნიშვნელოვანია, უპირატესობა მიენიჭოს ისეთ ღონისძიებებს, რომლებსაც ექნება საგანმანათლებლო გავლენა დანაშაულის ჩამდენ არასრულწლოვანზე.<sup>655</sup> განათლების უფლებაზე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს „ჰავანას წესები“, რომელიც თავისუფლებაალკვეთილი არასრულწლოვნების დაცვას ეხება. კერძოდ, როგორც აღნიშნულია, სასკოლო ასაკის ყველა არასრულწლოვანს აქვს მის საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე მორგებული განათლების მიღების

---

<sup>652</sup> General Comment No. 14 “On the Right of the Child to Have his or her Best Interests Taken as a Primary Consideration (Art. 3, para.1)”, UN Committee on the Rights of the Child, Sixty-second Session (14 January - 1 February 2013), CRC/C/GC/14, 29 May, 2013, Para. 79.

<sup>653</sup> Recommendation No. R (87) 20 of the Committee of Ministers to Member States on Social Reactions to Juvenile Delinquency, Adopted by the Committee of Ministers on 17 September 1987 at the 410<sup>th</sup> Meeting of the Ministers’ Deputies, Preamble.

<sup>654</sup> Recommendation CM/Rec(2008)11 of the Committee of Ministers to Member States on the European Rules for Juvenile Offenders Subject to Sanctions or Measures, Adopted by the Committee of Ministers on 5 November 2008 at the 1040<sup>th</sup> Meeting of the Ministers’ Deputies, Part. I. A. 1.

<sup>655</sup> იქვე, Part. II. C. 23.2.

უფლება, რაც იმგვარად უნდა იქნეს უზრუნველყოფილი, რომ არასრულწლოვანი მოემზადოს საზოგადოებაში დასაბრუნებლად.<sup>656</sup>

### **1.1.2 საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით**

განსხვავებით ბავშვის უფლებათა კომიტეტისაგან, საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი არ გვთავაზობს საუკეთესო ინტერესების შეფასებისას მხედველობაში მისაღებ ელემენტთა ჩამონათვალს, თუმცა, როგორც აღინიშნა, ამკის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილი იძლევა საუკეთესო ინტერესების ზოგად, საორიენტაციო განმარტებას და მასში მოიაზრებს ისეთ ინტერესებს, როგორცაა არასრულწლოვნის უსაფრთხოება, კეთილდღეობა, ჯანმრთელობის დაცვა, განათლება, განვითარება, რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია და სხვა ინტერესები. აღნიშნული ნორმა წარმოადგენს რა საუკეთესო ინტერესების ზოგად განმარტებას, ამავდროულად, უნდა განვიხილოთ, როგორც კონკრეტული არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის განსასაზღვრად მხედველობაში მისაღები ელემენტები, რომლებიც მსგავსად კომიტეტის მიერ შემოთავაზებული ელემენტებისა, არც იერარქიული და არც ამომწურავი ხასიათისაა. აღსანიშნავია, რომ კოდექსით გათვალისწინებული ზოგიერთი ინტერესი/ელემენტი, კერძოდ, უსაფრთხოება, ჯანმრთელობის დაცვა, განათლება, კეთილდღეობა, თანხვედრაშია ზოგად კომენტარში განხილულ ელემენტებთან. აქედან გამომდინარე, ყურადღება გამახვილდება კოდექსით გათვალისწინებულ მხოლოდ განსხვავებულ ელემენტებზე.

#### **1.1.2.1. განვითარება**

ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული არასრულწლოვნის უფლება განვითარებაზე მჭიდროდ დაკავში-

---

<sup>656</sup> United Nations Rules for the Protection of Juveniles Deprived of their Liberty, Adopted by General Assembly Resolution 45/113 of 14 December 1990, IV, E. 38.

რებულია საუკეთესო ინტერესის ცნებასთან.<sup>657</sup> უფრო მეტიც, ბავშვის უფლებათა კომიტეტი სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას, საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და განსაზღვრის პროცესში, უზრუნველყონ არასრულწლოვნის განვითარების უფლების სრული პატივისცემა.<sup>658</sup> სწორედ ამიტომ, ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი შესაძლოა დაფუკავშიროთ ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-6 მუხლში ასახულ ბავშვის განვითარების ყოვლისმომცველ მიზანს.<sup>659</sup> განვითარების უფლებაში მოიაზრება როგორც ფიზიკური, ისე გონებრივი, სულიერი და მორალური, აგრეთვე სოციალური განვითარება, რომელთა გამოხატულება კონვენციის სხვადასხვა მუხლებში გვხვდება.<sup>660</sup>

### 1.1.2.2. რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-3 მუხლის მე-18 ნაწილის თანახმად, რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია გულისხმობს არასრულწლოვანში პასუხისმგებლობის, სხვა ადამიანთა უფლებების პატივისცემის გრძნობის ჩამოყალიბებასა და განვითარებას, არასრულწლოვნის ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარების ხელშეწყობასა და

---

<sup>657</sup> Van Os C., *The Best Interests of the Child Assessment with Recently Arrived Refugee Children*, in: *The Best Interests of the Child – A Dialogue Between Theory and Practice*, Milka Sormunen (Ed.), Council of Europe, 2016, 70.

<sup>658</sup> General Comment No. 14 “On the Right of the Child to Have his or her Best Interests Taken as a Primary Consideration (Art. 3, para.1)”, UN Committee on the Rights of the Child, Sixty-second Session (14 January - 1 February 2013), CRC/C/GC/14, 29 May, 2013, Para. 42.

<sup>659</sup> Zermatten J., *Best Interests of the Child*, in: *Child-Friendly Justice: A Quarter of a Century of the UN Convention on the Rights of the Child*, Said Mahmoudi, Pernila Leviner, Anna Kaldal, Katrin Lainpelt (Eds.), Brill Nijhoff, Leiden, Boston, 2015, 34.

<sup>660</sup> Mower A. G., *The Convention on the Rights of the Child: International Law Support for Children*, Greenwood Publishing Group, Westport, London, 1997, 33-36.

მის მომზადებას საზოგადოებაში ადგილის დასამკვიდრებლად. ამასთან, ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, რესოციალიზაცია განიმარტება, როგორც გამოსწორება, აღზრდა, სოციალიზაცია, რეაბილიტაცია, მკურნალობა, და ინტეგრაცია.<sup>661</sup> რესოციალიზაცია შეიძლება გამოიხატოს დაზარალებულსა და კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს შორის კონფლიქტის მოგვარებით, რაც გულისხმობს ჩადენილი ქმედების მონანიებასა და გამოსწორებას.<sup>662</sup>

### 1.1.2.3. სხვა ინტერესები

სხვა ინტერესებზე მსჯელობისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, მათ შორის, ბავშვის უფლებათა კომიტეტის მიერ განსაზღვრული ის ელემენტები, რომლებსაც არ ითვალისწინებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი. აღნიშნული გამომდინარეობს თავად ნორმის შინაარსიდან, რომლის მიხედვით, სხვა ინტერესების განსაზღვრის ერთ-ერთ საშუალებად სწორედ საერთაშორისო სტანდარტები მოიაზრება. თუმცა, შესაძლოა ინტერესთა განსაზღვრა ამით არ ამოინუროს, რადგან როგორც უკვე აღინიშნა, კომიტეტის მიერ დადგენილი ელემენტებიც არ არის ამომწურავი და კონკრეტული შემთხვევის მიხედვით, შესაძლოა გამოიკვეთოს აბსოლუტურად განსხვავებული ელემენტების გათვალისწინების საჭიროება. ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, სხვა ინტერესები შესაძლოა გამომდინარეობდეს ოჯახური ურთიერთობებიდან, რელიგიური კუთვნილებიდან, საყვარელი საქმიანობიდან, თუ ეს უკანასკნელი მის საუკეთესო ინტერესს არ ეწინააღმდეგება.<sup>663</sup>

---

<sup>661</sup> შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016, 204.

<sup>662</sup> შალიკაშვილი მ., არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის პროგრამის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბილისი, 2013, 29.

<sup>663</sup> თოდუა ნ., არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, წიგნი: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო),

## 1.2. ინდივიდუალური მახასიათებლების მნიშვნელობა საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და განსაზღვრის პროცესში

ზემოაღნიშნული ელემენტები, მართალია, მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და განსაზღვრის პროცესში, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ კონკრეტულ შემთხვევაში არსებობს ყველა ელემენტის გამოყენების აუცილებლობა. შესაბამისად, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოხდეს რელევანტური ელემენტების იდენტიფიცირება, რისთვისაც აუცილებელია არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლების შესწავლა. სწორედ აღნიშნულ მიდგომას ავითარებს ბავშვის უფლებათა კომიტეტიც და აღნიშნავს, რომ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრა იწყება არასრულწლოვნისათვის დამახასიათებელი იმ სპეციფიკური გარემოებების შეფასებით, რაც არასრულწლოვანს სძენს უნიკალურობას. აღნიშნული წარმოადგენს საქმისათვის სპეციფიკურად დამახასიათებელ ფაქტობრივ კონტექსტში საუკეთესო ინტერესების შეფასებისთვის სათანადო, რელევანტური ელემენტების გამოკვეთის, მათთვის კონკრეტული შინაარსის მინიჭებისა და ერთმანეთთან მიმართებით პრიორიტეტულობის განსაზღვრის საფუძველს, რისთვისაც დაცული უნდა იქნეს ისეთი პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფს სამართლებრივ გარანტიებსა და უფლებებით სათანადოდ სარგებლობას.<sup>664</sup> ამის შემდეგ კი სათანადო ელემენტების მიხედვით ხდება გადაწყვეტილების მიღება.<sup>665</sup>

---

მეორე გამოცემა, გ. ნაჭყებიას და ნ. თოდუას რედაქტორობით, თბილისი, 2016, 652.

<sup>664</sup> General Comment No. 14 “On the Right of the Child to Have his or her Best Interests Taken as a Primary Consideration (Art. 3, para.1)”, UN Committee on the Rights of the Child, Sixty-second Session (14 January - 1 February 2013), CRC/C/GC/14, 29 May, 2013, Paras. 46, 49.

<sup>665</sup> Zermatten J., Best Interests of the Child, in: Child-Friendly Justice: A Quarter of a Century of the UN Convention on the Rights of the Child, Said Mahmoudi, Perniila Leviner, Anna Kaldal, Katrin Lainpelto (Eds.), Brill Nijhoff, Leiden, Boston, 2015, 37.

### 1.2.1. ინდივიდუალური მახასიათებლების შეფასება

იმ პროცედურის გათვალისწინებით, რომელშიც არასრულწლოვანია ჩართული, ბავშვის ინდივიდუალურ მახასიათებლებს შეიძლება ჰქონდეს უფრო მეტი ან ნაკლები მნიშვნელობა მისი საუკეთესო ინტერესის განსაზღვრისას.<sup>666</sup> ბავშვის უფლებათა კომიტეტი ინდივიდუალურ მახასიათებლებში მოიაზრებს ისეთ გარემოებებს, როგორიცაა არასრულწლოვნის ასაკი, სქესი, სიმწიფის ხარისხი, გამოცდილება, უმცირესობათა ჯგუფისადმი კუთვნილება, ფიზიკური, სენსორული თუ ინტელექტუალური შეზღუდული შესაძლებლობების ქონა, სოციალური და კულტურული კონტექსტი, რომელშიც ბავშვი აღმოჩნდება, ჰყავს თუ არა მშობლები, ცხოვრობს თუ არა მათთან, ოჯახთან და მზრუნველებთან ურთიერთობის ხარისხი, გარემო პირობები უსაფრთხოების თვალსაზრისით, ოჯახისათვის ხელმისაწვდომი ხარისხიანი ალტერნატიული საშუალებების არსებობა, ნათესავები, მზრუნველები და სხვ.<sup>667</sup>

საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-14 მუხლის თანახმად, ინდივიდუალურ მახასიათებლებში მოიაზრება არასრულწლოვნის: ასაკი, განვითარების დონე, ცხოვრების, აღზრდისა და განვითარების პირობები, განათლება, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური ვითარება და სხვა გარემოებები, რომლებიც არასრულწლოვნის ხასიათისა და ქცევის თავისებურებების შეფასების და მისი საჭიროებების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა. შეიძლება ითქვას, რომ კოდექსით გათვალისწინებული ინდივიდუალური მახასიათებლები მეტ-ნაკლებად

---

<sup>666</sup> Kalverboer M., How to Assess and Determine the Best Interests of the Child from a Perspective of Child Development and Child-Rearing, in: *The Best Interests of the Child – A Dialogue Between Theory and Practice*, Milka Sormunen (Ed.), Council of Europe, 2016, 67.

<sup>667</sup> General Comment No. 14 “On the Right of the Child to Have his or her Best Interests Taken as a Primary Consideration (Art. 3, para.1)”, UN Committee on the Rights of the Child, Sixty-second Session (14 January - 1 February 2013), CRC/C/GC/14, 29 May, 2013, Para. 48.

მოიცავს კომიტეტის მიერ განსაზღვრულ მახასიათებლებს და ყველა მათგანი ერთიან კონტექსტში უნდა შეფასდეს.

ინდივიდუალური მახასიათებლების შეფასება საუკეთესო ინტერესების შეფასების შემადგენელი ნაწილია. სოციალური სამუშაოს კონტექსტში, შეფასება ხშირად აღწერილია, როგორც პიროვნების საჭიროებებისა და პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით წარმოებული საქმიანობა, რათა გამოვლენილ პრობლემებზე და საჭიროებებზე საპასუხოდ დაიგეგმოს სათანადო ინტერვენცია.<sup>668</sup> შეფასება არის გადაწყვეტილების მისაღებად ინფორმაციის შეგროვების პროცესი.<sup>669</sup> შესაბამისად, იგი გულისხმობს ბავშვის ცხოვრების ამსახველი ყველა გარემოების დადგენას. ამისათვის საჭიროა შეფასებაზე პასუხისმგებელმა პირმა გამოიკვლიოს არასრულწლოვნის ყველა ინდივიდუალური მახასიათებელი,<sup>670</sup> რაც დაკავშირებულია ინფორმაციის შეგროვებასთან და ამ ინფორმაციის გამოყენებასთან გადაწყვეტილების მისაღებად.<sup>671</sup> არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლების შესახებ სრულყოფილი წარმოდგენის შესაქმნელად საჭირო ინფორმაციის მისაღებად, მნიშვნელოვანია არასრულწლოვანთან გასაუბრება და დაკვირვება ბავშვისათვის მეგობრულ გარემოში.<sup>672</sup> გარდა ამისა, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის განსაზღვრად სასა-

---

<sup>668</sup> Dugmore P., *Assessing Young People*, in: *Youth Justice and Social Work*, Dugmore P., Pickford J., Jonathan Parker, Greta Bradley (Eds.), Learning Matters Ltd, Glasgow, 2006, 106.

<sup>669</sup> Vincent G. M., Guy L. S., Grisso Th., *Risk Assessment in Juvenile Justice: A Guidebook for Implementation*, MacArthur Foundation, 2012, 30.

<sup>670</sup> Zermatten J., *Best Interests of the Child*, in: *Child-Friendly Justice: A Quarter of a Century of the UN Convention on the Rights of the Child*, Said Mahmoudi, Pernila Leviner, Anna Kaldal, Katrin Lainpelto (Eds.), Brill Nijhoff, Leiden, Boston, 2015, 37.

<sup>671</sup> Hoge R. D., *The Juvenile Offender: Theory, Research and Application*, Richard M. Lerner (Ed.), Springer Science+Business Media, New-York, 2001, 155.

<sup>672</sup> Kalverboer M., *How to Assess and Determine the Best Interests of the Child from a Perspective of Child Development and Child-Rearing*, in: *The Best Interests of the Child – A Dialogue Between Theory and Practice*, Milka Sormunen (Ed.), Council of Europe, 2016, 67.

მართლოები უნდა ეცადნონ მიიღონ ინფორმაცია იმ პირებისაგან, ვისაც შესწევს უნარი, დახმარება აღმოუჩინონ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის განსაზღვრის პროცესში.<sup>673</sup> საუკეთესო ინტერესების შესაფასებლად და განსაზღვრად გადანყვეტილების მიმღები პირის მიერ არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლების შესახებ ინფორმაციის მიღების საშუალებებში შეიძლება მოვიაზროთ სისხლის სამართლის საქმის მასალები, მოწმეთა ჩვენებები, თავად არასრულწლოვნის შეხედულებები, ფსიქოლოგის მოსაზრებები. ეს უკანასკნელი გადანყვეტილების მიღებისას ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო და დღესაც აქტიურად გამოიყენება,<sup>674</sup> ამასთან, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ევროსასამართლოც. კერძოდ, საოჯახო სამართლებრივ საკითხებზე მიღებულ არაერთ გადანყვეტილებაში სასამართლოს აღუნიშნავს საუკეთესო ინტერესების დასაბუთებული, დამოუკიდებელი და განახლებული ფსიქოლოგიური დასკვნის საფუძველზე შეფასებისა და შესაძლებლობის შემთხვევაში, ფსიქოლოგის მიერ არასრულწლოვნის მოსმენის საჭიროების შესახებ მისი ასაკისა და მონიფულობის დონის გათვალისწინებით.<sup>675</sup> ფსიქოლოგი უზრუნველყოფს უფლებამოსილი პირისათვის დახმარების განევას არასრულწლოვნის ფსიქიკური თავისებურებების, მისი მდგომარეობის, ტემპერამენტის, ხასიათის, ინტელექტუალური შესაძლებლობებისა და სხვა ფსიქოლოგიური მახასიათებლების განსაზღვრის თვალსაზრისით.<sup>676</sup> საუკეთესო ინტერესების შეფასების პროცესში მნიშვნე-

---

<sup>673</sup> Tomkins A.J., *Dispositional Decisionmaking in the Juvenile Justice System: An Empirical Study of the Use of Offense and Offender Information*, "Nebraska Law Review", Vol. 69, Issue 2, 1990, 308.

<sup>674</sup> იქვე, 309.

<sup>675</sup> *Case of Elsholz v. Germany*, Application No. 25735/94, Strasbourg, 13 July, 2000, Para. 53; *Case of Sommerfeld v. Germany*, No. 31871/96, Strasbourg, 8 July, 2003, Para. 67-72; *Guidelines of the Committee of Ministers of the Council of Europe on Child-Friendly Justice*, Explanatory Memorandum, Adopted by the Committee of Ministers of the Council of Europe, Council of Europe Publishing, 17 November, 2010, Para. 38.

<sup>676</sup> გოგინაშვილი ნ., არასრულწლოვნის დაკითხვის თავისებურება, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის უმნიშვნელოვანესი

ნელოვანია მულტიდისციპლინური მიდგომა, რასაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტიც.<sup>677</sup> ევროკავშირის წევრ ზოგიერთ ქვეყანაში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების შესახებ სრულყოფილი სურათის მისაღებად, სასამართლო კონსულტაციას გადის სხვადასხვა დარგის ექსპერტებთან. ზოგიერთ სახელმწიფოში, მაგალითად, იტალიასა და ლუქსემბურგში, კონსულტაციები სავალდებულო ხასიათს არ ატარებს, ხოლო რიგ სახელმწიფოებში, როგორცაა ესტონეთი, რუმინეთი, ლიეტუვა, კონსულტაციები სავალდებულოა მხოლოდ სამართლის ვინრო დარგებში, კერძოდ, საოჯახო საქმეთა წარმოებისას.<sup>678</sup> მნიშვნელოვანია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი ითვალისწინებდეს მოსამართლის მიერ სხვადასხვა დარგის ექსპერტებთან კონსულტაციის გავლის შესაძლებლობას, რადგან ინფორმაციის წყაროსთან უშუალო კავშირი საუკეთესო საშუალებაა სრულყოფილი და ამომწურავი ინფორმაციის მისაღებად, რაც მოსამართლეს გაუადვილებს საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და განსაზღვრის პროცესს, ამასთან, უზრუნველყოფს საუკეთესო ინტერესებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღებისას ცდომილებათა დაშვების პრევენციას.

საუკეთესო ინტერესების შეფასების პროცესში სათანადო ელემენტთა განსაზღვრის მიზნით, ინდივიდუალური მახასიათებლების შეფასებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს ენიჭება, რომელიც, თავის მხრივ, სხვადასხვა წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას ემყარება.

---

პრინციპის მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკაში, „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, №1, 2017, 28.

<sup>677</sup> Guidelines of the Committee of Ministers of the Council of Europe on Child-Friendly Justice, Explanatory Memorandum, Adopted by the Committee of Ministers of the Council of Europe, Council of Europe Publishing, 17 November, 2010, Para. 36.

<sup>678</sup> Children's Involvement in Criminal, Civil and Administrative Judicial Proceedings in 28 Member States of the EU, Policy Brief, European Union, European Commission, Directorate-General for Justice and Consumers, 2015, 23.

## 1.2.2. ინდივიდუალური შეფასების ანგარიში

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 27-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლები განისაზღვრება ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის საფუძველზე. ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგია, წესი და სტანდარტები დგინდება საქართველოს იუსტიციის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით, რომლითაც ასევე დამტკიცებულია ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის ფორმები სისხლის სამართლის პროცესის სტადიების მიხედვით. არასრულწლოვნის ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის ფორმაში აღინიშნება ზოგადი ინფორმაცია არასრულწლოვნისა და მართლსაწინააღმდეგო ქმედების შესახებ, აგრეთვე ინფორმაცია არასრულწლოვნის ფიზიკური განვითარებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის, არასრულწლოვნის ემოციური, კოგნიტური განვითარებისა და ქცევითი თავისებურებების, ქცევითი მიდრეკილებებისა და თვითკონტროლის, განათლების, პროფესიული მომზადების, სპორტული საქმიანობისა და სამუშაო გამოცდილების, ოჯახისა და საცხოვრებელი გარემოს, არასრულწლოვნის სოციალური ქსელისა და ურთიერთობების, თავისუფალი დროისა და ინტერესების შესახებ.<sup>679</sup> აღნიშნული საკითხები, თავის მხრივ, არაერთ ქვესაკითხს აერთიანებს და არასრულწლოვნის შესახებ დეტალურ ინფორმაციას იძლევა.

### 1.2.2.1. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადება

ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადებას განსაკუთრებული დატვირთვა და მნიშვნელობა აქვს არასრულწლოვანთა

---

<sup>679</sup> იხ. „ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგიის, წესისა და სტანდარტის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 15 მარტის №132/№95/№23 ერთობლივი ბრძანება, დანართი №1.1; დანართი №2.1; დანართი №3.1; დანართი №4.1; დანართი №5.1.

მართლმსაჯულების პროცესის ნებისმიერ სტადიაზე, თუმცა ამკ-ის 27-ე მუხლის მე-4-4<sup>1</sup> ნაწილებით განსაზღვრულია სისხლის სამართლის პროცესის ის სტადიები, რა დროსაც სავალდებულოა ანგარიშის მომზადება და გათვალისწინება. კერძოდ, განრიდების ღონისძიების განსაზღვრა, სასჯელის დანიშვნა, საპატიმრო სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვა, არასაპატიმრო სასჯელის აღსრულება და პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვა. ამასთან, იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე აკმაყოფილებს განრიდების საკანონმდებლო კრიტერიუმებს, თუმცა პროკურორი არ იღებს გადაწყვეტილებას განრიდების შესახებ. მხოლოდ აღნიშნულ სტადიებზე ანგარიშის მომზადებისა და გათვალისწინების სავალდებულო ხასიათი თავად ამ სტადიათა მნიშვნელობიდან გამომდინარეობს. კერძოდ, სწორედ ამ ეტაპებზე მიიღება არასრულწლოვნის ცხოვრებაზე არსებითი გავლენის მქონე გადაწყვეტილებები. შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღებამდე საჭიროა მისი საუკეთესო ინტერესების შეფასება და განსაზღვრა, რაც, ბუნებრივია, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის გარეშე სათანადოდ ვერ განხორციელდება. მართლმსაჯულების კოდექსი არ გამორიცხავს ანგარიშის გათვალისწინების შესაძლებლობას პროცესის სხვა ნებისმიერ სტადიაზე, თუმცა ეს დამოკიდებულია კონკრეტულ შემთხვევაში საჭიროების არსებობაზე.<sup>680</sup> ამასთან, მიუთითებს, რომ პროკურორის დადგენილებით ინდივიდუალური შეფასების ანგარიში შესაძლებელია მომზადდეს და გათვალისწინებულ იქნეს სხვა დისკრეციული უფლებამოსილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, თუ სისხლის სამართლის საქმის მიმდინარეობა და ვადები ამის შესაძლებლობას იძლევა,<sup>681</sup> თუმცა, ამ შემთხვევაში, პრობლემურია ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგიისა და წესის არარსებობა,<sup>682</sup> რაც პრაქტიკულად განუხორციელებადს ხდის აღნიშნულ დებულებას. ნორმათა ანალიზის შედეგად,

---

<sup>680</sup> იხ., ამკ-ის 27-ე მუხლის მე-8 ნაწილი.

<sup>681</sup> იხ., იქვე, მე-5 ნაწილი.

<sup>682</sup> მახარობლიძე თ., ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მნიშვნელობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, №1, 2017, 82.

შეიძლება დავასკვნათ, რომ კანონმდებელმა სისხლის სამართლის პროცესის სტადიების მიხედვით ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების სავალდებულო ხასიათი დაუკავშირა არა მარტო სტადიების მნიშვნელობას, არამედ მხედველობაში მიიღო ანგარიშის მომზადების შესაძლებლობაც სისხლის სამართლის საქმის მიმდინარეობისა და ვადების გათვალისწინებით. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს დირექტივა ინდივიდუალური შეფასების განხორციელების ვალდებულები-საგან გადახვევის შესაძლებლობას ითვალისწინებს მხოლოდ იქ, სადაც ასეთი გადახვევა გამართლებულია კონკრეტული საქმის გარემოებებით და შეესაბამება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს.<sup>683</sup> სადავოა საკითხი, რამდენად უნდა იყოს სავალდებულო ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადება აღკვეთის ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას. მართალია, ევროსა-სამართლო ცალსახად მოითხოვს თითოეული ბრალდებულისათვის წინასწარი პატიმრობის შეფარდების აუცილებლობის საკითხის ინდივიდუალურად განხილვასა და ინდივიდუალური გარემოებების შეფასებას,<sup>684</sup> რომლის არარსებობას ევროკონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პარაგრაფის საპირისპიროდ „განსაკუთრებული გულისხმიერების“ ნაკლებობად აფასებს,<sup>685</sup> მაგრამ საყურადღებოა, რომ ინდივიდუალური გარემოებების შეფასება აუცილებლად არ არის დაკავშირებული ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადებასთან, მით უფრო, აღკვეთის ღონისძიების საკითხის გადაწყვეტის შემჭიდროვებული ვადების გათვალისწინებით, რა დროსაც პრაქტიკულად შეუძლებელია ანგარიშის მომზადების უზრუნველ-

---

<sup>683</sup> Directive (EU) 2016/800 of the European Parliament and of the Council, on Procedural Safeguards for Children Who are Suspects or Accused Persons in Criminal Proceedings, 11 May, 2016, Art. 7 (9).

<sup>684</sup> ხაინდრავა ნ., ბოხაშვილი ბ., ხიდაშელი თ., წინასწარი პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა სასამართლოს ანალიზი, ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“, 2010, 67.

<sup>685</sup> გიორგი ნიკოლაიშვილი საქართველოს წინააღმდეგ, საჩივარი № 37048/04, სტრასბურგი, 13 იანვარი, 2009, პარა. 73; ფაცურია საქართველოს წინააღმდეგ, საჩივარი № 30779/04, სტრასბურგი, 6 ნოემბერი, 2007, პარა. 74.

ყოფა. შესაბამისად, ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება პატიმრობის შეფარდებისას, ასევე აღკვეთის ღონისძიების შეცვლისას მოსამართლის მიერ ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების აუცილებლობასთან დაკავშირებით, არ უნდა იქნეს გაზიარებული.<sup>686</sup> აღნიშნულის საპირისპიროდ, ანგარიშის მომზადებისა და გათვალისწინების სავალდებულოება შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოსამართლის ინიციატივით პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხის გადაწყვეტისას (როგორც საქმის არსებით განხილვამდე, ისე არსებითი განხილვის ეტაპზე), რა დროსაც ამკ-ით დადგენილი ვადები იძლევა ამის შესაძლებლობას.<sup>687</sup> ასეთ დროს მომზადებული ანგარიში შესაძლოა აგრეთვე გამოყენებულ იქნეს მოსამართლის ინიციატივით თუ მხარის შუამდგომლობის საფუძველზე პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხის ყოველი მოდევნო განხილვისას. ყველა სხვა შემთხვევაში, შესაძლოა განვიხილოთ ე.წ. „წინასწარი ანგარიშის“ მომზადების საკითხი, რომელიც მოსამართლისათვის მხოლოდ იმ ინფორმაციის მიწოდებას უზრუნველყოფს, რის შესაძლებლობასაც საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადები იძლევა, თუმცა ამ შემთხვევაშიც კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება წინასწარი ანგარიშის ეფექტიანობა და შესაძლოა არასრულყოფილი ინფორმაციის გათვალისწინებამ უარყოფითი შედეგებიც კი გამოიღოს.

სისხლის სამართლის პროცესის სტადიების მიხედვით ასევე განსხვავებულია ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგია, წესი და მის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირები. აღნიშნულ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს, რათა ანგარიშის მომზადება არ ატარებდეს ფორმალურ

---

<sup>686</sup> შალიკაშვილი მ., არასრულწლოვნის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება ქართული სისხლის სამართლის მიხედვით, „გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი“, მე-2 გამოცემა, 2016, 27; მახარობლიძე თ., ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მნიშვნელობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, №1, 2017, 81.

<sup>687</sup> იხ., ამკ-ის 64-ე მუხლის მე-2-მე-3 ნაწილები.

ხასიათს, რაც ვერ უზრუნველყოფს სრულყოფილი ინფორმაციის მოძიებას და, შესაბამისად, საუკეთესო ინტერესების შეფასების პროცესის სათანადოდ წარმართვას, რამაც შესაძლოა გამოუწონორებელ შედეგებამდეც მიგვიყვანოს და საფუძვლად დაედოს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის მცდარ განსაზღვრებას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის შედეგებისას არსებულ პრობლემატურ საკითხთა ანალიზი. კერძოდ, განრიდების ღონისძიების განსაზღვრისას, აგრეთვე განრიდების საკანონმდებლო კრიტერიუმების დაკმაყოფილების მიუხედავად, პროკურორის მიერ განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიუღებლობის შემთხვევაში, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადებას უზრუნველყოფს არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო მისი სტრუქტურული ერთეულის სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს სოციალური მუშაკის მეშვეობით, ხოლო პრობაციის ბიუროს იმ სამოქმედო ტერიტორიაზე, სადაც არ ხორციელდება სოციალური მუშაკის მომსახურება - სპეციალურად გადამზადებული პრობაციის ოფიცრის მეშვეობით.<sup>688</sup> აღსანიშნავია, რომ პრობაციის ოფიცერი შესაძლოა იყოს ნებისმიერი პროფესიის მქონე პირი<sup>689</sup>, შესაბამისად, შეუძლებელია, იგი ფლობდეს სოციალური მუშაკისათვის დამახასიათებელ უნარ-ჩვევებს. ის ფაქტი, რომ სახელმწიფოს არ გააჩნია ყველა პრობაციის ბიუროში სოციალური მუშაკის დასაქმების რესურსი, არ წარმოადგენს ობიექტურ მიზეზს სათანადო კვალიფიკაციის არმქონე პირის მიერ სოციალური შეფასების წარმართვის გასამართლებლად. ანალოგიური პრობლემა იკვეთება არასაპატიმრო სასჯელის აღსრულების შემთხვევაშიც.

---

<sup>688</sup> იხ. „ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგიის, წესისა და სტანდარტის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 15 მარტის №132/№95/№23 ერთობლივი ბრძანება, დანართი №1, პირველი მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>689</sup> იხ., „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 9<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტი.

კერძოდ, პრობაციის ბიუროში არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რისკის შეფასებასა და სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის შედგენას ახორციელებს მულტიდისციპლინური გუნდი, რომელიც, როგორც წესი, შედგება კონკრეტულ არასრულწლოვან მსჯავრდებულთან მომუშავე პრობაციის ოფიცრის, სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგისგან, ხოლო პრობაციის ბიუროს იმ სამოქმედო ტერიტორიაზე, რომელზეც არ ხორციელდება სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის მომსახურებები, არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რისკის შეფასებას და სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის შედგენას უზრუნველყოფს მხოლოდ პრობაციის ოფიცერი.<sup>690</sup>

გარდა ზემოაღნიშნულისა, განრიდების ღონისძიების განსაზღვრისას, ინდივიდუალური შეფასება ხორციელდება არასრულწლოვანთან, მისი ოჯახის წევრებსა და მასთან დაკავშირებული სოციუმის სხვა წარმომადგენლებთან ინტერვიუების მეშვეობით. საჭიროების შემთხვევაში, არასრულწლოვანსა და მის ოჯახთან შეთანხმებით, სოციალურ მუშაკს შეუძლია, შეფასების პროცესში ჩართოს სხვადასხვა დარგის პროფესიონალები (პედაგოგი, ფსიქოლოგი, ექიმი, ფსიქიატრი და სხვ.). სოციალურ მუშაკს არასრულწლოვანის ინდივიდუალური შეფასებისათვის, დასკვნისა და ხელშეკრულების სარეკომენდაციო პირობების შესამუშავებლად განესაზღვრება 10 დღიანი ვადა, რაც მოიცავს არასრულწლოვანთან და მის ოჯახთან არანაკლებ ერთ და არაუმეტეს სამ შეხვედრას.<sup>691</sup> აღსანიშნავია, რომ მხოლოდ არასრულწლოვანთან და მის ოჯახთან შეხვედრების წარმართვა ვერ უზრუნველყოფს სრულყოფილი და ობიექტური ინფორმაციის მიღებას, შესაბამისად, სოციალურ მუშაკს უნდა გააჩნდეს შეფასების პროცესში სხვადასხვა დარგის

---

<sup>690</sup> იხ. „ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგიის, წესისა და სტანდარტის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 15 მარტის №132/№95/№23 ერთობლივი ბრძანება, დანართი №4, მე-2 მუხლის პირველი-მე-3 პუნქტები.

<sup>691</sup> იქვე, დანართი №1, მე-3 მუხლის მე-7, მე-10 პუნქტები.

პროფესიონალთა ჩართვის ვალდებულება, არასრულწლოვანსა და მის ოჯახთან ყოველგვარი შეთანხმების გარეშე. გარდა ამისა, გასაზიარებელია ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ 10 სამუშაო დღე არ წარმოადგენს ინფორმაციის ჯეროვნად მოძიებისა და დამუშავებისათვის საკმარის ვადას, ამასთან, მიზანშეწონილია, სოციალურმა მუშაკმა საჭიროებიდან გამომდინარე თავად განსაზღვროს შეხვედრების მაქსიმალური რაოდენობა.<sup>692</sup> სხვადასხვა დარგის პროფესიონალთა ჩართულობის უზრუნველყოფის ვალდებულების არსებობა ასევე მნიშვნელოვანია სასჯელის დანიშვნის ეტაპზე ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადებისას, ვინაიდან ანგარიში მზადდება მხოლოდ არასრულწლოვანთან, მისი ოჯახის წევრებსა და მასთან დაკავშირებული სოციალური გარემოს სხვა წარმომადგენლებთან ინტერვიუების მეშვეობით. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ინტერვიუ შესაძლოა განხორციელდეს სატელეფონო კავშირის გამოყენებით,<sup>693</sup> რაც პრინციპულად მიუღებელია, რადგან შეუძლებელია სატელეფონო კავშირით ინტერვიუს ეფექტიანად წარმართვა და სრულყოფილი ინფორმაციის მოპოვება.

ზემოთგანხილული საკითხები ნათლად წარმოაჩენს ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის შედგენისას არსებულ ხარვეზებს, რაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლების შესახებ ინფორმაციის სრულყოფილებასა და სანდოობას. შესაბამისად, საფრთხის ქვეშ დგება საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და განსაზღვრის პროცესის სათანადოდ წარმართვისა და საუკეთესო ინტერესებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების საკითხი.

---

<sup>692</sup>მახარობლიძე თ., ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მნიშვნელობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, №1, 2017, 80.

<sup>693</sup> იხ. „ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგიის, წესისა და სტანდარტის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 15 მარტის №132/№95/№23 ერთობლივი ბრძანება, დანართი №2, მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი.

### 1.2.2.2. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის შედეგები

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 27-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშში აისახება არასრულწლოვნის განსაკუთრებული საჭიროებები, დანაშაულის/ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის რისკი და, შესაბამისად, არასრულწლოვნის სათანადო განვითარებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობისათვის რეკომენდირებული ღონისძიებები. თუმცა, მიუხედავად კოდექსში არსებული განმარტებისა, რომელიც მხოლოდ საჭიროებებზე და რისკებზე აკეთებს ძირითად აქცენტს, მნიშვნელოვანია, ინდივიდუალური მახასიათებლების შეფასება იმგვარად იყოს დაბალანსებული, რომ მოახდინოს როგორც პრობლემატური ქცევისა და რისკების, ისე პოზიტიური ფაქტორებისა და ძლიერი მხარეების იდენტიფიცირება.<sup>694</sup>

#### 1.2.2.2.1. რისკფაქტორების, საჭიროებებისა და დამცავი ფაქტორების განსაზღვრა

ზემოთგანხილული ინდივიდუალური შეფასების ანგარიშები აღწერს რა კანონთან კონფლიქტში მყოფი პირისათვის დამახასიათებელ ყველა გარემოებას, ამავდროულად, უზრუნველყოფს არასრულწლოვნის საჭიროებების, რისკფაქტორებისა და პოზიტიური ფაქტორების გამოკვეთას, რაც დასკვნის სახით აღინიშნება ანგარიშში და რომლის გაანალიზების საფუძველზე გადანყვეტილების მიმღები პირი განსაზღვრავს საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და განსაზღვრისას მხედველობაში მისაღებ ელემენტებს და ღებულობს შესაბამის გადანყვეტილებას.

დანაშაულის ჩადენის რისკფაქტორი განიმარტება, როგორც ცვალებადი ელემენტი, რომელიც პროგნოზირებს დანაშაულის

---

<sup>694</sup> Dugmore P., *Assessing Young People*, in: *Youth Justice and Social Work*, Dugmore P., Pickford J., Jonathan Parker, Greta Bradley (Eds.), Learning Matters Ltd, Glasgow, 2006, 107.

ჩადენის მაღალ ალბათობას.<sup>695</sup> კრიმინალური პროგნოზი ძირითადად იმ პირთა მიმართ მართლდება, რომელთა შემთხვევაში მრავალი რისკფაქტორი არსებობს.<sup>696</sup> რისკფაქტორი შეიძლება იყოს როგორც სტატიკური, ისე დინამიკური. სტატიკური რისკფაქტორი არაცვალეზადი ხასიათისაა. მაგ. ასაკი, როდესაც არასრულწლოვანმა პირველად ჩაიდინა დანაშაული, დანაშაულებრივი ისტორია და ა.შ. დინამიკურ რისკფაქტორებს ახასიათებს დროში ცვალეზადობა ინტერვენციისა და ნორმალური განვითარების პროცესის შედეგად.<sup>697</sup> ლიტერატურაში ასევე გამოყოფენ ინდივიდუალურ, სოციალურ და საზოგადოებრივ რისკფაქტორებს.<sup>698</sup> საჭიროებები შეიძლება იყოს, როგორც კრიმინოგენული, ისე არაკრიმინოგენული. კრიმინოგენული საჭიროებები შეიძლება განვიხილოთ დინამიკური რისკფაქტორების სინონიმად და უკავშირდება კონკრეტული არასრულწლოვნის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის რისკს. ამგვარ საჭიროებებთან სათანადოდ გამკლავების შედეგად, იკლებს დანაშაულის ჩადენის რისკიც.<sup>699</sup> უნდა აღინიშნოს, რომ

---

<sup>695</sup> Farrington D. P., Loeber R., Maria M., Ttofi M. M., Risk and Protective Factors for Offending, *The Oxford Handbook of Crime Prevention*, Brandon C. Welsh, David P. Farrington (Eds.), Oxford University Press, Oxford, 2012, 46.

<sup>696</sup> შალიკაშვილი მ., ჩიხლაძე დ., პირობით ვადამდე გასათავისუფლებელი მსჯავრდებულებისთვის რისკ-ფაქტორების შეფასების კრიმინოლოგიური ანალიზი, თბილისი, ბერლინი, 2013, 22.

<sup>697</sup> Vincent G. M., Guy L. S., Grisso Th., Risk Assessment in Juvenile Justice: A Guidebook for Implementation, MacArthur Foundation, 2012, 32; Vincent G. M., Chapman J., Cook N. E., Risk-Needs Assessment in Juvenile Justice: Predictive Validity of the SAVRY, Racial Differences and the Contribution of Needs Factors, "Criminal Justice and Behavior", Vol. 38, Issue 1, 2011, 43; Hoge R. D., Assessment in Juvenile Justice Systems, in: *Treating the Juvenile Offender*, Robert D. Hoge, Nancy G. Guerra, Paul Boxer (Eds.), The Guilford Press, New-York, London, 2008, 55.

<sup>698</sup> ხერხეულიძე ი., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში არსებული პრევენციის დონეები და შერჩეული ინტერვენციის ეფექტურობა, „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, №1, 2017, 37-38.

<sup>699</sup> Vincent G. M., Guy L. S., Grisso Th., Risk Assessment in Juvenile Justice: A Guidebook for Implementation, MacArthur Foundation, 2012, 31-32; Cervera V. G., Loria C. G., Hernández C. A. M., Solís L. M. C., Treatment of

კრიმინოგენული საჭიროებები განმეორებით დანაშაულებრიობასთან მიმართებით რელევანტურობას იძენს ძირითადად არა ინდივიდუალურ, არამედ ზოგად დონეზე. კონკრეტული არასრულწლოვნის შემთხვევაში მხოლოდ ზოგიერთი კრიმინოგენული საჭიროება შეიძლება იწვევდეს დანაშაულს. ამიტომაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონკრეტული არასრულწლოვნისათვის რისკვაქტორების ინდივიდუალიზებული შეფასება. მაგალითად, ორ არასრულწლოვანს შეიძლება ახასიათებდეს კრიმინოგენული საჭიროება (დინამიკური რისკვაქტორი) რაც გამოიხატება მავნე ნივთიერებების მოხმარებაში, მაგრამ აღნიშნული გარემოება ერთი მათგანის შემთხვევაში შეიძლება დაკავშირებული იყოს მის მიერ დანაშაულის ჩადენასთან, ხოლო მეორეს შემთხვევაში - საერთოდ არ იწვევდეს დანაშაულებრივ ქცევას.<sup>700</sup> შესაბამისად, მხოლოდ საჭიროებების გამოკვეთა ვერ მოგვცემს სრულ სურათს რისკვაქტორების იდენტიფიცირების გარეშე, მით უფრო, იმ პირობებში, რომ ზოგიერთი საჭიროება შეიძლება არაკრიმინოგენული იყოს, რაც გავლენას არ ახდენს მართლსაწინააღმდეგო ქცევაზე. მაგალითად, დაბალი თვითშეფასების გრძნობის არსებობის შემთხვევაში, სასურველია თვითშეფასების გრძნობის ამაღლება ინდივიდის ზოგადი კეთილდღეობისათვის, თუმცა აღნიშნული არ გამოიწვევს ცვლილებებს კანონსაწინააღმდეგო ქცევის თვალსაზრისით. ამის მიზეზია ის, რომ დაბალი თვითშეფასება არ არის განმეორებითი დანაშაულის ჩადენის რისკვაქტორი. მიუხედავად ამისა, არაკრიმინოგენული საჭიროებების გათვალისწინება მნიშვნელოვანია სათანადო ინტერვენციის დასაგეგმად.<sup>701</sup> არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და განსაზღვრის პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება როგორც კრიმინოგენულ, ისე არაკრიმი-

---

Adolescents in Conflict with the Law: Towards the Reduction of Recidivism, "US-China Law Review", Vol. 14, No.10, 2017, 681.

<sup>700</sup> Vincent G. M., Guy L. S., Grisso Th., Risk Assessment in Juvenile Justice: A Guidebook for Implementation, MacArthur Foundation, 2012, 33.

<sup>701</sup> იქვე; Cervera V. G., Loría C. G., Hernández C. A. M., Solís L. M. C., Treatment of Adolescents in Conflict with the Law: Towards the Reduction of Recidivism, "US-China Law Review", Vol. 14, No.10, 2017, 681.

ნოგენულ ფაქტორებს ანუ იმ ფაქტორებს, რომლებიც განაპირობებენ რისკს და ფაქტორებს, რომლებიც არ უკავშირდებიან დანაშაულის ჩადენისა თუ ზიანის მიყენების რისკებს, თუმცა მიუთითებენ არასრულწლოვნის გარკვეულ საჭიროებებზე, რაც საუკეთესო ინტერესების განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული. ამრიგად, საუკეთესო ინტერესების განსაზღვრად საჭირო ელემენტთა გამოვლენის მიზნით საჭიროა არა მარტო რისკ-ფაქტორების, არამედ სხვა, რისკთან შემხებლობაში არმყოფი საჭიროებების მხედველობაში მიღება.

დამცავი ფაქტორები მოქმედებენ რისკფაქტორებთან ერთად, რათა შეამცირონ მათი ეფექტი<sup>702</sup> და შეიძლება განვიხილოთ, როგორც რისკის მოდერატორები.<sup>703</sup> ანუ დამცავი ფაქტორი წარმოადგენს რისკის შემამცირებელ გარემოებას. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დამცავ ფაქტორად არ განიხილება ორდინალური მოვლენა, არამედ მოიაზრება ჩვეულებრივზე აღმატებული გარემოებები. მაგალითად, არასრულწლოვნის ცხოვრებაში ახლო ნათესავების არსებობა არ არის დამცავი ფაქტორი, მაშინ როდესაც მხარდამჭერი ახლო ნათესავი, რომელიც დადებითი მაგალითია არასრულწლოვნისათვის და მასთან ხშირად ატარებს დროს, წარმოადგენს დამცავ ფაქტორს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დამცავი ფაქტორების არარსებობა, უპირობოდ არ წარმოადგენს ცუდი შედეგის დადგომის მაჩვენებელს. ამასთან, დამცავი ფაქტორები არც რისკფაქტორების სანინაალმდეგო მოვლენად განიხილება. მაგ. სკოლაში ცუდი აკადემიური მოსწრება არის რისკფაქტორი, მაგრამ კარგი მოსწრება ავტომატურად არ ნიშნავს დამცავ ფაქტორს, მაშინ როდესაც განსაკუთრებული აკადემიური აქტივობა განიხილება, როგორც დამცავი ფაქტორი. რაც უფრო მეტი

---

<sup>702</sup> Farrington D. P., Loeber R., Maria M. Tfofi M. M., Risk and Protective Factors for Offending, *The Oxford Handbook of Crime Prevention*, Brandon C. Welsh, David P. Farrington (Eds.), Oxford University Press, Oxford, 2012, 47.

<sup>703</sup> Vincent G. M., Chapman J., Cook N. E., Risk-Needs Assessment in Juvenile Justice: Predictive Validity of the SAVRY, Racial Differences and the Contribution of Needs Factors, *"Criminal Justice and Behavior"*, Vol. 38, Issue 1, 2011, 44.

დამცავი ფაქტორი არსებობს არასრულწლოვნის ცხოვრებაში, მით ნაკლებ გავლენას ახდენს არსებული რისკფაქტორები მის ქცევაზე და შედეგად, ნაკლებად მიდრეკილნი არიან დანაშაულის ჩადენისკენ.<sup>704</sup>

სასჯელის დანიშვნისას ინდივიდუალური შეფასების ანგარიში ითვალისწინებს თითოეულ საკითხთან დაკავშირებით როგორც რისკფაქტორებისა და საჭიროებების, ისე დამცავი ფაქტორების გამოკვეთის აუცილებლობას და იმის არგუმენტირებულად ახსნას, თუ რა გავლენის მოხდენა შეუძლია ამა თუ იმ გარემოებას არასრულწლოვნის მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების (რეალურის ან პოტენციურის) განხორციელებაზე. გარდა ამისა, კეთდება საბოლოო დასკვნა, რომელიც აჯამებს მართლსაწინააღმდეგო ქმედების ხელშემწყობ და მსგავსი ქმედებებისაგან დამცავ მნიშვნელოვან შინაგან და გარეგან ფაქტორებს. თითქმის ანალოგიური მიდგომაა განრიდების ღონისძიების განსაზღვრისა და არასაპატიმრო სასჯელის აღსრულების შემთხვევაშიც, რა დროსაც თითოეულ საკითხთან დაკავშირებით კეთდება შემთხვევითი დასკვნა, რაც, როგორც წესი, გულისხმობს არსებული პრობლემებისა და პოზიტიური ფაქტორების იდენტიფიცირებას, ხოლო ამის შემდეგ, ყალიბდება საბოლოო დასკვნა, რაც აჯამებს იმ რისკებსა და პრობლემებს, რომლებიც შემდგომ რეაგირებას საჭიროებს. თუმცა, ამ შემთხვევაში, ანგარიშიდან არ გამომდინარეობს დამცავი, პოზიტიური ფაქტორების გამოკვეთის პირდაპირი მოთხოვნა, რაც უარყოფითად უნდა შეფასდეს. რაც შეეხება საპატიმრო სასჯელის აღსრულებას, ასეთ დროს, ანგარიშში თითოეული საკითხიდან გამომდინარე აღინიშნება სამართალდარღვევის ჩადენის ალბათობის მაჩვენებელი, ხოლო დამცავი ფაქტორების გაანალიზება ხდება მხოლოდ პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების საქმის განხილვისა და არასრულწლოვნის დაწესებულებიდან გასვლის წინ, თუმცა პოზიტიური ფაქტორების გათვალისწინება ასევე მნიშვნელოვანია სასჯელის აღსრულების მთელი პროცესის განმავლობაში, სასჯე-

---

<sup>704</sup> Vincent G. M., Guy L. S., Grisso Th., Risk Assessment in Juvenile Justice: A Guidebook for Implementation, MacArthur Foundation, 2012, 34.

ლის ეფექტიანად დაგეგმვისა და აღსრულების მიზნით. გასათვალისწინებელია, რომ განსხვავებით ზემოაღნიშნული ანგარიშის ფორმებისაგან, პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისას ინდივიდუალური შეფასების ანგარიში მოიცავს მხოლოდ მშრალ დახასიათებას, შესაბამისი დასკვნების გაკეთების გარეშე,<sup>705</sup> რაც ასევე უარყოფითად უნდა შეფასდეს, რადგან თავად ადგილობრივ საბჭოს უნევს შესაბამისი დასკვნების გამოტანა, მაშინ როდესაც არსებული რისკების, საჭიროებებისა და პოზიტიური ფაქტორების შესახებ დასკვნებს შესაბამისი სპეციალისტები – სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი - უნდა აყალიბებდნენ.

#### 1.2.2.2. რისკის დონის განსაზღვრა

რისკის შეფასება ზოგადად მოიცავს როგორც განმეორებითი დანაშაულის ჩადენის რისკის, ისე საკუთარი თავისა და საზოგადოებისათვის ზიანის მიყენების რისკის განსაზღვრას.<sup>706</sup> რისკის დონის განსაზღვრა დამოკიდებულია არსებულ რისკფაქტორებზე და დამცავ ფაქტორებზე. რაც უფრო მეტი დინამიკური თუ სტატიკური რისკფაქტორი არსებობს, ბუნებრივია, მით მაღალია რისკის დონე.<sup>707</sup> არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია რისკის ორივე სახის გათვალისწინება. საკუთარი თავისათვის ზიანის მიყენების რისკის იგნორირების პირობებში შეუძლებელია არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის

---

<sup>705</sup> იხ. „ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგიის, წესისა და სტანდარტის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 15 მარტის №132/№95/№23 ერთობლივი ბრძანება, დანართი №1.1; დანართი №2.1; დანართი №3.1; დანართი №4.1; დანართი №5.1.

<sup>706</sup> Dugmore P., *Assessing Young People*, in: *Youth Justice and Social Work*, Dugmore P., Pickford J., Jonathan Parker, Greta Bradley (Eds.), Learning Matters Ltd, Glasgow, 2006, 116.

<sup>707</sup> Vincent G. M., Chapman J., Cook N. E., *Risk-Needs Assessment in Juvenile Justice: Predictive Validity of the SAVRY, Racial Differences and the Contribution of Needs Factors*, "Criminal Justice and Behavior", Vol. 38, Issue 1, 2011, 44.

სწორად განსაზღვრა. სხვისთვის ზიანის მიყენების რისკი კი მჭიდრო კავშირშია ახალი დანაშაულის ჩადენის რისკთან. ამ უკანასკნელის შეფასება ემსახურება რა საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ამავდროულად, მნიშვნელოვან როლს ასრულებს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების სათანადოდ რეალიზების თვალსაზრისით, რადგან უზრუნველყოფს სასჯელის მიზნების – არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და ახალი დანაშაულის თავიდან აცილების - მიღწევას, რაც, თავის მხრივ, შეუძლებელია არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესს ეწინააღმდეგებოდეს.

ახალი დანაშაულის ჩადენის რისკის დონე შეიძლება იყოს დაბალი, საშუალო და მაღალი. დაბალი რისკი გულისხმობს, რომ არასრულწლოვანი, მისი მახასიათებლებიდან გამომდინარე, ახლო მომავალში არ ჩაიდენს ახალ დანაშაულს, თუნდაც მის მიმართ არ განხორციელდეს რაიმე ინტერვენცია, რაც არ გულისხმობს რისკის საერთოდ გამორიცხვას. რისკის მაღალი დონე გულისხმობს ახლო მომავალში დანაშაულის ჩადენის მაღალ ალბათობას, თუ არ განხორციელდება შესაბამისი ინტერვენცია და ზედამხედველობა. საშუალო რისკის შემთხვევაში, არ არსებობს ინტერვენციის იმავდონეზე განხორციელების საჭიროება, როგორც მაღალი რისკისას. ამ კატეგორიას განეკუთვნებიან ის არასრულწლოვნები, რომელთა ახალი დანაშაულის ჩადენის მაჩვენებელი ახლოს დგას ზოგადად არასრულწლოვანთა მიერ განმეორებითი დანაშაულის ჩადენის საშუალო მაჩვენებელთან.<sup>708</sup>

აღსანიშნავია, რომ არასაპატიმრო სასჯელის აღსრულებისას ინდივიდუალური შეფასების ანაგარიში ითვალისწინებს როგორც საკუთარი თავისა და სხვისთვის ზიანის მიყენების, ისე ახალი დანაშაულის ჩადენის რისკის შეფასებას.<sup>709</sup> აღნიშნულ საკითხს

---

<sup>708</sup> Vincent G. M., Guy L. S., Grisso Th., Risk Assessment in Juvenile Justice: A Guidebook for Implementation, MacArthur Foundation, 2012, 29-30.

<sup>709</sup> იხ. „ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგიის, წესისა და სტანდარტის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის

განსაკუთრებული ყურადღება უნდა ეთმობოდეს არა მარტო არასაპატიმრო სასჯელის აღსრულებისას, არამედ მართლმსაჯულების განხორციელების ყველა მნიშვნელოვან ეტაპზე, განსაკუთრებით სასჯელის დანიშვნისას. მართალია, ასეთ დროს დასკვნის სახით ჯამდება მართლსაწინააღმდეგო ქმედების ხელშემწყობი და მსგავსი ქმედებებისაგან დამცავი მნიშვნელოვანი შინაგანი და გარეგანი ფაქტორები, რაც იძლევა როგორც ზიანის რისკის, ისე ახალი დანაშაულის ჩადენის ალბათობის განსაზღვრის შესაძლებლობას, მაგრამ აუცილებელია, ანგარიშში ამ ინფორმაციის ასახვის პირდაპირი მოთხოვნის არსებობა და, ამავდროულად, ქულათა სისტემის შემუშავება, რაც რისკის დონის განსაზღვრის უფრო ზუსტი საშუალებაა.

ინდივიდუალური შეფასების ანგარიშზე მსჯელობისას გამოვლენილი ზემოაღნიშნული ხარვეზების გათვალისწინებით, საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და განსაზღვრის პროცესის სათანადოდ წარმართვისა და საუკეთესო ინტერესებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების უზრუნველსაყოფად, საჭიროა სათანადო ცვლილებების განხორციელება „ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგიის, წესისა და სტანდარტის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 15 მარტის №132/№95/№23 ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებულ შესაბამის დანართებში.

### **1.2.2.2.3. რეკომენდირებული ღონისძიებების განსაზღვრა**

ინდივიდუალური შეფასების ანგარიში გარდა რისკფაქტორების, საჭიროებებისა და დამცავი ფაქტორებისა, მოიცავს ასევე არასრულწლოვნის საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშემწყობისათვის საჭირო რეკომენდირებულ ღონისძიებებს. აქ მოიაზრება

---

15 მარტის №132/№95/№23 ერთობლივი ბრძანება, დანართი №4, მე-3-მე-4 მუხლები.

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე ინტერვენციის გეგმა, კონკრეტული ღონისძიებების განხორციელება გამოკვეთილი რისკების, საჭიროებებისა და დამცავი ფაქტორების გათვალისწინებით. არასრულწლოვანზე ზემოქმედების ღონისძიებების დონე უნდა იყოს რისკის დონის თანხვედრი. რაც უფრო მაღალია რისკის დონე, მით უფრო ინტენსიური იქნება ზემოქმედების ღონისძიებები.<sup>710</sup> ამასთან, ინტერვენციის დაგეგმვისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ე.წ. „რეაგირების ფაქტორების“ გათვალისწინება ანუ არასრულწლოვნისათვის დამახასიათებელი არაკრიმინოგენული გარემოებების მხედველობაში მიღება, რომლებიც გავლენას ახდენს ინტერვენციისას მის პროგრესზე. მაგალითად, მოტივაცია, მშობლების ჩართულობა, სწავლის განსხვავებული სტილი, ჯანმრთელობის პრობლემები და სხვ.<sup>711</sup> აღნიშნული საშუალებას გვაძლევს, შევაფასოთ რამდენად არსებობს ინტერვენციის ეფექტიანობის დამაბრკოლებელი გარემოებები. რეკომენდირებული ღონისძიებები წარმოადგენს არსებულ პრობლემებზე რეაგირების საშუალებებს, რაც შესაძლოა გათვალისწინებულ იქნეს გადაწყვეტილების მიმღები პირის მიერ. აღნიშნული ღონისძიებები უშუალო კავშირში არ არის თავად საუკეთესო ინტერესების შეფასება-განსაზღვრასთან, თუმცა მნიშვნელოვან როლს ასრულებს საბოლოო გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით. კერძოდ, თუ მაგალითად, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი მისი რესოციალიზაცია-რეაბილიტაციაა, რეკომენდირებული ღონისძიება გვთავაზობს ამ მიზნის მისაღწევ ქმედებებს.

---

<sup>710</sup> Cervera V. G., Loria C. G., Hernández C. A. M., Solís L. M. C., Treatment of Adolescents in Conflict with the Law: Towards the Reduction of Recidivism, "US-China Law Review", Vol. 14, No.10, 2017, 671; Vincent G. M., Chapman J., Cook N. E., Risk-Needs Assessment in Juvenile Justice: Predictive Validity of the SAVRY, Racial Differences and the Contribution of Needs Factors, "Criminal Justice and Behavior", Vol. 38, Issue 1, 2011, 43.

<sup>711</sup> Vincent G. M., Guy L. S., Grisso Th., Risk Assessment in Juvenile Justice: A Guidebook for Implementation, MacArthur Foundation, 2012, 31, 34; Cervera V. G., Loria C. G., Hernández C. A. M., Solís L. M. C., Treatment of Adolescents in Conflict with the Law: Towards the Reduction of Recidivism, "US-China Law Review", Vol. 14, No.10, 2017, 681.

შესაბამისად, რეკომენდაციების გათვალისწინების შემთხვევაში, საბოლოო გადანყვეტილება უნდა უზრუნველყოფდეს ამ ქმედებათა განხორციელების შესაძლებლობას. წინააღმდეგ შემთხვევაში, საუკეთესო ინტერესი ფაქტობრივად ვერ რეალიზდება და გადანყვეტილება ვერ დააკმაყოფილებს საუკეთესო ინტერესების გათვალისწინების სტანდარტს.

### **1.3. რელევანტურ ელემენტთა განსაზღვრა და მათთვის სათანადო ღირებულების მინიჭება**

არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლების შესწავლისა და გაანალიზების შემდეგ ეტაპს წარმოადგენს რელევანტურ ელემენტთა განსაზღვრა, მათთვის სათანადო შინაარსის მინიჭება, მათი შეფასება ანუ სათანადო ღირებულების დადგენა, ერთმანეთთან მიმართებით პრიორიტეტულობის განსაზღვრა და საჭიროების შემთხვევაში, ბალანსის დაცვა. აღნიშნული პროცესი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლების შეფასების შედეგებზე. რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა ელემენტი ვერ იქნება რელევანტური ყველა შესაძლო შემთხვევისათვის და თითოეული ელემენტის შინაარსი აუცილებლად განსხვავებული იქნება თითოეული არასრულწლოვნისა და შემთხვევის მიხედვით. შესაბამისად, განსხვავებული იქნება თითოეული ელემენტის მნიშვნელობა/ღირებულება მთლიანად შეფასებაში. ამა თუ იმ ელემენტის ღირებულება სწორედ დანარჩენი რელევანტური ელემენტების მნიშვნელობაზეა დამოკიდებული.<sup>712</sup>

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან შეიძლება გამოვყოთ არასრულწლოვნის შეხედულებები, როგორც ყველა შემთხვევისათვის რელევანტური, საჭირო ელემენტი, თუმცა, მსგავსად სხვა ელემენტებისა, მისი ღირებულებაც განსხვავებული იქნება ყოველ კონკრე-

---

<sup>712</sup> General Comment No. 14 “On the Right of the Child to Have his or her Best Interests Taken as a Primary Consideration (Art. 3, para.1)”, UN Committee on the Rights of the Child, Sixty-second Session (14 January - 1 February 2013), CRC/C/GC/14, 29 May, 2013, Para. 80.

ტულ შემთხვევაში, რაც დამოკიდებულია არასრულწლოვნის ასაკ-სა და მონიფულობაზე.<sup>713</sup>

#### 1.4. საუკეთესო ინტერესების შეფასებისას ელემენტთა დაბალანსება

განსხვავებულ ელემენტთა შორის ბალანსის დაცვასთან დაკავ-შირებით, ბავშვის უფლებათა კომიტეტი გამოყოფს მხედველობაში მისაღებ სამ სხვადასხვა შემთხვევას:

პირველი, კონკრეტული საქმისა და მისთვის დამახასიათებელი გარემოებების განხილვისას, შესაძლოა ერთმანეთს დაუპირისპირ-დეს მხედველობაში მისაღები ელემენტები, რა დროსაც ბავშვის საუკეთესო ინტერესის შესაბამისი გადაწყვეტის მოძიების მიზნით, საჭიროა მათი ერთმანეთის მიმართ შეფასება და აწონ-დაწონვა.<sup>714</sup> აღნიშნულს ეწოდება ელემენტთა შორის ბალანსი.<sup>715</sup>

მეორე, შესაძლოა წარმოიშვას ე.წ. „დამცავი“ ფაქტორების (უფ-ლებებით სარგებლობის შეზღუდვის) შეფასების საჭიროება ე.წ. „აღმჭურველ“ ფაქტორებთან (შეზღუდვების გარეშე უფლებებით სარგებლობა) მიმართებით. ამ დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ბავშვის ასაკსა და მონიფულობას.<sup>716</sup> აღნიშნული წარმო-ადგენს ბალანსს ბავშვის დაცვასა და შესაძლებლობების მინიჭე-ბას შორის.<sup>717</sup>

---

<sup>713</sup> იხ., ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხ.12(1).

<sup>714</sup> იქვე, Para. 81.

<sup>715</sup> Llorens J. C., Presentation of General Comment No.14: Strengthens and Limitations, Points of Consensus and Dissent Emerging in its Drafting, in: The Best Interests of the Child – A Dialogue Between Theory and Practice, Milka Sormunen (Ed.), Council of Europe, 2016, 13.

<sup>716</sup> General Comment No. 14 “On the Right of the Child to Have his or her Best Interests Taken as a Primary Consideration (Art. 3, para.1)”, UN Committee on the Rights of the Child, Sixty-second Session (14 January - 1 February 2013), CRC/C/GC/14, 29 May, 2013, Paras. 81-83.

<sup>717</sup> Llorens J. C., Presentation of General Comment No.14: Strengthens and Limitations, Points of Consensus and Dissent Emerging in its Drafting, in: The Best Interests of the Child – A Dialogue Between Theory and Practice, Milka Sormunen (Ed.), Council of Europe, 2016, 13.

და ბოლოს, საუკეთესო ინტერესების შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ბავშვის განვითარებადი უნარები. ამიტომ გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა უპირატესობა უნდა მიანიჭონ ისეთ ღონისძიებებს, რომელთა გადასინჯვა ან მორგება ბავშვის საჭიროებებზე შესაძლებელი იქნება და არ მიიღონ საბოლოო, შეუქცევადი გადაწყვეტილებები. ამისათვის მათ უნდა შეაფასონ არა მარტო გადაწყვეტილების მიღების მომენტში არსებული ფიზიკური, ემოციური, საგანმანათლებლო და სხვა საჭიროებები, არამედ ბავშვის განვითარების შესაძლო ვარიანტებიც და გააანალიზონ ისინი მოკლევადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში. ამ თვალსაზრისით, გადაწყვეტილებები უნდა ითვალისწინებდეს ბავშვის არსებული და სამომავლო სიტუაციის განგრძობადობასა და სტაბილურობას.<sup>718</sup> აღნიშნულს ეწოდება ბალანსის დაცვა ბავშვს, როგორც განვითარებად სუბიექტსა და ბავშვის მიერ სტაბილურობით სარგებლობის საჭიროებას შორის.<sup>719</sup>

## **2. საუკეთესო ინტერესის განსაზღვრა და გადაწყვეტილების მიღება**

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის განსაზღვრა შეფასების პროცესის შემდგომი ეტაპია, რომელიც მონოდებულია განსაზღვროს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი შეფასების შედეგების საფუძველზე. გამომდინარე იქედან, რომ ყოველი კონკრეტული შემთხვევის მიხედვით განსხვავდება საუკეთესო ინტერესების შეფასება, კერძოდ, რელევანტური ელემენტები, მათი მნიშვნელობა, შინაარსი და ღირებულება, ბუნებრივია, განსხვავებული

---

<sup>718</sup> General Comment No. 14 “On the Right of the Child to Have his or her Best Interests Taken as a Primary Consideration (Art. 3, para.1)”, UN Committee on the Rights of the Child, Sixty-second Session (14 January - 1 February 2013), CRC/C/GC/14, 29 May, 2013, Para. 84.

<sup>719</sup> Llorens J. C., Presentation of General Comment No.14: Strengthens and Limitations, Points of Consensus and Dissent Emerging in its Drafting, in: The Best Interests of the Child – A Dialogue Between Theory and Practice, Milka Sormunen (Ed.), Council of Europe, 2016, 14.

იქნება კონკრეტული არასრულწლოვნისათვის საუკეთესო ინტერესიც.

თეორიულად, საუკეთესო ინტერესები შეიძლება დაიყოს რამდენიმე ჯგუფად. კერძოდ, ძირითადი, სადაც მოიაზრება ფიზიკური, ემოციური, ინტელექტუალური ინტერესები; განმავითარებელი ანუ ყოველგვარი დაბრკოლებების გარეშე ზრდასრულ ასაკში გადასვლის ინტერესი; და ბოლოს, ავტონომიური, რაც, მაგალითად, გულისხმობს ცხოვრების სტილის დამოუკიდებლად არჩევის ინტერესს.<sup>720</sup> ამასთან, დროის თვალსაზრისით, ინტერესი შეიძლება იყოს მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი. შესაბამისად, შესაძლებელია, სამომავლო ინტერესები არათუ განსხვავდებოდეს, არამედ წინააღმდეგობაშიც მოდიოდეს მოკლევადიან ან კონკრეტული მომენტისათვის არსებულ ინტერესებთან.<sup>721</sup> სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია საკითხისადმი ყოველმხრივი, კომპლექსური მიდგომა და არასრულწლოვნის მომავლის პროგნოზირება, რაც გულისხმობს იმას, რომ არა მარტო გადანყვეტილების მიღების მომენტში არსებული საუკეთესო ინტერესი უნდა იქნეს გათვალისწინებული, არამედ უნდა შეფასდეს არასრულწლოვნის სამო-

---

<sup>720</sup> Freeman M., *A Commentary on the United Nations Convention on the Rights of the Child, Article 3, Best Interests of the Child*, André Alen, Johan Vande Lanotte, Eugeen Verhellen, Fiona Ang, Eva Berghmans, Mieke Verheyde (Eds.), Martinus Nijhoff Publishers, Leiden, Boston, 2007, 27.

<sup>721</sup> Vlieghe K., Op De Beeck H., Lembrechts S., Willems N., Herbots K., *Children's Best Interests Between Theory and Practice, Recommendations or Discussion Topics Based on International Best Interests Practices and Policy Strategies Since 2004*, Policy Advice of the Children's Rights Knowledge Centre on Behalf of the Flemish Government, Children's Rights Knowledge Centre, 2014, 2; Op De Beeck H., Herbots K., Lembrechts S., Willems N., *Children's Best Interests Between Theory and Practice: A Discussion of Commonly Encountered Tensions and Possible Solutions Based on International Best Interests Practices and Policy Strategies Since 2004*, Study of Children's Rights Knowledge Centre by the Division for Youth of the Flemish Government, 2014, IV, 1.3.

მავლო ინტერესებიც<sup>722</sup> და განხორციელდეს საბოლოო გადაწყვეტილების შესაძლო შედეგების გაზომვა.<sup>723</sup> ამავე მოსაზრებას ვაწყდებით სხვა ავტორებთანაც, როდესაც აღნიშნავენ, რომ გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა უნდა გაითვალისწინონ არასრულწლოვნის განვითარებადი შესაძლებლობები.<sup>724</sup> ამრიგად, საუკეთესო ინტერესის განსაზღვრა იგივეა, რაც გადაწყვეტილების მიღების პროცესში შედეგების წინასწარ განჭვრეტა.<sup>725</sup>

მნიშვნელოვანია ხაზგასმით აღინიშნოს, რომ საუკეთესო ინტერესების ტესტი გადაწყვეტილების მიმღები პირისაგან მოითხოვს არასრულწლოვნისათვის მხოლოდ საუკეთესო შედეგის მიღებას. გადაწყვეტილება უნდა იყოს არა ერთ-ერთი კარგი ან მისაღები რამდენიმე ალტერნატივიდან, არამედ მათ შორის საუკეთესო.<sup>726</sup> თუმცა, აქვე გასათვალისწინებელია, რომ გადაწყვეტილების მიმღებ პირს არ უნევს იმის შეფასება თუ რა არის ბავშვისთვის ზოგადად იდეალური, არამედ მნიშვნელოვანია კონკრეტულ სიტუაციაში საუკეთესო გამოსავლის ძიება. საუკეთესო ინტერესების დოქტრინა ანებს უმაღლეს სტანდარტს, იმავდროულად არის სუბიექტური, მაგრამ ყველაზე უფრო სანდო და გამოსაყენებელი ტესტი, ვინაიდან არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება მასზე

---

<sup>722</sup> Zermatten J., *Best Interests of the Child*, in: *Child-Friendly Justice: A Quarter of a Century of the UN Convention on the Rights of the Child*, Said Mahmoudi, Pernila Leviner, Anna Kaldal, Katrin Lainpelto (Eds.), Brill Nijhoff, Leiden, Boston, 2015, 39.

<sup>723</sup> შაჰჰოვიჩი ნ. ვ., დოეკი ი. ე., ცერმატენი ჟ., ბავშვის უფლებები საერთაშორისო სამართალში, რ. ტულუშისა და თ. ალექსიძის თარგმანი, ლ. ალექსიძისა და ქ. ხუციშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2015, 113.

<sup>724</sup> Kalverboer M., *How to Assess and Determine the Best Interests of the Child from a Perspective of Child Development and Child-Rearing*, in: *The Best Interests of the Child – A Dialogue Between Theory and Practice*, Milka Sormunen (Ed.), Council of Europe, 2016, 67.

<sup>725</sup> Skivenes M., *Judging the Child's Best Interests: Rational Reasoning or Subjective Presumptions?*, "Acta Sociologica", Vol. 53, Issue 4, 2010, 340.

<sup>726</sup> Elliston S., *The Best Interests of the Child in Healthcare*, Sheila M.A. Mclean (Ed.), Routledge Cavendish Publishing, London, New-York, 2007, 19.

უკეთეს სახელმძღვანელო პრინციპს არ იცნობს,<sup>727</sup> თუმცა, ზოგიერთ ავტორთა მოსაზრებით, იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს სირთულე საუკეთესო ინტერესის განსაზღვრისა და შესაბამისად, სათანადო გადანყვეტილების მიღების თვალსაზრისით, საუკეთესო ინტერესის ტესტი შეიძლება ჩაანაცვლოს ე.წ. „ყველაზე ნაკლები ზიანის“ ცნებამ.<sup>728</sup> კერძოდ, სასამართლომ უნდა შეარჩიოს კონკრეტული არასრულწლოვნის განვითარებისათვის „ყველაზე ნაკლებად დამაზიანებელი შესაძლო ალტერნატივა“.<sup>729</sup> ამ პოზიციის მომხრეთა მიერ მიიჩნევა, რომ მსგავსი მიდგომა ნაკლებად სახიფათოა, ვიდრე საუკეთესო ინტერესის ტესტის გამოყენება.<sup>730</sup> თუმცა, საპირისპირო პოზიციით, „ყველაზე ნაკლები ზიანის“ ცნებაც განუსაზღვრელი, სპეკულაციური ხასიათისაა და გაიგივებულია საუკეთესო ინტერესის ცნებასთან.<sup>731</sup> აღნიშნული მოსაზრება გასაზიარებელია, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „ყველაზე ნაკლები ზიანის“ ცნებას მეტი სიცხადე შეაქვს საუკეთესო ინტერესზე მორგებული გადანყვეტილების მიღების პროცესში. კერძოდ, საუკეთესო ინტერესები მოითხოვს, რომ, მაგალი-

---

<sup>727</sup> Kohm L. M., Tracing the Foundations of the Best Interests of the Child Standard in American Jurisprudence, “Journal of Law and Family Studies”, Vol. 10, No. 2, 2008, 337.

<sup>728</sup> Zermatten J., Best Interests of the Child, in: Child-Friendly Justice: A Quarter of a Century of the UN Convention on the Rights of the Child, Said Mahmoudi, Pernila Leviner, Anna Kaldal, Katrin Lainpelto (Eds.), Brill Nijhoff, Leiden, Boston, 2015, 39.

<sup>729</sup> Goldstein J., Freud A., Solnit A. J., Beyond the Best Interests of the Child, New Edition with Epilogue, The Free Press, New-York, 1984, 53, 99; Walton R., The Best Interests of the Child, “British Journal of Social Work”, Vol. 6, No. 3, 1976, 307.

<sup>730</sup> Zermatten J., Best Interests of the Child, in: Child-Friendly Justice: A Quarter of a Century of the UN Convention on the Rights of the Child, Said Mahmoudi, Pernila Leviner, Anna Kaldal, Katrin Lainpelto (Eds.), Brill Nijhoff, Leiden, Boston, 2015, 39.

<sup>731</sup> Mnookin R. H., Child-Custody Adjudication: Judicial Functions in the Face of Indeterminacy, “Law and Contemporary Problems”, Vol. 39, No. 3, 1975, 229; Eekelaar J., The Best Interests of the Child and the Child’s Wishes: The Role of Dynamic Self-Determinism, “International Journal of Law and the Family”, Vol. 8, Issue 1, 1994, 45.

თად, მოსამართლემ წინასწარ განსაზღვროს არასრულწლოვანზე სასჯელის გავლენა და ისეთი სახისა და ზომის სასჯელი შეუფარდოს, რომელიც ყველაზე ნაკლებ უარყოფით გავლენას იქონიებს ბავშვის განვითარებასა და კეთილდღეობაზე.<sup>732</sup> ასეთ დროს გასათვალისწინებელია ჩარევის პროპორციულობა ასაკობრივი კრიტერიუმის მხედველობაში მიღებით, განსაკუთრებით, როდესაც ეს უკავშირდება არასრულწლოვნის დაკავებასა და მის მიმართ საპატიმრო სასჯელის გამოყენებას.<sup>733</sup>

მნიშვნელოვანია იმ გარემოების გათვალისწინებაც, რომ საუკეთესო ინტერესების განსაზღვრა შეიძლება განხორციელდეს ნეგატიური მიდგომის მეშვეობით. კერძოდ, აქ იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როდესაც ხდება არა იმის წარმოჩენა თუ რა არის საუკეთესო ინტერესი, არამედ პირიქით – რა არ არის საუკეთესო ინტერესი და აღნიშნულიდან გამომდინარე, მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილება. სწორედ მსგავსი მიდგომა ახასიათებს ბავშვის უფლებათა კომიტეტს, როდესაც სახელმწიფოებისადმი შედგენილ მოხსენებებში ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ რა არ არის არასრულწლოვნისათვის საუკეთესო ინტერესი. შესაბამისად, არჩევანს აკეთებს ნეგატიურ განსაზღვრებაზე, ნაცვლად პოზიტიურისა.<sup>734</sup>

საუკეთესო ინტერესზე მორგებული გადაწყვეტილების მიღებისას მნიშვნელოვანია შემდეგი პირობების დაკმაყოფილება: პირველი, ცნობილი უნდა იყოს მისაღები გადაწყვეტილების ყველა

---

<sup>732</sup> Justice in Matters Involving Children in Conflict with the Law, Modal Law on Juvenile Justice and Related Commentary, United Nations Office on Drugs and Crime, 2013, Art. 13(2), Commentary 70.

<sup>733</sup> Case of Gülcü v. Turkey, Application No. 17526/10, Strasbourg, 19 January, 2016, Para. 115; Case of Nart v. Turkey, Application no. 20817/04, Strasbourg, 6 May, 2008, Para. 33.

<sup>734</sup> Op De Beeck H., Herbots K., Lembrechts S., Willems N., Children's Best Interests Between Theory and Practice: A Discussion of Commonly Encountered Tensions and Possible Solutions Based on International Best Interests Practices and Policy Strategies Since 2004, Study of Children's Rights Knowledge Centre by the Division for Youth of the Flemish Government, 2014, IV, 1.3.

შესაძლო ვარიანტი; მეორე, ცნობილი უნდა იყოს თითოეული მათგანის შესაძლო შედეგი; მესამე, უნდა განისაზღვროს თითოეული შედეგის დადგომის ალბათობა; და ბოლოს, თითოეულ შედეგს უნდა მიენიჭოს სათანადო ღირებულება საბოლოო მიზანთან მიმართებით<sup>735</sup> ანუ განისაზღვროს, რომელი შედეგი ემსახურება ყველაზე კარგად არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესს.<sup>736</sup> აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღების პროცესში შეცდომების თავიდან აცილებას და საუკეთესო ინტერესებზე მორგებული გადაწყვეტილების მიღებას, თუმცა ამ შემთხვევაშიც შეიძლება არსებობდეს საფრთხეები. კერძოდ, ობიექტურად იდენტიური შემთხვევები შესაძლოა განსხვავებულად გადაწყდეს, თუ გადაწყვეტილების მიმღები პირები ფლობენ განსხვავებულ ინფორმაციას რომელიმე ეტაპთან დაკავშირებით. განსაკუთრებით, ეს ეხება მეოთხე ეტაპს, რადგან ყველაფერი დამოკიდებულია გადაწყვეტილების მიმღები პირის ღირებულებებზე. ამასთან, აღსანიშნავია, რომ აშკარად მსგავს სიტუაციებში ერთი და იმავე პირის ან თუნდაც ერთი და იმავე ღირებულებების მქონე სხვადასხვა პირის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან, რაც დამოკიდებულია პირველ სამ გარემოებაზე.<sup>737</sup> მსგავს მოსაზრებას ავითარებენ სხვა ავტორებიც, როდესაც აღნიშნავენ, რომ არასრულწლოვნის მომავალზე ალტერნატიულ გადაწყვეტილებათა გავლენის პროგნოზირება სპეკულაციურია გადაწყვეტილების მიღების მომენტისათვის არსებული ცოდნიდან გამომდინარე და თუნდაც ასე არ იყოს, არსებობს კონსენსუსის ნაკლებობა იმ ღირებულებებთან დაკავშირებით, რომლებიც

---

<sup>735</sup> Parker S., *The Best Interests of the Child – Principles and Problems*, "International Journal of Law and Family", Vol. 8, Issue 1, 1994, 29; Elster J., *Solomonic Judgments: Against the Best Interests of the Child*, "The University of Chicago Law review", Vol. 54, No. 1, 1987, 12; Skivenes M., *Judging the Child's Best Interests: Rational Reasoning or Subjective Presumptions?*, "Acta Sociologica", Vol. 53, Issue 4, 2010, 343.

<sup>736</sup> Herring J., *Farewell Welfare?* "Journal of Social Welfare and Family Law", Vol. 27, No. 2, 2005, 160.

<sup>737</sup> Parker S., *The Best Interests of the Child – Principles and Problems*, "International Journal of Law and Family", Vol. 8, Issue 1, 1994, 29.

საუკეთესო ინტერესის განსაზღვრად უნდა იქნეს გამოყენებული.<sup>738</sup> სწორედ ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შეფასების პროცესის სათანადოდ წარმართვას და შედეგად, სრულყოფილი ინფორმაციის ფლობას არასრულწლოვნის ინდივიდუალური გარემოებების შესახებ. ამასთან, საუკეთესო ინტერესების განსაზღვრა და შედეგად, გადანყვეტილების მიღება საჭიროებს სრულყოფილი და კარგად დადგენილი პროცედურის არსებობას,<sup>739</sup> რაზეც შემდეგ თავში იქნება ყურადღება გამახვილებული.

### **3, საუკეთესო ინტერესები, როგორც განუსაზღვრელი, მაგრამ არა დისკრეციული ცნება**

საუკეთესო ინტერესები, როგორც უკვე აღინიშნა, განუსაზღვრელი ცნებაა, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საჭიროებს შეფასებასა და განსაზღვრას.<sup>740</sup> ამასთან, იგი სუბიექტური კატეგორიაა და ეფუძნება გადანყვეტილების მიმღები პირის მიერ საუკეთესო ინტერესების აღქმას, თუმცა საინტერესოა, რამდენად იძლევა საუკეთესო ინტერესების ცნება ფართო დისკრეციის შესაძლებლობას და რამდენად აღჭურავს გადანყვეტილების მიმღებ პირს შეუზღუდავი უფლებამოსილებით საუკეთესო ინტერესების განსაზღვრის პროცესში. ცხადია, რომ საუკეთესო ინტერესების ცნება უნდა იყოს ნაკლებად დისკრეციული და არ შეიძლება

---

<sup>738</sup> Mnookin R. H., Child-Custody Adjudication: Judicial Functions in the Face of Indeterminacy, "Law and Contemporary Problems", Vol. 39, No. 3, 1975, 229; Eekelaar J., The Best Interests of the Child and the Child's Wishes: The Role of Dynamic Self-Determinism, "International Journal of Law and the Family", Vol. 8, Issue 1, 1994, 45.

<sup>739</sup> Cantwell N., The Best Interests of the Child in Intercountry Adoption, UNICEF Office of Research, Florence, 2014, 10; Case of A.H. and others v. Russia, Applications nos. 6033/13, 8927/13, 10549/13, 12275/13, 23890/13, 26309/13, 27161/13, 29197/13, 32224/13, 32331/13, 32351/13, 32368/13, 37173/13, 38490/13, 42340/13 and 42403/13, Strasbourg, 17 January, 2017, Partly Concurring Opinion of Judge Dedov, 86.

<sup>740</sup> Funderburk C., Best Interests of the Child Should not be an Ambiguous Term, "Children's Legal Rights Journal", Vol. 33, Issue 2, 2013, 232.

ეფუძნებოდეს მხოლოდ ცალკეულ პირთა ღირებულებებს.<sup>741</sup> კერძოდ, ხუთი სხვადასხვა ბავშვის საუკეთესო ინტერესის განსაზღვრის პროცესი მიგვიყვანს ხუთ სხვადასხვა გადანყვეტილებამდე, ვინაიდან არ არსებობს აბსოლუტურად იდენტური საქმის გარემოებები, მაგრამ ხუთი ადამიანის მიერ ერთი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის შეფასებას და განსაზღვრას ერთსა და იმავე გადანყვეტილებამდე უნდა მივყავდეთ.<sup>742</sup> აღნიშნულ პროცესში გადამწყვეტი ფაქტორი არის ის, რომ საუკეთესო ინტერესის განსაზღვრა ეფუძნებოდეს შეფასების შედეგებს, რომელიც, თავის მხრივ, ობიექტურ ინფორმაციას უნდა ემყარებოდეს ბავშვის ინდივიდუალური მახასიათებლების, გამოვლენილი რისკების, საჭიროებებისა და დამცავი ფაქტორების სახით. ამავდროულად, იმის უარყოფაც არ შეიძლება, რომ საბოლოო სიტყვა მაინც გადანყვეტილების მიმღებ პირზეა დამოკიდებული, თუმცა გარკვეული შეზღუდვების გათვალისწინებით. კერძოდ, არსებული ადამიანის უფლებათა ჩარჩო, რომელშიც უნდა განისაზღვროს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები, აწესებს საზღვრებს, რომელთა გადაკვეთაც დაუშვებელია, რაც იძლევა მიუღებელ, არასასურველ შედეგთა დადგომის თავიდან აცილების გარანტიას.<sup>743</sup> საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი არ განიხილება განცალკევებით, იზოლირებულად, არამედ მჭიდრო კავშირშია ბავშვის უფლებათა კონვენციით გათვალისწინებულ დებულებებთან, რაც უნიკალურ განზომილებას ანიჭებს მას.<sup>744</sup> შესაბამისად, სა-

---

<sup>741</sup> იქვე, 232.

<sup>742</sup> Llorens J. C., Presentation of General Comment No.14: Strengthens and Limitations, Points of Consensus and Dissent Emerging in its Drafting, in: *The Best Interests of the Child – A Dialogue Between Theory and Practice*, Milka Sormunen (Ed.), Council of Europe, 2016, 12.

<sup>743</sup> Cantwell N., The Concept of the Best Interests of the Child: What Does it Add to Children's Human Rights?, in: *The Best Interests of the Child – A Dialogue Between Theory and Practice*, Milka Sormunen (Ed.), Council of Europe, 2016, 25.

<sup>744</sup> Zermatten J., The Best Interests of the Child Principle: Literal Analysis and Function, "International Journal of Children's Rights", Vol. 18, Issue 4, 2010, 493.

უკეთესო ინტერესები საქართველოს კონსტიტუციის, ბავშვის უფლებათა კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების, სხვა საერთაშორისო აქტების ძირითადი სულისკვეთების მიხედვითა და მათთან მჭიდრო კავშირში, ასევე ბავშვის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების მხედველობაში მიღების პარალელურად უნდა განისაზღვროს.<sup>745</sup> ზოგადად, სამართლის ნებისმიერი ნორმის განმარტებას საფუძვლად უნდა დაედოს კონსტიტუციასთან შესაბამისობა და სამართლის გამომყენებელმა სწორედ კონსტიტუციაკონფორმული ინტერპრეტაცია უნდა გააკეთოს.<sup>746</sup> ამრიგად, საუკეთესო ინტერესების გამოყენება დაუშვებელია ისეთი პრაქტიკის გასამართლებლად, რომელიც ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის ღირსებას, ფიზიკურ ხელშეუხებლობას და არღვევს მის უფლებებს.<sup>747</sup> შესაბამისად, საუკეთესო ინტერესი ის კი არ არის, რასაც გადანყვეტილების მიმღები პირი ასეთად მიიჩნევს, არამედ ის, რაც ობიექტურად უზრუნველყოფს არასრულწლოვნის მიერ უფლებებით სრულყოფილ სარგებლობასა და მის ყოველ-

---

<sup>745</sup> UNHCR Guidelines on Formal Determination of the Best Interests of the Child, United Nations High Commissioner for Refugees, May, 2006, 6; General Comment No. 14 “On the Right of the Child to Have his or her Best Interests Taken as a Primary Consideration (Art. 3, para.1)”, UN Committee on the Rights of the Child, Sixty-second Session (14 January - 1 February 2013), CRC/C/GC/14, 29 May, 2013, Para. 32; Zermatten J., The Best Interests of the Child Principle: Literal Analysis and Function, “International Journal of Children’s Rights”, Vol. 18, Issue 4, 2010, 485.

<sup>746</sup> გვენეტაძე ნ., ტურავა მ., სისხლის სამართლის საქმეებზე გადანყვეტილებათა მიღების მეთოდოკა, თბილისი, 2005, 44.

<sup>747</sup> General Comment No. 8, “The Right of the Child to Protection from Corporal Punishment and Other Cruel or Degrading Forms of Punishment (Arts. 19; 28, Para. 2; and 37, inter alia)”, UN Committee on the Rights of the Child, Forty-second Session (15 May-2 June), CRC/C/GC/8, 2 March, 2007, Para. 26; General Comment No. 13, “The Right of the Child to Freedom from All Forms of Violence, Committee on the Rights of the Child”, CRC/C/GC/13, 18 April, 2011, Para. 61; Lansdown G., Best Interests of the Child and the Right to Be Heard, in: The Best Interests of the Child – A Dialogue Between Theory and Practice, Milka Sormunen (Ed.), Council of Europe, 2016, 32.

მხრივ განვითარებას.<sup>748</sup> ის, რომ საუკეთესო ინტერესების განსაზღვრა არ არის დაკავშირებული გადანყვეტილების მიმღები პირის ფართო დისკრეციასთან, ადასტურებს საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და განსაზღვრის მკაცრი პროცედურის არსებობაც.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, ცხადია, რომ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები პატივს უნდა სცემდეს და აღიარებდეს ბავშვის, როგორც საკუთარი შეხედულებების მქონე ინდივიდის მნიშვნელობას, ბავშვის უფლებათა კონვენციის ძირითად სულისკვეთებას, არასრულწლოვნის განვითარებადი ხასიათიდან გამომდინარე, მის მოკლევადიან, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივას, ასევე იმგვარ ინტერპრეტაციას, რომელიც არ არის მხოლოდ კულტურულ ღირებულებებზე დაფუძნებული ან არ უარყოფს კონვენციით გათვალისწინებულ სხვა უფლებებს.<sup>749</sup>

#### **4. საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და განსაზღვრის პროცედურის დაცვის ვალდებულება**

ზემოთგანხილული საკითხების ანალიზი ცხადყოფს, რომ საუკეთესო ინტერესების შეფასება და განსაზღვრა საკმაოდ რთულ, დროში გაჭიანურებულ და კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, შეფასება მიეცეს, რამდენად არსებობს ამ პროცედურის დაცვის ვალდებულება მართლმსაჯულების განხორციელების ყველა ეტაპზე, პროცესის მწარმოებელი თუ მონაწილე ყველა პირის მიერ. ბავშვის უფლებათა კომიტეტის განმარტებით, საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და განსაზღვრის პროცედურის მკაცრად და ნაბიჯ-ნაბიჯ დაცვას არავინ მოელოს იმ

---

<sup>748</sup> Llorens J. C., Presentation of General Comment No.14: Strengthens and Limitations, Points of Consensus and Dissent Emerging in its Drafting, in: *The Best Interests of the Child – A Dialogue Between Theory and Practice*, Milka Sormunen (Ed.), Council of Europe, 2016, 12-13.

<sup>749</sup> Zermatten J., Best Interests of the Child, in: *Child-Friendly Justice: A Quarter of a Century of the UN Convention on the Rights of the Child*, Said Mahmoudi, Perniia Leviner, Anna Kaldal, Katrin Lainpelto (Eds.), Brill Nijhoff, Leiden, Boston, 2015, 32.

პირებისაგან, რომლებიც ბავშვებთან დაკავშირებით ყოველდღიურ ცხოვრებაში იღებენ გადანყვეტილებებს, მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაშიც აუცილებელია არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება და პატივისცემა.<sup>750</sup> მართალია, სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ყველა ქმედება გარკვეულწილად გავლენას ახდენს ბავშვებზე, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ნებისმიერი ქმედება საჭიროებს საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და განსაზღვრის სრული და ფორმალური პროცედურის დაცვას. თუმცა, როდესაც გადანყვეტილებას მნიშვნელოვანი ზეგავლენა ექნება ბავშვზე, აუცილებელია დაცვის უფრო მაღალი ხარისხისა და სათანადო პროცედურების არსებობა.<sup>751</sup>

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით გათვალისწინებული ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების ვალდებულებაზე, რომლის გარეშეც სრულყოფილი სახით ვერ იარსებებს საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და განსაზღვრის პროცესი. როგორც უკვე აღინიშნა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადებისა და გათვალისწინების ვალდებულებას პროცესის მხოლოდ რამდენიმე სტადიაზე განსაზღვრავს, რაც განპირობებულია ამ სტადიათა მნიშვნელობით არასრულწლოვანზე გავლენის მოხდენის თვალსაზრისით. შესაბამისად, საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და განსაზღვრის ზემოაღნიშნული პროცედურის დაცვის ვალდებულებაც სწორედ ამ ეტაპებზე იკვეთება. რაც შეეხება, მართლმსაჯულების პროცესის სხვა სტადიებს, ამ შემთხვევაში, საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და განსაზღვრის პროცედურის დაცვის ვალდებულება შეიძლება გამომდინარეობდეს საჭიროებიდან, ისევე როგორც ამკ-ის 27-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის გათვა-

---

<sup>750</sup> General Comment No. 14 “On the Right of the Child to Have his or her Best Interests Taken as a Primary Consideration (Art. 3, para.1)”, UN Committee on the Rights of the Child, Sixty-second Session (14 January - 1 February 2013), CRC/C/GC/14, 29 May, 2013, Para. 86.

<sup>751</sup> იქვე, Para. 20.

ლისწინება საჭიროებისამებრ შესაძლებელია მართლმსაჯულების პროცესის ნებისმიერ სტადიაზე. სხვა დანარჩენ შემთხვევაში პროცედურის განხორციელების მხოლოდ უფლებამოსილება არსებობს. ზემოაღნიშნულ სტადიებზე საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და განსაზღვრის პროცედურის დაცვის ვალდებულება იმ გარემოებითაც აიხსნება, რომ სწორედ ამ სტადიებზე იკვეთება საუკეთესო ინტერესების განსაზღვრის პრობლემა განსაკუთრებული სიმწვავეით და სწორედ ამ ეტაპებზე მიიღება არასრულწლოვნის ცხოვრებაზე არსებითი გავლენის მქონე გადაწყვეტილებები. სხვა შემთხვევებში, როდესაც ისედაც ცხადია არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ე.წ. „გამარტივებული პროცედურა“.<sup>752</sup>

## **5. საუკეთესო ინტერესების ტესტის გათვალისწინება სასამართლო პრაქტიკაში**

კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და განსაზღვრის თვალსაზრისით საინტერესოა საერთო სასამართლოების პრაქტიკის გაანალიზება. კერძოდ, რამდენად ახდენს მოსამართლე კონკრეტულ შემთხვევაში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის იდენტიფიცირებას და მასზე დაყრდნობით შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას.

შესწავლილი გადაწყვეტილებების ანალიზი ცხადყოფს, რომ სასამართლო, ზოგ შემთხვევაში, ძირითადად შემოიფარგლება საერთაშორისო სტანდარტებზე ზოგადი მითითებით. კერძოდ, ყურადღება გამახვილებულია ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლზე და განმარტებულია, რომ ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა ითვალისწინებდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესს, რაც ნიშნავს სისხლის სამართლის ტრადიციული ამოცანების ნაკლებ პრიორიტეტულობას რეაბილიტაციასა და აღდგენით მართლმსაჯულებასთან მიმართებით. სასამართლო ასევე ეყრდნობა ბავშვის უფლე-

---

<sup>752</sup> UNHCR Guidelines on Determining the Best Interests of the Child, United Nations High Commissioner for Refugees, Geneva, May, 2008, 55.

ბათა კონვენციის მე-40 მუხლს და განმარტავს, რომ მკაცრი სადამსჯელო მიდგომა არ შეესაბამება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ძირითად პრინციპებს და უპირატესობა უნდა მიენიჭოს ბავშვის კეთილდღეობის, ჭეშმარიტი ინტერესების დაცვისა და რეინტეგრაციის საჭიროებებს. ამასთან, მიუთითებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიზნებზე, აგრეთვე „პეკინის ნესებზე“ ზემოქმედების ღონისძიებების ჩადენილი ქმედების გარემოებებთან, არასრულწლოვნის მდგომარეობასა და მოთხოვნილებებთან თანაზომიერების კონტექსტში. აღნიშნულის შემდეგ მოსამართლე მიუთითებს, რომ მხედველობაში იღებს ამკ-ის 65-ე და 75-ე მუხლების მოთხოვნებს, არასრულწლოვანი ბრალდებულის კეთილდღეობის, განათლების, განვითარების ინტერესს და სასჯელის მიზნების მიღწევის შესაძლებლობად თავისუფლების აღკვეთის პირობითად ჩათვლას მიიჩნევს.<sup>753</sup> სასამართლო ანალოგიურ მსჯელობას აფუძნებს არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის სახით შინაპატიმრობის გამოყენებასაც.<sup>754</sup> შეიძლება ითქვას, რომ ზოგ შემთხვევაში, მოსამართლე თითქმის არ მსჯელობს კონკრეტული საქმისა და არასრულწლოვნის ინდივიდუალურ გარემოებებზე, არ ახდენს შესაბამის ელემენტთა იდენტიფიცირებას, არ აფასებს კონკრეტულ შემთხვევაში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესს და, შესაბამისად, არც ის არის დასაბუთებული, თუ რატომ უზრუნველყოფს თავისუფლების აღკვეთის პირობითად ჩათვლა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცულობას, არამედ შემოიფარგლება მხოლოდ ზოგადი ხასიათის განმარტებებით და იყენებს ერთიან სტანდარტებს, რაც ვერ პასუხობს არასრულ-

---

<sup>753</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის: 28 იანვრის განაჩენი, საქმე №1/144-16; 11 იანვრის განაჩენი, საქმე №1/5633-15; 16 მარტის განაჩენი, საქმე №1/181-16; 12 იანვრის განაჩენი, საქმე №1/5573-15; 21 იანვრის განაჩენი, საქმე №1/5900-15; 27 იანვრის განაჩენი, საქმე №1/5773-15; 8 იანვრის განაჩენი, საქმე №1/5702-15; 28 იანვრის განაჩენი, საქმე №1/3950-15; ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 2 აპრილის განაჩენი, საქმე №/691-19.

<sup>754</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 22 მარტის განაჩენი, საქმე №1/571-16.

ნლოვნის საუკეთესო ინტერესის განსაზღვრის კონვენციური ვალდებულების შესრულებას. მართალია, სასჯელის დანიშნისას ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადება და გათვალისწინება სავალდებულო გახდა 2016 წლის 1 მარტიდან, თუმცა აღნიშნული არ ამართლებს ამ პერიოდამდე მიღებულ გადაწყვეტილებებში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის განსაზღვრის თვალსაზრისით მსჯელობის არარსებობას, ვინაიდან საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი და მისგან გამომდინარე, კონკრეტული არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის შეფასებისა და განსაზღვრის ვალდებულება 2016 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა. გარდა ამისა, ინდივიდუალური შეფასების ანგარიში, მიუხედავად მისი დიდი მნიშვნელობისა, წარმოადგენს საუკეთესო ინტერესის შეფასებისა და განსაზღვრის არა ერთადერთ, არამედ ერთ-ერთ საშუალებას.

ზემოაღნიშნულის ანალოგიური მიდგომა გვხვდება საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შემთხვევებშიც. კერძოდ, სასამართლო მიუთითებს „პეკინის წესებზე“, ასევე ბავშვის უფლებათა კონვენციის 37-ე მუხლისა და „ჰავანას წესების“ მიხედვით, განმარტავს თავისუფლების აღკვეთის უკიდურეს ხასიათს და არასრულწლოვნის უსაფრთხოების, კეთილდღეობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და სხვა ინტერესებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიიჩნევს წარდგენილი პირობებით, მათ შორის, თავისუფლების აღკვეთის სრულად ან ნაწილობრივ სასჯელსრულების დაწესებულებაში მოხდით, საპროცესო შეთანხმების დამტკიცებას.<sup>755</sup> როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაშიც არ არის მსჯელობა კონკრეტული არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესზე, არამედ მხოლოდ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსისეული ზოგადი განმარტება გამოიყენება. ერთ-ერთ საქმეში საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისას, რომლის ფარგლებშიც ეკონომიკური დანაშაულებ

---

<sup>755</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის: 9 თებერვლის განაჩენი, საქმე №1/4619-15; 11 იანვრის განაჩენი, საქმე №1/5349-15.

ბის ჩადენისათვის არასრულწლოვანს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა ოთხი წლის ვადით, სასამართლომ არათუ შეაფასა და განსაზღვრა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი, არამედ აღნიშნულისა და საერთაშორისო სტანდარტების შესახებ ზოგადი მითითებითაც კი არ შემოიფარგლა.<sup>756</sup> ასევე საინტერესოა გადანყვეტილება, სადაც მოსამართლე კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ ამტკიცებს საპროცესო შეთანხმებას იმ დასაბუთებაზე დაყრდნობით, რომ საქმის არსებითი განხილვისას არ მომხდარიყო არასრულწლოვანი დაზარალებულისა და მოწმის ხელახალი და მეორეული ვიქტიმიზაცია. კერძოდ, იმის გამო, რომ წინასასამართლო სხდომაზე მხარეთა მიერ მტკიცებულებები სადავოდ იქნა მიჩნეული, იქმნებოდა არსებით განხილვაზე მათი გამოკვლევის, მათ შორის, დაზარალებულის დაკითხვის, საჭიროება, რაც ქმნიდა მისი მეორეული ვიქტიმიზაციის საფრთხეს. სასამართლოს განმარტებით, საპროცესო შეთანხმების დამტკიცება სრულად აღმოფხვრიდა აღნიშნულ საფრთხეებსა და რისკებს. რაც შეეხება უშუალოდ კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის ინტერესებს, სასამართლო ამ შემთხვევაშიც საერთაშორისო სტანდარტებზე და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსზე ზოგადი მითითებით შემოიფარგლა და არ შეაფასა კონკრეტული არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი და ის, თუ რამდენად უზრუნველყოფდა საპროცესო შეთანხმების დამტკიცება და მის ფარგლებში განსაზღვრული სასჯელი მისი საუკეთესო ინტერესების რეალიზებას.<sup>757</sup> ამ პირობებში, გასაზიარებელია იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება არასრულწლოვანთა მიმართ საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის გამოყენების მიზანშეუწონლობის შესახებ. მართალია, საპროცესო შეთანხმება, სწრაფ მართლმსაჯულებას უზრუნველყოფს, მაგრამ სწრაფი მართლმსაჯულების პირობებშიც კი მოზარდის ქემმარიტი ინტერესი მაქსი-

---

<sup>756</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 11 მაისის განაჩენი, საქმე №1/3523-15.

<sup>757</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 15 თებერვლის განაჩენი, საქმე №1/184-16.

მალურად უნდა იქნეს გათვალისწინებული.<sup>758</sup> საპროცესო შეთანხმების ქართული მოდელის გაუმჯობესებლად პროცესი სისხლისსამართლებრივი დევნის ეტაპზე ბრალმდებელსა და ბრალდებულს შორის მორიგების მთელი პერიოდის განმავლობაში ვერ უზრუნველყოფს ბრალდებულისთვის სარგებლის მოტანას საჯარო ინტერესის დაკმაყოფილების გზით.<sup>759</sup> ამასთან, საპროცესო შეთანხმებისათვის დამახასიათებელია პროცესის მონაწილეთა მხრიდან ურთიერთსანაცვლო დათმობა გაცემისა და მიღების არსით,<sup>760</sup> რამაც შესაძლოა დააზიანოს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი. საინტერესოა იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება 14-დან 16 წლამდე არასრულწლოვანთა მიმართ საპროცესო შეთანხმების დადების გამორიცხვისა და 16-დან 18 წლამდე არასრულწლოვანთა მიმართ მისი გამოყენების განრიდებისა და მედიაციის ინსტიტუტის სასარგებლოდ შეზღუდვის შესახებ.<sup>761</sup> ვინაიდან საპროცესო შეთანხმებას ამტკიცებს სასამართლო, მოსამართლე ვალდებულია დაასაბუთოს როგორც თავად საპროცესო შეთანხმების გაფრთხილების, ისე შეთანხმებაში ასახული პირობების, მათ შორის, სასჯელის კონკრეტული სახისა და ზომის არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებთან შესაბამისობა.

---

<sup>758</sup> შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016, 77; ივანიძე მ., სასჯელის შეფარდების ზოგადი საწყისები საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობის მიხედვით, „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, №1, 2017, 21.

<sup>759</sup> გვენეტაძე ნ., საპროცესო შეთანხმება – საქართველოში კანონმდებლობის ანალიზი, წიგნში: სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, მ. ტურავას რედაქტორობით, თბილისი, 2013, 236.

<sup>760</sup> ლალიაშვილი თ., საპროცესო შეთანხმების დამკვიდრებული პრაქტიკა და მისი აღმოფხვრის გზები, წიგნში: სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, მ. ტურავას რედაქტორობით, თბილისი, 2013, 288.

<sup>761</sup> გვენეტაძე ნ., საპროცესო შეთანხმება – საქართველოში კანონმდებლობის ანალიზი, წიგნში: სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, მ. ტურავას რედაქტორობით, თბილისი, 2013, 235.

ზემოაღნიშნულის მსგავსი მაგალითები გვხვდება უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებშიც. კერძოდ, საკასაციო პალატა ზოგიერთ შემთხვევაში შემოიფარგლება მხოლოდ იმის განმარტებით, რომ არასრულწლოვნისათვის დანიშნული სასჯელი ჩადენილი ქმედების გარემოებების, ბავშვის მდგომარეობის, მისი მოთხოვნების თანაზომადია, შეესაბამება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით, საერთაშორისო სამართლით დადგენილ ნორმებს და ემსახურება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვას. ამასთან, მიუთითებს, რომ დანიშნული სასჯელი წარმოადგენს ადეკვატურ ღონისძიებას მსჯავრდებულის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის, ახალი დანაშაულის თავიდან აცილების და ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვისადმი პატივისცემით განწყობისათვის.<sup>762</sup> თუმცა, არ განმარტავს რაში გამოიხატება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი და როგორ მივიდა სასამართლო აღნიშნულ დასკვნამდე. ანალოგიურ პრობლემას ვაწყდებით უზენაესი სასამართლოს სხვა გადაწყვეტილებებშიც. კერძოდ, მართალია, სასამართლო შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშისა და საერთაშორისო სტანდარტების მხედველობაში მიღებით, განმარტავს, რომ არასრულწლოვნისათვის დანიშნული სასჯელის სახე სამართლიანია და სრულად შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, თუმცა არ ახდენს კონკრეტული არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის იდენტი-

---

<sup>762</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 22 მარტის განაჩენი, საქმე №602აპ-18; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 23 აპრილის განაჩენი, საქმე №640აპ-18; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 3 ივლისის განაჩენი, საქმე №35აპ-19; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 24 ივლისის განაჩენი, საქმე №157აპ-19; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 23 იანვრის განაჩენი, საქმე №491აპ-17.

ფიცირებას და არ ასაბუთებს სასჯელის სახის, მათ შორის, საუკეთესო ინტერესთან შესაბამისობას.<sup>763</sup>

განსხვავებით ზემოაღნიშნული საქმეებისგან, ზოგიერთ გადაწყვეტილებაში სასამართლო არა მარტო საერთაშორისო აქტებისა და მართლმსაჯულების კოდექსის დებულებებზე ზოგადი მითითებით შემოიფარგლება, არამედ იმავდროულად, ცდილობს კონკრეტულ შემთხვევაში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის განსაზღვრას. კერძოდ, ერთ-ერთ საქმეში, მოსამართლე ყურადღებას ამახვილებს არასრულწლოვნის ინტელექტის დონეზე, საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების კარგად ფლობაზე, ოჯახის წევრებთან კარგ ურთიერთობაზე, მის მძიმე სოციალურ, მატერიალურ მდგომარეობასა და საცხოვრებელ პირობებზე. ამავე საქმეში მეორე ბრალდებულის მიმართ კი წარმოჩენილია არასრულწლოვნის განსაკუთრებული დამოკიდებულება განათლების მიღებისადმი, კონკრეტული გეგმების ქონა და დასახული მიზნების მისაღწევად სრული მზადყოფნა, ოჯახის წევრებთან მჭიდრო კონტაქტი, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა და ფიზიკური დატვირთვის შესაძლებლობები. ამ ყოველივეს გათვალისწინებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ სასჯელის მიზნების მიღწევა შესაძლებელი იქნება კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მიმართ შინაპატიმრობის გამოყენების მეშვეობით და განმარტავს, რომ სწორედ სასჯელის ეს სახე წარმოადგენს არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესს.<sup>764</sup> მიუხედავად ამგვარი მსჯელობისა, უნდა აღინიშნოს, რომ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი სასჯელის კონკრეტული სახე და ზომა არ არის, არამედ ეს უკანასკნელი არის ის გადაწყვეტილება, რომელიც ყველაზე მეტად უზრუნველყოფს მოსამართლის მიერ უკვე განსაზღვრული არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის სათანადოდ რეალიზებასა და დაცვას. შესაბამი-

---

<sup>763</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 5 აპრილის განაჩენი, საქმე №617აპ-18; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 13 თებერვლის განაჩენი, საქმე №486აპ-18.

<sup>764</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 1 აპრილის განაჩენი, საქმე №1/7259-14.

სად, მოსამართლე უნდა შეეცადოს, ზემოაღნიშნული ინდივიდუალური გარემოებების საფუძველზე, უპირველეს ყოვლისა, განსაზღვროს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი სათანადო პროცედურის დაცვით და ამის შემდეგ, მიიღოს გადაწყვეტილება სასჯელის სახისა და ზომის შესახებ.

სხვა საქმეში, მოსამართლე ყურადღებას ამახვილებს არასრულწლოვნის კანონსაწინააღმდეგო ქცევის გამომწვევ მიზეზებზე და ასეთად ასახელებს ბევრი თავისუფალი დროის ქონას, აზარტული თამაშებისადმი მიდრეკილებას, ოჯახის წევრთა მხრიდან კონტროლისა და მეთვალყურეობის არარსებობას. სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ არასრულწლოვანი სამი წლის განმავლობაში ოთხჯერ იქნა გასამართლებული საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის და ოთხივეჯერ გაუფორმდა საპროცესო შეთანხმება. ამასთან, გათავისუფლებულ იქნა პირობით ვადაზე ადრე, თუმცა მან მაინც ჩაიდინა ახალი დანაშაული, რაც, სასამართლოს შეფასებით, არ მიანიშნებდა მის რესოციალიზაციაზე. მოსამართლის განმარტებით, სახელმწიფო ორგანოების მხრიდან გამოვლენილმა ლოიალურმა დამოკიდებულებამ ვერ უზრუნველყო არასრულწლოვნის გამოსწორება, რის გამოც, მიზანშეწონილად მიიჩნია სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთის გამოყენება მინიმალური ვადით. აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლომ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესად რეაბილიტაცია-რესოციალიზაცია განსაზღვრა, რომლის მიღწევის საშუალებას სწორედ თავისუფლების აღკვეთა წარმოადგენდა, რადგან როგორც განაჩენში აღინიშნა, არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში ბრალდებულს ჰქონდა განათლების მიღებისა და განვითარების შესაძლებლობა.<sup>765</sup> ანალოგიურ მსჯელობას დაეყრდნო თბილისის სააპელაციო სასამართლოც, როდესაც არასრულწლოვანს დაუმძიმა სასჯელი და პირობითად ჩათვლილი ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა შეუცვალა ორი წლით თავისუფლების აღკვეთით იმავე გა-

---

<sup>765</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 16 მარტის განაჩენი, საქმე №1/313-16.

მოსაცდელი ვადით. კერძოდ, სასამართლომ გაითვალისწინა არასრულწლოვნის მიერ სამი სხვადასხვა დამოუკიდებელი დანაშაულის ჩადენის, ასევე მანამდე მის მიმართ განრიდება-მედიაციის პროგრამის გამოყენების ფაქტი და მიიჩნია, რომ ერთი წლის ვადით პირობით ჩათვლილი თავისუფლების აღკვეთა ვერ უზრუნველყოფდა არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას.<sup>766</sup> ასევე აღსანიშნავია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, სადაც პალატამ მნიშვნელოვნად მიიჩნია, რომ არასრულწლოვნის მიერ სწრაფი ჩარიცხვის აპარატიდან სამი ლარის ოდენობით თანხის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაუფლება არ ჩათვალა მცირე მნიშვნელობის მქონე ქმედებად. პალატამ საკითხის ამგვარი გადაწყვეტა დაამყარა რა სამართლებრივ არგუმენტაციას, ამავდროულად, განმარტა, რომ აღნიშნული მნიშვნელოვანი იყო თავად არასრულწლოვნის ღირსეული მომვლის ჩამოყალიბებისა და ახალი დანაშაულის პრევენციის თვალსაზრისით, რადგან არასრულწლოვანს ამ შემთხვევის შემდეგ ეცოდინებოდა, რომ მსგავსი ქმედება იყო გაუმართლებელი და არ წარმოადგენდა მცირე მნიშვნელობის მქონეს.<sup>767</sup> ანალოგიური მიდგომა გვხვდება უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაშიც, საიდანაც ირკვევა, რომ არასრულწლოვანი, რომელსაც ბრალი ედებოდა ყაჩაღობის ჩადენაში, მართალია, აღიარებდა დანაშაულს, თუმცა ვერ იაზრებდა იმ ზიანს, რომელიც სხვას მიაყენა თავისი ქმედებით. სასამართლოს განმარტებით, ასეთ დროს არასრულწლოვანს უნდა მოეპყრან მისი ღირსების შესაბამისად, იმგვარად, რომ განაწყონ სხვა ადამიანის უფლებებისადმი პატივისცემით. აღნიშნულ მსჯელობაზე დაყრდნობით, სასამართლომ მიიჩნია, რომ არასრულწლოვნისთვის 4 წლის გამოსაცდელი ვადით პირობითად ჩათვლილი თავისუფლების აღკვეთა, უზრუნველყოფდა სხვა ადამიანების, მათ შორის, თანატოლების უფლებების დაცვისადმი პატივისცემით

---

<sup>766</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 23 თებერვლის განაჩენი, საქმე №1/ბ-118-17.

<sup>767</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 23 მარტის განაჩენი, საქმე №1/ბ-165-16.

განწყობას.<sup>768</sup> მსგავსი მიდგომა ადასტურებს, რომ სასამართლომ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესად მასში პასუხისმგებლობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებებისადმი პატივისცემის გრძნობის ამალღება მიიჩნია.

აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში გამოტანილი გადაწყვეტილებები<sup>769</sup> სრულყოფილად ასახავს მსჯელობას არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლების შესახებ, მათ შორის, ინდივიდუალურ ანგარიშზე დაყრდნობით. განაჩენის დასაბუთება სასჯელის ნაწილში სწორედ ინდივიდუალურ მახასიათებლებს ემყარება, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. ამასთან, მართალია, სასამართლო აღნიშნავს, რომ სასჯელის დანიშვნისას ინდივიდუალური შეფასების ანგარიშთან ერთად ითვალისწინებს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესს, თუმცა, მიუხედავად ამისა, განაჩენში არ ხდება ინდივიდუალურ მახასიათებლებზე დაყრდნობით კონკრეტული არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის იდენტიფიცირება, რის შემდეგაც უნდა მოხდეს ამ ინტერესის თანხვედრი სასჯელის დანიშვნა. ამკ-ის 75-ე მუხლის პირველი ნაწილი მოსამართლეს სასჯელის დანიშვნისას ავალდებულებს როგორც ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის, ისე არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის კუმულაციურად გათვალისწინებას. შესაბამისად, მხოლოდ ანგარიშის მხედველობაში მიღება, საუკეთესო ინტერესის განსაზღვრის გარეშე, არ წამოადგენს სასჯელის დანიშვნის საკმარის პირობას. აღნიშნულისგან განსხვავებით, ზოგიერთ საქ-

---

<sup>768</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 26 სექტემბრის განაჩენი, საქმე №201აპ-17.

<sup>769</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 11 მაისის განაჩენი, საქმე №862აპ-19; ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 22 აპრილის განაჩენი, საქმე №1/267-19; რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 19 თებერვლის განაჩენი, საქმე №1/371-18; გორის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 8 აპრილის განაჩენი, საქმე №1/77-19; ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2019 წლის: 11 თებერვლის განაჩენი, საქმე №01-1-0118002770194; 12 ივნისის განაჩენი, საქმე №/364-19; 24 აპრილის განაჩენი, საქმე №/173-19; 26 მარტის განაჩენი, საქმე №/775-18; 21 მარტის განაჩენი, საქმე №/23-19.

მეში, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის გაანალიზების შედეგად, მოსამართლე პრაქტიკულად ახდენს საუკეთესო ინტერესის იდენტიფიცირებას. კერძოდ, მიუთითებს არასრულწლოვნისათვის ისეთი სახისა და ზომის სასჯელის შეფარდების აუცილებლობაზე, რაც უზრუნველყოფს კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის საზოგადოებაში უსაფრთხო ინტეგრაციას, ჩადენილი ქმედების ხასიათის, საზოგადოებრივი საშიშროებისა და გასაკიცხაობის ხარისხის, გამონვეული შედეგის სიმძიმის უკეთ გაცნობიერებას, აგრეთვე ახალი დანაშაულის ჩადენის რისკის შემცირებას.<sup>770</sup> ანალოგიურად, ერთ-ერთ საქმეში მოსამართლე აღნიშნავს, რომ ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მიხედვით, მიზანშეწონილია, არასრულწლოვნისათვის სასჯელის ისეთი ფორმის შეფარდება, რომელიც დაეხმარება მას ღირებულებების მიღწევის ჯანსაღი გზების გაცნობიერებაში, რაც საბოლოოდ, ხელს შეუწყობს მას დანაშაულებრივი ქცევის პრევენციაში. ამასთან, აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვანია, სასჯელმა არ გამოიწვიოს მასში დადებითი ცვლილებების განხორციელების მოტივაციის დაკარგვა და ხელი არ შეუშალოს მის ამჟამინდელ ფუნქციონირებასა და სამომავლო განვითარებას.<sup>771</sup>

შესწავლილი გადაწყვეტილებების ანალიზი ცხადყოფს, რომ, მართალია, სასამართლო პრაქტიკაში აღინიშნება არასრულწლოვნებისადმი ლიბერალური მიდგომის ტენდენცია, მაგრამ პრობლემურია საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და განსაზღვრის პროცედურის დაცვის საკითხი. ზოგ გადაწყვეტილებაში არ გვხვდება ინდივიდუალური შეფასების ანგარიშზე დამყარებული

---

<sup>770</sup> ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2019 წლის: 24 აპრილის განაჩენი, საქმე №1/174-19; 26 თებერვლის განაჩენი, საქმე №1/1116-18; 11 იანვრის განაჩენი, საქმე №1/570-18; ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 10 მაისის განაჩენი, საქმე №9/929-18; გორის რაიონული სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2019 წლის: 17 აპრილის განაჩენი, საქმე №1/18-19; 26 თებერვლის განაჩენი, საქმე №1/52-19; 19 თებერვლის განაჩენი, საქმე №1/20-19.

<sup>771</sup> რუსთავეის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 20 მარტის განაჩენი, საქმე №1/442-18.

მსჯელობა და საუკეთესო ინტერესების განსასაზღვრად არც საჭირო ელემენტების იდენტიფიცირება ხდება. მხოლოდ საუკეთესო ინტერესის ზოგადი განმარტება და საერთაშორისო სტანდარტებზე ასევე ზოგადი მითითება ვერ უზრუნველყოფს საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპით დაკისრებული ვალდებულების ჯეროვნად შესრულებას. აღნიშნულს ვერც მხოლოდ ინდივიდუალური შეფასების ანგარიშზე აპელირება უზრუნველყოფს, არამედ საჭიროა, ანგარიშში ასახული ინფორმაციის საფუძველზე, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის მკაფიოდ განსაზღვრა და სასჯელის ისეთი სახისა და ზომის გამოყენება, რომელიც არსებული საკანონმდებლო რეგულაციების პირობებში, ყველაზე მეტად ემსახურება კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის საუკეთესო ინტერესს.

## თავი V. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვის საპროცესო გარანტიები

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა, როგორც უკვე აღინიშნა, სამართლებრივი ბუნების თვალსაზრისით, გარდა იმისა, რომ წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპსა და ბავშვის უფლებას, იგი ასევე განიმარტება, როგორც საპროცესო ნორმა. შესაბამისად, არასრულწლოვნისადმი კეთილგანწყობილი პროცედურული გარანტიებით გაჯერებული ფორმალური პროცესის არსებობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საუკეთესო ინტერესების როგორც შეფასებისა და განსაზღვრის, ისე მათი უპირატესად გათვალისწინების თვალსაზრისით<sup>712</sup> და წარმოადგენს საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და განსაზღვრის პროცესის შემადგენელ ნაწილს.<sup>713</sup> ამასთან, პროცედურული უფლებების გარანტირება მნიშვნელოვანია არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივ სისტემაში მოხვედრისთანავე,<sup>714</sup> ვინაიდან სწორედ ამ ეტაპიდან განხორციელებული ნებისმიერი ქმედება თუ გადაწყვეტილება შესაბამისობაში უნდა იყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესთან. ბავშვის უფლებათა კომიტეტი საუკეთესო ინტერესების სათანადოდ შესაფასებლად და განსაზღვრად ყურადღებას ამახვილებს შემდეგ პროცედურულ გარანტიებზე: არასრულწლოვნის მიერ საკუთარი შეხედულებების გამოხატვის უფლება, ფაქტების დადგენა, დროის აღქმა, კვალიფიციური პროფესიონალები, წარმომადგენლობა, სამართლებრივი არგუმენტაცია, გადაწყვეტილებების გადასინჯვის მექანიზმი, ბავშვის უფლებებზე ზეგავლენის შეფასება.<sup>715</sup> აღნიშნული გარანტიების განხილ-

---

<sup>712</sup> General Comment No. 14 “On the Right of the Child to Have his or her Best Interests Taken as a Primary Consideration (Art. 3, para.1)”, UN Committee on the Rights of the Child, Sixty-second Session (14 January - 1 February 2013), CRC/C/GC/14, 29 May, 2013, Paras. 85, 87.

<sup>713</sup> იქვე, Paras. 46-47.

<sup>714</sup> *Blokhin v. Russia*, Application No. 47152/06, Strasbourg, 23 March, 2016, Para. 196.

<sup>715</sup> General Comment No. 14 “On the Right of the Child to Have his or her Best Interests Taken as a Primary Consideration (Art. 3, para.1)”, UN Committee

ვა მიზანშეწონილია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისათვის სპეციფიკურად დამახასიათებელ კონტექსტში და მხოლოდ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებთან კავშირში.

გარანტიები შეიძლება დაიყოს ორ ძირითად კატეგორიად: მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეებასთან დაკავშირებული და სხვა საპროცესო გარანტიები.

## **1. მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობასთან დაკავშირებული საპროცესო გარანტიები**

### **1.1 არასრულწლოვნის უფლება, იყოს მოსმენილი (ქმედითი მონაწილეობა)**

ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-12 მუხლით გარანტირებული არასრულწლოვნის მიერ შეხედულებების გამოხატვისა და მათი სერიოზულად გათვალისწინების უფლება წარმოადგენს კონვენციის ერთ-ერთ ფუნდამენტურ ღირებულებას, რომელიც არასრულწლოვანს მოიაზრებს აქტიურ სუბიექტად უფლებების განხორციელების თვალსაზრისით.<sup>716</sup> აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში გავრცელებული პრაქტიკა აღნიშნულ უფლებას ფართო გაგებით მოიაზრებს „მონაწილეობის“ ცნების ქვეშ, მიუხედავად იმისა, რომ კონვენციის მე-12 მუხლი მსგავს ტერმინს არ იცნობს.<sup>717</sup> ასევე ამკის იმ მუხლის სათაური, რომელიც განამტკიცებს არასრულწლოვნის მიერ საკუთარი შეხედულებების გამოხატვის ძირითად პრინციპს, სწორედ მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვნის

---

on the Rights of the Child, Sixty-second Session (14 January - 1 February 2013), CRC/C/GC/14, 29 May, 2013, Paras. 89-99.

<sup>716</sup> Lansdown G., Every Child's Right to Be Heard, A Resource Guide on the UN Committee on the Rights of the Child General Comment No. 12, UNICEF, Save the Children UK, London, 2011, 3.

<sup>717</sup> General Comment No. 12 "The Right of the Child to Be Heard", Committee on the Rights of the Child, Fifty-first Session (25 May – 12 June), CRC/C/GC/12, Geneva, 20 July, 2009, Para. 3; Rap-Leurs S. E., The Participation of Juvenile Defendants in the Youth Court: A Comparative Study of Juvenile Justice Procedures in Europe, Utrecht University, 2013, 11.

მონაწილეობის სახელითაა ცნობილი.<sup>718</sup> შესაბამისად, მონაწილეობის ცნება გამოიყენება, როგორც შემოკლებული ტერმინი კონვენციის მე-12 მუხლით გარანტირებული უფლების აღსაწერად.<sup>719</sup> თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ მონაწილეობა უფრო ფართო უფლებაა და მოიცავს როგორც ბავშვის უფლებას, მოუსმინონ, ისე ბავშვის მიერ სოციალურ ცხოვრებაში აქტიური ჩართულობის იდეას.<sup>720</sup> მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვნის მონაწილეობა წარმოადგენს საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ასპექტს<sup>721</sup> და მყარ გარანტიას საუკეთესო ინტერესების სათანადოდ რეალიზების თვალსაზრისით. მონაწილეობის ცნება ყოველთვის იდენტიფიცირდება უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის ძირითად მახასიათებლად.<sup>722</sup> ამ უფლების გარეშე არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი ვერ შეასრულებს თავის ფუნქციას და მხოლოდ თეორიული დატვირთვა ექნება.

აღსანიშნავია, რომ ევროსასამართლოს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-12 მუხლის გამოყენებისა და ინტერპრეტაციის თვალსაზრისით, განსაკუთრებით, სისხლის სამართალწარმოებაში ეფექტიანი მონაწილეობისა და სამართლიანი სასამარ-

---

<sup>718</sup> იხ., ამკ-ის მე-10 მუხლი.

<sup>719</sup> Lansdown G., Every Child's Right to Be Heard, A Resource Guide on the UN Committee on the Rights of the Child General Comment No.12, UNICEF, Save the Children UK, London, 2011, 3.

<sup>720</sup> შაჰოვიჩი ნ.ვ., დოეკი ი.ე., ცერმატენი ჟ., ბავშვის უფლებები საერთაშორისო სამართალში, რ. ტულუმის და თ. ალექსიდის თარგმანი, ლ. ალექსიდისა და ქ. ხუციშვილის თარგმანი, თბილისი, 2015, 121-122.

<sup>721</sup> Nyaman J., What is the Input by Children and Young People in Implementing their Best Interests?, in: The Best Interests of the Child – A Dialogue Between Theory and Practice, Milka Sormunen (Ed.), Council of Europe, 2016, 93.

<sup>722</sup> Tobin J., Understanding a Human Rights Based Approach to Matters Involving Children: Conceptual Foundations and Strategic Considerations, in: The Human Rights of Children from Visions to Implementation, Antonella Invernizzi, Jane Williams (Eds.), Ashgate Publishing Limited, Swansea University, Wales, UK, 2011, 70.

თლოს უფლების ურთიერთმიმართების კონტექსტში.<sup>723</sup> ევროსასამართლოს პრეცედენტულ სამართალში სასამართლო პროცესში ქმედითი მონაწილეობა სამართლიანი სასამართლოს უფლების განუყოფელ ელემენტად მიიჩნევა.<sup>724</sup> სასამართლოს განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ ევროკონვენციის მე-6 მუხლის პირველ პუნქტში მკაფიოდ არ არის ნახსენები სასამართლო განხილვაზე დასწრების უფლება, ამ მუხლის მიზანი და დანიშნულება ერთიან კონტექსტში აღებული ადასტურებს, რომ დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულ პირს აქვს სასამართლო პროცესში მონაწილეობის უფლება, რაც იმაშიც გამოიხატება, რომ მე-6 მუხლით განმტკიცებული უფლებრივი გარანტიები პრაქტიკულად ვერ განხორციელდება სასამართლო განხილვაში მონაწილეობის გარეშე.<sup>725</sup> მოგვიანებით, ევროსასამართლომ კიდევ უფრო დააზუსტა აღნიშნული პრინციპის მნიშვნელობა და განმარტა, რომ მე-6 მუხლი უზრუნველყოფს ბრალდებულის უფლებას ეფექტიანი მონაწილეობა მიიღოს სისხლის სამართლის საქმის განხილვაში. ზოგადად, ეფექტიანი მონაწილეობა მოიცავს არა მარტო სასამართლო განხილვაზე დასწრების, არამედ სამართალწარმოების მოსმენისა და მისთვის თვალყურის მიდევნების უფლებას,<sup>726</sup> თუმცა სამართალწარმოების მიმდინარეობის მხოლოდ მოსმენა და თვალყურის მიდევნება შე-

---

<sup>723</sup> Kilkelly U., *The CRC in Litigating Under the ECHR, The CRC and the ECHR: The Contribution of the European Court of Human Rights to the Implementation of Article 12 of the CRC*, in: *Litigating the Rights of the Child: The UN Convention on the Rights of the Child in Domestic and International Jurisprudence*, Ton Liefwaard, Jaap E. Doek (Ed.), Springer, New-York, London, 2015, 203.

<sup>724</sup> *Handbook on European Law Relating to the Rights of the Child*, European Union Agency for Fundamental Rights and Council of Europe, 2015, 199.

<sup>725</sup> *Colozza v. Italy*, Application No. 9024/80, Strasbourg, 12 February, 1985, Para. 27; *Barbera, Messegue and Jabardo v. Spain*, Application No. 10590/83, Strasbourg, 6 December, 1988, Para. 78; *Brozicek v. Italy*, Application No. 10964/84, Strasbourg, 19 December, 1989, Para. 45; *T. v. Italy*, Application No. 14104/88, Strasbourg, 12 October, 1992, Para. 26; *Zana v. Turkey*, Application No. 69/1996/688/880, Strasbourg, 25 November, 1997, Para. 68.

<sup>726</sup> *Stanford v. The United Kingdom*, Application No. 16757/90, Strasbourg, 23 February, 1994, Para. 26.

იძლება განხილულ იქნეს მინიმალურ მოთხოვნად.<sup>727</sup> უფრო ფართოდ, მონაწილეობის ცნება აერთიანებს რამდენიმე კომპონენტს: არასრულწლოვნის აქტიური ჩართულობა, მისი ინფორმირება, არასრულწლოვნებსა და სრულწლოვნებს შორის ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული ინფორმაციის გაცვლისა და დიალოგის პროცესი, აზრის გამოხატვა, ბავშვის შეხედულებების მოსმენა და გათვალისწინება ასაკისა და მონიჭულობის დონის მხედველობაში მიღებით, გადანყვეტილების მიღების პროცესში წვლილის შეტანა,<sup>728</sup> აგრეთვე პროცესის წარმართვა არასრულწლოვნის გაგებისა და აღქმის უნარების შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ ევროსასამართლო არასრულწლოვნის შეხედულებების სათანადოდ წარდგენასა და მოსმენაში წარუმატებლობას გადანყვეტილების მიღების პროცესის პროცედურული სამართლიანობის პრობლემად განიხილავს.<sup>729</sup> ეფექტიანი მონაწილეობის უფლების სრული დაცვა აუცილებელია პროცესის ნებისმიერ ეტაპზე, დაწყებული გამოძიებით,

---

<sup>727</sup> Rap-Leurs S. E., *The Participation of Juvenile Defendants in the Youth Court: A Comparative Study of Juvenile Justice Procedures in Europe*, Utrecht University, 2013, 63.

<sup>728</sup> Recommendation CM/Rec (2012)2 of the Committee of Ministers to Member States on the Participation of Children and Young People Under the Age of 18, Adopted by the Committee of Ministers on 28 March 2012 at the 1138<sup>th</sup> Meeting of the Ministers' Deputies, Section I; General Comment No. 14 "On the Right of the Child to Have his or her Best Interests Taken as a Primary Consideration (Art. 3, para.1)", UN Committee on the Rights of the Child, Sixty-second Session (14 January - 1 February 2013), CRC/C/GC/14, 29 May, 2013, Para. 89; Guidelines of the Committee of Ministers of the Council of Europe on Child-Friendly Justice, Adopted by the Committee of Ministers of the Council of Europe, Council of Europe Publishing, 17 November, 2010, III, A, 1; Lansdown G., *Every Child's Right to Be Heard, A Resource Guide on the UN Committee on the Rights of the Child General Comment No.12*, UNICEF, Save the Children UK, London, 2011, 3; Krappman L., *The Weight of the Child's View (Article 12 of the Convention on the Rights of the Child)*, "International Journal of Children's Rights", Vol. 18, Issue 4, 2010, 502.

<sup>729</sup> ნ.ნ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, განაცხადი №71776/12, სტრასბურგი, 2 თებერვალი, 2016, პარა. 84.

დასრულებული სასჯელის აღსრულებით.<sup>730</sup> ბავშვის მოსმენის უფლების რეალიზების პირველი, მოსამზადებელი ნაბიჯი არასრულწლოვნის ინფორმირება და გულისხმობს ბავშვისთვის ინფორმაციის მიწოდებას საკუთარი აზრის პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით გამოხატვის უფლებისა და, შესაბამისად, მისაღებ გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობის, აგრეთვე გასავლელი პროცედურის, მონაწილეთა ვინაობისა და მათი ფუნქციების შესახებ.<sup>731</sup>

ამრიგად, ქმედითი მონაწილეობა განხილულ უნდა იქნეს, როგორც გადაწყვეტილების მიღების პროცესში აქტიური ჩართულობა.<sup>732</sup> შესაბამისად, არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ ბავშვის მოსმენით, რაც პასიურ ჩართულობას გულისხმობს, არამედ მნიშვნელოვანია არასრულწლოვნისათვის მისაღებ გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენისა და ცვლილების განხორციელების შესაძლებლობის მიცემა.<sup>733</sup> აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-12 მუხლით გარანტირებული უფლების პრაქტიკულ რეალიზებას უზრუნველყოფს საქმის ზეპირი მოსმენით განხილვა, რაც „სამართლიანი სასამართლოს უფლების უმნიშვნელოვანესი უფლებრივი კომპონენტია“.<sup>734</sup> ამ მხრივ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებ-

---

<sup>730</sup> General Comment No. 10, “Children’s Rights in Juvenile Justice”, UN Committee on the Rights of the Child, Forty-fourth Session (15 January–2 February), CRC/C/C/GC/10, Geneva, 25 April, 2007, Para. 44.

<sup>731</sup> შაჰოვიჩი ნ.ვ., დოეკი ი.ე., ცერმატენი ჟ., ბავშვის უფლებები საერთაშორისო სამართალში, რ. ტულუშის და თ. ალექსიდის თარგმანი, ლ. ალექსიდისა და ქ. ხუციშვილის თარგმანი, თბილისი, 2015, 126.

<sup>732</sup> Thomas N., Towards a Theory of Children’s Participation, “International Journal of Children’s Rights”, Vol. 15, Issue 2, 2007, 199.

<sup>733</sup> Sinclair R., Participation in Practice: Making it Meaningful, Effective and Sustainable, “Children and Society”, Vol. 18, No. 2, 2004, 111.

<sup>734</sup> „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილება, საქმე №3/2/574, 23 მაისი, 2014, II-60; „საქართველოს მოქალაქე ილია ჭანტურაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე №2/2/558, 27 თებერვალი, 2014, II-5.

ბის კოდექსმა პროგრესული მიდგომა განავითარა და განსხვავებით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისაგან, დაადგინა არასრულწლოვნის დაუსწრებლად საქმის სასამართლოში განხილვის დაუშვებლობა.<sup>735</sup> აგრეთვე პირველი ინსტანციის მსგავსად, სააპელაციო სასამართლოშიც განსაზღვრა საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის ვალდებულება ყოველგვარი გამოჩაკლისის გარეშე.<sup>736</sup> პრობლემა იკვეთება ადგილობრივი საბჭოს შემთხვევაში, ვინაიდან საბჭოს აქვს შესაძლებლობა, შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება მიიღოს ზეპირი მოსმენის გარეშე.<sup>737</sup> ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვის შესაძლებლობა ვერ უზრუნველყოფს სახელმწიფოს მიერ არასრულწლოვნის შეხედულებებისათვის სათანადო მნიშვნელობის მინიჭების კონვენციური ვალდებულების შესრულებას. შესაბამისად, მიზანშეწონილია, „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესში“ სათანადო ცვლილების განხორციელება და ადგილობრივი საბჭოს შემთხვევაში გადაწყვეტილების მხოლოდ ზეპირი მოსმენით მიღების ვალდებულების განსაზღვრა.

---

<sup>735</sup> იხ., ამკ-ის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

<sup>736</sup> იხ. იქვე, 55-ე მუხლის მე-2 ნაწილი; სსსკ-ის 295-ე მუხლის მე-7 ნაწილი.

<sup>737</sup> იხ., საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსი“, 42-ე მუხლის მე-3 ნაწილი; „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების -სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის“ მე-7 მუხლის მე-4 პუნქტი.

### 1.1.1. კავშირი საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპთან

საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი მჭიდროდ დაკავშირებულია არასრულწლოვნის მიერ საკუთარი შეხედულებების გამოხატვის უფლებასთან<sup>738</sup>, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული პრინციპი ვერ განხორციელდება სწორად, თუ არ დაკმაყოფილდება მე-12 მუხლის მოთხოვნები.<sup>739</sup> აღსანიშნავია, რომ კონვენციის მე-3 მუხლი არის პასიური ბუნების, მაშინ როდესაც მე-12 მუხლი დინამიკური ხასიათისაა და აღჭურავს არასრულწლოვანს სიტყვის უფლებით მისაღებ გადანყვევტილებასთან მიმართებით,<sup>740</sup> ხოლო მე-3 მუხლი არ განაპირობებს არასრულწლოვნის აქტიურ როლს, არამედ განსაზღვრავს ზრდასრულთა პასუხისმგებლობას არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრისა და დაცვის თვალსაზრისით<sup>741</sup> ანუ გააჩნია უფრო

---

<sup>738</sup> Lücker-Babel M. F., *The Right of the Child to Express Views and to Be Heard: An Attempt to Interpret Article 12 of the UN Convention on the Rights of the Child*, "The International Journal of Children's Rights", Vol. 3, Issue 3-4, 1995, 393.

<sup>739</sup> Friðriksdóttir H., *Relational Representation: The Empowerment of Children in Justice Systems*, in: *Child-Friendly Justice: A Quarter of a Century of the UN Convention on the Rights of the Child*, Said Madmoudi, Pernila Leviner, Anna Kaldal, Katrin Lainpelto (Eds.), Brill Nijhoff, Leiden, Boston, 2015, 59; Krappman L., *The Weight of the Child's View (Article 12 of the Convention on the Rights of the Child)*, "International Journal of Children's Rights", Vol. 18, Issue 4, 2010, 504.

<sup>740</sup> Lücker-Babel M. F., *The Right of the Child to Express Views and to Be Heard: An Attempt to Interpret Article 12 of the UN Convention on the Rights of the Child*, "The International Journal of Children's Rights", Vol. 3, Issue 3-4, 1995, 393-394; Beijer A., Liefwaard T., *A Bermuda Triangle? Balancing Protection, Participation and Proof in Criminal Proceedings Affecting Child Victims and Witnesses*, "Utrecht Law Review", Vol. 7, Issue 3, 2011, 76.

<sup>741</sup> Cipriani D., *Children's Rights and the Minimum Age of Criminal Responsibility: A Global Perspective*, David Nelken (Ed.), Ashgate Publishing Company, 2009, 27.

მეტად პატერნალისტური ბუნება.<sup>742</sup> მიუხედავად ამისა, დაუშვებელია ბავშვის მიერ საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის უგულვებელყოფა იმ საფუძვლით, რომ გადანყვეტილების მიმღები პირები ფლობენ ინფორმაციას, თუ რა არის არასრულწლოვნისათვის საუკეთესო.<sup>743</sup> მართალია, საბოლოო გადანყვეტილებას ღებულობს შესაბამისი პირი, მაგრამ შედეგზე გავლენა უნდა იქონიოს არასრულწლოვნის მოსაზრებებმა. კონვენციის მე-12 მუხლი არასრულწლოვნებს ანიჭებს რა საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის შესაძლებლობას, ამავდროულად, აწესებს გადანყვეტილების მიმღებ პირთა ვალდებულებას, თუ როგორ უნდა განსაზღვრონ და განახორციელონ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები.<sup>744</sup> შესაძლოა გადანყვეტილების მიმღები პირისა და არასრულწლოვნის შეხედულებები საუკეთესო ინტერესების განსაზღვრასთან დაკავშირებით არ დაემთხვეს ერთმანეთს, რა დროსაც წარმოიქმნება კონფლიქტი ამ ორ ფუნდამენტურ უფლებას შორის, რასაც ამწვავებს ის გარემოება, რომ ორივე ამ პრინციპს თანაბარი იურიდიული ძალა გააჩნია და შეუძლებელია რომელიმე მათგანის უგულვებელყოფა.<sup>745</sup> გამოსავალი სამართლიანი ბალანსის დაცვასა<sup>746</sup> და ერთმანეთის აზრის გათვალისწინების მზადყოფნაში მდგომარეობს.<sup>747</sup>

---

<sup>742</sup> Archard D., Skivenes M., *Balancing a Child's Best Interests and a Child's Views*, "The International Journal of Children's Rights", Martinus Nijhoff Publishers, Vol.17, Issue 1, 2009, 2.

<sup>743</sup> Lundy L., "Voice" is not Enough: Conceptualising Article 12 of the United Nations Convention on the Rights of the Child, „British Educational Research Journal", Vol. 33, No. 6, 2007, 938.

<sup>744</sup> Cipriani D., *Children's Rights and the Minimum Age of Criminal Responsibility: A Global Perspective*, David Nelken (Ed.), Ashgate Publishing Company, 2009, 27.

<sup>745</sup> Archard D., Skivenes M., *Balancing a Child's Best Interests and a Child's Views*, "The International Journal of Children's Rights", Martinus Nijhoff Publishers, Vol.17, Issue 1, 2009, 2,4.

<sup>746</sup> Lücker-Babel M. F., *The Right of the Child to Express Views and to Be Heard: An Attempt to Interpret Article 12 of the UN Convention on the Rights of the Child*, "The International Journal of Children's Rights", Vol. 3, Issue 3-4, 1995, 394.

<sup>747</sup> Bosisio R., *Children's Right to Be Heard: What Children Think*, "The International Journal of Children's Rights", Vol. 20, Issue 1, 2012, 143.

აღნიშნულის საპირისპიროდ, ბავშვის უფლებათა კომიტეტის განმარტებით, კონვენციის მე-3 და მე-12 მუხლებს ურთიერთშემავსებელი ფუნქცია გააჩნიათ. შეუძლებელია მე-3 მუხლის სწორად გამოყენება, თუ არ დაკმაყოფილდება მე-12 მუხლის მოთხოვნები. თავის მხრივ, მე-3 მუხლი ხელს უწყობს რა ბავშვების როლის განმტკიცებას მათ ცხოვრებაზე მნიშვნელოვანი გავლენის მქონე გადანყვეტილებების მიღების პროცესში, აძლიერებს მე-12 მუხლის ფუნქციონირებას.<sup>748</sup> კონვენციის ეს ორი მუხლი წარმოადგენს ქვაკუთხედს ბავშვის ეფექტიანი მონაწილეობის თვალსაზრისით.<sup>749</sup> მათ ურთიერთდაკავშირებულ ხასიათზე ისიც მიანიშნებს, რომ თავდაპირველად, კონვენციის პროექტზე მუშაობის პროცესში, ბავშვის უფლება, ყოფილიყო მოსმენილი აისახა კონვენციის მე-3 მუხლის მე-2 პარაგრაფში. თუმცა, შემდგომ უარყოფილ იქნა მსგავსი მიდგომა და არასრულწლოვნის მიერ მოსაზრებების გამოხატვის უფლებას უფრო ლოგიკური ადგილი განესაზღვრა მე-12 მუხლის სახით.<sup>750</sup>

ამრიგად, არასრულწლოვნის უფლებას, იყოს მოსმენილი, საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპთან მიმართებით ორმაგი ფუნქცია გააჩნია. კერძოდ, ერთი მხრივ, იგი წარმოადგენს მეთოდოლოგიას საუკეთესო ინტერესების შესაფასებლად და განსასაზღვრად, ხოლო, მეორე მხრივ, განიხილება, როგორც მიზანი, რადგან არასრულწლოვნის მიერ შეხედულებების

---

<sup>748</sup> General Comment No. 12 “The Right of the Child to Be Heard”, Committee on the Rights of the Child, Fifty-first Session (25 May – 12 June), CRC/C/GC/12, Geneva, 20 July, 2009, Para. 74.

<sup>749</sup> Sund L.G., Vackermo M., The Interest Theory, Children’s Rights and Social Authorities, “The International Journal of Children’s Rights”, Vol. 23, Issue 4, 2015, 757.

<sup>750</sup> Hodgkin R., Newell P., Implementation Handbook for the Convention on the Rights of the Child, 3<sup>rd</sup> Edition, United Nations Children’s Fund, Geneva, 2007, 155.

გამოხატვის უზრუნველყოფა ყოველთვის მიიჩნევა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესად.<sup>751</sup>

**1.1.2. მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობა, როგორც არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი**

**1.1.2.1. არასრულწლოვნის პერსონალური განვითარების უზრუნველყოფა**

არასრულწლოვნის შეხედულებების გამოხატვის რეალიზება და მისი მოსაზრებებისათვის სათანადო მნიშვნელობის მინიჭება არსებითად უწყობს ხელს ბავშვის პერსონალურ განვითარებას, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს მის საუკეთესო ინტერესს. გადამწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა ხელს უწყობს რეაბილიტაციას, აძლიერებს იდენტობის შეგრძნებას,<sup>752</sup> ასევე ავითარებს არასრულწლოვნის ღირსებისა და საკუთარი თავისადმი პატივისცემის გრძნობას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის შემთხვევაში, რათა თავი არ იგრძნოს გარიყულად, სტიგმატიზებული და ამასთან, ჩამოუყალიბდეს პროცესის სხვა მონაწილეთა მიმართ თანასწორუფლებიანობის განცდა. გარდა ამისა, მონაწილეობა ხელს უწყობს თავდაჯერებულობის ამაღლებას, კოგნიტური და სოციალური უნარების განვითარებასა და სხვებისადმი, საერთო ღირებულებებისადმი პატივისცემის გრძნობის ამაღლებას.<sup>753</sup> რაც უფრო

---

<sup>751</sup> Op De Beeck H., Herbots K., Lembrechts S., Willems N., Children's Best Interests Between Theory and Practice: A Discussion of Commonly Encountered Tensions and Possible Solutions Based on International Best Interests Practices and Policy Strategies Since 2004, Study of Children's Rights Knowledge Centre by the Division for Youth of the Flemish Government, 2014, IV, 3.1. 22.

<sup>752</sup> Awan N. S., Balancing a Child's Right to Be Heard with Protective Measures Undertaken in "The Best Interests of the Child": Does the International Criminal Court Get it Right?, "Children's Legal Rights Journal", Vol. 35, Issue 6, 2015, 104.

<sup>753</sup> Kränzl-Nagl R., Zartler U., Children's Participation in School and Community - European Perspectives, in: A Handbook of Children and Young People's Participation: Perspectives from Theory and Practice, Barry Percy-Smith, Nigel Thomas (Eds.), Publisher Routledge, London, New-York, 2010, 171-172;

მეტად არიან არასრულწლოვნები ჩართული მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში, მით უფრო მეტი წვლილის შეტანა შეუძლიათ გადაწყვეტილების მიღებაში და მით უფრო მეტია დადებითი გავლენა მათ განვითარებაზე.<sup>754</sup> ის ფაქტი, რომ არასრულწლოვნები სარგებელს ლებულობენ მათ ცხოვრებაზე არსებითი გავლენის მქონე გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობით, ლიტერატურაში ცნობილია ე.წ. „აღმჭურველი“ მონაწილეობის სახელით.<sup>755</sup> ფილოსოფიური პერსპექტივით, მოსმენის უფლება ავითარებს კონცეფციას იმის შესახებ, რომ პირი არის არა პროცესის ობიექტი, არამედ სუბიექტი.<sup>756</sup>

### **1.1.2.2. უკეთესი გადაწყვეტილებისა და შედეგების მიღების უზრუნველყოფა**

ინფორმირებული, ეფექტიანი და საუკეთესო ინტერესებზე მორგებული გადაწყვეტილებების მისაღებად სათანადო პირები ყოველთვის არ ფლობენ საკმარის ინფორმაციას არასრულწლოვნის შესახებ. პირი, რომლის საქმეც განიხილება, როგორც წესი, ფლობს მნიშვნელოვან ინფორმაციას და მისი მოსაზრებები შეიძლება იყოს საინტერესო და გავლენის მომხდენი სასამართლოს

---

Kirby P., Bryson S., *Measuring the Magic? Evaluating and Researching Young People's Participation in Public Decision Making*, Published by Carnegie Young People Initiative, London, 2002, 5; Sinclair R., *Participation in Practice: Making it Meaningful, Effective and Sustainable*, "Children and Society", Vol. 18, No. 2, 2004, 108.

<sup>754</sup> Lansdown G., *Every Child's Right to Be Heard, A Resource Guide on the UN Committee on the Rights of the Child General Comment No.12*, UNICEF, Save the Children UK, London, 2011, 5.

<sup>755</sup> Warshak R. A., *Payoffs and Pitfalls of Listening to Children*, "Family Relations", Vol. 52, No. 4, 2003, 374.

<sup>756</sup> ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, ვ. გოგელიას, ე. ლომთათიძის, ე. ქარცივაძის, ივანიშვილი თ., მ. ნარინდოშვილის თარგმანი, კ. ვარძელაშვილის, ლ. ფაფიაშვილის, მ. ნარინდოშვილის, ნ. მჭედლიძისა და გ. მელაძის რედაქტორობით, თბილისი, 2009, 112-113.

გადაწყვეტილებაზე.<sup>757</sup> სწორედ არასრულწლოვნებს გააჩნიათ უნიკალური ცოდნა თავიანთ ცხოვრებასა თუ საჭიროებებთან დაკავშირებით, იმ იდეებთან და ხედვებთან ერთად, რომლებიც პირადი გამოცდილებიდან გამომდინარეობს. შესაბამისად, გარდა სხვა დადებითი ეფექტებისა, მონაწილეობა ემსახურება გადაწყვეტილების მიმღები პირის ინფორმირებას არასრულწლოვნის საჭიროებების, შეხედულებების, გრძნობებისა და მისწრაფებების შესახებ, რაც ლიტერატურაში ე.წ. „ცნობიერების ასამაღლებელი“ მონაწილეობის სახელითაა ცნობილი და გულისხმობს არასრულწლოვნის მოსაზრებების გავლენას მისი საუკეთესო ინტერესის განსაზღვრაზე და, შესაბამისად, მისაღებ გადაწყვეტილებაზე.<sup>758</sup> ამრიგად, მონაწილეობა ხელს უწყობს უფრო ზუსტი, რელევანტური და კარგად ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას,<sup>759</sup> აუმჯობესებს გადაწყვეტილების მიღების ხარისხს,<sup>760</sup> რაც შეუძლებელია ეწინააღმდეგებოდეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესს.

### 1.1.2.3. არასრულწლოვნის დაცულობის უზრუნველყოფა

არასრულწლოვანზე ზრუნვა, მისი დაცვა და უსაფრთხოება წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან მხედველობაში მისაღებ ელემენტს საუკეთესო ინტერესების შეფასების პროცესში, რადროსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა არასრულწლოვნის მოსაზრებებს უნდა მიენიჭოს, რადგან სწორედ არასრულწლოვნის მიერ შეხედულებების გამოხატვა და მათი სერიოზულად აღქმა წარმოადგენს მძლავრ იარაღს ისეთ სიტუაციებთან გამკლავების თვალსაზრისით, როგორცაა ძალადობა, შეურაცხყოფა, მუქარა,

---

<sup>757</sup> იქვე, 112.

<sup>758</sup> Warshak R. A., Payoffs and Pitfalls of Listening to Children, "Family Relations", Vol. 52, No. 4, 2003, 374.

<sup>759</sup> Sinclair R., Participation in Practice: Making it Meaningful, Effective and Sustainable, "Children and Society", Vol. 18, No. 2, 2004, 108.

<sup>760</sup> ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, ვ. გოგელიას, ე. ლომთათიძის, ე. ქარცივაძის, ივანიშვილი თ., მ. ნარინდოშვილის თარგმანი, კ. ვარძელაშვილის, ლ. ფაფიაშვილის, მ. ნარინდოშვილის, ნ. მჭედლიძისა და გ. მელაძის რედაქტორობით, თბილისი, 2009, 112.

უსამართლობა თუ დისკრიმინაცია.<sup>761</sup> აღნიშნული კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნებისათვის მნიშვნელოვანია, როგორც მათი საუკეთესო ინტერესების განსაზღვრის, ისე სისხლის სამართალწარმოების პროცესში მათი უფლებების დარღვევის ფაქტების გამოვლენის თვალსაზრისით. არასრულწლოვნის მოსაზრებების გამოხატვისათვის ხელის შეწყობა წარმოადგენს უფლებათა დარღვევის როგორც არსებული, ისე შესაძლო ფაქტების გამოააშკარავების საშუალებას. როგორც წესი, ასეთი ინფორმაციის წყაროდ სწორედ არასრულწლოვნები განიხილებიან<sup>762</sup> და პროცესში აქტიური მონაწილეობით ხელს უწყობენ დაცულობის უზრუნველყოფას, როგორც მათი საუკეთესო ინტერესების ერთ-ერთ გამოვლინებას.

#### **1.1.2.4. არასრულწლოვნის პასუხისმგებლობის ამალგება**

მართლმსაჯულების პროცესში კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის აქტიური ჩართულობა მნიშვნელოვან დატვირთვას იძენს არასრულწლოვანში პასუხისმგებლობის გრძნობის ამალგების თვალსაზრისით, რაც პირდაპირ კავშირშია მის რესოციალიზაცია-რებილიტაციასთან და კანონმორჩილ მოქალაქედ ჩამოყალიბებასთან. კერძოდ, პროცესში ქმედითი მონაწილეობა უზრუნველყოფს არა მარტო არასრულწლოვნის მიერ საკუთარი შეხედულებების გამოხატვის, არამედ პროცესის მონაწილეთა, მათ შორის, დაზარალებულის მოსაზრებებისა და სანინაალმდეგო არგუმენტების მოსმენის შესაძლებლობის რეალიზებას. თავის მხრივ, აღნიშნული პროცესი ხელს უწყობს არასრულწლოვნის მიერ საკუთარ დანაშაულებრივ ქცევაზე დაფიქრებას,<sup>763</sup> ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებით გამონვეული ზიანის, დამდგარი შედე-

---

<sup>761</sup> Lansdown G., Every Child's Right to Be Heard, A Resource Guide on the UN Committee on the Rights of the Child General Comment No.12, UNICEF, Save the Children UK, London, 2011, 7.

<sup>762</sup> იქვე.

<sup>763</sup> Manco E., Protecting the Child's Right to Participate in Criminal Justice Proceedings, "Amsterdam Law Forum", Vol. 8, No. 1, 2016, 59.

გების უკეთ გაანალიზებას, რაც, ბუნებრივია, უზრუნველყოფს არასრულწლოვანში პასუხისმგებლობის ამალგებასა და სხვათა უფლებების მიმართ პატივისცემის განმტკიცებას. შედეგად, არასრულწლოვანს ეუფლება მართლმსაჯულების სისტემასთან თანამშრომლობის, კანონმორჩილი ცხოვრების სურვილი და დანიშნული სასჯელის მიმართ მიმღებლობის განცდა,<sup>764</sup> რაც მნიშვნელოვნად აისახება საუკეთესო ინტერესებზე დაფუძნებული გადანყვეტილების აღსრულების ეფექტიანობაზე.

### **1.1.3. არასრულწლოვნის შეხედულებებისათვის სათანადო მნიშვნელობის მინიჭების საკითხი საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და განსაზღვრის პროცესში**

არასრულწლოვნის მოსაზრებები წარმოადგენს მხედველობაში მისაღებ ერთ-ერთ ელემენტს საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და განსაზღვრის პროცესში, თუმცა ამ ელემენტის მნიშვნელობა, მათ შორის, სხვა ელემენტებთან მიმართებით, დამოკიდებულია არასრულწლოვნის ასაკსა და მონიფულობაზე.<sup>765</sup> უპირველეს ყოვლისა, უნდა შეფასდეს არასრულწლოვნის მიერ მოსაზრებების ჩამოყალიბების უნარი, რა დროსაც მოქმედებს პრეზუმფცია, რომ ბავშვს შესწევს აზრის გამოხატვის შესაძლებლობა და ამ მხრივ, ბავშვის უფლებათა კონვენცია არ აწესებს არანაირ ასაკობრივ შეზღუდვას. ამასთან, ცნობს შეხედულებების ნებისმიერი, მათ შორის, არავერბალური ფორმით გამოხატვის შესაძლებლობას.<sup>766</sup> საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბების უნარის მქონე არასრულწლოვანში მოიაზრება ყველა ბავშვი, რომელმაც მიაღწია

---

<sup>764</sup> Manco E., Protecting the Child's Right to Participate in Criminal Justice Proceedings, "Amsterdam Law Forum", Vol. 8, No. 1, 2016, 59; Rap-Leurs S. E., The Participation of Juvenile Defendants in the Youth Court: A Comparative Study of Juvenile Justice Procedures in Europe, Utrecht University, 2013, 12.

<sup>765</sup> იხ., ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხ. 12 (1).

<sup>766</sup> General Comment No. 12 "The Right of the Child to Be Heard", Committee on the Rights of the Child, Fifty-first Session (25 May – 12 June), CRC/C/GC/12, Geneva, 20 July, 2009, Paras. 20-21.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს.<sup>767</sup> იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანს არ გააჩნია ამგვარი უნარი, ეს ნიშნავს, რომ მას არ აქვს პროცესში ქმედითი მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა. ასეთ დროს, ლოგიკური შედეგი არის ის, რომ არასრულწლოვანი საერთოდ არ დაექვემდებაროს სისხლისსამართლებრივ პროცედურებს.<sup>768</sup> პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობა გულისხმობს ეფექტიანი მონაწილეობის უნარის ქონასაც.<sup>769</sup>

მას შემდეგ, რაც დადგინდება, რომ არასრულწლოვანს გააჩნია მოსაზრებების ჩამოყალიბების უნარი, გადანყვეტილების მიმღები პირი ვალდებულია, სათანადო მნიშვნელობა მიანიჭოს მის შეხედულებებს ასაკისა და მონიფულობის გათვალისწინებით. სწორედ ეს ორი კუმულაციური ელემენტი განსაზღვრავს არასრულწლოვნის მოსაზრებების გავლენას მისი საუკეთესო ინტერესების განსაზღვრის პროცესზე. ბავშვის უფლებათა კომიტეტის განმარტებით, არასრულწლოვნის გაგებისა და აღქმის უნარები არ უკავშირდება მხოლოდ მის ბიოლოგიურ ასაკს, არამედ გაითვალისწინება ისეთი ფაქტორები, როგორცაა ინფორმაციის ქონა, გამოცდილება, გარემო, სოციალური, კულტურული კონტექსტი და სხვ.<sup>770</sup> რაც შეეხება მონიფულობას, იგი გულისხმობს კონკრეტული საკითხის შე-

---

<sup>767</sup> Justice in Matters Involving Children in Conflict with the Law, Model Law on Juvenile Justice and Related Commentary, United Nations Office on Drugs and Crime, New York, 2013, Art 13 (5), Commentary, 71.

<sup>768</sup> Cipriani D., Children's Rights and the Minimum Age of Criminal Responsibility: A Global Perspective, David Nelken (Ed.), Ashgate Publishing Company, 2009, 28; Justice in Matters Involving Children in Conflict with the Law, Model Law on Juvenile Justice and Related Commentary, United Nations Office on Drugs and Crime, New York, 2013, Art. 45, Commentary, 98.

<sup>769</sup> Rap S., A Children's Rights Perspective on the Participation of Juvenile Defendants in the Youth Court, "International Journal of Children's Rights", Vol. 24, Issue 1, 2016, 96; Liefwaard T., Child-Friendly Justice: Protection and Participation of Children in the Justice System, "Temple Law Review", Vol. 88, No. 4, 2016, 917-918.

<sup>770</sup> General Comment No. 12 "The Right of the Child to Be Heard", Committee on the Rights of the Child, Fifty-first Session (25 May – 12 June), CRC/C/GC/12, Geneva, 20 July, 2009, Para. 29.

დეგების გაგებისა და შეფასების, ასევე შეხედულებების დამოუკიდებლად და დასაბუთებულად გამოხატვის უნარს<sup>771</sup> ანუ ბავშვის სოციალურ, კოგნიტურ და ემოციურ სიმწიფეს.<sup>772</sup> მონიფულობის ცნება აერთიანებს არასრულწლოვნისთვის დამახასიათებელ შემდეგ გარემოებებს: რელევანტური ინფორმაციის გაგებისა და გადაცემის უნარი, დამოუკიდებლად ფიქრისა და გადანყვეტილების მიღების უნარი, პოტენციური სარგებლის, რისკისა და ზიანის შეფასების შესაძლებლობა, გადანყვეტილების მისაღებად საჭირო ღირებულებების ქონა.<sup>773</sup> ამასთან, რაც უფრო დიდი გავლენა აქვს მისაღები გადანყვეტილების შედეგებს არასრულწლოვნის ცხოვრებაზე, მით უფრო მნიშვნელოვანია მონიფულობის დონის სათანადოდ შეფასება.<sup>774</sup> სწორედ ზემოაღნიშნული ფაქტორები განაპირობებს არასრულწლოვნის შეხედულებების მნიშვნელობასა და, შესაბამისად, მათი გათვალისწინების დონეს საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და განსაზღვრის პროცესში.

#### **1.1.4. გადანყვეტილების მიღებისა თუ გადანყვეტილებაზე გავლენის მოხდენის უფლება?**

მნიშვნელოვანია, შეფასება მიეცეს არასრულწლოვნის მიერ საკუთარი შეხედულებების გამოხატვის უფლების დატვირთვას

---

<sup>771</sup> General Comment No. 12 “The Right of the Child to Be Heard”, Committee on the Rights of the Child, Fifty-first Session (25 May – 12 June), CRC/C/GC/12, Geneva, 20 July, 2009, Para. 30; Hodgkin R., Newell P., Implementation Handbook for the Convention on the Rights of the Child, 3<sup>rd</sup> Edition, United Nations Children’s Fund, Geneva, 2007, 155; Op De Beeck H., Herbots K., Lembrechts S., Willems N., Children’s Best Interests Between Theory and Practice: A Discussion of Commonly Encountered Tensions and Possible Solutions Based on International Best Interests Practices and Policy Strategies Since 2004, Study of Children’s Rights Knowledge Centre by the Division for Youth of the Flemish Government, 2014, V.

<sup>772</sup> Rap-Leurs S. E., The Participation of Juvenile Defendants in the Youth Court: A Comparative Study of Juvenile Justice Procedures in Europe, Utrecht University, 2013, 76.

<sup>773</sup> Lansdown G., Every Child’s Right to Be Heard, A Resource Guide on the UN Committee on the Rights of the Child General Comment No.12, UNICEF, Save the Children UK, London, 2011, 56.

<sup>774</sup> იქვე, 23.

მისაღებ გადაწყვეტილებასთან მიმართებით. კერძოდ, გულისხმობს თუ არა უფლება პასუხისმგებლობას? მნიშვნელოვანია ხაზგასმით აღინიშნოს, რომ არასრულწლოვნის უფლება, იყოს მოსმენილი, გულისხმობს მისი მოსაზრებების სერიოზულად გათვალისწინებას ასაკისა და მონიფულობის დონის შესაბამისად და სათანადო გავლენის ქონას მისაღებ გადაწყვეტილებაზე. მიუხედავად ამისა, საბოლოო პასუხისმგებლობა მხოლოდ გადაწყვეტილების მიმღებ პირს ეკისრება.<sup>775</sup> ყველა საშუალებით თავიდან უნდა იქნეს აცილებული ბავშვისათვის შთაბეჭდილების შექმნა, თითქოს ის არის გადაწყვეტილების მიმღები პირი.<sup>776</sup> ზოგ შემთხვევაში, შესაძლოა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი სწორედ მისი აზრის გაუთვალისწინებლობა იყოს.<sup>777</sup> როდესაც გადაწყვეტილების მიმღები პირი ეყრდნობა არასრულწლოვნის შეხედულებებს და მიიჩნევს სარწმუნოდ გადაწყვეტილების მისაღებად, სწორედ ამ მომენტიდან იხსნება არასრულწლოვნის პასუხისმგებლობაც. არასასურველი შედეგის დადგომა მიანიშნებს იმას, რომ გადაწყვეტილების მიმღებმა პირმა სათანადად ვერ განსაზღვრა მხედველობაში მისაღები ელემენტები ან/და არასწორი მნიშვნელობა მიანიჭა მათ. არასრულწლოვანს საუკეთესო ინტერესის განსაზღვრის კონტექსტში გააჩნია ზოგადად სიტყვის უფლება და არა საბოლოო სიტყვის უფლება.<sup>778</sup> შესაბამისად, არ არსებობს მოლოდინი იმ პოტენციური ზიანის შესახებ, რაც არასრულწლოვანს შეიძლება მიადგეს გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის

---

<sup>775</sup> Krappman L., *The Weight of the Child's View (Article 12 of the Convention on the Rights of the Child)*, "International Journal of Children's Rights", Vol. 18, Issue 4, 2010, 508.

<sup>776</sup> შაჰოვიჩი ნ.ვ., დოეკი ი.ე., ცერმატენი ფ., ბავშვის უფლებები საერთაშორისო სამართალში, რ. ტულუშისა და თ. ალექსიძის თარგმანი, ლ. ალექსიძისა და ქ. ხუციშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2015, 127.

<sup>777</sup> Rap-Leurs S. E., *The Participation of Juvenile Defendants in the Youth Court: A Comparative Study of Juvenile Justice Procedures in Europe*, Utrecht University, 2013, 58.

<sup>778</sup> Archard D., *Children, Adults, Best Interests and Rights*, "Medical Law International", Vol. 13, issue 1, 2013, 64.

ტვირთის დაკისრებით,<sup>779</sup> ვინაიდან პროცესში აქტიური ჩართულობა არ გულისხმობს არასრულწლოვნის პასუხისმგებლობას დამდგარ შედეგებთან მიმართებით.

### **1.1.5. მართლმსაჯულების პროცესის წარმართვის ვალდებულება არასრულწლოვნის გაგებისა და აღქმის უნარების შესაბამისად**

მართლმსაჯულების პროცესის არასრულწლოვნის გაგებისა და აღქმის უნარების შესაბამისად წარმართვას განსაკუთრებული დატვირთვა გააჩნია ბავშვის ქმედითი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, რაც, როგორც უკვე აღინიშნა, უმნიშვნელოვანესი გარანტიაა საუკეთესო ინტერესების განსაზღვრისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესის სათანადოდ წარმართვის თვალსაზრისით. ცხადია, გარემო რომელიც არ შეესაბამება არასრულწლოვნის ინდივიდუალური აღქმის უნარებს ვერ უზრუნველყოფს საუკეთესო ინტერესების განსაზღვრისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების პროცესში მის ჩართულობას. ამკ-ის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვნის მონაწილეობით განხორციელებული ქმედება უნდა შეესაბამებოდეს მისი აღქმისა და გაგების უნარებს“. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ყურადღება გამახვილებულია ასევე არაერთ საერთაშორისო აქტში.<sup>780</sup>

აღსანიშნავია, რომ ევროსასამართლოს განსაკუთრებული ნვლილი მიუძღვის პროცესის არასრულწლოვნის გაგებისა და აღქმის უნარების შესაბამისად წარმართვის საკითხის სათანადოდ

---

<sup>779</sup> Piper Ch., Assumptions About Children’s Best Interests, “Journal of Social Welfare and Family Law”, Vol. 22, Issue 3, 2000, 267.

<sup>780</sup> იხ., United Nations Standard Minimum Rules for the Administration of Juvenile Justice (“The Beijing Rules”), Adopted by General Assembly Resolution 40/33 of 29 November 1985, Rule 14.2; General Comment No. 12 “The Right of the Child to Be Heard”, Committee on the Rights of the Child, Fifty-first Session (25 May – 12 June), CRC/C/GC/12, Geneva, 20 July, 2009, Paras. 34, 42; Guidelines of the Committee of Ministers of the Council of Europe on Child-Friendly Justice, Adopted by the Committee of Ministers of the Council of Europe, Council of Europe Publishing, 17 November, 2010, Paras. 54-63.

განმარტების თვალსაზრისით მართლმსაჯულების პროცესში ბავშვის ეფექტიან მონაწილეობაზე მსჯელობის კონტექსტში. სასამართლოს განმარტებით, „ბავშვს, რომელსაც დანაშაულის ჩადენა ედება ბრალად, უნდა მოეპყრან იმგვარად, როგორც ეს შეეფერება მის ასაკს, სიმწიფის დონეს, ინტელექტუალურ და ემოციურ უნარებს, რათა მიეცეს შესაძლებლობა, გაიგოს და მონაწილეობა მიიღოს სისხლისსამართლებრივ პროცედურებში“.<sup>781</sup> არასრულწლოვნის სამართალწარმოების პროცესში ეფექტიანი მონაწილეობის თვალსაზრისით, პრეცედენტული გადაწყვეტილებაა ტ.-სა და ვ.-ის საქმე გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ. როგორც უკვე აღინიშნა, საქმე ეხება ორ ათი წლის არასრულწლოვანს, რომლებმაც გაიტაცეს და სასიკვდილოდ სცემეს ორი წლის ჯემს ბულგერი. არასრულწლოვანი ბრალდებულების საქმის განხილვა წარმართა მეფის სასამართლოში საჯაროდ, მოსამართლისა და თორმეტი ნაფიცი მსაჯულის წინაშე, მედიის, ეროვნული თუ საერთაშორისო საზოგადოების მაღალი დაინტერესების ფონზე. სამი კვირის შემდეგ ბრალდებულთა მიმართ გამოტანილ იქნა გამამტყუნებელი განაჩენი. ორივე ბრალდებულმა მიმართა ევროსასამართლოს სწორედ იმ მიზეზით, რომ საქმის განხილვისას შექმნილი არახელსაყრელი პირობების გამო, ვერ შეძლეს თვალი ედევნებინათ სამართალწარმოებისათვის და მიეღოთ გადაწყვეტილებები თავიანთი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. შესაბამისად, არ მიეცათ საქმის განხილვაში ეფექტიანი მონაწილეობის შესაძლებლობა.<sup>782</sup> სასამართლოს განმარტებით, მძიმე დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული ბავშვების საქმეები, რომელიც საზოგადოებისა და მედიის ინტერესის საგანს წარმოადგენს, უნდა გაირჩეს ისე, რომ მაქსიმალურად შემცირდეს დაშინებისა და სულიერი ტანჯვის

---

<sup>781</sup> V. v. the United Kingdom, Application No. 24888/94, Strasbourg, 16 December, 1999, Para. 86; T. v. the United Kingdom, Application No. 24724/94, Strasbourg, 16 December, 1999, Para. 84; Martin v. Estonia, Application No. 35985/09, Strasbourg, 30 May, 2013, Para. 92; Panovits v. Cyprus, Application No. 4268/04, Strasbourg, 11 December, 2008, Para. 67.

<sup>782</sup> T. v. the United Kingdom, Application No. 24724/94, Strasbourg, 16 December, 1999, Paras. 9, 14, 17; V. v. the United Kingdom, Application No. 24888/94, Strasbourg, 16 December, 1999, Paras. 9, 15.

ფაქტორი.<sup>783</sup> სასამართლომ თერთმეტი წლის არასრულწლოვანთათვის გაუგებრად და შიშის მომგვრელად მიიჩნია საქმის განხილვისას გამოყენებული ფორმალობა და რიტუალები. ასევე დაძაბული ატმოსფეროს გამო, განმცხადებლებს არც ადვოკატებთან ჯეროვანი კომუნიკაციის საშუალება გააჩნდათ.<sup>784</sup> გამომდინარე იქდან, რომ პროცედურა არ შეესაბამებოდა არასრულწლოვანთა გაგებისა და აღქმის უნარებს, მათ ვერ შეძლეს პროცესში ეფექტიანი მონაწილეობის მიღება და შედეგად, დადგინდა ევროკონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა. თუმცა, ამ საქმეში საინტერესოა მოსამართლე ბაკას განსხვავებული მოსაზრება, რომელმაც მიიჩნია, რომ მე-6 მუხლის დარღვევას ადგილი არ ჰქონია, რადგან მძიმე დანაშაულთან დაკავშირებული ნებისმიერი სასამართლო პროცესი, მისი წარმართვის ფორმის მიუხედავად, თითქმის გარდაუვლად იწვევს ბრალდებულში შეშფოთებას, შიშსა და სტრესს, რამაც შეიძლება სრულად ან ნაწილობრივ შეზღუდოს პირის შესაძლებლობა, აქტიურად მიიღოს მონაწილეობა სისხლის სამართლის პროცესში.<sup>785</sup> აღნიშნული მოსაზრება ყურადსაღებია, თუმცა ვერ ამართლებს პასუხისმგებელ პირთა მიერ პროცესის არასრულწლოვნის გაგებისა და აღქმის უნარების შესაბამისად წარმართვის ვალდებულების შეუსრულებლობას.

ზემოაღნიშნული გადანყვევტილებისაგან განსხვავებით, საქმეში „ს.ქ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, რომელიც ეხებოდა 11 წლის არასრულწლოვნის ბრალდებას ყაჩაღობისათვის, ევროსასამართლომ, მიუხედავად საჯარო სამართალწარმოებისა, არ გაიზიარა მოსაზრება არასრულწლოვნისათვის დაძაბული და მტრულად განწყობილი გარემოს არსებობის შესახებ, რაც განაპირობა პროცესის არაფორმალურმა ხასიათმა. კერძოდ, იურისტები არ

---

<sup>783</sup> T. v. the United Kingdom, Application No. 24724/94, Strasbourg, 16 December, 1999, Para. 85; V. v. the United Kingdom, Application No. 24888/94, Strasbourg, 16 December, 1999, Para. 87.

<sup>784</sup> T. v. the United Kingdom, Application No. 24724/94, Strasbourg, 16 December, 1999, Paras. 86, 88; V. v. the United Kingdom, Application No. 24888/94, Strasbourg, 16 December, 1999, Paras. 88, 90.

<sup>785</sup> T. v. the United Kingdom, Application No. 24724/94, Strasbourg, 16 December, 1999, Partly Dissenting Opinion of Judge Baka.

ატარებდნენ პარიკებსა და მანტიებს, მომჩივანი, ნაცვლად ბრალდებულის სკამისა, იჯდა სოციალური მუშაკის გვერდით, განხილვა მხოლოდ ერთი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა, სასამართლო ხშირად აცხადებდა შესვენებას, ამასთან, არც საზოგადოებისა და მედიის განსაკუთრებული დაინტერესება იკვეთებოდა.<sup>786</sup> მიუხედავად იმისა, რომ გარემო შეესაბამებოდა არასრულწლოვნის გაგებისა და აღქმის უნარებს, სასამართლომ მაინც დაადგინა, რომ მომჩივანს არ შეეძლო საქმის განხილვაში ეფექტიანად მონაწილეობის მიღება, შეზღუდული ინტელექტუალური შესაძლებლობების გამო. კერძოდ, სოციალური მუშაკის მცდელობის მიუხედავად, მომჩივანი ვერ აცნობიერებდა საკუთარ მდგომარეობას, მოსალოდნელ პატიმრობას, ნაფიც მსაჯულთა როლს და მათზე კარგი შთაბეჭდილების მოხდენის მნიშვნელობას. ასეთ ვითარებაში, პროცედურების საჭიროებისამებრ ადაპტირების მიზნით, ევროსასამართლომ აუცილებლად მიიჩნია საქმის განხილვა სპეციალიზებულ სასამართლოში.<sup>787</sup> გასათვალისწინებელია, რომ პროცესის არასრულწლოვნის გაგებისა და აღქმის უნარების შესაბამისად წარმართვა არ გულისხმობს რომ არასრულწლოვანს ესმოდეს ან შესწევდეს უნარი, გაიგოს კანონის ყველა ასპექტი თუ მტკიცებულების ყველა დეტალი, არამედ მას კარგად უნდა ჰქონდეს გააზრებული რას ემსახურება სასამართლო პროცესი, რა საფრხის წინაშე დგას იგი და რა სახის სასჯელი შეიძლება დაეკისროს, ხოლო სასამართლოზე განხილულ საკითხთა საერთო აზრის გაგება შეიძლება შეძლოს თარჯიმნის, ადვოკატის, სოციალური მუშაკისა თუ მეგობრის დახმარებით.<sup>788</sup> მსგავსი მიდგომა გვხვდება საქმეში „სტენფორდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ სადაც მიუხედავად განმცხადებლის პრეტენზიისა, რომ ვერ მოისმინა მოწმის ჩვენება, რადგან მისთვის განკუთვნილი ადგილი შემინული იყო, სასამართლომ არ დაადგინა მე-6 მუხლის დარღვევა, რადგან განმცხადებლის ადვო-

---

<sup>786</sup> S.C. v. the United Kingdom, Application No. 60958/00, Strasbourg, 15 June, 2004, Paras. 15, 30.

<sup>787</sup> იქვე, Paras. 32-35.

<sup>788</sup> იქვე, Para. 29; Timergaliyev v. Russia, Application No. 40631/02, Strasbourg, 14 October, 2008, Para. 51.

კატს არანაირი სირთულე არ ჰქონდა სამართალწარმოებისათვის თვალყურის მიდევნების თვალსაზრისით და კლიენტისაგან მითითებების მიღებაც შეეძლო.<sup>789</sup>

ამრიგად, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პროცესის არასრულწლოვნის გაგებისა და აღქმის უნარის შესაბამისად წარმართვა გულისხმობს სისხლისსამართლებრივი პროცედურების არასრულწლოვანთათვის ადაპტირებას, ბავშვისადმი კეთილგანწყობილი არაფორმალური გარემოს შექმნას, მისი ინტელექტუალური შესაძლებლობების გათვალისწინებას, სამართალწარმოების მიმდინარეობისა და მისი შედეგების ზოგადი გააზრების შესაძლებლობის შექმნას. სწორედ ეს ყოველივე უზრუნველყოფს არასრულწლოვნის მიერ საკუთარი შეხედულებების სათანადოდ გამოხატვას, რასაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მისი საუკეთესო ინტერესების განსაზღვრისა და გადანყვეტილების მიღების პროცესში. შესაბამისად, საჭიროა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შეფასდეს გადანყვეტილების მიღების პროცესი, განხილული ერთიანად, რამდენად აძლედა პირს საკუთარი ინტერესების დაცვის შესაძლებლობას.<sup>790</sup> აღსანიშნავია, რომ საქართველოს საერთო სასამართლოებში დღეს არსებული გარემო ვერ აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ სტანდარტებს. მხოლოდ რამდენიმე სასამართლოს (საქართველოს უზენაესი სასამართლო, რუსთავის საქალაქო სასამართლო) შენობა არის აღჭურვილი კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვისათვის ადაპტირებული გარემოს შესაბამისი სასამართლო დარბაზით. გასათვალისწინებელია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ახალი ადმინისტრაციული შენობის მშენებლობისათვის შემუშავებული პირველადი კონცეფცია ითვალისწინებს აღნიშნულ სასამართლოში ბავშვზე მორგებული გარემოს შექმნის

---

<sup>789</sup> *Stanford v. The United Kingdom*, Application No. 16757/90, Strasbourg, 23 February, 1994, Para. 30.

<sup>790</sup> *W. v. the United Kingdom*, Application No. 9749/82, Strasbourg, 8 July, 1987, Para. 64; *Elsholz v. Germany*, Application No. 25735/94, 13 July, 2000, Para. 52; *Sahin v. Germany*, Application No. 30943/96, Strasbourg, 8 July, 2003, Para. 68; *Fernandez Martinez v. Spain*, Application No. 30943/96, Strasbourg, 12 June, 2014, Para. 147.

უზრუნველსაყოფად შესაბამის სტანდარტებს.<sup>791</sup> დღეისათვის რაიონულ (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოებში კანონთან კონფლიქტში მყოფ პირთა საქმეების განხილვა ისეთივე ფორმალურ, ოფიციალურ გარემოში მიმდინარეობს, როგორც სრულწლოვან ბრალდებულთა შემთხვევაში. საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან სათანადო ნაბიჯების გადადგმა. კერძოდ, მიზანშეწონილია, ყველა რაიონულ თუ სააპელაციო სასამართლოში მოეწყოს ბავშვისათვის ადაპტირებული სასამართლო დარბაზი. გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ საერთო სასამართლოების სისტემის ყველა დონეზე ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების განხორციელებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის შექმნის ხელმძღვანელობის ვალდებულებას იუსტიციის უმაღლეს საბჭოს აკისრებს.<sup>792</sup>

## 1.2. წარმომადგენლობა

ბავშვთა სამართალი ძირითადად ეფუძნება არასრულწლოვნის ინტერესების დასაცავად სათანადო პირის მიერ წარმომადგენლობის განხორციელების პრინციპს,<sup>793</sup> რაც განიხილება არასრულწლოვნის მონაწილეობის არაპირდაპირ ფორმად.<sup>794</sup> აღსანიშნავია, რომ ბავშვის უფლებათა კომიტეტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს არასრულწლოვნის წარმომადგენლის მონაწილეობას საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და განსაზღვრის პროცეს-

---

<sup>791</sup> იხ., „სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის პროგრესის ანგარიში“, იუსტიციის უმაღლესი საბჭო, თბილისი, 2018, 129.

<sup>792</sup> იხ. საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“, 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი, 99-ე მუხლის მე-7 ნაწილი.

<sup>793</sup> Friðriksdóttir H., *Relational Representation: The Empowerment of Children in Justice Systems*, in: *Child-Friendly Justice: A Quarter of a Century of the UN Convention on the Rights of the Child*, Said Madmoudi, Pernila Leviner, Anna Kaldal, Katrin Lainpelto (Eds.), Brill Nijhoff, Leiden, Boston, 2015, 56.

<sup>794</sup> Van Hooijdonk E., *Children's Best Interests: A Discussion of Commonly Encountered Tensions*, in: *The Best Interests of the Child – A Dialogue Between Theory and Practice*, Milka Sormunen (Ed.), Council of Europe, 2016, 43.

ში.<sup>795</sup> წარმომადგენლობის ცნება მოიცავს არა მარტო ადვოკატის, არამედ კანონიერ და საპროცესო წარმომადგენელთა ჩართულობას.

### **1.2.1. კანონიერ და საპროცესო წარმომადგენელთა როლი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და განსაზღვრის პროცესში**

ამკ-ის მე-3 მუხლის მე-11 ნაწილი კანონიერ წარმომადგენელში მოიაზრებს არასრულწლოვნის ახლო ნათესავს (მშობელი, მშვილებელი, შვილი, მინდობით აღსაზრდელი, პაპა, ბებია, და, ძმა, მეუღლე, მათ შორის, განქორწინებული),<sup>796</sup> მხარდამჭერს, მეურვესა და მზრუნველს. ამრიგად, კანონმდებელი კანონიერ წარმომადგენლებად განსაზღვრავს იმ პირებს, რომლებსაც მჭიდრო სოციალური და ემოციური კავშირი აქვთ არასრულწლოვანთან. შესაბამისად, მართლმსაჯულების პროცესში მათ მონაწილეობას განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია არასრულწლოვნისათვის ემოციური და ფსიქოლოგიური დახმარების განევის თვალსაზრისით,<sup>797</sup> რაც არასრულწლოვანს აძლევს შესაძლებლობას, გათავისუფლდეს მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობით გამოწვეული სტრესისა და შიშისაგან და, შესაბამისად, უზრუნველყოფილ იქნეს მისი ეფექტიანი მონაწილეობა, მათ შორის, შეხედულებების თავისუფლად გამოხატვის თვალსაზრისით. ეს უკანა-

---

<sup>795</sup> General Comment No. 14 “On the Right of the Child to Have his or her Best Interests Taken as a Primary Consideration (Art. 3, para.1)”, UN Committee on the Rights of the Child, Sixty-second Session (14 January - 1 February 2013), CRC/C/GC/14, 29 May, 2013, Para. 96.

<sup>796</sup> იხ., ამკ-ის მე-3 მუხლის მე-19 ნაწილი.

<sup>797</sup> General comment, No 10, “Children’s Rights in Juvenile Justice”, Committee on the Rights of the Child, CRC/C/GC/10, 25 April, 2007, Para. 53; United Nations Standard Minimum Rules for the Administration of Juvenile Justice (“The Beijing Rules”), Adopted by General Assembly Resolution 40/33 of 29 November 1985, Rule 15 (Commentary); Justice in Matters Involving Children in Conflict with the Law, Model Law on Juvenile Justice and Related Commentary, United Nations Office on Drugs and Crime, New York, 2013, Art. 41, Commentary 96.

სკნელი კი, როგორც უკვე აღინიშნა, წარმოადგენს საუკეთესო ინტერესების სათანადოდ განსაზღვრის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარანტიას. ამრიგად, არასრულწლოვნისათვის ემოციური და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის აღმოჩენა შეიძლება შევაფასოთ, როგორც კანონიერ წარმომადგენელთა არაპირდაპირი გავლენა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების სათანადოდ განსაზღვრის პროცესზე.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მნიშვნელოვანია კანონიერ წარმომადგენელთა როლი საუკეთესო ინტერესების განსაზღვრის პროცესზე პირდაპირი გავლენის მოხდენის თვალსაზრისით. კერძოდ, მშობლების ან სხვა შესაბამის პირთა მონაწილეობა და მათთან თანამშრომლობა შესაძლოა სარგებლის მომტანი იყოს ადეკვატური გადაწყვეტილების მისაღებად,<sup>798</sup> რაც გამოიხატება კანონიერ წარმომადგენელთა მოსაზრებებისათვის სათანადო მნიშვნელობის მინიჭებაში. თუმცა, საინტერესოა, რამდენად შესაძლებელია საუკეთესო ინტერესების განსაზღვრისას მშობლების მოსაზრებების მხედველობაში მიღება ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-12 მუხლით გათვალისწინებული ბავშვის შეხედულებებისათვის სათანადო მნიშვნელობის მინიჭების ვალდებულების პარალელურად. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს კონვენციის მე-5 მუხლზე, რომელიც მჭიდრო კავშირშია მე-12 მუხლთან. მე-5 მუხლი ყურადღებას ამახვილებს მშობელთა და სხვა კანონიერ წარმომადგენელთა პასუხისმგებლობაზე, უფლებებსა და მოვალეობებზე, ბავშვის „განვითარებადი უნარების“ შესაბამისად მართავდნენ და ხელმძღვანელობდნენ არასრულწლოვანს კონვენციით აღიარებული უფლებების განხორციელებაში. როგორც მე-5, ისე მე-12 მუხლი უკავშირდება არასრულწლოვნის პიროვნების განვითარებას და ორივე მათგანი ცვალებადი ბუნებისაა ბავშვის გან-

---

<sup>798</sup> United Nations Standard Minimum Rules for the Administration of Juvenile Justice (“The Beijing Rules”), Adopted by General Assembly Resolution 40/33 of 29 November 1985, Rule 15 (Commentary).

ვითარების ეტაპების შესაბამისად.<sup>799</sup> „განვითარებადი შესაძლებლობები“ არ გულისხმობს ბავშვის უფლებების უარყოფას მისი მოუმნიფებლობიდან გამომდინარე, არამედ არასრულწლოვნის მიერ საკუთარი უფლებების დამოუკიდებლად განხორციელება შეუძლებლობა დაექვემდებაროს შეზღუდვებს და მოექცეს სხვათა, კერძოდ, მშობლების პასუხისმგებლობის ქვეშ.<sup>800</sup> მე-5 მუხლით გათვალისწინებული მშობელთა პასუხისმგებლობა მე-12 მუხლის კონტექსტში ნიშნავს, რომ არასრულწლოვნის შეხედულებები არ არის უფრო დიდი მნიშვნელობის, ვიდრე მისი მშობლების, კანონიერი წარმომადგენლების, მაგრამ მათი როლი დამოკიდებულია არასრულწლოვნის განვითარებაზე. აღნიშნული ნიშნავს, რომ არასრულწლოვნებს მინიჭებული აქვთ დამოუკიდებლად მოქმედების შესაძლებლობა და მათი უნარების განვითარების შესაბამისად, კლებულობს მშობელთა როლი, ხოლო არასრულწლოვნის მოსაზრებებს ენიჭება მეტი მნიშვნელობა, მაშინ როდესაც შედარებით მცირეწლოვანი ბავშვების შემთხვევაში, საჭიროა მშობლების მოსაზრებებისათვის სათანადო მნიშვნელობის მინიჭება.<sup>801</sup>

მე-5 მუხლით გათვალისწინებული „განვითარებადი უნარების“ ცნება უზრუნველყოფს ბალანსის დაცვას, ერთი მხრივ, ბავშვის, როგორც უფლებების განხორციელების თვალსაზრისით აქტიურ სუბიექტად აღიარებასა და მეორე მხრივ, მისი მოუმნიფებლობის გათვალისწინებით, შესაბამისი დაცულობით უზრუნველყოფას შორის.<sup>802</sup> შესაბამისად, სწორედ აღნიშნული მუხლი უზრუნველ-

---

<sup>799</sup> Lücker-Babel M. F., *The Right of the Child to Express Views and to Be Heard: An Attempt to Interpret Article 12 of the UN Convention on the Rights of the Child*, "The International Journal of Children's Rights", Vol. 3, Issue 3-4, 1995, 397.

<sup>800</sup> Beijer A., Liefwaard T., *A Bermuda Triangle? Balancing Protection, Participation and Proof in Criminal Proceedings Affecting Child Victims and Witnesses*, "Utrecht Law Review", Vol. 7, Issue 3, 2011, 74.

<sup>801</sup> Rap-Leurs S. E., *The Participation of Juvenile Defendants in the Youth Court: A Comparative Study of Juvenile Justice Procedures in Europe*, Utrecht University, 2013, 59.

<sup>802</sup> Lansdown G., *The Evolving Capacities of the Child*, United Nations Children's Fund, UNICEF, Florence, 2005, Executive Summary, ix.

ყოფს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრისას ბავშვისა და მშობლის დაპირისპირებული შეხედულებების დაბალანსებას.<sup>803</sup>

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, კანონიერ წარმომადგენელთა როლი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრისა და სათანადო გადაწყვეტილების მიღების პროცესში მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც არასრულწლოვანი ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ განვითარებული. მიუხედავად ამისა, კანონიერ წარმომადგენელთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობა არ წარმოადგენს შეუზღუდავ უფლებას, რაც განპირობებულია არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცულობის უზრუნველყოფითა და სხვა ობიექტური გარემოებებით, რა დროსაც ნაცვლად კანონიერი წარმომადგენლისა, პროცესში ერთგება საპროცესო წარმომადგენელი. აღნიშნული გათვალისწინებულია როგორც საერთაშორისო აქტებით, ისე საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით.<sup>804</sup> ამკ-ის მე-3 მუხლის მე-12 ნაწილი საპროცესო წარმომადგენელში მოიაზრებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს თანამშრომელს ან სხვა სანდო პირს. აღსანიშნავია, რომ პროცესში კანონიერ წარმომად-

---

<sup>803</sup> Doek J. E., *The Eighteenth Birthday of the Convention of Rights of the Child: Achievements and Challenges*, "University of Michigan Journal of Law Reform", Vol. 41, Issue 1, 2007, 62-63.

<sup>804</sup> იხ., ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 40, მე-2 პუნქტი (b, iii); ამკ-ის 29-ე მუხლის მე-3 ნაწილი, 50-ე მუხლის პირველი ნაწილი; *United Nations Standard Minimum Rules for the Administration of Juvenile Justice* ("The Beijing Rules"), Adopted by General Assembly Resolution 40/33 of 29 November 1985, Rule 15.2; General Comment, No. 10, "Children's Rights in Juvenile Justice", Committee on the Rights of the Child, CRC/C/GC/10, 25 April, 2007, Para. 53; *Justice in Matters Involving Children in Conflict with the Law, Model Law on Juvenile Justice and Related Commentary*, United Nations Office on Drugs and Crime, New York, 2013, Arts. 23(2), 41(1); Directive (EU) 2016/800 of the European Parliament and of the Council, On Procedural Safeguards for Children Who Are Suspects or Accused Persons in Criminal Proceedings, 11 May, 2016, Art. 15 (2); *Guidelines of the Committee of Ministers of the Council of Europe on Child-Friendly Justice*, Adopted by the Committee of Ministers of the Council of Europe, Council of Europe Publishing, 17 November, 2010, IV (39).

გენელთა ჩართულობით, კანონმდებელმა უზრუნველყო, არასრულწლოვანს ჰყოლოდა ნდობით აღჭურვილი გვერდით მდგომი პირი, რათა არ განეცადა ფსიქოლოგიური და ემოციური შოკი. ამ ფუნქციის შესრულება კი მხოლოდ ისეთ ადამიანს შეუძლია, ვინც არასრულწლოვანს კარგად იცნობს.<sup>805</sup> ბუნებრივია, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს თანამშრომელი, რომელსაც არანაირი სოციალური და ემოციური კავშირი არ გააჩნია არასრულწლოვანთან, ვერ შეძლებს აღნიშნული ფუნქციის შესრულებას და, ამავდროულად, მისი როლი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრის თვალსაზრისით ვერ იქნება ეფექტიანი. კანონიერი წარმომადგენლის შეცვლა საპროცესო წარმომადგენლის ინსტიტუტით მხოლოდ საპროცესო მიზნებითაა განპირობებული და არა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესით.<sup>806</sup> შესაბამისად, მნიშვნელოვანია პროცესში კანონიერ წარმომადგენელთა ჩართულობის მაქსიმალურად ხელშეწყობა, მით უფრო, რომ კოდექსით კანონიერ წარმომადგენელთა წრე საკმაოდ გაფართოებულია. ამიტომ, გამოძიების მწარმოებელმა ორგანომ ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სწორედ არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენლის და არა სხვა პირების პროცესში ჩართულობა.<sup>807</sup> ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს ამკ-ის 50-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, საპროცესო წარმომადგენელი შეიძლება დაინიშნოს, თუ „პროცესში კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობა არასრულწლოვნის სამართალდამცავ ორგანოში მიყვანიდან 1 საათის განმავლობაში შეუძლებელია“. გასაზიარებელია იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული კრიტიკა აღნიშნული დროის არაგონივრულობასთან დაკავშირებით, რის გამოც

---

<sup>805</sup> შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016, 75.

<sup>806</sup> შალიკაშვილი მ., შენიშვნები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსთან დაკავშირებით, „კრიმინოლოგიის ჟურნალი“, №1, 2016, 76.

<sup>807</sup> გაბარაევი ი., ადვოკატის თვალთ დახეული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, №1, 2017, 122.

შეიძლება მშობელმა ვერ შეძლოს სამართალდამცავ ორგანოში გამოცხადება და ზიანი მიადგეს ბავშვის საუკეთესო ინტერესს.<sup>808</sup> გასათვალისწინებელია, რომ „კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ“ მოდალური კანონი პროცესში კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობის შეზღუდვას ითვალისწინებს ბავშვის სამართალდამცავ ორგანოში მიყვანიდან ერთი საათის განმავლობაში მასთან დაკავშირების და არა ამ დროის განმავლობაში მისი მონაწილეობის შეუძლებლობის შემთხვევაში. ამასთან, ყურადღებას ამახვილებს გამოცხადებისათვის საკმარისი დროის განსაზღვრის აუცილებლობაზე.<sup>809</sup> შესაბამისად, მიზანშეწონილია, აშკ-ის 50-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტში ცვლილების განხორციელება და პროცესში მონაწილეობის მიზნით, კანონიერი წარმომადგენლისათვის სამართალდამცავ ორგანოში გამოცხადებისათვის საკმარისი დროის განსაზღვრა ან ამავე ნორმაში სიტყვების „მონაწილეობის შეუძლებლობის“ ჩანაცვლება „დაკავშირების შეუძლებლობით“.

### **1.2.2. ადვოკატი, როგორც არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვის გარანტი**

კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს მისი ასაკისა და მოუმწიფებლობის გათვალისწინებით, არ შესწევს უნარი სრულად გააცნობიეროს სისხლის სამართლის საქმის ყველა სამართლებრივი დეტალი და იმოქმედოს მისი საუკეთესო ინტერესების შესაბამისად. სწორედ ამიტომაც მნიშვნელოვანია ადვოკატის ჩართულობა, რაც სამართლიანი სასამართლოს უფლების არა აბსო-

---

<sup>808</sup> შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016, 76; შალიკაშვილი მ., შენიშვნები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსთან დაკავშირებით, „კრიმინოლოგიის ჟურნალი“, №1, 2016, 79.

<sup>809</sup> Justice in Matters Involving Children in Conflict with the Law, Model Law on Juvenile Justice and Related Commentary, United Nations Office on Drugs and Crime, New York, 2013, Art. 23 (2,a), Commentary, 85.

ლუტურ, მაგრამ ფუნდამენტურ შემადგენელ ნაწილსა<sup>810</sup> და საუკეთესო ინტერესების დაცვის მყარ გარანტიას წარმოადგენს. ამასთან, თანაბრად ვრცელდება როგორც სასამართლოში საქმის განხილვის, ისე მის წინარე ეტაპებზე.<sup>811</sup> მართალია, ბავშვის საუკეთესო ინტერესისათვის უპირატესობის მინიჭება პროცესის მწარმოებელი პირის პირდაპირი ვალდებულებაა, თუმცა ეს არ გამოირიცხავს საპირისპირო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და გადაწყვეტილების მიმღებ პირთა თვითნებობას. შესაბამისად, არასრულწლოვნის ადვოკატი წარმოადგენს რეალურ გარანტს საუკეთესო ინტერესების დაცვის თვალსაზრისით პროცესის ნებისმიერ ეტაპზე. განსაკუთრებით ეს ეხება გამოძიების ეტაპს, რა დროსაც არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფა მეტწილად მინდობილია ბრალდების მხარისათვის და ნაკლებია კონტროლი სასამართლოს მხრიდან. შესაბამისად, არსებობს გაუმართლებელი ჩარევისა და თვითნებობის რისკები, რა დროსაც ადვოკატი ასრულებს ე.წ. „მაკონტროლებელ ფუნქციას“ სახელმწიფოს მიერ პროცესის სამართლიანად წარმართვაზე, რაც „სამართლებრივი წესრიგის დაცვის თეორიიდან“ გამომდინარეობს.<sup>812</sup> ადვოკატის ე.წ. „მაკონტროლებელი ფუნქცია“ დიდ მნიშვნელობას იძენს სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზეც, რადგან სწორედ ამ დროს ხდება არასრულწლოვნის მიმართ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება, რაც დაკავშირებულია მისი საუკეთესო ინტერესების მაქსიმალური სიზუსტითა და სიფრთხილით განსაზღვრასთან. ასეთ დროს უპირობოდ მნიშვნელოვანია დამცველის როლი როგორც გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსამართლის ხელშეწყობის, ისე არასრულწლოვნის სათანადო ინფორმირებულო-

---

<sup>810</sup> *Poitrimol v. France*, Application No. 14032/88, Strasbourg, 23 November, 1993, Para. 34; *Dembukov v. Bulgaria*, Application No. 68020/01, Strasbourg, 28 February, 2008, Para. 50.

<sup>811</sup> *Imbrioscia v. Switzerland*, Application No. 13972/88, Strasbourg, 24 November, 1993, Para. 36; *Salduz v. Turkey*, Application No. 36391/02, Strasbourg, 27 November, 2008, Para. 50; *Panovits v. Cyprus*, Application No. 4268/04, Strasbourg, 11 December, 2008, Para. 66.

<sup>812</sup> თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბილისი, 2014, 136.

ბისა და, შესაბამისად, მისი ეფექტიანი ჩართულობის უზრუნველსაყოფად. ამასთან, სამართლებრივი დახმარების ნაკლებობა იწვევს ეფექტიანი მონაწილეობის მიღების შეუძლებლობას და მიიჩნევა სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევად.<sup>813</sup>

მნიშვნელოვანია, შეფასება მიეცეს, რამდენად შესწევს ადვოკატს არასრულწლოვნის ნებისაგან დამოუკიდებლად მოქმედების უნარი, თუ ეს შეესაბამება მის საუკეთესო ინტერესს. სსსკ-ის 44-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადვოკატს არ აქვს უფლება იმოქმედოს ბრალდებულის მითითების საწინააღმდეგოდ, ასევე არ აქვს ბრალდებულის ნების საწინააღმდეგოდ საჩივრის შეტანისა და მასზე უარის თქმის უფლება ბრალდებისა და სასჯელის ნაწილში. თავის მხრივ, ამკ-ის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილი ადვოკატს ანიჭებს არასრულწლოვნის ნებისაგან დამოუკიდებლად საჩივრის შეტანის ან მასზე უარის თქმის უფლებას, თუ ეს შეესაბამება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს, თუმცა მხოლოდ კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობით. ამრიგად, ადვოკატს არც ამ შემთხვევაში ენიჭება სრული დამოუკიდებლობა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად მოქმედებისათვის. მსგავსი მიდგომა შეესაბამება ე.წ. „მხარის ინტერესების წარმომადგენლის თეორიას“, რომლის თანახმად, ვინაიდან ბრალდებული თავად წყვეტს, დაიცვას თუ არა მისი ინტერესები ადვოკატმა, დამცველის ამოცანად მიიჩნევა ბრალდებულისათვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებაში დახმარება და მისი მოქმედების ფარგლები შეზღუდულია ბრალდებულის მითითებებით.<sup>814</sup> აღსანიშნავია, რომ მსგავსი მიდგომა ვერ იქნება გამართლებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, სადაც 18 წლამდე პირის მიმართ მოქმედებს სავალდებულო დაცვა და არც კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნისა და არც მისი კანონიერი წარმომადგენლის ნებაზე არ არის დამოკიდებული დაიცვას თუ არა ადვოკატმა არასრულწლოვნის ინტერესები. ამას-

---

<sup>813</sup> Güveç v. Turkey, Application No. 70337/01, Strasbourg, 20 January 2009, Para. 132.

<sup>814</sup> თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბილისი, 2014, 137.

თან, გასაზიარებელია იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება დაცვის სტრატეგიის მხოლოდ ბრალდებულზე მინდობის დაუშვებლობის შესახებ, ბრალდებულის სისხლისსამართლებრივი დევნის აპარატთან ურთიერთობისა და საქმის სასამართლოში განხილვის ჯეროვანი გამოცდილების არქონის გამო,<sup>815</sup> მით უფრო, თუ ბრალდებული არასრულწლოვანია. ანალოგიური მსჯელობა მიემართება მის კანონიერ წარმომადგენელსაც. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ამოქმედებამდე, სსსკ-ის 44-ე მუხლის პირველი ნაწილი ადვოკატს ანიჭებდა უფლებას არასრულწლოვნის ნების საწინააღმდეგოდ შეეტანა საჩივარი ან უარი ეთქვა მასზე, თუნდაც ბრალდებისა და სასჯელის ნიწილში და არც კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა ესაჭიროებოდა. იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, სსსკ-ის 44-ე მუხლის პირველი ნაწილის შინაარსი, რომ დამცველს უფლება არ აქვს იმოქმედოს ბრალდებულის მითითების საწინააღმდეგოდ, არ შეიძლება გაგებულ იქნეს სიტყვასიტყვით. სისხლის სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე, დამცველს უფლება არ აქვს იმოქმედოს ბრალდებულის ინტერესების საზიანოდ, მაგრამ მას უფლება აქვს იმოქმედოს ბრალდებულის მითითებების საწინააღმდეგოდ, მხოლოდ და მხოლოდ მისი ინტერესების სასარგებლოდ.<sup>816</sup>

ზემოაღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, ადვოკატს, არასრულწლოვნისა და მისი კანონიერი წარმომადგენლის მითითებისაგან დამოუკიდებლად, მიენიჭოს მოქმედების თავისუფლება, მათ შორის, საჩივრის შეტანისა და მასზე უარის თქმის თვალსაზრისით, თუ ეს შეესაბამება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესს, მით უფრო, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების უპირატესად გათვალისწინება თავად ადვოკატის ვალდებულება-ცაა. შესაბამისად, მიზანშეწონილია, ამკ-ის მე-10 მუხლის მე-2 ნა-

---

<sup>815</sup> იქვე.

<sup>816</sup> ლალიაშვილი თ., ადვოკატის მიერ პროფესიული ფუნქციის შესრულება, დაცვის სტრატეგია და ბრალდებულის პირადი მითითებები, წიგნში: გურამ ნაჭყებია 75, ნ. თოდუას რედაქტორობით, თბილისი, 2016, 107.

ნილში ცვლილების განხორციელების მეშვეობით, აღდგეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ამოქმედებამდე სსსკ-ის 44-ე მუხლში არსებული რეგულაცია და ადვოკატს მიენიჭოს არასრულწლოვნისა და მისი კანონიერი წარმომადგენლის ნებისაგან დამოუკიდებლად საჩივრის შეტანისა და მასზე უარის თქმის უფლება, მათ შორის, ბრალდებისა და სასჯელის ნაწილში, თუ ეს შეესაბამება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესს.

## 2. სხვა საპროცესო გარანტიები

### 2.1. მართლმსაჯულების პროცესის გაჭიანურების დაუშვებლობა

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცულობის თვალსაზრისით ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გარანტიად პროცესის გაჭიანურების თავიდან აცილება განიხილება,<sup>817</sup> რაც წარმოადგენს სახელმწიფოს უპირობო ვალდებულებას და არ არის დამოკიდებული რესურსების არსებობაზე.<sup>818</sup> აღნიშნული, გარდა იმისა, რომ სწრაფი მართლმსაჯულება სამართლიანი სასამართლოს უფლებრივი კომპონენტია,<sup>819</sup> განპირობებულია დროში გახანგრძლივებული სამართალწარმოების უარყოფითი გავლენით არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებზე, რაც რამდენიმე მიმართულებით შეიძლება იქნეს განხილული. პირველი, ჩადენილ დანაშაულზე სწრაფი რეაგირების პრობლემა, რაც ასუსტებს მიღე-

---

<sup>817</sup> General Comment No. 14 “On the Right of the Child to Have his or her Best Interests Taken as a Primary Consideration (Art. 3, para.1)”, UN Committee on the Rights of the Child, Sixty-second Session (14 January - 1 February 2013), CRC/C/GC/14, 29 May, 2013, Para. 93; Guidelines of the Committee of Ministers of the Council of Europe on Child-Friendly Justice, Adopted by the Committee of Ministers of the Council of Europe, Council of Europe Publishing, 17 November, 2010, IV, Para. 50.

<sup>818</sup> Van Bueren G., A Commentary on the United Nations Convention on the Rights of the Child, Article 40 (Child Criminal Justice), André Alen, Johan Vande Lanotte, Eugeen Verhellen, Fiona Ang, Eva Berghmans, Mieke Verheyde (Eds.), Martinus Nijhoff Publishers, Leiden, Boston, 2006, 19.

<sup>819</sup> „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე №3/2/574, 23 მაისი, 2014, II-69.

ბული გადაწყვეტილების ეფექტიანობას, უკარგავს პოზიტიურ, პედაგოგიურ გავლენას, ამძაფრებს არასრულწლოვნის სტიგმატიზაციას,<sup>820</sup> მნიშვნელოვან გავლენას ახდენს არასრულწლოვნის კეთილდღეობასა და განათლებაზე<sup>821</sup> და უარყოფითად აისახება მოზარდის ფსიქიკაზე.<sup>822</sup> ამასთან, პროცესის გაჭიანურებისას კლებულობს შეფარდებული სასჯელის ეფექტიანობა.<sup>823</sup> კერძოდ, დროის მსვლელობასთან ერთად, არასრულწლოვანს უძნელდება პროცესისა და გადაწყვეტილების დაკავშირება ჩადენილ დანაშაულთან როგორც ინტელექტუალურ, ისე ფსიქოლოგიურ დონეზე,<sup>824</sup> რაც, საბოლოოდ, გამოიწვევს სასჯელის მიმართ პროტესტის განცდას და უარყოფითად იმოქმედებს საუკეთესო ინტერესებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების აღსრულების თვალსაზრისით. რაც უფრო ნაკლები დროა გასული დანაშაულის ჩადენიდან დასჯამდე, მით უფრო ძლიერი და ხანგრძლივია ადამიანის გონებაში ორი იდეის – დანაშაულის და სასჯელის კავშირი.<sup>825</sup> დანაშაულზე რეაგირებას მაშინ აქვს შედეგი, როდესაც ჩადენილ ქმედებას არ აქვს დაკარგული თავისი მნიშვნელობა დროის გასვლის თვალსაზრი-

---

<sup>820</sup> General Comment No. 10, “Children’s Rights in Juvenile Justice”, UN Committee on the Rights of the Child, Forty-fourth Session (15 January-2 February), CRC/C/C/GC/10, Geneva, 25 April, 2007, Para. 51.

<sup>821</sup> Justice in Matters Involving Children in Conflict with the Law, Model Law on Juvenile Justice and Related Commentary, United Nations Office on Drugs and Crime, New York, 2013, Art. 38, Commentary, 95; Recommendation No. R (87) 20, of The Committee of Ministers to Member States on Social Reactions to Juvenile Delinquency, Adopted by the Committee of Ministers on 17 September 1987 at the 410<sup>th</sup> Meeting of the Ministers’ Deputies, Para. 4.

<sup>822</sup> შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016, 85.

<sup>823</sup> იქვე, 84.

<sup>824</sup> United Nations Standard Minimum Rules for the Administration of Juvenile Justice (“The Beijing Rules”), Adopted by General Assembly Resolution 40/33 of 29 November 1985, Rule 20.1.

<sup>825</sup> ცქიტიშვილი თ., სასჯელის პროპორციულობა, წიგნში: სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, ნ. თოდუას რედაქტორობით, თბილისი, 2016, 641.

სით.<sup>826</sup> მეორე, ხანგრძლივი დროით მოლოდინის რეჟიმში, გაურკვევლობაში ყოფნის, სისხლისსამართლებრივ სისტემასთან ურთიერთობით გამოწვეული სტრესის პრობლემა, რაც უარყოფითად აისახება არასრულწლოვნის ფსიქიკაზე, მით უფრო, რომ არასრულწლოვნებს, ზრდასრულებთან შედარებით, დროის მსვლელობის განსხვავებული აღქმა გააჩნიათ.<sup>827</sup> და ბოლოს, მხედველობაშია მისაღები პროცესის გაჭიანურებით გამოწვეული ის საზიანო შედეგები, რაც არასრულწლოვანთა განვითარებადობიდან გამომდინარეობს<sup>828</sup> და ინვესტ მისი საჭიროებებისა და ინტერესების ცვალებადობას. შესაბამისად, გადანყვევტილების დროული მიღება, უზრუნველყოფს კონკრეტული მომენტისათვის არსებული ინტერესების გათვალისწინებასა და საჭიროებებზე რეაგირებას, სამომავლო ინტერესების მხედველობაში მიღების პარალელურად.

სწორედ ზემოაღნიშნულ გარემოებათა გამო, ბავშვის უფლებათა კომიტეტი იძლევა არასრულწლოვანთა საქმეებისათვის პრიორიტეტის მინიჭების რეკომენდაციას<sup>829</sup> და მიუთითებს სრულწლოვნებთან შედარებით ბევრად შემჭიდროვებული ვადების არსებობის აუცილებლობაზე, თუმცა აღნიშნული არ შეიძლება განხორციელდეს არასრულწლოვნის უფლებებისა და სამართლებრივი გარანტიების შეზღუდვის ხარჯზე,<sup>830</sup> რისთვისაც აუცილებელია ამ

---

<sup>826</sup> იქვე.

<sup>827</sup> General Comment No. 14 "On the Right of the Child to Have his or her Best Interests Taken as a Primary Consideration (Art. 3, para.1)", UN Committee on the Rights of the Child, Sixty-second Session (14 January - 1 February 2013), CRC/C/GC/14, 29 May, 2013, Para. 93; Guidelines of the Committee of Ministers of the Council of Europe on Child-Friendly Justice, Adopted by the Committee of Ministers of the Council of Europe, Council of Europe Publishing, 17 November, 2010, Explanatory Memorandum, Para. 118.

<sup>828</sup> General Comment No. 14 "On the Right of the Child to Have his or her Best Interests Taken as a Primary Consideration (Art. 3, para.1)", UN Committee on the Rights of the Child, Sixty-second Session (14 January - 1 February 2013), CRC/C/GC/14, 29 May, 2013, Para. 93.

<sup>829</sup> იქვე, Para. 93.

<sup>830</sup> General Comment No. 10, "Children's Rights in Juvenile Justice", UN Committee on the Rights of the Child, Forty-fourth Session (15 January-2 February), CRC/C/GC/10, Geneva, 25 April, 2007, Para. 52.

ორ ღირებულებას შორის სამართლიანი ბალანსის დაცვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, სამართლიანი სასამართლოს უფლება რისკის ქვეშ დგება.<sup>831</sup>

ზემოაღნიშნული სტანდარტების გათვალისწინებით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსმა, არასრულწლოვნის უფლებებისა და გარანტიების მხედველობაში მიღების პარალელურად, სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებთან შედარებით თითქმის გაანახევრა სამართალწარმოების ვადები, როგორც გამოძიების, ისე სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზე. ამასთან, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საქმის განხილვას მიენიჭა პრიორიტეტი.<sup>832</sup> თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამგვარმა მიდგომამ გავლენა ვერ იქონია პირველი ინსტანციისა და საკასაციო სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების ვადებზე. კერძოდ, ვინაიდან არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი არ ადგენს განსხვავებულ ვადას, არასრულწლოვანთა შემთხვევაში მოქმედებს სსსკ-ის 185-ე მუხლის მე-6 ნაწილის ის დანაწესი, რომლის მიხედვითაც, პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეს განაჩენი გამოაქვს წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ საქმის არსებითი განხილვისათვის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 24 თვისა. რაც შეეხება საკასაციო სასამართლოში საბოლოო გადაწყვეტილების მიღების ვადას, ამკ-ის 55-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს შემაჯამებელი გადაწყვეტილება გამოაქვს საჩივრის დასაშვებად ცნობიდან 3 თვის ვადაში, ხოლო სსსკ-ის 303-ე მუხლის მე-8 ნაწილი შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღების ვადად განსაზღვრავს არაუგვიანეს 6 თვეს, თუმცა საკასაციო სასამართლოში საქმისა და საჩივრის შესვლიდან და არა საჩივრის დასაშვებად ცნობიდან. საკით-

---

<sup>831</sup> Manco E., Protecting the Child's Right to Participate in Criminal Justice Proceedings, "Amsterdam Law Forum", Vol.8, No.1, 2016, 64; Manco E., The United Nation Convention on the Rights of the Child: Are Children "In Conflict with Law" Really Protected? A Case Study of Republic of Albania's Juvenile Justice System, PhD Thesis, University of Sheffield, 2013, 201-202.

<sup>832</sup> იხ., ამკ-ის მე-11 მუხლის მე-2 ნაწილი.

ხი მდგომარეობს იმაში, რომ არც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი და არც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ადგენს საკასაციო სასამართლოში საჩივრის დასაშვებად ცნობის ვადას. შესაბამისად, არასრულწლოვნის შემთხვევაში, განუსაზღვრელია 3-თვიანი ვადის ათვლის საწყისი მომენტი, რაც ბუნდოვანს ხდის საქმის სასამართლოში შესვლიდან შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღების ვადის საკითხს. გასათვალისწინებელია, რომ ასეთ დროს, ამკ-ის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გამოიყენება სსკ-ით დადგენილი 6-თვიანი ვადა,<sup>833</sup> რაც ნიშნავს იმას, რომ თუნდაც სასამართლომ დააყოვნოს საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობის შესახებ განჩინების გამოტანა, შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღების ვადა ვერ გადააჭარბებს 6 თვეს და არ გაუარესდება არასრულწლოვნის მდგომარეობა, თუმცა, ამკ-ის ზემოაღნიშნული დანაწესიდან გამომდინარე, კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის მდგომარეობა არც გაუმჯობესებულია. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი რეალურად არ ადგენს საკასაციო სასამართლოში არასრულწლოვნის საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მისაღებად სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისაგან განსხვავებულ ვადას, რაც არ შეესაბამება ზემოაღნიშნული აქტებით დადგენილ სტანდარტებს და საჭიროა არსებული საკანონმდებლო ხარვეზის გამოსწორება. კერძოდ, მიზანშეწონილია, ამკ-ის 55-ე მუხლის მე-3 ნაწილში, ნაცვალდ საჩივრის დასაშვებად ცნობისა, ყურადღება გამახვილდეს საქმისა და საჩივრის სასამართლოში შესვლის მომენტზე. ასევე მიზანშეწონილია, არასრულწლოვნის საქმის პირველ ინსტანციაში განხილვის შემთხვევაშიც დადგინდეს შემჭიდროვებული ვადა, იმგვარად, რომ საფრთხე არ შეექმნას სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზებას.

---

<sup>833</sup> იხ., ამკ-ის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილი: „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში გამოიყენება საქართველოს სხვა ნორმატიული აქტების დებულებებიც, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება ამ კოდექსს ან/და არასრულწლოვნისათვის შეღავათს ითვალისწინებს“.

## 2.2. მართლმსაჯულების პროცესის მწარმოებელი პირების სპეციალიზაცია

საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და განსაზღვრის პროცესის სირთულისა და კომპლექსურობის გათვალისწინებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მართლმსაჯულების პროცესის მწარმოებელი პირების სპეციალიზაციას. ბავშვთა და მოზარდთა განვითარების საკითხებში გამოცდილების მქონე კვალიფიციურ პროფესიონალთა არსებობა სწორედ თითოეული არასრულწლოვანისათვის დამახასიათებელი თავისებურებებისა და საჭიროებების ადეკვატურად შეფასების,<sup>834</sup> აგრეთვე საუკეთესო ინტერესების მხედველობაში მიღებისა და დაცულობის აუცილებლობით აიხსნება.<sup>835</sup> ამასთან, სპეციალიზაცია ხელს უწყობს მართლმსაჯულების სისტემაში მომუშავე პირების ცნობიერებისა და პატივისცემის ამაღლებას ბავშვის უფლებათა სფეროში არსებული საერთაშორისო სტანდარტებისადმი, რაც წარმოადგენს კარგ მაგალითს კანონთან კონფლიქტში მყოფი პირისათვის, რათა განიმსჭვალოს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებებისადმი პატივისცემის გრძნობით.<sup>836</sup> საუკეთესო ინტერესების შემფასებელი პირის ცოდნა და საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები შესაძლოა უფრო მეტად მნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე შეფასებისას გამოსაყენებელი ელემენტები.<sup>837</sup>

---

<sup>834</sup> General Comment No. 14 “On the Right of the Child to Have his or her Best Interests Taken as a Primary Consideration (Art. 3, para.1)”, UN Committee on the Rights of the Child, Sixty-second Session (14 January - 1 February 2013), CRC/C/GC/14, 29 May, 2013, Para. 94.

<sup>835</sup> Handbook for Professionals and Policymakers on Justice in Matters Involving Child Victims and Witnesses of Crime, United Nations Office on Drugs and Crime, New-York, 2009, 108.

<sup>836</sup> General Comment No. 10, “Children’s Rights in Juvenile Justice”, UN Committee on the Rights of the Child, Forty-fourth Session (15 January-2 February), CRC/C/GC/10, Geneva, 25 April, 2007, Para. 13.

<sup>837</sup> Van Hooijdonk E., Children’s Best Interests: A Discussion of Commonly Encountered Tensions, in: The Best Interests of the Child – A Dialogue Between Theory and Practice, Milka Sormunen (Ed.), Council of Europe, 2016, 41.

საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ამოქმედებამდე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებდა არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულის საქმეზე პროცესის განმხორციელებელ მოსამართლეთა, პროკურორთა და გამომძიებელთა მიერ პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში სპეციალური მომზადების გავლის ვალდებულებას.<sup>838</sup> 2008 წლის 1 ივლისამდე ამგვარი ვალდებულება მხოლოდ მოსამართლეთა მიმართ არსებობდა.<sup>839</sup> შესაბამისად, სპეციალიზაცია საქართველოს კანონმდებლობისათვის სიახლეს არ წარმოადგენს, თუმცა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსმა უფრო მეტი დეტალიზება შესძინა აღნიშნულ საკითხს, დაადგინა უფრო მაღალი სტანდარტები, ასევე მნიშვნელოვნად გააფართოვა რა სპეციალიზებულ პირთა წრე, მოიცვა მართლმსაჯულების პროცესის მწარმოებელი/მონაწილე ყველა პირი. განსაკუთრებით ეს ეხება ადვოკატთა სპეციალიზაციას, რადგან „კანონმდებელმა ადვოკატის თავისუფალ პროფესიაზე მაღლა არასრულწლოვნის ქვმარატი ინტერესი დააყენა“.<sup>840</sup>

ბავშვის უფლებათა კომიტეტი იძლევა რეკომენდაციას არასრულწლოვანთა სასამართლოების, როგორც ცალკე მდგომი ერთეულის ან არსებული რაიონული სასამართლოების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის სახით შექმნის შესახებ. თუმცა, ითვალისწინებს რა ამ მხრივ სახელმწიფოთა მზადყოფნის შესაძლო არარსებობას, მინიმალურ მოთხოვნად სპეციალიზებულ მოსამართლეთა დანიშვნას აწესებს.<sup>841</sup> თითქმის ანალოგიური მიდგომა არსებობს სამართალდამცავ ორგანოებთან, პროკურატურასთან, იურიდიუ-

---

<sup>838</sup> იხ., სსსკ-ის 319-ე მუხლი (2016 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

<sup>839</sup> იხ., 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-ის 654-ე მუხლი (2008 წლის 1 ივლისამდე მოქმედი რედაქცია).

<sup>840</sup> შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016, 180.

<sup>841</sup> General Comment No. 10, “Children’s Rights in Juvenile Justice”, UN Committee on the Rights of the Child, Forty-fourth Session (15 January-2 February), CRC/C/C/GC/10, Geneva, 25 April, 2007, Para. 93.

ლი დახმარების ან სხვა მსგავს სისტემებთან მიმართებით.<sup>842</sup> აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან 20 მათგანში არსებობს სპეციალიზებული სასამართლო. ზოგ შემთხვევაში ცალკე ერთეულის სახით (ბელგია, გერმანია, საბერძნეთი, ესპანეთი, საფრანგეთი, ხორვატია, ირლანდია, იტალია, ლუქსემბურგი, მალტა, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, გაერთიანებული სამეფო (ინგლისი და უელსი, ჩრდილოეთ ირლანდია), ხოლო ზოგ სახელმწიფოში ჩვეულებრივი სასამართლო ადაპტირებულია ბავშვების საჭიროებებისათვის, მათ შორის, სპეციალიზებულ მოსამართლეთა მონაწილეობის თვალსაზრისით (შოტლანდია, სლოვენია, ნიდერლანდები, დანია, ჩეხეთი, ავსტრია).<sup>843</sup> მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ, მართალია, საქართველოში არ მოქმედებს სპეციალიზებული სასამართლო, თუმცა, ამ მხრივ, მყარი სამართლებრივი საფუძველი შექმნა „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2017 წლის 13 ოქტომბრის კონსტიტუციურმა კანონმა და კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტში პირპდაპირ განისაზღვრა სპეციალიზებულ სასამართლოთა შექმნის შესაძლებლობა, განსხვავებით მანამდე მოქმედი რედაქციისაგან.

სპეციალიზაციის მინიმალური მოთხოვნა გულისხმობს ტრენინგების ჩატარებას ისეთ საკითხებში, როგორიცაა ბავშვის უფლებათა კონვენციის მნიშვნელობა და მისი შინაარსი, არასრულწლოვანთა დანაშაულის სოციალური და სხვა მიზეზები, მათი განვი-

---

<sup>842</sup> იხ., General Comment No. 10, “Children’s Rights in Juvenile Justice”, UN Committee on the Rights of the Child, Forty-fourth Session (15 January-2 February), CRC/C/C/GC/10, Geneva, 25 April, 2007, Para. 92; Justice in Matters Involving Children in Conflict with the Law, Model Law on Juvenile Justice and Related Commentary, United Nations Office on Drugs and Crime, New York, 2013, Arts. 6-8, Commentary, 60-61; United Nations Standard Minimum Rules for the Administration of Juvenile Justice (“The Beijing Rules”), Adopted by General Assembly Resolution 40/33 of 29 November 1985, Rule 12.1.

<sup>843</sup> Summary of Contextual Overviews on Children’s Involvement in Criminal Judicial Proceedings in the 28 Member States of the European Union, European Union, European Commission – Directorate-General for Justice, 2014, 8, 9 Table (3.2.).

თარების ფსიქოლოგიური და სხვა ასპექტები, კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან მიმართ გამოსაყენებელი ღონისძიებები,<sup>844</sup> ანტირასისტული, მულტიკულტურული, გენდერულად სენსიტიური თემები,<sup>845</sup> სოციოლოგია, ფსიქოლოგია, კრიმინოლოგია,<sup>846</sup> ბავშვთა უფლებები, დაკითხვის ტექნიკა, ბავშვისათვის ადაპტირებულ ენაზე კომუნიკაცია.<sup>847</sup> გარდა თემატიკის კომპლექსურობისა, მნიშვნელოვანია ტრენინგების არა ერთჯერადად, არამედ სისტემატურად ჩატარება,<sup>848</sup> ვინაიდან მხოლოდ ერთჯერადმა გადამზადებამ შეუძლებელია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს მართლმსაჯულების პროცესის ეფექტიან წარმართვაში.<sup>849</sup> აღსანიშნავია, რომ არც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში მოსამართლის სპეციალიზაციის სტანდარტი“,<sup>850</sup> და არც საქართველოს

---

<sup>844</sup> General Comment No. 10, “Children’s Rights in Juvenile Justice”, UN Committee on the Rights of the Child, Forty-fourth Session (15 January-2 February), CRC/C/C/GC/10, Geneva, 25 April, 2007, Para. 97.

<sup>845</sup> Human Rights Council Resolution No. 10/2, “Human Rights in the Administration of Justice, in Particular Juvenile Justice”, 24 March, 2009, Para. 6, General Assembly Resolution No. 67/166, “Human Rights in the Administration of Justice”, 20 December, 2012, Para. 22.

<sup>846</sup> United Nations Standard Minimum Rules for the Administration of Juvenile Justice (“The Beijing Rules”), Adopted by General Assembly Resolution 40/33 of 29 November 1985, Rule 22 (Commentary).

<sup>847</sup> Directive (EU) 2016/800 of the European Parliament and of the Council, On procedural Safeguards for Children Who Are Suspects or Accused Persons in Criminal Proceedings, 11 May, 2016, Art. 20 (1).

<sup>848</sup> General Comment No. 10, “Children’s Rights in Juvenile Justice”, UN Committee on the Rights of the Child, Forty-fourth Session (15 January-2 February), CRC/C/C/GC/10, Geneva, 25 April, 2007, Para. 97.

<sup>849</sup> შეყილაძე ხ., პრობაციის სამსახურის როლი პირობით ვადამდე გათავისუფლებულ განსაკუთრებული კატეგორიის მსჯავრდებულთა მიმართ, „კრიმინოლოგიის ჟურნალი“, №1, 2016, 170.

<sup>850</sup> იხ., საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 იანვრის №1 დადგენილება „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი გადანყვეტილების ნორმატიული აქტებისათვის მიკუთვნების თაობაზე“, დანართი №19 „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში მოსამართლის სპეციალიზაციის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“.

მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის განმახორციელებელი და ამ პროცესში მონაწილე პირების სპეციალიზაციის სტანდარტი“<sup>851</sup> არ ითვალისწინებს განგრძობადი ტრენინგების ჩატარების აუცილებლობას, რაც მნიშვნელოვანი ხარვეზია მართლმსაჯულების პროცესის მწარმოებელ პირთა სპეციალიზაციის ეფექტიანობის თვალსაზრისით. სწორედ ამიტომ, ბავშვის უფლებათა კომიტეტი საქართველოსადმი შედგენილ დასკვნით მოსაზრებაში ყურადღებას ამახვილებს სპეციალიზებულ პროფესიონალთა განგრძობადი განათლებით უზრუნველყოფის აუცილებლობაზე.<sup>852</sup> შესაბამისად, მიზანშეწონილია, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-16 მუხლმა განსაზღვროს არასრულწლოვანთა პროცესის განმახორციელებელი და პროცესის მონაწილე პირების მიერ არასრულწლოვანთან ურთიერთობის მეთოდისა და მასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებში სპეციალური სწავლების არაერთჯერადად და განგრძობადად გავლის ვალდებულება. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, სპეციალიზებული პირები მუშაობდნენ მხოლოდ არასრულწლოვანთა საქმეებზე, რათა უკეთ შეძლონ არასრულწლოვანთა საქმეების სპეციფიკურობის გაგება, მათი პიროვნებისადმი ემპათია და საუკეთესო ინტერესების სრულყოფილად გათვალისწინება.<sup>853</sup> ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დადგენილებით, თბილისის საქალაქო სასამართლოში შექმნილია ვინრო სპეციალიზაცია, მათ შორის, არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის საქმეებ-

---

<sup>851</sup> იხ., საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის №668 დადგენილება „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის განმახორციელებელი და პროცესში მონაწილე პირების სპეციალიზაციის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“.

<sup>852</sup> Concluding Observations on the Fourth Periodic Report of Georgia, Committee on the Rights of the Child, CRC/C/GEO/CO/4, 9 March, 2017, Para. 43(a).

<sup>853</sup> შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016, 181.

ზე.<sup>854</sup> შესაბამისად, ამ კონკრეტული ვინრო სპეციალიზაციის შემადგენლობაში მყოფი მოსამართლეები ძირითადად მხოლოდ არასრულწლოვნის საქმეთა განხილვით არიან დაკავებული. მიზანშეწონილია, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით მსგავსი მიდგომის დანერგვა ყველა იმ სასამართლოში, სადაც მოსამართლეთა რაოდენობა ამის შესაძლებლობას იძლევა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს ადგილობრივი საბჭოს წევრთა სპეციალიზაციის საკითხზე. მართალია, არასრულწლოვან მსჯავრდებულთა საქმეების განმხილველი საბჭოს არანაკლებ ერთ წევრს დამატებით უნდა ჰქონდეს არასრულწლოვნებთან მუშაობის სათანადო გამოცდილება ან/და სპეციალური მომზადება პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში,<sup>855</sup> მაგრამ ეს არ წარმოადგენს საკმარის პირობას არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების სათანადოდ განსაზღვრისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების უზრუნველსაყოფად. კერძოდ, საბჭო შედგება ხუთი წევრისაგან. საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სამი წევრი მაინც, ხოლო გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა უმრავლესობით.<sup>856</sup> ამ მოცემულობის გათვალისწინებით, საბჭოს მხოლოდ ერთი წევრის სპეციალიზაციას გააჩნია ფორმალური ხასიათი, რადგან იგი ვერ იქნება გადაწყვეტილებამომღებუნარიანი, მით უფრო, რომ შესაბამისი კანონქვემდებარე აქტი სხდომის უფლებამოსილების განსაზღვრისას არ ითვალისწინებს სპეციალიზებულ პირის დას-

---

<sup>854</sup> იხ., საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 11 აგვისტოს №9 დადგენილება „თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა, ადმინისტრაციულ საქმეთა, სისხლის სამართლის საქმეთა და საგამომიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიებში მოსამართლეთა ვინრო სპეციალიზაციის განსაზღვრის შესახებ“.

<sup>855</sup> იხ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუნებო დაწესებულების - სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის“ მე-4 მუხლის მე-9 პუნქტი.

<sup>856</sup> იქვე, მე-4 მუხლის პირველი პუნქტი; მე-14 მუხლის მე-2 პუნქტი.

ნრების აუცილებლობას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, სპეციალიზაციის მოთხოვნას აკმაყოფილებდნენ საბჭოს სხდომაზე დამსწრეთაგან გადანყვეტილების მისაღებად საჭირო რაოდენობის ნევრები, მათ შორის, თავმჯდომარე.

### 2.3. ფაქტების დადგენა

ბავშვის უფლებათა კომიტეტი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვის ერთ-ერთ გარანტიად განიხილავს ფაქტების დადგენას. აღნიშნული წარმოადგენს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და განსაზღვრის წინმსწრებ ეტაპს და გულისხმობს საუკეთესო ინტერესების შეფასებისათვის ყველა საჭირო ელემენტის განსაზღვრის მიზნით, კონკრეტული საქმისათვის რელევანტური ფაქტებისა და ინფორმაციის მოძიებას კვალიფიციურ პროფესიონალთა მიერ. კომიტეტის განმარტებით, აღნიშნული პროცესი შეიძლება მოიცავდეს, მათ შორის, არასრულწლოვნისათვის ახლობელი პირების, ბავშვთან ყოველდღიურ შეხებლობაში მყოფი ადამიანების, აგრეთვე მონმეთა გამოკითხვას. ამასთან, კომიტეტი ყურადღებას ამახვილებს მოპოვებული ინფორმაციის არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების შეფასებისათვის გამოყენებამდე გადამონმებისა და ანალიზის აუცილებლობაზე.<sup>857</sup>

ფაქტების დადგენა, როგორც საპროცესო გარანტია, არაფრით განსხვავდება ნაშრომის მეოთხე თავში განხილული არასრულწლოვნისათვის ინდივიდუალურად დამახასიათებელი გარემოებების შეფასებისაგან, რომლის მიზანიც სწორედ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების შეფასებისათვის სათანადო, რელევანტური ელემენტების იდენტიფიცირებაა და რომლის დეტალურ ანალიზს ნაშრომის ზემოაღნიშნული თავი ეთმობა.

---

<sup>857</sup> General Comment No. 14 “On the Right of the Child to Have his or her Best Interests Taken as a Primary Consideration (Art. 3, para.1)”, UN Committee on the Rights of the Child, Sixty-second Session (14 January - 1 February 2013), CRC/C/GC/14, 29 May, 2013, Para. 92.

## 2.4. გადაწყვეტილების დასაბუთებულობა

არასრულწლოვნის მიმართ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობას განსაკუთრებული დატვირთვა გააჩნია ბავშვის საუკეთესო ინტერესის სათანადოდ შეფასებისა და მისი უპირატესად გათვალისწინების უფლების ჯეროვნად განხორციელების წარმოჩენის თვალსაზრისით.<sup>858</sup> მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობის ვალდებულება არ მიემართება მხოლოდ სასამართლოს, არამედ ვრცელდება მართლმსაჯულების პროცესის მწარმოებელ ყველა იმ პირზე, რომლებიც კანონთან კონფლიქტში მყოფ პირთან მიმართებით არსებითი მნიშვნელობის მქონე გადაწყვეტილებებს ღებულობენ.

აღსანიშნავია, რომ გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, როგორც საუკეთესო ინტერესების დაცვის საპროცესო გარანტია, გულისხმობს არა ზოგად არგუმენტაციას, მაგალითად, პირის დამნაშავეობა-უდანაშაულობისა თუ დანიშნული სასჯელის სახისა და ზომის შესახებ, არამედ აქ მოიაზრება დასაბუთებულობა საუკეთესო ინტერესების შეფასება-განსაზღვრისა და მისი პრიორიტეტულად გათვალისწინების კონტექსტში. აღნიშნული განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საუკეთესო ინტერესის ცნების განუსაზღვრელობის პირობებში, რათა გამოირიცხოს გადაწყვეტილების მიმღებ პირთა მხრიდან თვითნებობის რისკები. არგუმენტირების გარეშე შეუძლებელი იქნება სწორი გადაწყვეტილების განსხვავება თვითნებურისაგან. გადაწყვეტილება, რომელშიც არ არის მოყვანილი მისი მიღების საფუძვლები, შეიძლება არ იყოს თვითნებური, თუმცა ნამდვილად ტოვებს ასეთის შთაბეჭდილებას.<sup>859</sup> ამასთან, დასაბუთებულობა უზრუნველყოფს არასრულწლოვანში მისი საუკეთესო ინტერესის სათანადოდ შეფასებისა და პრიორიტეტულად გათვალისწინების განცდის ჩამოყალიბებას,

---

<sup>858</sup> იქვე, Para. 97.

<sup>859</sup> ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, ვ. გოგელიას, ე. ლომთათიძის, ე. ქარცივაძის, ივანიშვილი თ., მ. ნარინდოშვილის თარგმანი, კ. ვარძელაშვილის, ლ. ფაფიაშვილის, მ. ნარინდოშვილის, ნ. მჭედლიძისა და გ. მელაძის რედაქტორობით, თბილისი, 2009, 127.

რაც ამაღლებს ნდობას გამოტანილი გადაწყვეტილებისადმი და ხელს უწყობს პოზიტიური შედეგების მიღწევას. მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპზე მხოლოდ ზოგადი მითითება და საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების წარმოჩენა, ვერ შეასრულებს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვის საპროცესო გარანტიის ფუნქციას. მართალია, სასამართლოებს არ ეკისრებათ მხარეთა ნებისმიერ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემის ვალდებულება და პროცესის მონაწილეებს სასამართლოსაგან მხოლოდ სამართალწარმოების შედეგისათვის მნიშვნელოვან არგუმენტებზე კონკრეტული და მკაფიო პასუხების მიღების მოლოდინი უნდა გააჩნდეთ,<sup>860</sup> თუმცა მნიშვნელოვანია, გადაწყვეტილების მოტივაცია ცხადად ასახავდეს არასრულწლოვანთან დაკავშირებულ ყველა ფაქტობრივ გარემოებას, საუკეთესო ინტერესების შეფასებისას გამოვლენილ რელევანტურ ელემენტებს, მათ შინაარსს და მნიშვნელობას საუკეთესო ინტერესის განსაზღვრად. გარდა ამისა, იმ შემთხვევაში, თუ მიღებული გადაწყვეტილება არ ემთხვევა არსრულწლოვნის შეხედულებებს, ბავშვის უფლებათა კომიტეტი მნიშვნელოვნად მიიჩნევს სათანადო მიზეზთა ნათლად ჩამოყალიბებას,<sup>861</sup> რაც გარანტიაა იმისა, რომ არასრულწლოვნის მოსაზრებები მხოლოდ ფორმალურ

---

<sup>860</sup> Van de Hurk v. the Netherlands, Application No. 16034/90, Strasbourg, 19 April, 1994, Para. 61; Hiro Balani v. Spain, Application No. 18064/91, Strasbourg, 9 December, 1994, Para. 27; Ruiz Torija v. Spain, Application No. 18390/91, Strasbourg, 9 December, 1994, Paras. 29-30; Higgins and Others v. France, Application No. 134/1996/753/952, Strasbourg, 19 February, 1998, Para. 42; Gheorghe v. Romania, Application No. 19215/04, Strasbourg, 15 March, 2007, Para. 43; Gradinar v. Moldova, Application No. 7170/02, Strasbourg, 8 April, 2008, Para. 107; Moreira Ferreira v. Portugal, Grand Chamber, Application No. 19867/12, Strasbourg, 11 July, 2017, Para. 84.

<sup>861</sup> General Comment No. 14 “On the Right of the Child to Have his or her Best Interests Taken as a Primary Consideration (Art. 3, para.1)”, UN Committee on the Rights of the Child, Sixty-second Session (14 January - 1 February 2013), CRC/C/GC/14, 29 May, 2013, Para. 97.

მოსმენას არ ექვემდებარება.<sup>862</sup> შეხედულებების გამოხატვის უფლების განუყოფელი ნაწილია არასრულწლოვნის მიერ იმის ცოდნა, თუ რა დოზით მიიღება მისი მოსაზრებები მხედველობაში.<sup>863</sup> იმ საგამონაკლისო შემთხვევაში, როდესაც მიღებული გადაწყვეტილება ვერ პასუხობს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს, აუცილებელია, შესაბამის საფუძვლებზე მითითება, იმის წარმოსაჩენად, რომ მიუხედავად დამდგარი შედეგისა, არასრულწლოვნის ინტერესები უპირველესი განხილვის საგანი იყო. ნაცვლად ზოგადი მითითებისა, რომ სხვა გარემოებებმა გადაიხარა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები, საჭიროა განსახილველ საქმესთან დაკავშირებული ყველა მხედველობაში მისაღები გარემოების მკაფიოდ დაკონკრეტება და ახსნა-განმარტება იმისა, თუ რატომ მიენიჭა მათ უფრო დიდი მნიშვნელობა, ვიდრე საუკეთესო ინტერესს. დასაბუთებულობა სარწმუნოდ უნდა წარმოაჩინდეს იმ მიზეზებს, თუ რატომ არ იქნა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი მიჩნეული საკმარისად ძლიერ არგუმენტად იმისათვის, რომ დაეძლია სხვა გარემოებები.<sup>864</sup> „ის თუ რას და როგორ ამბობს სასამართლო წერილობით მომზადებულ განაჩენში, ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ის, თუ რას გადაწყვეტს იგი“.<sup>865</sup>

გადაწყვეტილების დასაბუთებულობის თანმდევი შედეგია მისი განმარტება არასრულწლოვნისათვის, რაც შეიძლება განხორციელდეს მოსამართლის, პროცესის სხვა მონაწილისა თუ წარმომად-

---

<sup>862</sup> General Comment No. 12 “The Right of the Child to Be Heard”, Committee on the Rights of the Child, Fifty-first Session (25 May – 12 June), CRC/C/GC/12, Geneva, 20 July, 2009, Para. 45.

<sup>863</sup> შაჰოვიჩი ნ.ვ., დოეკი ი.ე., ცერმატენი ჟ., ბავშვის უფლებები საერთაშორისო სამართალში, რ. ტულუშისა და თ. ალექსიძის თარგმანი, ლ. ალექსიძისა და ქ. ხუციშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2015, 127-128.

<sup>864</sup> General Comment No. 14 “On the Right of the Child to Have his or her Best Interests Taken as a Primary Consideration (Art. 3, para.1)”, UN Committee on the Rights of the Child, Sixty-second Session (14 January - 1 February 2013), CRC/C/GC/14, 29 May, 2013, Para. 97.

<sup>865</sup> თევზაძე ლ., დასაბუთებული განაჩენი, როგორც ჯეროვანი მართლმსაჯულების აუცილებელი შემადგენელი ნაწილი, „მართლმსაჯულება და კანონი“, №4, 2018, 8.

გენლის მეშვეობით არასრულწლოვნისათვის გასაგები ენით, მისი ალქმისა და გეგების უნარების შესაბამისად.<sup>866</sup>

## 2.5. გადანყვეტილების გასაჩივრების მექანიზმის არსებობა

ბავშვის უფლებათა კომიტეტი ყურადღებას ამახვილებს სამართლებრივი სისტემის ფარგლებში სათანადო მექანიზმთა არსებობის აუცილებლობაზე არასრულწლოვნის მიმართ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების ან გადასინჯვის მიზნით, იმ შემთხვევაში, თუ გადანყვეტილება არ იქნა მიღებული არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და განსაზღვრის სათანადო პროცედურის დაცვით. კერძოდ, ყურადღება გამახვილებულია ისეთ შემთხვევებზე, როდესაც საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და განსაზღვრისას უგულებელყოფილ იქნა საპროცესო გარანტიები, შეფასება არ განხორციელდა ჯეროვნად, საფუძვლად დაედო მცდარი ფაქტები ან სხვა კონკურენტულ გარემოებებს მიენიჭა გადაჭარბებული მნიშვნელობა.<sup>867</sup> აღნიშნული საპროცესო გარანტიის განხილვა მნიშვნელოვანია სასამართლოს განაჩენის გასაჩივრების კონტექსტში, ვინაიდან მართლმსაჯულების პროცესში მიღებულ ყველა სხვა გადანყვეტილებასთან შედარებით, სწორედ სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენს გააჩნია არასრულწლოვნის ცხოვრებაზე არსებითი და საბოლოო გავლენის მქონე ეფექტი. სწორედ ასეთ შემთხვევაში არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და განსაზღვრის პროცედურის ჯეროვნად განხორციელება.

---

<sup>866</sup> Lansdown G., *Every Child's Right to Be Heard, A Resource Guide on the UN Committee on the Rights of the Child General Comment No. 12*, UNICEF, Save the Children UK, London, 2011, 57; *Guidelines of the Committee of Ministers of the Council of Europe on Child-Friendly Justice*, Adopted by the Committee of Ministers of the Council of Europe, Council of Europe Publishing, 17 November, 2010, Para. 49.

<sup>867</sup> General Comment No. 14 "On the Right of the Child to Have his or her Best Interests Taken as a Primary Consideration (Art. 3, para.1)", UN Committee on the Rights of the Child, Sixty-second Session (14 January - 1 February 2013), CRC/C/GC/14, 29 May, 2013, Para. 98.

აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მარეგულირებელი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და განსაზღვრის დეტალურ პროცედურას. შესაბამისად, არც ამგვარი პროცედურის დარღვევა წარმოადგენს გადაწყვეტილების გასაჩივრების უშუალო და პირდაპირ საფუძველს. კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილების გასაჩივრებისას გამოიყენება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი დებულებები.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების სათანადოდ შეფასება და განსაზღვრა არ უკავშირდება კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის დამნაშავეობისა თუ უდანაშაულობის საკითხის გადაწყვეტას. საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას წარმოადგენს სასჯელის დანიშვნის სახელმძღვანელო პრინციპს მოსამართლისათვის. შესაბამისად, საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და განსაზღვრის პროცესში საპროცესო გარანტიების უგულვებელყოფა, შეფასების არაჯეროვნად განხორციელება, მცდარი ფაქტების გათვალისწინება და კონკურენტული გარემოებებისათვის გადაჭარბებული მნიშვნელობის მინიჭება შესაძლოა სწორედ სასჯელის სახესა და ზომაზე აისახოს, რა დროსაც განაჩენი ექვემდებარება გასაჩივრებას სასჯელის ნაწილში, როგორც უკანონო. თუმცა, გადაწყვეტილების შეცვლის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, შეფასება მიეცეს არსებული დარღვევების გავლენას საუკეთესო ინტერესების სათანადოდ განსაზღვრასა და მიღებულ გადაწყვეტილებაზე. კერძოდ, რამდენად არსებითი ხასიათის იყო დარღვევა და მიიღებოდა თუ არა სხვაგვარი გადაწყვეტილება მისი არარსებობის პირობებში. აღსანიშნავია, რომ უზენაესი სასამართლოს მიერ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ერთ-ერთ საქმეზე დადგენილ იქნა პირველ ინსტანციაში ისეთი საპროცესო გარანტიების დარღვევა, როგორიცაა საქმის გონივრულ ვადაში განხილვა და სპეციალიზებული ადვოკატის მონაწილეობის აუცილებლობა, თუმცა, სასამართლოს შეფასებით, აღნიშნული დარღვევები ვერ მოახდენდა გავლენას სისხლის სამართლის საქმის საბოლოო შედეგზე და პალატა არასრულწლოვნისათვის

უკანონოდ ჩატარებული საპროცესო მოქმედებების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების განმარტებით შემოიფარგლა.<sup>868</sup>

გადანყვეტილების გასაჩივრების მექანიზმის, როგორც არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საპროცესო გარანტიის, განმტკიცების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი გავლენა იქონია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში 2017 წლის 8 თებერვალს განხორციელებულმა ცვლილებამ, რომლის თანახმად, საკასაციო საჩივარი დასაშვებად მიიჩნევა, თუ მსჯავრდებული არასრულწლოვანია.

## 2.6. ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება

ბავშვის უფლებათა კონვენციით გათვალისწინებული უფლებების განხორციელების მიზნით ყველა საჭირო ზომის მიღების კონვენციის მე-4 მუხლით გათვალისწინებული სახელმწიფოთა ვალდებულება, მათ შორის, მოიცავს იმგვარი პროცედურის დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობას.<sup>869</sup> ამ მიზნით, საჭიროა ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასების სისტემატურად განხორციელება, რაც მოიცავს როგორც შემოთავაზებული კანონის, რეგულაციისა თუ პოლიტიკის არასრულწლოვნებზე სამომავლო გავლენის პროგნოზირებას, ისე განხორციელებული ღონისძიებების მიმდინარე მონიტორინგსა და ბავშვის უფლებებზე რეალური გავლენის შეფასებას.<sup>870</sup>

---

<sup>868</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე №338აპ-16, აბზ. 31.

<sup>869</sup> General Comment No. 14 “On the Right of the Child to Have his or her Best Interests Taken as a Primary Consideration (Art. 3, para.1)”, UN Committee on the Rights of the Child, Sixty-second Session (14 January - 1 February 2013), CRC/C/GC/14, 29 May, 2013, Para. 99.

<sup>870</sup> General Comment No. 5 “General Measures on Implementation of the Convention on the Rights of the Child (arts. 4, 42, 44 Para. 6)”, UN Committee on the Rights of the Child, Thirty-fourth Session (19 September - 3 October),

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კონტექსტში უფლებებზე გავლენის შეფასების მექანიზმი მოიცავს: პირველი, კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის მიმართ მისაღები გადაწყვეტილების, აგრეთვე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მარეგულირებელი კანონმდებლობისა და განსახორციელებელი პოლიტიკის შედეგების წინასწარ განჭვრეტას, არასრულწლოვნის უფლებებზე და საუკეთესო ინტერესებზე გავლენის პროგნოზირებას, რაც უზრუნველყოფს ცდომილებათა დაშვებისა და არასასურველ შედეგთა დადგომის ალბათობის შემცირებას; მეორე, კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის მიმართ მიღებული გადაწყვეტილების, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მარეგულირებელი კანონმდებლობისა და პოლიტიკის აღსრულებაზე დაკვირვებასა და დამდგარი შედეგების შეფასებას, რაც გულისხმობს მონიტორინგის განხორციელებას, შესაბამისად, ინდივიდუალურ და ზოგად დონეზე.<sup>871</sup> მონიტორინგი წარმოადგენს სოციალური სინამდვილის გარკვეული ფრაგმენტის გეგმაზომიერ, სისტემატურ, გარკვეული სქემით ჩატარებულ შესწავლას<sup>872</sup> და ემსახურება არსებული ხარვეზების გაანალიზებისა და სამომავლოდ მათი აღმოფხვრის მიზანს. ამასთან, მონიტორინგი, იმის გათვალისწინებით, რომ გადაწყვეტილების მოსალოდნელი შედეგები შემდგომ შედარებული

---

CRC/GC/2003/5, 27 November, 2003, Para. 45; General Comment No. 14 “On the Right of the Child to Have his or her Best Interests Taken as a Primary Consideration (Art. 3, para.1)”, UN Committee on the Rights of the Child, Sixty-second Session (14 January - 1 February 2013), CRC/C/GC/14, 29 May, 2013, Para. 99; General Comment No. 16 “On State Obligations Regarding the Impact of the Business Sector on Children’s Rights”, UN Committee on the Rights of the Child, Sixty-second Session (14 January – 1 February), CRC/C/GC/16, 17 April, 2013, Para. 78.

<sup>871</sup> Op de Beeck H., Monitoring Best-Interests Decisions – Can Systems Developed for Monitoring Return Decisions Serve as an Inspiration for Other Domains?, in: *The Best Interests of the Child – A Dialogue Between Theory and Practice*, Milka Sormunen (Ed.), Council of Europe, 2016, 76.

<sup>872</sup> ნოვიცკი მ., ფიალოვა ზ., ადამიანის უფლებების მონიტორინგი, ნ. ინ-წკირველის, ნ. კალანდარიშვილის, დ. პაიჭაძის, ც. თურქიას, ვ. იმნაიშვილის, ტ. კორტავას, დ. ჯაშიაშვილის თარგმანი, ფ. საყვარელიძის თარგმანი, თბილისი, 2002, 13.

იქნება რეალურ შედეგებთან, უზრუნველყოფს საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და გადანყვეტილებების ხარისხის გაუმჯობესებას.<sup>873</sup> აღსანიშნავია, რომ ბავშვის უფლებათა კომიტეტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თვითმონიტორინგს, თუმცა, ამავდროულად, აუცილებლად მიიჩნევს დამოუკიდებელი მონიტორინგის განხორციელებას საპარლამენტო კომიტეტების, არასამთავრობო ორგანიზაციების, აკადემიური ინსტიტუტების, პროფესიული ასოციაციებისა თუ ადამიანის უფლებათა დაცვის დამოუკიდებელი ინსტიტუტების მიერ.<sup>874</sup> არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში ზოგად დონეზე მონიტორინგის განხორციელებისა და, შესაბამისად, არსებული კანონმდებლობის, პოლიტიკის, ძირითადი მიდგომების ბავშვის უფლებებზე ზეგავლენის შეფასების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა სასამართლო პროცესის მონიტორინგი, რის შესაძლებლობასაც გამოორიცხავს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, ვინაიდან არასრულწლოვნის საქმე დახურულ სხდომაზე განიხილება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, ამკ-ის 29-ე მუხლს დაემატოს მე-4 ნაწილი, რომელიც დაადგენს არასრულწლოვნის საქმის სასამართლოში განხილვაზე მონიტორინგის განხორციელების შესაძლებლობას და განსაზღვრავს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვალდებულებას მონიტორინგის ჩატარების წესის შემუშავების უზრუნველსაყოფად, თუმცა ეს უკანასკნელი შესაძლოა თავად კოდექსმაც მოაწესრიგოს. ზოგად დონეზე მონიტორინგის განხორციელების შედეგი შეიძლება გამოიხატოს კანონმდებლობისა და პოლიტიკის ცვლილებაში. ინდივიდუალური მონიტორინგის განხორციელების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, გადანყვეტილების აღსრულების შემდეგ რეგულარული მონიტორინგი და შედეგების შეფასება. კონკრეტული არასრულწლოვნის

---

<sup>873</sup> Op de Beeck H., *Monitoring Best-Interests Decisions – Can Systems Developed for Monitoring Return Decisions Serve as an Inspiration for Other Domains?*, in: *The Best Interests of the Child – A Dialogue Between Theory and Practice*, Milka Sormunen (Ed.), Council of Europe, 2016, 74.

<sup>874</sup> General Comment No. 5 “General Measures on Implementation of the Convention on the Rights of the Child (arts. 4, 42, 44 Para. 6)”, UN Committee on the Rights of the Child, Thirty-fourth Session (19 September - 3 October), CRC/GC/2003/5, 27 November, 2003, Para. 46.

საუკეთესო ინტერესებზე გადანყვეტილების ზეგავლენის შეფასება ვერ გახდება მიდგომის შეცვლის საფუძველი სხვა არასრულწლოვანთა მიმართ, გამომდინარე მათი ინდივიდუალური მახასიათებლებიდან. თუმცა, შესაძლოა გამოიკვეთოს გარკვეული ნიშნით გაერთიანებულ არასრულწლოვანთა მიმართ მიდგომის ზოგადი ტენდენციები. ინდივიდუალურ დონეზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგებს შესაძლოა მნიშვნელოვანი დატვირთვა ჰქონდეს იმავე არასრულწლოვნის მართლმსაჯულების სისტემაში განმეორებით მოხვედრის შემთხვევაში მისი საუკეთესო ინტერესების უკეთესად შეფასებისა და სათანადო გადანყვეტილების მიღების თვალსაზრისით, რისთვისაც საჭიროა გადანყვეტილების მიმღებ პირთა ინფორმირება მონიტორინგის შედეგების შესახებ. ინდივიდუალური მონიტორინგის მექანიზმი ასევე შეიძლება გამოიხატოს გადანყვეტილების გასაჩივრებისათვის შესაძლებლობების შექმნაში.<sup>875</sup>

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, ცხადია, რომ ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასების მექანიზმს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად. სწორედ ამიტომ განიხილავს მას ბავშვის უფლებათა კომიტეტი ერთ-ერთ საპროცესო გარანტიად. აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ ითვალისწინებს აღნიშნული მექანიზმის დანერგვას<sup>876</sup>, რაც წინგადადგმული ნაბიჯია საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების თვალსაზრისით და დადებითად უნდა შეფასდეს.

---

<sup>875</sup> Op de Beeck H., Monitoring Best-Interests Decisions – Can Systems Developed for Monitoring Return Decisions Serve as an Inspiration for Other Domains?, in: The Best Interests of the Child – A Dialogue Between Theory and Practice, Milka Sormunen (Ed.), Council of Europe, 2016, 76.

<sup>876</sup> იხ., საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“, 82-ე მუხლი.

## დასკვნა

განხორციელებული კვლევის შედეგად, საერთაშორისო სტანდარტების, უცხო ქვეყნების გამოცდილებისა და ქართული რეალობის გათვალისწინებით, შესწავლილ იქნა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის ყველა ასპექტი კანონთან კონფლიქტში მყოფ პირთან მიმართებით სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესში. შედეგად, შესაძლებელია შემდეგი დასკვნებისა და რეკომენდაციების ჩამოყალიბება:

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობამ, მე-19 საუკუნის ბოლო პერიოდსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ჩამოყალიბების კვალდაკვალ დაიმკვიდრა აღნიშნულ სფეროში ადგილი. პრინციპის დასაყრდენს კეთილდღეობის ფილოსოფიური მოდელი წარმოადგენს, რომელსაც, თავის მხრივ, საფუძვლად უდევს პატერნალისტური სახელმწიფოს იდეა. სწორედ ეს უკანასკნელი ემსახურება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვას ბავშვზე მზრუნველობის განხორციელების მეშვეობით. მართალია, მართლმსაჯულების მოდელი, კეთილდღეობის მოდელისაგან განსხვავებით, არასრულწლოვანს უფლებებით აღჭურვილ აქტიურ სუბიექტად განიხილავს და სამართლიანი პროცესის გარანტიებს ანიჭებს, თუმცა, მიუხედავად ამისა, საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის, როგორც პატერნალისტური პრინციპის თავსებადობა აღნიშნულ მოდელთან არ გამოირიცხება. თუმცა, ამ შემთხვევაში, ვერ ვისაუბრებთ წმინდა მართლმსაჯულების ან წმინდა კეთილდღეობის მოდელზე. აღნიშნული წარმოადგენს კეთილდღეობისა და მართლმსაჯულების ელემენტების ნაზავს, რაც ერთიანობაში ქმნის ე.წ. „შერეულ სისტემას“, რომელიც საფუძვლად უდევს როგორც საერთაშორისო ინსტრუმენტებს, ისე საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსს. საუკეთესო ინტერესის ცნება წარმოადგენს კეთილდღეობის ცნების თანამედროვე გაგებას, მიუხედავად მათ შორის არსებული განსხვავებებისა. საერთაშორისო და რეგიონული აქტების მიმოხილვის

შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის განმტკიცების ყველაზე მყარ სამართლებრივ გარანტიას გაეროს ბავშვის უფლებების შესახებ 1989 წლის კონვენცია წარმოადგენს.

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის, როგორც ცალკეულ ნორმათა განმარტებისათვის სახელმძღვანელო პრინციპის ფუნქციიდან გამომდინარე, ბუნდოვანებისა და უზუსტობის არსებობისას ნორმა უნდა განიმარტოს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის სასარგებლოდ და თუ არასრულწლოვანს მოხსნილი ან გაქარწყლებული აქვს ნასამართლობა, ამკ-ის 73-ე მუხლის პირველი ნაწილით, აგრეთვე 74-ე და 76-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მხედველობაში არ უნდა იქნეს მიღებული წარსულში გამოტანილი განაჩენი.

საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის, როგორც კანონმდებლობისა და პრაქტიკის შეფასების სახელმძღვანელო პრინციპის ფუნქციაზე მსჯელობის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით გათვალისწინებული ისეთი საკითხი, როგორცაა სასჯელის სახით შინაპატიმრობის აღსრულებისას ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენება ვერ პასუხობს საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპთან შესაბამისობის ტესტს. აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, ამკ-ის 69-ე მუხლის მე-5 ნაწილში ცვლილების განხორციელება და ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენების შესაძლებლობის დადგენა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, პრობაციის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებით. შინაპატიმრობის აღსრულება კი, როგორც წესი, უნდა ხორციელდებოდეს მსჯავრდებულის საცხოვრებელ ადგილზე პრობაციის ოფიცრის გაუფრთხილებელი ვიზიტით, რის თაობაზეც უნდა შედგეს შესაბამისი ოქმი. ამასთან, ამოღებულ უნდა იქნეს ამკ-ის 75-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომელიც არასაპატიმრო სასჯელის აღსასრულებლად, ადგენს ელექტრონული ზედამხედველობის ერთ წლამდე ვადით გამოყენების შესაძლებლობას, არასრულწლოვნის და მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით.

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა, მართალია, წარმოადგენს ყოვლისმომცველ პრინციპს, რომელსაც ეფუძნება როგორც ბავშვის უფლებათა კონვენცია, ისე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა, მაგრამ აღნიშნული გარემოება არ გულისხმობს მისი, როგორც პრინციპის უპირატესობას სხვა პრინციპებზე. კვლევის შედეგად, ამ მიდგომის სასარგებლოდ არაერთი არგუმენტი გამოიკვეთა.

ნაშრომში სათანადო შეფასება მიეცა საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის შეჯიბრებითობის პრინციპთან თავსებადობის საკითხის. ანალიზის შედეგად, კვლევაში ასახული არგუმენტების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ შეჯიბრებითობის პრინციპი საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და განსაზღვრის პროცესში მოსამართლისათვის არ აწესებს შეზღუდვებს შეკითხვის დასმის თვალსაზრისით.

კვლევის ფარგლებში დადგინდა, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში 2018 წლის 30 მაისს განხორციელებული ცვლილება, რომლის თანახმადაც იმ პირის მიმართ, რომელიც დანაშაულის ჩადენისას და/ან არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის დაწყებისას არასრულწლოვანი იყო და შემდეგ გახდა სრულწლოვანი გამოირიცხება ამკ-ის საპროცესო ნორმების გამოყენების შესაძლებლობა და ვრცელდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმები, ვერ აკმაყოფილებს საუკეთესო ინტერესებთან შესაბამისობის ტესტს. მიზანშეწონილია, მართლმსაჯულების კოდექსში ცვლილების განხორციელება, რომელიც ამკ-ის საპროცესო ნორმების, გარდა კანონიერ/საპროცესო წარმომადგენლობასთან დაკავშირებული რეგულაციებისა, გავრცელებას უზრუნველყოფს იმ პირებზე, რომლებმაც არასრულწლოვანების პერიოდში ჩაიდინეს დანაშაული, მიუხედავად პროცესის დასრულებამდე 18 წლის ასაკის მიღწევისა. თუმცა, ამავდროულად, ისეთი შემთხვევისათვის, როდესაც დანაშაული არასრულწლოვანმა ჩაიდინა და პროცესი სრულწლოვნის მიმართ დაიწყო, მნიშვნელოვანია, დადგინდეს 21 წლამდე ასაკობრივი ზღვარი, რაც გამოირიცხავს იმგვარ ვითარებას, როდესაც დანაშაულის ჩადენიდან პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევ-

ნის დაწყებამდე გასული დროის ხანგრძლივობის გამო, პირის ასაკი მიზანშეუწონელს ხდის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის საპროცესო ნორმების გამოყენებას.

ნაშრომში განვითარებული მსჯელობის გათვალისწინებით, პრინციპის განმახორციელებელ სუბიექტებში უნდა მოვიაზროთ სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭო, ასევე, მუდმივმოქმედი კომისიები, რომლებიც განიხილავენ პირობითი მსჯავრისა და ნასამართლობის მოხსნის, აგრეთვე ავადმყოფობის გამო სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლების საკითხებს. ბუნდოვანების აღმოფხვრის მიზნით, მიზანშეწონილია, ამკ-ის მე-3 მუხლის მე-6 ნაწილში ცვლილების განხორციელება და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის მწარმოებელ/პროცესის მონაწილე პირთა ჩამონათვალისათვის ზემოაღნიშნული ადმინისტრაციული ორგანოების დამატება.

კვლევის შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ ბავშვის უფლებათა კონვენცია, ისევე როგორც საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, საუკეთესო ინტერესებს განიხილავს, როგორც უპირველესი მნიშვნელობის მქონე ერთ-ერთ გარემოებად. კერძოდ, მართალია, პირველ რიგში სწორედ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები გაითვალისწინება, მაგრამ, ამავდროულად, არ წარმოადგენს ერთადერთ დამძლევ ფაქტორს და არ გამორიცხავს სხვა, ასევე უპირველესი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა არსებობას. ამგვარი სტანდარტის დადგენა განაპირობა ინტერესთა კონფლიქტის შესაძლო შემთხვევებმა. ეს უკანასკნელი განსაკუთრებული სიმწვავეთ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში წარმოჩინდება, რასაც საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობის ანალიზიც ადასტურებს. ნაშრომში განვითარებული მსჯელობის გათვალისწინებით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ინტერესები აერთიანებს როგორც კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის, ისე საზოგადოების ინტერესებს. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, მოიცავს უსაფრთხოებისა და სამართლიანობის უზრუნველყოფას, როგორც მართლმსაჯულების განუყოფელ ინტერესებს. მართლმსაჯულების პროცესის სტადი-

ების მიხედვით, შესაძლოა აგრეთვე გამოიკვეთოს არაერთი მნიშვნელოვანი ინტერესი, რაზეც ნაშრომში გამახვილდა ყურადღება.

არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის განხორციელებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოებრივი აზრი, რომელიც, ძალადობრივი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, როგორც წესი, დამსჯელობითი პოლიტიკისკენ იხრება. თუმცა, საზოგადოებრივმა აზრმა, რომელსაც, მათ შორის, მედიისა და გახმაურებული საქმეების გავლენით, ხშირად არასწორი წარმოდგენები და არასრულყოფილი ინფორმაციის ფლობა უდევს საფუძვლად, არ შეიძლება გადაწონოს საუკეთესო ინტერესებზე დაფუძნებული მიდგომა.

კვლევის შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები წარმოადგენს ყველა შემთხვევაში უპირველეს გასათვალისწინებელ გარემოებას. ამის შემდეგ კი შეფასება უნდა მიეცეს მართლმსაჯულების სხვა ინტერესებსაც, რომლებიც ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და არასრულწლოვნისაგან მომდინარე საფრთხეების გათვალისწინებით, შეიძლება აღმოჩნდნენ არასრულწლოვნის ინტერესებზე ნაკლები, თანაბარი ან იშვიათ შემთხვევაში, უფრო დიდი მნიშვნელობისაც. თუ სხვა არსებული გარემოებები საუკეთესო ინტერესებზე ნაკლები მნიშვნელობისაა, მაშინ გადაწყვეტილების მიღებისას, არასრულწლოვნის ინტერესებს ენიჭება აბსოლუტური, გადამწყვეტი მნიშვნელობა ანუ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ერთადერთ დამძლევ ფაქტორად. იმ შემთხვევაში, თუ იკვეთება სხვა, არანაკლები მნიშვნელობის მქონე ინტერესების არსებობა, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები ხდება ერთ-ერთი უპირველესი მნიშვნელობის მქონე გარემოება და არა ერთადერთი დამძლევი ფაქტორი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ინტერესთა შორის ბალანსის დაცვა, ჰარმონიზაცია. აღნიშნულის შეუძლებლობის შემთხვევაში, უფრო დიდი მნიშვნელობა იმ გადაწყვეტილებას ენიჭება, რომელიც ყველაზე მეტად ემსახურება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესს. თუმცა, იშვიათ საგამონაკლისო, ექსტრემალურ შემთხვევებში, შესაძლოა საბოლოო გადაწყვეტილება დაპირისპირებული ინტერესების სასარგებლოდ იქნეს მიღებული, რაც საჭიროებს

მყარ, არგუმენტირებულ დასაბუთებას და არ ნიშნავს იმას, რომ საუკეთესო ინტერესები არ წარმოადგენდა უპირველესი განხილვის საგანს.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მარეგულირებელი ნორმების ანალიზის შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ ინტერესთა ბალანსს, ხშირ შემთხვევაში, თავად კანონმდებლობა უზრუნველყოფს. თუმცა, ამავდროულად, არსებობს ისეთი რეგულაციები, რომლებიც არ ემსახურება არც ინტერესთა დაბალანსების და არც რომელიმე ღირებული ინტერესისათვის, მათ შორის, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესისათვის უპირატესობის მინიჭების მიზანს. ასეთად შეიძლება დავასახელოთ არასრულწლოვნის პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლისას კანონით განსაზღვრული მინიმალური ვადების არსებობა, პირობით ვადამდე გათავისუფლების დისკრეციული სისტემის მოქმედების პირობებში. აღნიშნული რეგულაცია ემსახურება არასრულწლოვნის დასჯას ჩადენილი დანაშაულისათვის. შესაბამისად, მიზანშეწონილია, ამკ-ის 95-ე და 96-ე მუხლებში ცვლილების განხორციელება და არასრულწლოვანთათვის კანონით დადგენილი მინიმალური ვადების გაუქმება.

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღებამდე, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია, განხორციელდეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და განსაზღვრის ორი ძირითადი ეტაპის გავლა, რა დროსაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ბავშვის უფლებათა კომიტეტის მიერ განსაზღვრული ელემენტები. საუკეთესო ინტერესების შეფასების ეტაპზე აუცილებელია რელევანტური ელემენტების იდენტიფიცირება, მათთვის კონკრეტული შინაარსის მინიჭება, თითოეული მათგანის ღირებულებისა და ერთმანეთთან მიმართებით პრიორიტეტულობის განსაზღვრა. აღნიშნული უნდა განხორციელდეს ბავშვის ინდივიდუალური მახასიათებლების შეფასების შედეგად, რაც საუკეთესო ინტერესების შეფასების შემადგენელი ნაწილია. მნიშვნელოვანია, ინდივიდუალური მახასიათებლების შეფასება განხორციელდეს მულტიდისციპლინური მიდგო-

მის მეშვეობით. ამ მხრივ, მიზანშეწონილია, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი ითვალისწინებდეს მოსამართლის მიერ სხვადასხვა დარგის ექსპერტებთან კონსულტაციის გავლის შესაძლებლობას.

კვლევის შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადებისა და გათვალისწინების სავალდებულო ხასიათს უკავშირებს არა მარტო პროცესის სტადიების მნიშვნელობას, არამედ ანგარიშის მომზადების პრაქტიკულ შესაძლებლობასაც სისხლის სამართლის საქმის მიმდინარეობისა და ვადების გათვალისწინებით. სწორედ ამ უკანასკნელი მიზეზის გამო მართლმსაჯულების კოდექსი ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხის გადანყვეტისას, როგორცაა აღკვეთის ღონისძიების, განსაკუთრებით, პატიმრობის შეფარდება და შეცვლა, არ მოითხოვს ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის სავალდებულო წესით მომზადებას. აღნიშნულის საპირისპიროდ, ანგარიშის მომზადებისა და გათვალისწინების სავალდებულობა შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოსამართლის ინიციატივით პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხის გადანყვეტისას (როგორც საქმის არსებით განხილვამდე, ისე არსებითი განხილვის ეტაპზე), რა დროსაც ამკ-ით დადგენილი ვადები იძლევა ამის შესაძლებლობას. ასეთ დროს მომზადებული ანგარიში შესაძლოა აგრეთვე გამოყენებულ იქნეს მოსამართლის ინიციატივით თუ მხარის შუამდგომლობის საფუძველზე პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხის ყოველი მომდევნო განხილვისას.

მნიშვნელოვანია, რომ ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადებას ყველა შემთხვევაში უზრუნველყოფდეს შესაბამისი უნარ-ჩვევების, კვალიფიკაციის მქონე სოციალური მუშაკი. შესაბამისად, მიზანშეწონილია, სახელმწიფომ უზრუნველყოს სოციალური მუშაკების დასაქმება პრობაციის ბიუროს იმ სამოქმედო ტერიტორიებზე, სადაც არ ხორციელდება სოციალური მუშაკის მომსახურება, რათა ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადება არ მოუწიოს პრობაციის ოფიცერს, როგორც ამას ითვალისწინებს დღეს მოქმედი რეგულაციები. გარდა ამისა, მიზანშე-

ნონილია, სოციალურ მუშაკს გააჩნდეს შეფასების პროცესში სხვადასხვა დარგის პროფესიონალთა (პედაგოგი, ფსიქოლოგი, ექიმი, ფსიქიატრი და სხვ.) ჩართვის ვალდებულება, არასრულწლოვანსა და მის ოჯახთან ყოველგვარი შეთანხმების გარეშე. ამასთან, მნიშვნელოვანია, სოციალურ მუშაკს ინფორმაციის ჯეროვნად მოძიებისა და დამუშავებისათვის გააჩნდეს საკმარისი ვადა, აგრეთვე თავად განსაზღვრავდეს არასრულწლოვანთან და მის ოჯახთან შეხვედრების რაოდენობას კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით. გარდა ამისა, მიზანშეუწონელია, ინტერვიუების სატელეფონო კავშირის გამოყენებით წარმართვის შესაძლებლობის არსებობა.

მიზანშეუწონელია, დაიხვეწოს ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის ფორმები და ყველა მათგანი სრულყოფილად ასახავდეს კონკრეტული არასრულწლოვანისათვის დამახასიათებელი როგორც რისკფაქტორებისა და საჭიროებების, ისე დამცავი, პოზიტიური ფაქტორების შესახებ არგუმენტირებულ დასკვნებს. ამასთან, საჭიროა, არასაპატიმრო სასჯელის აღსრულებისას შედგენილი ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მსგავსად, მართლმსაჯულების განხორციელების ყველა მნიშვნელოვან ეტაპზე, განსაკუთრებით, სასჯელის დანიშვნისას შედგენილ ანგარიშში გათვალისწინებული იყოს როგორც საკუთარი თავისა და სხვისთვის ზიანის მიყენების, ისე ახალი დანაშაულის ჩადენის რისკის შეფასება. ამავდროულად, მიზანშეუწონელია, ქულათა სისტემის შემუშავება, რაც რისკის დონის განსაზღვრის უფრო ზუსტი საშუალებაა.

არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესის განსაზღვრა უნდა განხორციელდეს შეფასების შედეგების საფუძველზე, რომელიც, თავის მხრივ, ობიექტურ ინფორმაციას უნდა ემყარებოდეს ბავშვის ინდივიდუალური მახასიათებლების, გამოვლენილი რისკების, საჭიროებებისა და დამცავი ფაქტორების სახით. მნიშვნელოვანია, გადანყვეტილების მიმღები პირის მიერ საკითხისადმი ყოველმხრივი, კომპლექსური მიდგომა და არასრულწლოვანის მომავლის პროგნოზირება, რაც გულისხმობს იმას, რომ არა მარტო გადანყვეტილების მიღების მომენტში არსებული საუკეთესო ინტერესი უნდა იქნეს გათვალისწინებული, არამედ უნდა შეფასდეს არა-

სრულწლოვნის სამომავლო ინტერესებიც და სწორედ ამის შემდეგ იქნეს მიღებული საბოლოო გადანყვეტილება. საუკეთესო ინტერესები საქართველოს კონსტიტუციის, ბავშვის უფლებათა კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების, სხვა საერთაშორისო აქტების ძირითადი სულისკვეთების მიხედვითა და მათთან მჭიდრო კავშირში, ასევე ბავშვის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების მხედველობაში მიღების პარალელურად უნდა განისაზღვროს, იმის გათვალისწინებით, რომ საუკეთესო ინტერესის ტესტი გადანყვეტილების მიმღები პირისაგან მოითხოვს არა ერთ-ერთი კარგი, არამედ კონკრეტული სიტუაციისათვის საუკეთესო შედეგის მიღებას. ისეთი შემთხვევებისათვის, როდესაც არსებობს სირთულე საუკეთესო ინტერესის განსაზღვრისა და სათანადო გადანყვეტილების მიღების თვალსაზრისით, შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს ნაშრომში განხილული საუკეთესო ინტერესის ტესტის ალტერნატივები.

ამ ყოველივეს გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად საუკეთესო ინტერესის ცნების განუსაზღვრელობისა და მისთვის დამახასიათებელი სუბიექტივიზმისა, იგი გადანყვეტილების მიმღებ პირს არ აღჭურავს ფართო დისკრეციით. არსებული ადამიანის უფლებათა ჩარჩო, რომელშიც უნდა განისაზღვროს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები, აწესებს საზღვრებს, რომელთა გადაკვეთაც დაუშვებელია.

საუკეთესო ინტერესზე დაფუძნებული გადანყვეტილების მიღების დამაგვირგვინებელ სტადიად საბოლოო გადანყვეტილების მიღება გვევლინება, რა დროსაც, რეკომენდირებულია, განხორციელდეს მისაღები გადანყვეტილების ყველა შესაძლო ვარიანტის იდენტიფიცირება თითოეული მათგანის სავარაუდო შედეგისა და ამ შედეგთა დადგომის ალბათობის განჭვრეტით. საბოლოოდ, იმ შედეგს უნდა მიენიჭოს უპირატესობა, რომელიც ყველაზე მეტად უზრუნველყოფს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის დაცულობას.

საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და განსაზღვრის კომპლექსური პროცედურის განხორციელება სავალდებულოა არასისხლის სამართლის პროცესის ყველა სტადიაზე, არამედ არა-

სრულწლოვნის ცხოვრებაზე არსებითი გავლენის მქონე გადაწყვეტილებების მიღებისას. ასეთად შეიძლება მოვიხაროთ სისხლის სამართლის პროცესის ის სტადიები, რა დროსაც სავალდებულოა ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადება.

ნაშრომში განხილული საკითხებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საუკეთესო ინტერესის ცნება არის ყოველმომცველი, მავალდებულებელი და ევოლუციური ხასიათის, ასევე ახასიათებს განუსაზღვრელობა, სუბიექტივიზმი, დროსა და სივრცეზე დამოკიდებულება, მომავალზე ორიენტირება და მჭიდრო კავშირი ძირითად უფლებებთან.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილი, მართალია, გვთავაზობს საუკეთესო ინტერესების ცნების ზოგად, საორიენტაციო განმარტებას, თუმცა კონკრეტულ შემთხვევაში საუკეთესო ინტერესის განსაზღვრა კვლავ პრობლემას წარმოადგენს. შესაბამისად, მიზანშეწონილია, ბავშვის უფლებათა კოდექსის მსგავსად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსმაც, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სპეციფიკის გათვალისწინებით, დაადგინოს საუკეთესო ინტერესის განსაზღვრად მხედველობაში მისაღები გარემოებები და ის კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც უნდა განხორციელდეს საუკეთესო ინტერესების შეფასება და განსაზღვრა, რაც მეტ ობიექტურობას შესძენს საუკეთესო ინტერესის ცნებას.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ არასრულწლოვნის უფლება, იყოს მოსმენილი, როგორც არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საპროცესო გარანტია, ერთი მხრივ, წარმოადგენს მეთოდოლოგიას საუკეთესო ინტერესების შესაფასებლად და განსაზღვრად, ხოლო, მეორე მხრივ, განიხილება, როგორც მიზანი, რადგან არასრულწლოვნის მიერ შეხედულებების გამოხატვის უზრუნველყოფა ყოველთვის მიიჩნევა ბავშვის საუკეთესო ინტერესად, რაც ნაშრომში განხილულ არაერთ დადებით შედეგში აისახება. არასრულწლოვნის მიერ მოსაზრებების გამოხატვის უფლებასა და საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობას ურთიერთშემავსებელი ფუნქცია გააჩნიათ. გასათვალისწინებელია, რომ მიუხედავად პროცესში აქტი-

ური ჩართულობისა, არასრულწლოვნის პასუხისმგებლობა მიღებული გადაწყვეტილების შედეგებთან მიმართებით სრულად გამოირიცხება.

პროცესში ქმედითი მონაწილეობის უფლების სათანადოდ რეალიზების მიზნით, აუცილებელია მართლმსაჯულების პროცესის არასრულწლოვნის გაგებისა და აღქმის უნარების შესაბამისად, ბავშვზე მორგებულ და არაფორმალურ გარემოში წარმართვა. ამ თვალსაზრისით, მიზანშეწონილია, ყველა რაიონულ თუ სააპელაციო სასამართლოში მოენწყოს ბავშვისათვის ადაპტირებული სასამართლო დარბაზი. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ არასრულწლოვნის უფლება, იყოს მოსმენილი, პრაქტიკულად რეალიზდება ზეპირი მოსმენის მეშვეობით, რაც მოქმედი რეგულაციებიდან გამომდინარე გარანტირებულია სასამართლოში საქმის განხილვისას, თუმცა მიზანშეწონილია, ადგილობრივი საბჭოს შემთხვევაშიც განისაზღვროს გადაწყვეტილების მხოლოდ ზეპირი მოსმენით მიღების ვალდებულება.

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვის ერთ-ერთ საპროცესო გარანტიას წარმოადგენლობა განეკუთვნება. კანონიერ წარმომადგენელთა ჩართულობას პირდაპირი გავლენა გააჩნია საუკეთესო ინტერესების განსაზღვრის პროცესზე, რაც მათი მოსაზრებებისათვის სათანადო მნიშვნელობის მინიჭებაში გამოიხატება. თუმცა, კვლევის შედეგად დადგინდა, რომ არასრულწლოვნის უნარების განვითარების შესაბამისად, კლებულობს მშობელთა როლი და არასრულწლოვნის მოსაზრებებს ენიჭება მეტი მნიშვნელობა. სწორედ ამგვარად შეიძლება დაბალანსდეს საუკეთესო ინტერესის განსაზღვრისას არასრულწლოვნისა და მისი კანონიერი წარმომადგენლის დაპირისპირებული შეხედულებები. რაც უფრო ნაკლებად განვითარებულია არასრულწლოვანი, მით მეტი მნიშვნელობა ენიჭება მშობლის მოსაზრებებს საუკეთესო ინტერესის განსაზღვრის პროცესში.

კვლევის შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ კანონიერი წარმომადგენლებისაგან განსხვავებით, პროცესში საპროცესო წარმომადგენლის ჩართულობა არ ემსახურება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია პროცესში კანონი-

ერ წარმომადგენელთა და არა სხვა პირთა ჩართულობის მაქსიმალურად ხელშეწყობა. ამრიგად, მიზანშეწონილია, ამკ-ის 50-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტში, ცვლილების განხორციელება და პროცესში მონაწილეობის მიზნით კანონიერი წარმომადგენლისათვის სამართალდამცავ ორგანოში გამოცხადებისათვის საკმარისი დროის განსაზღვრა ან მიზანშეწონილია, საპროცესო წარმომადგენლის დანიშვნა განხორციელდეს არა არასრულწლოვნის სამართალდამცავ ორგანოში მიყვანიდან ერთი საათის განმავლობაში კანონიერი წარმომადგენლის პროცესში მონაწილეობის შეუძლებლობის, არამედ ამ დროის განმავლობაში მასთან დაკავშირების შეუძლებლობის შემთხვევაში.

კვლევის შედეგად, დადგინდა, რომ ამკ-ის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილი, რომელიც მხოლოდ კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში ანიჭებს ადვოკატს არასრულწლოვნის ნებისაგან დამოუკიდებლად საჩივრის შეტანის ან მასზე უარის თქმის უფლებას, თუ ეს შეესაბამება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს, შეუთავსებელია ადვოკატის, როგორც არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვის გარანტიის ფუნქციასთან. შესაბამისად, მიზანშეწონილია, ამკ-ის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილში ცვლილების განხორციელების მეშვეობით, აღდგეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ამოქმედებამდე სსსკ-ის 44-ე მუხლში არსებული რეგულაცია და ადვოკატს მიენიჭოს არასრულწლოვნისა და მისი კანონიერი წარმომადგენლის ნებისაგან დამოუკიდებლად საჩივრის შეტანისა ან მასზე უარის თქმის უფლება, მათ შორის, ბრალდებისა და სასჯელის ნაწილში, თუ ეს შეესაბამება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესს, მით უფრო, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების უპირატესად გათვალისწინება თავად ადვოკატის ვალდებულებაა.

მართლმსაჯულების პროცესის გაჭიანურების დაუშვებლობის, როგორც არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვის ერთ-ერთი საპროცესო გარანტიის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, ამკ-ის 55-ე მუხლის მე-3 ნაწილში ცვლილების განხორციელება, რომლის თანახმად, საკასაციო სასამართლოს მიერ შემა-

ჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანის 3 თვიანი ვადის ათვლა დაიწყება არა საჩივრის დასაშვებად ცნობიდან, არამედ საქმის სასამართლოში შესვლის მომენტიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნაშრომში ასახული მსჯელობიდან გამომდინარე, მოქმედი რეგულაცია რეალურად არ ადგენს საკასაციო სასამართლოში არასრულწლოვნის საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მისაღებად სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისაგან განსხვავებულ ვადას. ასევე მიზანშეწონილია, არასრულწლოვნის საქმის პირველ ინსტანციაში განხილვის შემთხვევაშიც დადგინდეს შემჭიდროვებული ვადა, იმგვარად, რომ საფრთხე არ შეექმნას სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზებას.

საუკეთესო ინტერესების დაცვის ერთ-ერთ საპროცესო გარანტიად სპეციალიზაცია განიხილება, რომლის ეფექტიანობის ამაღლების უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-16 მუხლმა განსაზღვროს არასრულწლოვანთა პროცესის განმახორციელებელი და პროცესის მონაწილე პირების მიერ არასრულწლოვანთან ურთიერთობის მეთოდიკასა და მასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებში სპეციალური სწავლების არაერთგვარადად და განგრძობადად გავლის ვალდებულება. გარდა ამისა, არასრულწლოვანთა საქმეების მეტად ეფექტიანად წარმოების მიზნით, სასურველია, სპეციალიზებული პირები მუშაობდნენ მხოლოდ არასრულწლოვანთა საქმეებზე. ამ მხრივ, მიზანშეწონილია, თბილისის საქალაქო სასამართლოს მსგავსად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით შეიქმნას ვიწრო სპეციალიზაცია არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის საქმეებზე ყველა იმ სასამართლოში, სადაც მოსამართლეთა რაოდენობა ამის შესაძლებლობას იძლევა. გარდა ამისა, მიზანშეწონილია, არასრულწლოვან მსჯავრდებულთა საქმეების განმხილველი ადგილობრივი საბჭოს შემადგენლობაში სპეციალიზაციის მოთხოვნას აკმაყოფილებდნენ ადგილობრივი საბჭოს სხდომაზე დამსწრეთაგან გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო რაოდენობის წევრები, მათ შორის, თავმჯდომარე და არა არანაკლებ ერთი წევრი, როგორც ამას დღეს მოქმედი რეგულაცია ითვალისწინებს.

დასაბუთებულობის, როგორც საუკეთესო ინტერესების დაცვის საპროცესო გარანტიის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, გადაწყვეტილება ასახავდეს არგუმენტაციას არა მხოლოდ პირის დამნაშავეობა-უდანაშაულობისა თუ დანიშნული სასჯელის სახისა და ზომის, არამედ საუკეთესო ინტერესების შეფასება-განსაზღვრისა და მისი პრიორიტეტულად გათვალისწინების შესახებ. მნიშვნელოვანია, გადაწყვეტილება არ შემოიფარგლებოდეს მხოლოდ საუკეთესო ინტერესის ზოგადი განმარტებითა და საერთაშორისო სტანდარტებზე ასევე ზოგადი მითითებით, რაც გადაწყვეტილებების ანალიზის შედეგად რეალურ პრობლემას წარმოადგენს პრაქტიკაში, არამედ მოტივაცია ცხადად უნდა ასახავდეს ინდივიდუალური შეფასების ანგარიშზე დამყარებულ მსჯელობასა და არასრულწლოვანთან დაკავშირებულ ყველა ფაქტობრივ გარემოებას, საუკეთესო ინტერესების შეფასებისას გამოვლენილ რელევანტურ ელემენტებს, მათ შინაარსსა და მნიშვნელობას, ასევე არასრულწლოვნის შეხედულებების გათვალისწინებულობის შემთხვევაში, სათანადო მიზეზებს. გარდა ამისა, კონფლიქტში მყოფ ინტერესთა არსებობისას, მნიშვნელოვანია, სასამართლომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმსჯელოს ინტერესთა დაბალანსების საკითხზე და განაჩენში ცხადად წარმოჩინდეს დაპირისპირებულ ინტერესთა მნიშვნელობა. რაც უფრო მძიმეა დანაშაული, მით უფრო მწვავედ დგას მართლმსაჯულების ინტერესთა შორის ბალანსის დაცვის საკითხი და, შესაბამისად, მით უფრო მყარი არგუმენტაცია მოეთხოვება სასამართლოს. იმ საგამონაკლისო, ექსტრემალურ შემთხვევებში, როდესაც მიღებული გადაწყვეტილება ვერ პასუხობს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს, აუცილებელია, შესაბამის საფუძვლებზე მითითება, იმის წარმოსაჩენად, რომ მიუხედავად დამდგარი შედეგისა, არასრულწლოვნის ინტერესები უპირველესი განხილვის საგანი იყო. დასაბუთებულობა სარწმუნოდ უნდა წარმოაჩინდეს იმ მიზეზებს, რომელთა გამოც არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი არ იქნა მიჩნეული სხვა ინტერესების დამძლევ ფაქტორად.

ნაშრომში საუკეთესო ინტერესების დაცვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გარანტიად განხილულ იქნა გადაწყვეტილების გასა-

ჩივრების მექანიზმის არსებობა. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და განსაზღვრის პროცესში საპროცესო გარანტიების უზრუნველყოფა, შეფასების არაფეროვნად განხორციელება, მცდარი ფაქტების გათვალისწინება და კონკურენტული გარემოებებისათვის გადაჭარბებული მნიშვნელობის მინიჭება შესაძლოა სწორედ სასჯელის სახესა და ზომაზე აისახოს, რა დროსაც განაჩენი ექვემდებარება გასაჩივრებას სასჯელის ნაწილში, როგორც უკანონო. თუმცა, გადანყვეტილების შეცვლის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, შეფასება მიეცეს არსებული დარღვევების გავლენას საუკეთესო ინტერესების სათანადოდ განსაზღვრასა და საბოლოო გადანყვეტილებაზე. კერძოდ, რამდენად არსებითი ხასიათის იყო დარღვევა და მიიღებოდა თუ არა სხვაგვარი გადანყვეტილება მისი არარსებობის პირობებში.

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასების მექანიზმს, რომლის ჯეროვნად განხორციელების მიზნით, მიზანშეწონილია, ამკ-ის 29-ე მუხლს დაემატოს მე-4 ნაწილი, რომელიც დაადგენს არასრულწლოვნის საქმის სასამართლოში განხილვაზე მონიტორინგის განხორციელების შესაძლებლობას და განსაზღვრავს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვალდებულებას მონიტორინგის ჩატარების წესის შემუშავების უზრუნველსაყოფად, თუმცა ეს უკანასკნელი შესაძლოა თავად კოდექსმაც მოანესრიგოს.

და ბოლოს, მიზანშეწონილია, ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის უპირატესობის მინიჭების უფლება აისახოს საქართველოს კონსტიტუციაში, რაც არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით მყარი სამართლებრივი გარანტია იქნება.

## ბიბლიოგრაფია

### *ქართულენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა*

1. **ადამიანის უფლებები და სასჯელალსრულების დანუსებულებები**, სახელმძღვანელო ადამიანის უფლებების საკითხებში სასჯელალსრულების დანუსებულების თანამშრომლებისათვის, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი, ნიუ-იორკი, ჟენევა, თარგმანი ანა გეგეჩკორი, რედ. რუსუდან მარგიშვილი, 2005.

2. **არსოშვილი გიორგი, მიქანაძე გივი, შალიკაშვილი მორის**, პრობაციის სამართალი, რედ. ნინო ჯავახიშვილი, ირაკლი სვანიძე, თბილისი, 2015.

3. **აქუბარდია ირინა, გოგშელიძე რევაზ, ფაფიაშვილი ლალი, გოგნიაშვილი ნინო**, სისხლის სამართლის პროცესი, (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები), მეორე გამოცემა, რედ. რევაზ გოგშელიძე, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2009.

4. **აქუბარდია ირინა**, მხარეთა თანასწორობა და მოსამართლის როლი შეჯიბრებით სამართალწარმოებაში, წიგნში: მზია ლეკვეიშვილი – 85, საიუბილეო კრებული, რედ. მაია ივანიძე, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2014.

5. **აქუბარდია ირინა**, შეჯიბრებითობის ქართული მოდელის ზოგიერთი ასპექტი, „გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი“, მე-2 გამოცემა, 2016.

6. **ბონაშვილი ირინე, ბენიძე მიხეილ**, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხები, „სამართლის ჟურნალი“, №2, 2009.

7. **გაბარავეი იოსებ**, ადვოკატის თვალით დანახული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, №1, 2017.

8. **გაბრიჩიძე ვაგა**, თანაზომიერების პრინციპი ევროპის გაერთიანების სამართლის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების სფეროში, წიგნში: ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, სტატიათა კრებული, რედ. კონსტანტინე კორკელია, თბილისი, 2006.

9. **გაბუნია მიხეილ**, კრიმინოლოგიური შეხედულებანი სამართლიანობასა და სამართალზე, წიგნში: გურამ ნაჭყებია – 75, საიუბილეო კრებული, რედ. ნონა თოდუა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2016.

10. *გამყრელიძე ოთარ*, სისხლისსამართლებრივი სასჯელის ცნება, „გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი“, პირველი გამოცემა, 2016.

11. *გვენეტაძე ნინო, კვაჭაძე მარინა, ნიკლაური-ლამიზი ელიკო, გაბუნია მიხეილ*, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება: განრიდება და მედიაცია, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2012.

12. *გვენეტაძე ნინო*, საპროცესო შეთანხმება – საქართველოში კანონმდებლობის ანალიზი, წიგნში: სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, სისხლის სამართლის სამეცნიერო სიმპოზიუმის კრებული, რედ. მერაბ ტურავა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2013.

13. *გვენეტაძე ნინო, ტურავა მერაბ*, სისხლის სამართლის საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, რედ. ნინო ძიძიგური, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია, თბილისი, 2005.

14. *გიორგაძე ალექსანდრე*, არასრულწლოვანთა სასჯელის მიზანი (რა მიზანს ემსახურება სასჯელი?), წიგნში: არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების პრობლემები (სტატიათა კრებული), რედ. მზია ლეკვეიშვილი, მორის შალიკაშვილი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011.

15. *გოგნიაშვილი ნინო*, არასრულწლოვნის დაკითხვის თავისებურება, „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, №1, 2017.

16. *გოთუა ზურაბ*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (სასჯელი), გამომცემლობა „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი“, თბილისი, 2001.

17. *გორგოძე მაკა*, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ზოგიერთი სადავო საკითხი, „მართლმსაჯულება და კანონი“, №1, 2018.

18. *გორგოძე მაკა*, იუვენალური იუსტიციის ორგანიზაციულ-სამართლებრივი მოდელები და ქართული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ზოგიერთი პრობლემატური საკითხი ამ მოდელთა ჩრდილში, „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, №1, 2017.

19. *გოცირიძე ვეა*, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის კომენტარი, წიგნში: საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის უფლებანი და ძირითადი თავისუფლებანი, ავტორთა კოლექტივი, რედ. პაატა ტურავა, ცირა ჯიშკარიანი-თევდორაძე, ვახტანგ ყვანია, გამომც. შპს. „პეტიტი“, 2013.

20. *დვალაძე ირაკლი*, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელის და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები,

რედ. გურამ ნაჭყებია, ლავრენტი მალლაკელიძე, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2013.

21. *ერემაძე ქეთევან*, ინტერესთა დაბალანსება დემოკრატიულ საზოგადოებაში, რედ. ჯონი ხეცურიანი, გიორგი პაპუაშვილი, კონსტანტინე ვარძელაშვილი, თბილისი, 2013.

22. *ვარძელაშვილი იოსებ*, არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის დანიშვნა (სასამართლო პრაქტიკის ანალიზი), წიგნში: არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, ივანიძე მ., თოდუა ნ., ვარძელაშვილი ი., მახარობლიძე თ., გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2017.

23. *ვარძელაშვილი იოსებ*, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის უმნიშვნელოვანესი პრინციპის მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკაში, „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, №1, 2017.

24. *ვარძელაშვილი იოსებ*, პირობითი მსჯავრის დანიშვნა და გაუქმება, წიგნში: გურამ ნაჭყებია – 75, საიუბილეო კრებული, რედ. ნონა თოდუა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2016.

25. *ვარძელაშვილი იოსებ*, სასჯელის მიზნები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2016.

